1974

Usybka

1974

3



გამომცემლობა „მერანი“ ● თბილისი

შინაარსი

გიორგი ჯიბლაძე. სიტყვა დიმიტრი გულიას. 4

პროზა

მიხაილო კოციუბინსკი. მივიწყებულ წინაპართა აჩრდილები. მოთხრობა. უკრაინულიდან თარგმნა ჯაბა ასათიანმა 9

უილიამ ფოლკნერი. ქალაქი. რომანი. გაგრძელება. თარგმნა რევაზ თვარაძემ 54

იაროსლავ ივაშკევიჩი. როზა. მოთხრობა. თარგმნა ომარ გოგიჩაიშვილმა 125

იან დრდა. უმაღლესი პრინციპი. მოთხრობა. ჩეხურიდან თარგმნა ელენე ერისთავმა 144

ანდრე მორუა. მოთხრობები. ოთხშაბათის იები. ფრანგულიდან თარგმნა ლია დარაშვილმა 148

სალამო მშვიდობისა, ძვირფასო! ფრანგულიდან თარგმნა დანიელ სიბაშვილმა 155

ნადინ გორდიმერი. როდეზიის მატარებელი. მოთხრობა. გადმოაქართულა სოლომონ დემურხანაშვილმა 163

ვალენტინ კატაევი. წყარო უცვდავებისა. მოთხრობა. გაგრძელება. რუსულიდან თარგმნეს თამარ ჩიჯავაძემ და შოთა ნიშნიანიძემ 172

უილიამ გაკ-გივერნი. ერთი უფელას წინააღმდეგ. რომანი. ინგლისურიდან თარგმნა ელგუჯა მაღრაძემ 213

3

მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური ალმანახი

საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო 1974

შინაარსი

პოეზია

დიმიტრი გულია. ლექსები.
თარგმნა ელდარ კერძევაძემ 6

ვლადიმერ მაიაკოვსკი. შარვლიანი ღრუბელი. პოემა.
დასასრული. თარგმნა ვახტანგ ჯავახაძემ 114

ოლგა ბერგოლცი. ლექსები. რუსულიდან
თარგმნა დილარ ივარდავამ 138

შალვა წვიჟგა. ტუე. ლექსი.
თარგმნა შოთა ნიშნიანიძემ 142

რაბინდრანათ თაგორი ლექსები. წიგნიდან „სურათები“.
თარგმნა მურმან ჯგუბურიამ 168

ლიტერატურული მემკვიდრეობა, კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ნოდარ კაკაბაძე. გოეთეს ლირიკის ახალი თარგმანის გამო 319

აკაკი გელოვანი. პასუხი ნოდარ კაკაბაძეს 326

დალი ინწკირველი. ემილი დიკინსონის პოეზია 333

სხვადასხვა ამბები 340

ჩვენი ავტორები 342



100

სიტყვა დიმიტრი გულიას

ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულ კაცს, მიუხედავად უმძიმესი პირობებისა, არაფერი ისე არ გამოაჩენს, როგორც შემოქმედებითი სულის ელვარება. თუ ეს სული იმდენად მრავალმხრივია, რომ ვერ დაეტევა ერთ რომელიმე დარგში, შთამომავლობა მით უფრო განცვიფრებული რჩება წინაპრის ტალანტით.

მაგრამ რა არის ტალანტი—შემოქმედებითი ტალანტი, თუ ამავე დროს არ გადაიქცევა ტალანტად შრომისა, თავდადებისა, შემართებისა?!

დიმიტრი გულიას ტალანტი ორმხრივი ფენომენია — ნიჭისა და შრომის კონგლომერატია.

უარჩელი ულარიბესი გლეხის ოჯახში დაბადებული, მახაჯირობის საშინელი ხვედრის გადამტანი, ობლობის სიმწარეს ზიარებული, სწავლას დაწაფებული ყმაწვილი, მაგრამ უსახსრობის გამო მხოლოდ პირველსაფეხურიანი სკოლის მოსწავლე — ეს არის დიმიტრი გულია იმ დრომდე, ვიდრე ლიტერატურულ ასპარეზზე გამოვიდოდა, როგორც მოღვაწე.

თვრამეტი წლის ყმაწვილმა თავისი მასწავლებლის კონსტანტინე მაჭავარიანის შთაგონებითა და დახმარებით აფხაზური ენის ისეთი ანბანი შექმნა, რომელიც უკეთესი აღმოჩნდა, ვიდრე საქვეყნოდ განთქმული ლინგვისტებისა—უსლარისა, ბართოლომეისა და ნიკო მარისა. დამწერლობის შექმნასთან ერთად, გულიამ საფუძველი ჩაუყარა მშობლიურ ლიტერატურას — პოეზიას, პროზას, დრამატურგიას, კრიტიკას. სათავე დაუდო აფხაზურ თეატრსაც. გაზეთ „აპსნის“ პირველი რედაქტორიც თვითონვე იყო. პირველმა დაწერა რუსულ ენაზე „აფხაზეთის ისტორია“, თბილისში 1925

წელს რომ გამოიცა. თბილისშივე დაიბეჭდა გულიას ლექსების პირველი წიგნები 1912 და 1913 წლებში.

ამდენი საქმის გაკეთება ერთი კაცისათვის იმდენად სასახელოა, რომ შეუძლებელია დიდი პატივისცემით არ მოვიხსენიოთ, როგორც სრულიად განსაკუთრებული მოვლენა.

დიმიტრი გულია მართლაც განსაკუთრებული მოვლენა იყო აფხაზეთის კულტურის ისტორიაში და ასევე დარჩება მომავალ საუკუნეებს.

როგორც პოეტი, რომანისტი, კრიტიკოსი დ. გულია თავიდანვე იყო შთაგონებული რეალისტი, აღზრდილი მე-19 საუკუნის ქართული და რუსული კლასიკური ლიტერატურის უმდიდრეს ტრადიციებზე.

როგორც ლიტერატურის, ხელოვნების თეორეტიკოსი — იმ ძირითადი პრინციპით ხელმძღვანელობდა, რომ არც ლიტერატურა და არც ხელოვნება არ არის მხოლოდ ფორმა, მხოლოდ შინაარსი, არამედ არის ორივეს დიალექტიკური ერთიანობა·საზოგადოებრივის, სოციალურის საფუძველზე.

როგორც მეცნიერი, მოაზროვნე, ისტორიკოსი დ. გულია დაკვირვებული მკვლევარია, ფაქტების ანალიტიკოსი, განზოგადოების მოყვარული, მაგრამ ყოველთვის მზადმყოფი მკაცრად მიუდგეს ფაქტებს, სხვასაც მეტი მოთხოვოს, თავის თავს პირველ ყოვლისა, არ შეუშინდეს შეცდომას ან მის გასწორებას, თუ ამას ჭეშმარიტების სამსახური მოითხოვს.

როგორც ადამიანი, მოქალაქე, მოღვაწე დ. გულია დემოკრატი, თავმდაბალი, შრომისმოყვარე, სპეტაკი, ჰუმანისტი, პატრიოტია, რომელსაც უმაღლეს მოვალეობად დაუსახავს ხალხის უანგარო სამსახური.

არსად, მოღვაწეობის არც ერთ დარგში გულიას იოლი გზა არ უძებნია. წინააღმდეგობათა გადალახვა მისი ბობოქარი სულის შინაგანი სტიქია იყო. ამას გვაგრძნობინებენ მისი ძთაგონებული ლირიკული ლექსები, ეპიკური თხზულებანი, ლინგვისტური და ისტორიული გამოკვლევები, რომანი „კაბაჭიჭი“ და სოციალური დრამა „აჩრდილები“.

რა დიდი ენერგია უნდა ჰქონოდა ტანად ამ პატარა კაცს, რომ ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობასთან ერთად ამდენი გაეკეთებინა, განეხორციელებინა გენიოსი რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ მშვენიერი პირველი თარგმანი აფხაზურ ენაზე, აფხაზურადვე აემეტყველებინა რუსი და უკრაინელი მწერლების პარალელურად ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, შამია გურიელის, არა ერთი სხვა ქართველი მწერლის ნაწარმოებები.

დიმიტრი გულიას მშვენიერი ლექსები კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სამშობლოსადმი საყოველთაო მოწონებით სარგებლობენ. ასევე მშვენიერი ლექსი უძღვნა აფხაზეთის სახალხო პოეტმა დიდ რუსთაველს.

შეუძლებელია მოკლე სიტყვაში თუნდაც მოკლედ ყველაფერი ითქვას, რაც დიმიტრი გულიას მრავალმხრივ დამსახურებას შეადგენს. მაგრამ იმასაც ხაზი უნდა გაესვას, რომ მან პირველმა წაიკითხა აფხაზური ენის კურსი ჩვენს ახლად დაარსებულ თბილისის უნივერსიტეტში, სადაც იგი რამდენიმე წლის მანძილზე მუშაობდა, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით მიწვეული.

დიმიტრი გულია მთელი ეპოქაა აფხაზური კულტურის ისტორიაში, ისეთი რანგის მოღვაწეა, როგორც შემოქმედი და მეცნიერი, რომ დაამშვენებდა ყველა ხალხს, ყველა ერს, რომელსაც უნარი აქვს პატივი სცეს დიდ შვილს — კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის დაუღალავ მებრძოლს.

ასეთ დიდ შვილთა შორის ყოველთვის უკვდავად მოიხსენიება დიმიტრი გულიას დადაფნული სახელიც!

გიორგი ჯიბლაძე

ლიმიტრი გელია

თარგმნა
ელდარ კერძევაძემ

ბედნიერება

შენთანა ვარ, აფხაზეთო, მარადის,
თვალებს ჩემსას ძილი არ ეკარება,
სიყვარულში თუმცა გავჭაღარავდი,—
კვლავ მიხმობენ სიჭაბუკის ქარები.
ბრძოლითა და სიყვარულით ნაშობო,
დუნაიდან კამჩატკამდე გაშლილო,
შენთანა ვარ,
ჩემო დიდო სამშობლოვ,—
ხალხთა ძმობის უძლეველო კავშირო.
მიყვარს საძმოდ გამოწვდილი ხელები,
და-ძმები მყავს
ქვეყნის ყველა მხარეში.
არ არსებობს, არა, ბედნიერება
ძმობისა და მეგობრობის გარეშე.
დღევანდელ დღეს ხვალინდელით ვაჯობოთ,
დაე, მუდამ სიყვარული გვფარავდეს,
შენთანა ვარ, ჩემო დიდო სამშობლოვ,
შენთანა ვარ, აფხაზეთო, მარადის!

ზღვისპირად

ვდგავარ ზღვისპირად
და ვფიქრობ ჩემთვის:
აი, როგორი უნდა იყოს ადამიანი,—
როგორც ეს ზღვაა
ახლა, როცა სივრცეებს ერთვის,
როცა ბობოქრობს,
როცა ღელავს,
როცა გრიალებს.

როცა არ ძალუძს
იყოს მშვიდი და უდრტვინველი,
როდესაც უხმობს
ხმა ღვთიური,
ხმა შორეული.
როცა ათასი ტალღის ფრთებით,
როგორც ფრინველი,
ასკდება ნაპირს
თავის თავში ვერდატეული.
როცა დაცხრება,
დამშვიდდება
და დაივანებს,
როს დედამიწას
ნაზად მოხვევს
ნაომარ ხელებს,
აი, ასეთიც უნდა იყოს ადამიანი,
თუ სურს სიცოცხლე სიკვდილის მერე.

* * *

მე მიყვარს ჩვენი მთები ზვიადი,
სოხუმის ზეცა უანკარესი,
მისი ბინდბუნდი და განთიადი,—
რა ვიქნებოდი მე მათ გარეშე?
მაგრამ სამშობლოს თუ დასჭირდება,
მზად ვარ ტრამალზე დავცე კარავი,
ყველგან ვატარო მისი დიდება,
სინდის-ნამუსი შეუბღალავი.
მზად ვარ,
ვეომო მძვინვარ ქარიშხალს,
უდაბნოს ხვატს და არქტიკის ყინვას.
მკვიდრი გავხდები ყველა მხარისა, —
ყველა მხარეში დავიდებ ბინას.
და შენც ასევე, ჩემო ძმობილო
შორეულ მხარის,
თუ გეტყვის ხალხი, —
მობრძანდი, —
მთებში დაიდე ბინა
და იმასპინძლე ჩემს ოდა-სახლში.
ძმობით,
ერთობით,
და სიყვარულით
განათებულა სამშობლოს ბჭენი,
ერთი გვაქვს ფიქრი,
ერთი გვაქვს გული
და წინ მიგვიძღვის პარტია ბრძენი.

ახლა უკვე საუკუნოდ ვართ დაწყვილებულნი...

☐ ილუსტრაციები უკრაინის სახალხო მხატვარ ვ. იაკუტოვიჩისა

მიხაილო კოციუბინსკი

მივიწყებულ წინაპართა აჩრდილები

მოთხრობა

უკრაინულიდან თარგმნა ჯაბა ასათიანმა

> მთელი სამყარო ზღაპარს ჰგავდა, საოცრებით სავსეს, იდუმალ, დამატყვევებელ და შიშისმომგვრელ ზღაპარს.

ბუცულ პალიიჩუკების ოჯახში ივანე მეცხრამეტე შვილი იყო, ნაბოლარა — ანიჩკა.

ვინ იცის, რა აშინებდა ბავშვს, მდინარე ჩერემოშას განუწყვეტელი ხმაური თუ მთის ნიაღვართა მოთქმა, ქაჩალ გორაზე ეულ ქოხს რომ ავსებდა, ან იქნებ სოჭის ტყეთა მჭმუნვარება, ის კი იყო, ივანე სულ ტიროდა, ღამეებს ყვირილში ათენებდა, ნელა იზრდებოდა და დედას ისეთ ნაღვლიან, მოხუცივით გონიერ მზერას მიაპყრობდა ხოლმე, რომ შეძრწუნებული მშობელი თვალს არიდებდა. ბევრჯერ შიშით უფიქრია კიდეც, ნამდვილად ჩემი არ არისო. არ „გაფრთხილდა“ მშობიარობისას, ქოხი არ შებოლა, სანთლები არ დაანთო — ცბიერმა ეშმამ იდროვა და ჩვილი თავისი განაგდებით შეუცვალა.

ბავშვი ნელა იზრდებოდა, მაგრამ ტანი მაინც აიყარა და შინაურები გულისხმაშიც არ იყვნენ, ისე უცებ დასჭირდა შარვალი. თუმცა წინანდებურად უცნაური დარჩა. მუდამ რაღაც შორეულსა და სხვათათვის უჩინარს ჭვრეტდა, ანდა უმიზეზოდ ყვიროდა. შარვალჩაჩაჩული შუა ქოხში დადგებოდა, თვალებს დახუჭავდა, პირს დააფჩენდა და ღნაოდა.

მაშინ დედა კბილებში გაჩრილ ჩიბუხს გამოიღებდა, მოუღერებდა და მრისხანედ დაუტევდა:

— აქედან დამეკარგე, შე ეშმას ნაშობო, შენა!..

და ივახეც დაიკარგებოდა.

ბაბუაწვერას ყვავილივით ციცქნა, თეთრი ბიჭუნა მწვანე სათიბებს გაუყვებოდა. უშიშრად მიიწევდა ულრან ტყეში, იქ სოჭები დათვის ტორებივით იქნევდნენ ტოტებს.

იქიდან გასცქეროდა მთებს. ცისფრად ჩანდა ცადაზიდული ახლობელი თუ შორეული მწვერვალები, სოჭის შავი ტყეები წყნარად ფშვინავდნენ, სარკესავით ელავდნენ ხეთა ჩარჩოებში ჩადგმული, ხასხასა ბალახით დაფარული სათიბები. ქვევით, ხეობაში კი ცივი ჩერემოშა მიშხუოდა. მზეზე თვლემდნენ შორეულ ბორცვებზე გადმომდგარი ეული სოფლები. ჩუმი და სევდიანი იყო შემოგარენი. შავი სოჭები სევდას ჩერემოშას ანდობდნენ, მდინარეს კი ბარში მიჰქონდა იმათი ამბავი და გზადაგზა ჰყვებოდა.

— ივა!.. ეჰეი!.. — უხმობდნენ შინისაკენ, თუმცა ძახილი ივანეს ყურამდე არ აღწევდა. კრეფდა მარწყვს, ფოთლებს ატკაცუნებდა, სალამურს თლიდა ან ბალახის ღეროს აწრიპინებდა, ცდილობდა მიებაძა ფრინველებისათვის და ყველა იმ ხმისთვის, რაც ტყეში ესმოდა. მაღალ ბალახში ჩაკარგული, ყვავილებს აგროვებდა და ჭილის ქუდს იმკობდა. დაღლილი კი სადმე ჭოლოკზე გასაშროდ გადებულ თივაში შეწვებოდა, მთის ნაკადები უნანავებდნენ, დააძინებდნენ, და კვლავ ხალისიანი ლიკლიკით აფხიზლებდნენ ბიჭუნას.

როცა ივანე შვიდი წლისა შესრულდა, ქვეყანას სულ სხვა თვალით შეხედა, უკვე ბევრი რამ იცოდა. სცნობდა სამკურნალო მცენარეებს — კატა-ბალახას ფესვებს, მინდვრის ნემსიწვერას, შმაგას, — იცოდა, რა აჩხავლებდა ძერას, როგორ გაჩნდა ქვეყნად გუგული და როცა ნანახ-გაგონილს შინ ჰყვებოდა, დედას ძრწოლა იტანდა: ვაითუ ტყეში ეშმა ესაუბრებაო ბავშვს. ბიჭმა იცოდა: ქვეყანაზე უწმინდური ძალა ბატონობდა და ყველაფერს არიდნიკი (ბოროტი სული) განაგებდა; ტყეებს ქაჯები დაჰპატრონებოდნენ, იქ იყო იმათი საქონლის, ირმების, კურდღლებისა და ქურციკების საბალახოები; მხიარული ჩუგალისტერი პირველსავე შემხვედრს საცეკვაოდ იწვევდა და ალებს სულს უმწარებდა; ტყეში კიდევ ნაჯახის ხმა სახლობდა. უფრო მაღლა, ხრიოკი მთების მწვერვალებზე ალებს გაუთავებელი ტაშ-ფანდურა გაეჩაღებინათ და კლდეებში ეშმაკს დაედო ბინა. იმ სირინოზების ამბავსაც გეტყოდათ, კარგ ამინდში წყლიდან სამღერლად, ზღაპრებისა და ლოცვების შესათხზავად რომ ამოდიოდნენ. მდინარეში რომ დაიხრჩვნენ, იმათზედაც გიამბობდათ, მზის ჩასვლის შემდეგ გალურჯებულ სხეულებს მდინარის ქვებზე იშრობენო. კლდეებში, ტყეებში, უფსკრულებში, ქოხსა და ბოსტანში ათასი ჯურის ავი სული ბუდობდა, უდარაჯებდნენ ქრისტიანსა და პირუტყვს, ავს უქადდნენ.

არაერთხელ გაღვიძებია ღამით და ძრწოლას აუტანია ავისმომასწავებელ სიჩუმეში გატრუნული.

მთელი სამყარო ზღაპარს ჰგავდა, საოცრებით სავსე, იდუმალ, დამატყვევებელ და შიშისმომგვრელ ზღაპარს.

მალე ივანეს საქმე გაუჩნდა — სამწყემსურში გაგზავნეს. თავის თაფლასა და ნისლას ტყეში გარეკავდა და როცა ძროხები მაღალ ბალახ-ბარდებსა და ნორჩი სოჭების ტევრში ჩაიკარგებოდნენ და იქიდან პატრონს ეჟვნების სევდიანი წკარუნით შეეხმიანებოდნენ, ივანე სადმე ფერდობზე ჩამოჯდებოდა, სალამურს ამოიღებდა და დიდხანს აკვნესებდა უფროსებისგან გაგონილ უბრალო სიმღერებს, მაგრამ ის ჰანგი ვერ აღავსებდა მის სულს! გულდაწყვეტილი სალამურს მიაგდებდა და სულ სხვა, მისსავე არსებაში მდგომარე, გაურკვეველ და ბუნდოვან მელოდიებს მიაყურადებდა.

მდინარის ყრუ გრუხუნი ივანემდე აღწევდა და მერე მთებს იკლებდა. ამ გრიალ-გრიალს დროდადრო ეჟვნების წკარუნიც გამოერეოდა. სოჭის რტოთა შორის მოჩანდა ღრუბელთა სევდიანი ჩრდილებით მოფენილი მთები, გაღიმებას რომ უშლიდნენ სათიბებს. მთები წამისწამ იცვლიდნენ გუნებას; როცა სათიბი გაიღიმებდა, ტყე იღუშებოდა და როგორადაც ძნელი იყო მთათა ცვალებადი ბუნების შეცნობა, ასევე უჭირდა ბავშვს იმ ზღაპრულ სიმღერის მოხელთება, ზედ ყურთან რომ უფართქალებდა ფრთებს, არკი ნებდებოდა.

ერთხელ იყო, ძროხები მიატოვა და მწვერვალზე აძვრა. ფერგაცლილი გვიმრის, მაყვლისა და ჟოლოს დაბურდულ ჯაგებში ჩაკარგულ ბილიკს სულ მაღლა-მაღლა მიჰყავდა. მკვირცხლად მიხტოდა ქვიდან ქვაზე, წაქცეულ ხეებზე გადადიოდა და ჩირგვებს შორის გაჭირვებით მიიკვლევდა გზას. მდინარის განუწყვეტელი ბანიც თან მისდევდა. მთები თვალდათვალ მაღლდებოდნენ და საწიერზე უკვე ცხადად ინაკვთებოდა ჩორნოგორის ლურჯი სილუეტი. მთათა ფერდობები მაღალ წყალნაწყენას დაეფარა, ძროხების ეჟვანთა წკარუნი შორეულ კვნესად მოისმოდა, ახლა ყოველ ნაბიჯზე ეყარა დიდრონი ქვები. მწვერვალზე ხორად დამდგარიყო ნაშალი კლდე, სოჭის ფესვები გველებივით ჩახვეოდნენ ლოდებს, ხავსურას მწვანედ მოეფარდაგებინა ისინი. ფეხთაქვეშ ხშირი, აბრეშუმივით ქარაგოზა ბიბინებდა. თბილი, ნაზი ხავსი მზით გაფენილ ზაფხულის წვიმის წყალს ინახავდა. თითქოს ბუმბულის ბალიშებზე მიაბიჯებდა, ისე ფაფუკი და მოალერსე იყო ხვიფლი. სელშავისა და მოცვის ფესვები ღრმად წასულიყვნენ ხავსში, ზედ კი ცვარივით მიმობნეულიყო წითელი და ლურჯი ნაყოფი.

აქ ივანე დასასვენებლად ჩამოჯდა.

სოჭის ტოტებზე წიწვი წკრიალებდა, წკრიალი მდინარის ხმაურს ერთვოდა, მზემ ოქროში დაბანა ხეობა, ახასხასდა ბალახი, სადღაც კოცონს ლურჯი კვამლი ავარდა, იგრეცის მხრიდან ხავერდოვანი გრუხუნით მოგორავდა გრგვინვა.

ივანე იჯდა და სულგანაბული უსმენდა, სულ გადავიწყებოდა უპატრონოდ დაყრილი ძროხები.

ანაზდად ამ აყღერებულ სიჩუმეში წყნარი ჰანგი ჩაესმა. სწორედ ის ჰანგი, კარგა ხანია ყურთან რომ უტრიალებს და აწამებს! გარინდულ ივანეს კისერი წაეგრძელებინა და უეცარი სიხარულით ატაცებული მინდობოდა ზღაპრულ მუსიკას. ადამიანები ასე არ უკრავდნენ, მსგავსი არაფერი სმენოდა. მაშინ ვინ, ვინ უკრავდა? ირგვლივ უკაცრიელი ტყე იყო, სულიერი არავინ ჩანდა. უკან, კლდეებს მიჰხედა — და გაშრა. ქვაზე ეშმაკი ჩამომჯდარიყო, წაწვეტებული წვერი მოეღრიცა, რქები დაეხარა და თვალმილულული სალამურს აკვნესებდა. „არსად ჩანან ჩემი თხები... არსად ჩანან ჩემი თხები...“ — ნაღვლიანად მოსთქვამდა სალამური. მაგრამ აი, ეშმაკმა რქები ააღირა, ლოყები დაებერა და თვალები ჭყიტა. „აი, ჩემი თხები... აი, ჩემი თხები...“ გალაღდა სალამური, და თავზარდაცემულმა ივანემ დაინახა, როგორ გადასწიეს ტოტები და თავი ააქიცინეს წვერცანცარა ვაცებმა.

ივანემ გაქცევა სცადა, მაგრამ ფეხი ვერ წადგა, ერთ ადგილზე მილურსმულივით იჯდა და შეძრწუნებული უხმოდ ყვიროდა, ხოლო როცა ხმის ამოღე-

ბა შეიძლო, ეშმაკი წამოფრინდა და კლდეებში გაუჩინარდა, ვაცბოტები კი ქარისგან წაქცეულ ხეთა ფესვებად გადაიქცნენ.

ალალბედად გარბოდა გონდაკარგული ივანე, მუხანათურად წინ შეჩეხებულ მაყვლის ბარდებს გლეჯდა, გამხმარ ტოტებს ამტვრევდა და ხავსზე მიგორავდა. შიშატანილს ისე ეჩვენებოდა, თითქოს ვიღაც მისდევდა, ბოლოს დაეცა. არ ახსოვდა, რამდენ ხანს ეგდო მიწაზე.

როცა გამოერკვა, მიდამო იცნო და ცოტა დამშვიდდა. გაოცებული ერთ-ხანს გაიტრუნა, ყური მიუგდო, მოეჩვენა, სიმღერა მის არსებაში ხმიანებდა. სალამური ამოიღო, ჯერ არაფერი გამოუვიდა, მელოდია არ ემორჩილებოდა. ხელახლა სცადა, მეხსიერება დაძაბა, ბგერებს თავი მოუყარა და ბოლოს იპოვა, რაც მის სულს ასე სწყუროდა, რაც კარგა ხანია მოსვენებას არ აძლევდა, და ტყეს საოცარი, ჯერ არსმენილი სიმღერა მოეფინა. გაიხარა გულმა, მზე გადაეფრქვა მთებს, ტყეებს, ბალახს, ამ სიხარულმა ნაკადულები ააჩუხჩუხა და ივანე ადგილიდან წამოაგდო, სალამური ბალახებში მიაგდებინა და დოინჯშემოყრილს თავბრუდამხვევი ცეკვა დააწყებინა. თითის წვერებზე დგებოდა, შიშველ ფეხებს მიწას უბაგუნებდა. ნაირ-ნაირი ილეთი გამოჰყავდა, ციბრუტივით ტრიალებდა და ბუქნავდა. „... აი, ჩემი თხები... აი, ჩემი თხები...“ სოჭების მჭმუნვარე სამეფოში შემოპარულ მზის ნათელ წრეში ქერა ბიჭუნა ტრიალებდა, ფარვანასავით ღეროდან ღეროზე გადადიოდა. თაფლასა და ნისლას ტოტებში თავები გადმოეყოთ, პატრონს ალერსით გამოსცქეროდნენ და თან მადიანად იცოხნებოდნენ, დროდადრო კი ეჟვნებს აწკრიალებდნენ, თითქოს ცეკვის რიტმს აყოლებენო.

ასე იპოვა ივანემ ტყეში ის, რასაც ეძებდა.

ივანე ხშირად ყოფილა ოჯახური წუხილისა და უბედურების შემსწრე. რაც თავი ახსოვს, მათ ქოხთან უკვე ორჯერ ააყვირეს ბუკი, მთასა და ბარს აუწყეს სიკვდილის ამბავი: პირველად—ტყეში ხემ დაიტანა ძმა ოლექსო, მეორედ კი მაშინ, როცა ძმა ვასილი, კარგი, მხიარული ყმაწვილი, მოსისხლე გვართან შეტაკებისას ნაჯახებით დაჩეხეს. დიდი ხანია მტრობა ჩამოვარდნილიყო ივანეს გვარსა და გუტენიუკებს შორის. თუმცა პალიიჩუკებს სიმამაცით სახელგანთქმული ოჯახი ჰქონდათ და სძულდათ ეშმაკის ნაშიერი გუტენიუკები, მაინც არავის შეეძლო ბიჭისთვის წვლილად ეამბნა, რა იყო ამ შუღლის თავდაპირველი მიზეზი. ივანესაც ერთი სული ჰქონდა, შურისგებაში თვითონაც დაედო წილი და ბევრჯერ უტაცია ხელი ჯერ კიდევ მძიმე მამისეული ნაჯახისათვის.

ამბობდნენ, ივანე პალიიჩუკების ოჯახში მეცხრამეტე, ხოლო ანიჩკა მეოცე შვილიაო. სინამდვილეში მათი ოჯახი დიდი არ იყო: ორი მოხუცი და ხუთიც ბავშვი. დანარჩენი თხუთმეტი ეკლესიასთან სასაფლაოზე განისვენებდა.

პალიიჩუკები ღვთისმორწმუნენი იყვნენ, უყვარდათ ეკლესიაში, განსაკუთრებით კი ხატობაზე სიარული. იქ შეეძლოთ მეზობელ სოფლებში გაფანტული ნათესავების მონახულება, თან საშუალება ეძლეოდათ გუტენიუკთათვის ვასილის სიკვდილისა თუ პალიიჩუკთა მრავალგზის დაღვრილი სისხლის სამაგიერო მიეზღოთ.

სკივრებიდან საუკეთესო ტანსაცმელს ამოალაგებდნენ ხოლმე: ახალთახალ წითელ შარვლებს, დაქარგულ კეპტარებს[1], მიხაკებით მოკაზმულ სარტყელებსა და მხარსაკიდ ჩანთებს, ოქრომკედით ამოქსოვილ ქვედაკაბებს, წითელი აბრე-

[1] კეპტარი — ბეწვის უსახელოებო ტანსაცმელი.

შუმის თავსაფრებსა და აუცილებლად ლუნლულა, ქათქათა გუგლიასაც[1], დე-
დას დიდი სიფრთხილით რომ მიჰქონდა ჯოხზე გადაკიდებული. ივანესაც არგუ-
ნებდნენ ჭილის ახალ ქუდსა და ტყავის დიდ ჩანთას, ფეხებზე რომ სცემდა.

ცხენებს კაზმავდნენ და ნებისად მიუყვებოდა მთიან ბილიკებსა და ამ
წვანებულ ქედებს წითელი ყაყაჩოებივით შესეული დიდებული ქარავანი.

მთებზე, მინდვრებსა და მაღლობებზე ნელა მიიზლაზნებოდა საზეიმოდ
მორთული ხალხი. თვალისმომჭრელად ხასხასებდნენ სათიბები, ჩერემოშას
ხალხის ჭრელი ნაკადი გასდევდა და სადღაც მაღლა, სოჭის ტყეთა შავ მერიდი-
ანზე მცხუნვარედ ენთო აღრიან მზეზე აელვარებული გუცულური წითელი
ქოლგა.

მალე ივანემ თავისი თვალით იხილა მოსისხლე გვართა შეხვედრა.

გუტენიუკები უკვე ეკლესიიდან ბრუნდებოდნენ, ივანეს მამა ნასვამი იყო
და ანაზადად კლდესა და ჩერემოშას შორის გამავალ ვიწრო გზაზე ერთმანეთს
შეეჩეხნენ საზიდრები, ცხენოსნები და ქვეითნი, კაცები და ქალები — შედგნენ
და მუშტივით შეიკრნენ. და არავინ უწყის, რის გამო, გრიგალივით ამოვარდა
შემზარავი კივილი, კაცებმა ნაჯახები იძრეს და ერთმანეთს ცხვირწინ აუთამა-
შეს. როგორც ტალი და კვესი, ისე ეძგერნენ ურთიერთს გუტენიუ-
კები და პალიიჩუკები, და ვიდრე ივანე გონს მოეგებოდა, მამამისმა ნაჯახი მო-
იქნია და ვილაცას სიბრტყივ ჩასცხო. გახეთქილი თავის ქალიდან სისხლმა იჩქე-
ფა, სახე, პერანგი და ბეწვის საუცხოო კეპტარი წითლად შეუღება. ქალებმა
შეჰკივლეს და გასაშველებლად მისცვივდნენ, მაგრამ თავისი წითელი შარვა-
ლივით სახეგასისხლიანებულმა კაცმა იმარჯვა და მტერს გამეტებით დაჰკრა
თავში ნაჯახი. გადაჭრილ სოჭივით შექანდა ივანეს მამა. ივანე ჩხუბში ჩავარდა.
ანგარიშმიუცემლად მოქმედებდა, რაღაცა ძალა წინ უბიძგებდა, მაგრამ უფრო-
სებს ფეხებში გაებლანდა და ხელჩართულ ჩხუბში ველარ შეაღწია. გაცეცხლე-
ბული, ბრაზმორეული ივანე საზიდართან ატუზულ, შიშით აცახცახებულ პატა-
რა გოგოს მიუხტა. აჰა, უთუოდ გუტენიუკებისაა! და ბევრი აღარ უფიქრია, სი-
ლა გააწნა. გოგოს სახე მოექცა, საკინძე ჩაბღუჯა და მოჰკურცხლა.
ივანე მდინარესთან მიეწია, სწვდა და პერანგი ჩამოახია. გოგოს ახალთახალი
ბაფთები გადმოუცვივდა და შეჰკივლა, ბაფთებს ჩაებღაუჭა, მაგრამ ივანემ წა-
ართვა და წყალში გადაუყარა. მაშინ გოგო მოიკუნტა, შავი, დაბინდული თვა-
ლები მიანათა და მშვიდად უთხრა:

— მერე რა... სხვებიცა მაქვს... ისინი სჯობია.

თითქოს ივანეს ამშვიდებდა.

გოგოს უწყინარობით განცვიფრებული ბიჭი დუმდა.

— მე დედამ ახალი ქვედაკაბა მიყიდა... ქალამნებიც მიყიდა... ჭრელი წინ-
დებიც... კიდევ...

ივანე კვლავ დუმდა, არ იცოდა, რა ეთქვა.

— მოვირთვები და ქალიშვილს დავემგვანები....

ივანეს შეშურდა.

— მე სალამურს ვუკრავ.

---

[1] გუგლია — მამაკაცისა და ქალის თეთრი მაუდის ზედა სამოსელი.

— ჩვენმა თედორემ ისეთი კარგი სალამური გამოთალა... ისე უკრავს... ივანე გაიბუტა.

— მე ეშმაკი ვნახე.

გოგომ უნდობლად შეხედა.

— რად ჩხუბობდი?

— შენ რად იდექი საზიდართან?

გოგო ჩაფიქრდა, რა ეპასუხა, არ იცოდა და უბეში რაღაცას დაუწყო ძებნა.

ბოლოს გრძელი კამფეტი ამოაძვრინა.

— შეხე!

ნახევარი მოკბიჩა, მეორე ნახევარი კი გულდანდობილად გაუწოდა:

— გამომართვი!

ივანე შეყოყმანდა, მაგრამ მაინც გამოართვა.

ახლა ისინი ერთად ისხდნენ, აღარც ბრძოლის გნიასი ახსოვდათ და აღარც მდინარის გაბრაზებული ხმაური. გოგო ივანეს უამბობდა, რომ მარიჩკა ჰქვია, უკვე საშწყემსურში დადის და ვინმე ცალთვალა მარცინოვამ ფქვილი მოჰპარათ... ერთმანეთს მოუთხრობდნენ ორივესთვის საინტერესო, ნაცნობსა და გასაგებ ამბებს. მარიჩკას შავ, დაბინდულ თვალთა სხივი კი ნელი-ნელ მიიკვლევდა გზას ივანეს გულისაკენ...

და ქაჩალ გორაზე, მარტოხელა ქოხთან მესამეჯერ ააყვირეს ბუკი: შეტაკების მეორე დღეს მოკვდა მოხუცი პალიიჩუკი.

მამის სიკვდილის შემდეგ ივანეს ოჯახს მძიმე დროება დაუდგა. ყველაფერი აირ-დაირია, ქონება გაჩანაგდა, სათითაოდ გაყიდეს სათიბები, საქონელიც ისე გაილია, როგორც მთებზე დაფენილი თოვლი გაზაფხულის დამდეგს.

მაგრამ ივანეს ხსოვნას მამის სიკვდილი არ შერჩენია იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც იმ გოგოს გაცნობა, ტყუილ-უბრალოდ რომ აწყენინა, იმან კი კამფეტი შუაზე გაუყო და გულდანდობილად გაუწოდა. დიდი ხნის უმიზეზო სევდას ახალი ნაკადი შეერთო. ეს სევდა ანგარიშმიუცემლად ეწეოდა მთებისაკენ, მეზობელ გორაკებზე, ტყეებში და ხეობებში დაახეტებდა, სადაც კი შეეძლო მარიჩკას ნახვა. ბოლოს კიდეც შეხვდა: გოგო ბატკნებს მწყემსავდა.

მარიჩკა ისე შეხვდა, თითქოს რა ხანია ელოდა: დღეიდან მარიჩკასთან ერთად მომწყემსავს ბატკნებს. რატომაც არა! დე თაფლამ და ნისლამ ტყეში ეჟვნები აწკარუნონ და იბღავლონ, ის კი მარიჩკას ბატკნებს დაუდგება.

მერე და როგორ მწყემსავდნენ!

თეთრ ბატკნებს სოჭის ჩრდილში თავი მოეყარათ და ხავსზე მოკუნტრუშე ბავშვებს მისჩერებოდნენ. სიჩუმეში ზარივით წკრიალებდა ბავშვების ხალისიანი სიცილი. როცა დაიღლებოდნენ, თეთრ ლოდებზე აბობღდებოდნენ და შიშით ჩასცქეროდნენ ბურჩამდგარ უფსკრულს, საიდანაც ზეცისაკენ ჯიქურ მიიწევდა მთის შავი ჩვენება. ლურჯი ბურუსი მზის გულზე გაფანტვას არ აპირებდა, მთათა დარანიდან ველზე ნაკადი გამორბოდა და ჭალარა წვერს ქვებს ახლიდა. ტყეში დავანებულ მარადიულ სიჩუმეში ბავშვები ისეთ სითბოს, სიმარტოვესა და შიშს განიცდიდნენ, რომ თვისი სუნთქვაც კი ესმოდათ. ყური გაფაციცებით იჭერდა და აათკეცებდა ყველა ხმას, ტყე რომ გამოსცემდა; დროდადრო ეჩვენებოდათ ვიღაცის იდუმალი ნაბიჯის ხმა, ნაჯახის ყრუ ცემა, დაღლილი მკერდის გახშირებული სუნთქვა.

— ივა, გესმის? — ეჩურჩულებოდა მარიჩკა.

— როგორ არა, მესმის.

ორივემ იცოდა, ტყეში უხილავი ნაჯახი დაეხეტებოდა, ხეებს უკაკუნებდა და დაღლილი მძიმე-მძიმედ ქშინავდა.

შიში ხეობისაკენ ერეკებოდა ბავშვებს, იქ ნაკადი უფრო მშვიდად დიოდა. ნაკადიდან ქვები ამოჰქონდათ, ქვათა ნაადგილევზე წყალი უფრო ღრმა იყო და ტყის პატარა ცხოველებივით ჭყუმპალაობდნენ, არც ერთმა არ იცოდა, რა იყო სირცხვილი. მზე მათ ქერა თმაზე ჩამოისვენებდა და თვალს სჭრიდა, ტანს სუსხავდა ყინულივით ცივი წყალი.

მარიჩკას პირველს შეამცივნებდა ხოლმე, ისიც აქეთ-იქით სირბილს მოჰყვებოდა.

— მოიცა, — უძახდა ივანე. — სადაური ხარ?

— ია-ვო-როველი, — კბილს კბილზე აცემინებდა გალურჯებული მარიჩკა.

— ვისი ხარ?

— კოვალევებისა.

— გაგიმარჯოს, კოვალევა! — გაქცეულ მარიჩკას მანამდე დასდევდა ივანე, სანამ არაქათგამოცლილნი, მაგრამ გახურებულნი ბალახში არ ჩაცვივდებოდნენ.

ნაკადის წყნარ ყურეს მირიადი ყვავილები გადაჰფენოდა. იქ საწყალობლად ყიყინებდნენ ბაყაყები.

ივანე წყალზე დაიხრებოდა და ბაყაყს ჰკითხავდა:

— ნათლიდედ, რა მომიხარშე?

— ჭარხლის ბორშჩი!.. ჭარხლის ბორშჩი! ჭარხლის ბორშჩი!—ყიყინებდა მარიჩკა...

— ჭარხალი-ლი-ლი!.. ჭარხალი-ლი-ლი! — ისე ხმამაღლა ჭყიოდნენ, რომ გაოცებული ბაყაყები ხმის ამოღებას ვეღარ ბედავდნენ.

თამაშით გართულებს ბევრჯერ დაჰკარგვიათ ბატკნები.

როცა წამოიზარდნენ, უკვე სხვა გასართობებით იქცევდნენ თავს.

ივანე სოჭივით ძლიერი და ტანადი ჭაბუკი დადგა. კულულებზე ქონს ისვამდა, ტყავის სარტყელსა და საუცხოო ჭილის ქუდს ატარებდა. მარიჩკაც ნაწნავებში შალის წითელ ძაფებს იწნავდა, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ბედს ელოდა. ახლა ისინი ბატკნებს ერთად ალარ მწყემსავდნენ, ერთმანეთს მხოლოდ დღესასწაულებზე და უქმე დღეებში თუ ნახავდნენ. ეკლესიასთან ან სადმე ტყეში ხვდებოდნენ ფარულად, მშობლებს რომ არ შეეტყოთ ორი მოსისხლე გვარის შვილთა სიყვარული. მარიჩკას ძალიან მოსწონდა, როცა ივანე სალამურზე უკრავდა. ჩაფიქრებული ივანე სადღაც მთებს იქით გადაიტანდა მზერას, თითქოს იმას ხედავდა, სხვათათვის უჩინარი რომ იყო, მოჩუქურთმებულ სალამურს დაბურცულ ტუჩებთან მიიტანდა და საოცარი სიმღერა, — მისი მსგავსი რომ არავინ იცოდა, ნელინელ ეუფლებოდა მწვანე სათიბებს, სადაც სოჭებს მშვიდად განეფინათ ჩრდილები. ტანში სცრიდა იმ ჰანგის გამგონეს. თითქოს უსიცოცხლო მთებზე თოვლი იდო. მაგრამ აგერ, მთის იქით ღმერთი-მზე ამოიმართა და დედამიწას მკერდზე თავი დაადო. შეირხა თოვლი, დაიძრა წყალი და მიწა ნაკადებმა აახმიანეს. მზე ყვავილთა მტვერივით მიმოიბნია და სათიბებზე ფერიები აროკვდნენ, იმათ ფეხთაქვეშ კი ქორფა ბალახი ღაღანებს. სიმწვანის სულთქმით ამოისუნთქეს სოჭებმა, გაიღიმილეს ბალახებმა, სამყაროს

მხოლოდ ორი ფერი ჰქონდა: დედამიწა მწვანე იყო, ზეცა — ლაჟვარდი... ბარში კი ჩერემოშა მიშხუოდა და მთათა მოუსვენარ სისხლს მიერეკებოდა...

ბუკი!.. ტურუ-რაი-რა... ტურუ-რაი-რა...



...და ტყის პატარა ცხოველებივით ჭყუმპალაობდნენ...

გული აუმღერდათ მწყემსებს, ქორფა საკვების მოლოდინში აბლავლდა ცხვარი... შემცივნებულ საძოვარზე ბალახი აშრიალდა, ნაგრიგალევი, ნალეწი ტყიდან უკანა თათებზე შემდგარი დათვი გამოვიდა, ხმა გაისინჯა და ნამძინარევმა თვალმა უკვე ინიშნა სამსხვერპლო.

მოდის გაზაფხულის თქორი, გრგვინავენ ელვით შეძრული მთათა ქიმები და ბოროტი სული ჩორნოგორიდან სიცივეს აქროლებს...

ანაზდად მზე გამოიხედავს — ღმერთის ჭეშმარიტი ხატი. აგერ, წკრიალებს ცელიც და მოთიბული ბალახი მიწას ეფინება. მთიდან მთაზე, წყაროდან წყაროზე დაფრენს კოლომიიკა[1], ისე მსუბუქი და გამჭვირვალე, რომ ფრთების თრთოლასაც კი გრძნობ:

საძოვარზე დაკუნტრუშობს
ერთი თეთრი ბეკეკა —
საყვარელო, შენსა სიტყვას
რაღად უნდა შექება...

წკრიალებს წიწვი. ტყეში გაზაფხულის ღამეთა შემცივნებული სიზმრები ჩურჩულებენ. იცრემლებიან ძროხების ყელზე შებმული ეჟვნები და მთებიც ნაკადებს განუწყვეტლივ უმხელენ სევდას.

სადღაც, ხეობაში ხმაურითა და ოხვრით მიგორავს წაქცეული ხე, მთანიც თანაგრძნობის ნიშნად ოხრავენ — და კვლავ მოსთქვამს ბუკი. ახლა უკვე სიკ-

[1] კოლომიიკა — დასავლეთ-უკრაინული ხალხური სიმღერა.

ვდილის მაუწყებელი... მძიმე შრომის შემდეგ ვიღაცამ საუკუნოდ განისვენა. საუკუნოდ შეწყდა კიდევ ერთი სიმღერა...

მარიჩკა სალამურის კვნესას ისე ეხმიანებოდა, ვით ველურ მტრედს მისივე მდედრი — სიმღერით. მარიჩკამ უამრავი სიმღერა იცოდა. რომ გეკითხათ, ვინ გასწავლაო, ვერ გეტყოდათ. ალბათ, აკვანში მასთან ერთად ირწეოდნენ სიმღერები, ემბაზში ჭყუმპალაობდნენ, მკერდში ისე აღეძრნენ, როგორც ამოიწვერებიან ხოლმე სათიბებში ყვავილები, მთებზე სოჭები, და თვალს რაც არ უნდა ეხილა, ქვეყნად რაც კი რამ ხდებოდა, ცხვარი დაიკარგებოდა, ჭაბუკს სიყვარული ეწვეოდა, ქალიშვილი გულისსწორს უღალატებდა, ძროხა ავად შეიქმნებოდა თუ სოჭი შრიალებდა — ყველაფერს სიმღერაში აქსოვდა, ისე მსუბუქ, მარტივ სიმღერაში, როგორც ეს მთები იყვნენ თავიანთ ძველ, პირველყოფილ სიცოცხლეში.

მარიჩკასაც შეეძლო სიმღერების შეთხზვა. ივანეს გვერდით ჩამოჯდებოდა, მუხლებზე ხელებს შემოიჭდობდა და სიმღერის ტაქტს აყოლილი ნება-ნება ირწეოდა:

„კაფე-თესეს“ გუგული იმეორებს თავისთვის,
სოფელში კი ახალი სიმღერები გაისმის...

მარიჩკას სიმღერა ყველასათვის კარგად ცნობილ, ჯერ კიდევ ახალ ამბავს ჰყვებოდა; როგორ მოაჯადოვა პარაკსამ ანდრია და ჯადომოძალებული მომაკვდავი ყველას აფრთხილებდა, არ შეეყვარებინათ სხვათა ქალწულნი. მღეროდა დედის ვარამზე, მისი შვილი ტყეში ხეს დაეტანა. მარიჩკას სიმღერები ისეთი სევდიანი, უბრალო და ნაირნაირი იყო, რომ მსმენელს გულს შეუძრავდა, ივი სიმღერას მუდამ ასე ამთავრებდა:

F 3971

გუგუ! — გვიხმობს გუგული, ხმა ხმას მოსდევს, ჩქამი ჩქამს,
ვის შეუთხზავს სიმღერა? ივანკოს ქალს მარიჩკას.

მარიჩკა უკვე კარგახანია ივანეს ეკუთვნოდა, ჯერ კიდევ ცამეტი წლიდან. აბა, ამაში გასაკვირი რა იყო? სამწყემსურში ხშირად უნახავს, როგორ ესიყვარულებოდა ვაცი თხას, ვერძი ცხვარს — ყოველივე ისე მარტივი და ბუნებრივი იყო, ოდითგან არსებობდა, რომ არცერთ უკეთურ ფიქრს არ აუმღვრევია მისი გული. მართალია, ალერსის შემდეგ თხები და ცხვრები თიკნებსა და კრავებს შობდნენ, მაგრამ ადამიანს მისანი შველოდა. მარიჩკას არაფრისა ეშინოდა. შიშველ ტანზე შემოკრულ ქამარში მისანი ქალის შელოცილი ნივრის კბილი ედო, ახლა ვერაფერი ავნებდა. ამის გახსენებაზე თავის თავს ეშმაკურად გაუღიმებდა და ივანეს ყელზე მოეხვეოდა.

— საყვარელო ივანკო! ხომ შევუღლდებით?

— ღმერთი მოწყალეა, ძვირფასო.

— ეჰ, არა მგონია! ჩვენს მშობლებს სამუდამო მტრობა უდევთ გულში, უბედურება არ აგვცდება.

მაშინ ივანეს მზერა მოენისლებოდა და ნაჯახს ღრმად ჩაარჭობდა მიწაში.

— მათი თანხმობა არცა მჭირდება, რაც უნდა ისა ჰქნან, შენ მაინც ჩემი იქნები...

— რას ამბობ, ივანკო, რას?..

— ეგრე იქნება, მარიჩკო.

და თითქოს თავისიანების ჯიბრზე ლხინში ისეთი გატაცებით ეცეკვებოდა ხოლმე მარიჩკას, რომ ქალამნები ასკდებოდა.

მაგრამ ყველაფერი ისე როდი აეწყო, როგორც ივანე ფიქრობდა. მეუღნეობა დღითიდღე ჩანაგდებოდა, ყველას დასასაქმებელი სამუშაო აღარ იყო და ვინმეს უნდა დაჰქირავებოდა.

ივანეს სევდა გულს ულრღნიდა.

— ცხვარში უნდა წავიდე, მარიჩკო, — წინასწარ ნაღვლობდა ვაჟი.

— რა გაეწყობა, წადი, ივანკო, — მორჩილად ეთანხმებოდა მარიჩკა, — ალბათ ასეთი ბედი გვქონია...

მარიჩკა სიმღერით ალამაზებდა განშორების წუხილს. გული სწყდებოდა, მყუდრო ტყეში კარგახანს რომ ვეღარ შეხვდებოდნენ ურთიერთს. მიჯნურს ყელზე მოეხვეოდა, ქერათმიან თავს სახეზე მიაკონებდა და ყურთან წყნარად უმღერდა.

დღეში ორჯერ გამიხსენე,
გულს მეტი არ უნდა,
მე კი შვიდგზის ყოველ საათს
მოგიგონებ მუდამ.

— მომიგონებ ხოლმე?

— რა თქმა უნდა, მარიჩკო.

— ეგ არაფერი, — ამშვიდებდა ვაჟს ქალწული. — შენ ჩემო საბრალოვ, ცხვარი უნდა მწყემსო, მე კი თივის ზვინები დავდგა, ზვინზე ავძვრები და საძოვარს გამოვხედავ, შენ კი ბუკით შემეხმიანე... იქნება ხმა მომაწვდინო. წვიმების ალო რომ დადგება, დავჯდები და მეც ავტირდები, რადგან არ მეცოდინება, სად იქნები. დარიან ღამეს კი, ცა ვარსკვლავებით რომ მოიჭედება, ჩავითქვამ, საძოვარს რომელი ვარსკვლავიც დაჰნათის — იმას ხედავს ივანკო... ოღონდ უშენოდ აღარ ვიმღერებ...

— რატომ? იმღერე, მარიჩკო, გუნებას ნუ გაიფუჭებ, მე მალე დავბრუნდები.

მაგრამ ქალწული მხოლოდ ნაღვლიანად გადააქნევდა თავს.

ჩემო ტკბილო სიმღერებო,
რა ვიღონო, ვდარდობ,
იქნებ ერთად შეგკრიბოთ და
მთებში მიმოგფანტოთ, —

წყნარად შეეხმიანა მარიჩკა.

აიტაცებს თქვენს ხმას ექო,
მთებში იმქუხარებს.
მე კი, ასე ახალგაზრდას,
მომკლავს სიმწუხარე.

მარიჩკამ ამოიოხრა და უფრო ნაღვლიანად განაგრძო:

თუკი ბედმა გამიღიმა,
თქვენ თუ შეგთხოვთ შველას,
თუ შავი დღე მიწერია,
დაგივიწყებთ ყველას...

მეც ასე... იქნებ კიდეც გადაგივიწყოთ...

ივანე უსმენდა ქალწულის წკრიალა ხმას და ფიქრობდა, მარიჩკამ უკვე დიდხანია მთებში გააბნია თავისი სიმღერები, რომ ამ სიმღერებს მღერიან ტყეები და სათიბები, ცადატყორცნილი მწვერვალები და საძოვრები, იმღერიან ნაკადები და მღერის მზე... მაგრამ დადგება დრო, ივანე მობრუნდება და მარიჩკა ისევ შეჰკრებს სიმღერებს, საქორწილოდ შეჰკრებს...

გაზაფხულის ერთ მზიან დღეს ივანემ საძოვრისაკენ გასწია.

ტყეში ჯერ ისევ გრილოდა. მთის ნიალვრები ჭორომებს ასკდებოდნენ. ბილიკი ღობეებს შორის სულ მაღლა და მაღლა მიიწევდა. თუმცა ივანეს ძლიერ უჭირდა მარიჩკასთან განშორება, მაგრამ მზე და ხმაურიანი, ამწვანებული სივრცე, თითქოს შუბლით რომ ეჭირა ზეცა, ჭაბუკს სიმხნევეს მატებდნენ. მსუბუქად მიხტოდა ქვიდან ქვაზე და გზადშეხვედრილ ხალხს ესალმებოდა, ოღონდაც თავისი ხმა გაეგონა;

— დიდ არს ქრისტე!

— აწ და მარადის!

შორეულ ბორცვებზე განმარტოებით მდგარი გუცულური მყუდრო სავანეები სოჭებს ავარდნილი კვამლისაგან ალუბლისფრად მოჩანდნენ, ამ კვამლს გაებოლა საბძლების წვეტიანი სახურავები და სურნელოვანი თივა, ხეობაში კი ჩერემოშა ბრაზიანად აელვებდა ჭალარას და კლდის ძირთან კრთოდა მისი ავისმეტყველი მწვანე თვალი. ივანე ნაკადიდან ნაკადზე გადადიოდა, უკან რჩებოდა მჭმუნვარე ტყეები, დროდადრო ძროხის ყელზე შებმული ეჟვანი გაიწკრიალებდა ან დამფრთხალი ციყვი ჩამოყრიდა გირჩებს. მზე ეშხში შედიოდა, ქვიანმა ბილიკმა ფეხები დაუქლიტა, ქოხები თანდათან გამეჩხერდა. ხეობაში ჩერემოშა ვერცხლის ძაფივით გაწვა და მდინარის ხმაური აქამომდე აღარ აღწევდა.

ტყეები მთის რბილმა, ფუმფულა მდელოებმა შესცვალა. ივანე ისე მიაბიჯებდა, თითქოს ყვავილთა ტბაში მისცურავდა, ხანდახან თუ დაიხრებოდა, ისიც იმიტომ, რომ ჭილის ქუდი წითელი ხავსით ან ფერგამკრთალი გვირილებით შეემკო. მთათა ფერდობები მრუმე ულრანებში იკარგებოდნენ, სადაც ცივი ნაკადები იღებდნენ სათავეს და ადამიანს ჯერ არ დაედგა ფეხი. პირუტყვის მოსისხლე მტერი მურა დათვი ნებივრობდა მხოლოდ. წყაროს ახლა იშვიათად ხვდებოდა. მაგრამ თუკი სადმე წააწყდებოდა, უნდა გენახათ, როგორი ნდომით დაეწაფებოდა ხოლმე ყინულის ნაჟურს, სოჭის ხეთა ფესვები რომ განებანა და ტყის ჟრიამულიც თან წამოეღო! წყაროსთან ვინმე მადლიანი უთუოდ დატოვებდა კოჭობს ან გუსლიანკის[1] ქილას.

* * *

ცხვარია ჩემი გამდელი...

ბილიკს კი სულ მაღლა და მაღლა, ნაგრიგალევი ტყისკენ მიჰყავდა, სადაც ერთი-ერთმანეთზე დაყრილი, მერქანშემოცლილი, ჩონჩხებივით შიშველი სოჭები ლპებოდნენ. გავერანებული და უდაბური იყო ტყეთა სასაფლაოები, უფლისა და ადამის ნაშიერთაგან მივიწყებული, როჭოებსა და უხსენებლებს დარ-

[1] გუსლიანკა — დამტკბარი, ადუღებული, მერე აჭრილი რძე.

ჩენოდათ ბურთი და მოედანი. აქ სიჩუმე, ბუნების დიადი სიმშვიდე, სიმკაცრე და სევდა სუფევდა. ივანეს ზურგსუკან ცისფრად მოჩანდა შორეული მთები. მთათა ქიმებიდან წამოიმართებოდა არწივი, მთებს ლოცავდა ფრთაგაშლილი. ისმოდა საძოვართა ცივი სუნთქვა, უსასრულობას ერთვოდა თვალსაწიერი. ტყეთა სანაცვლოდ მიწას აქ ღვია მოსდებოდა, მხოხავ სოჭებს შავი ფარდაგი გაეშალათ და მგზავრს ფეხებში ებლანდებოდნენ, ქარაგოზას მწვანე აბრეშუმით დაემოსა ქვები. შორეული მთები წელში იდრიკებოდნენ, ერთი-მეორის მიყოლებით აჩენდნენ მწვერვალებს, ზღვის ლურჯი, ბობოქარი ტალღებივით ყალყზე დგებოდნენ. ზვირთები თითქოს სწორედ იმ წამს გაქვავებულიყვნენ, როცა ქარიშხალმა ფსკერს მოსწყვიტა, რომ დედამიწაზე დაენარცხებინა და ქვეყანად წარღვნა მოევლინა. თვალსაწიერს ლილისფერი ღრუბლებით შესდგომოდნენ ბუკოვინის მწვერვალები, ლაჟვარდისფრად ჩანდნენ ახლობელი სინიცები, ძემბრონია და ბილა კობილა, ბოლავდა იგრეცი, ცას ჩხვერავდა გოვერლიას ქიმი, ჩორნოგორა კი მთელი სიმძიმით დასწოლოდა დედამიწას.

საძოვარი. ივანე უკვე იქ იყო. უზარმაზარ, მწვანედ აბიბინებულ მინდორში იდგა. აქოჩრილ მთათა ლაჟვარდოვანი ზღვა გარს შემორტყმოდა, თითქოს ეს უსასრულო ლურჯი ზვირთები მოისწრაფოდნენ, მზად იყვნენ მის ფერხთით განრთხმულიყვნენ.

მძაფრი ქარი ალესილი ნაჯახივით სცემდა მკერდში. ივანეს სუნთქვა მთების სუნთქვას ერთვოდა და მის სულს სიამაყის გრძნობა ეუფლებოდა. სურდა მთელი ძალით ეყვირა, გამოძახილს მთიდან მთაზე გადაევლო და ცის კიდეს მისწვდომოდა, მწვერვალთ ზღვაური შეეძრა, მაგრამ ანაზდად იგრძნო, მისი ხმა ამ უსაზღვროებაში უკვალოდ, კოღოს წუილივით განქარდებოდა...

უნდა ეჩქარა.

გორაკს იქით, ხეობაში, სადაც ქარი თავს არ აბეზრებდა, მეცხვარეთა გაჭვარტლულ სადგომს წაადგა. კედელში შავად იყურებოდა საკვამლე ხვრელი. საჩეხები ჯერ ცარიელი იყო და იქ მწყემსები ფუსფუსებდნენ, ცხვრის სიახლოვეს იწყობდნენ ღამის გასათევს, სარქალი ცეცხლს აჩაღებდა.

კარსა და წირთხლს შორის ხმელი ჯოხი დაემაგრებინათ, ორი კაცი გულდაგულ ეწეოდა ქამარს, ჯოხი ბრუნავდა და ჭრიალებდა.

— დიდ არს ქრისტე! — მიესალმა ივანე.

არაფერი უპასუხეს.

ჯოხს ზუილი გაჰქონდა და ორი დაძაბული, პირქუში კაცი ისევ ეწეოდა ქამარს. ხე აკვამლდა, მალე ნაპერწკალიც გამოსხლტა და ორივე მხრიდან გაუჩნდა ცეცხლი, სარქალმა ალმოდებული ჯოხი კრძალვით ასწია და სადგომთან კოცონისათვის მომზადებულ ფიჩხში ჩაარჭო.

— აწ და მარადის! — მიუბრუნდა სარქალი ივანეს,—ახლა გვაქვს ჩაუქრობელი ცეცხლი, და ვიდრე გვენთება, ვერა მხეცი, ვერა ავსული ხელს ვერ ახლებს საქონელს, და ვერც ჩვენ, მონათლულებს...

მერე ივანეს სადგომში შეუძღვა. ცარიელ კასრებს, გეჯებსა და ფარღალალა თაროებს მოუვლელობა დასტყობოდა.

— ხვალ საქონელს მორეკავენ, ნეტა უფალმა მოგვხედოს, მშვიდობით დავუბრუნოთ პირუტყვი პატრონს, — თქვა სარქალმა და ივანეს აუხსნა, რა საქმეც ეკისრებოდა.

რაღაც გასაოცარი სიმშვიდე და სიზვიადე ახლდა საძოვრის გამგებლის სიტყვა-პასუხსა და მოძრაობას.

— მიკო! — გასძახა სარქალმა ღია კარში, — სადგომშიც დაანთე ცეცხლი.

ტანწერწეტა, გრუზათმიანმა, ქალივით ლამაზმა მიკოლამ სადგომში ცეცხლი შემოიტანა.

— მეცხვარე ხარ, ძმაო? — დაინტერესდა ივანე.

— არა, მე სპუზარი ვარ, — გაუღიმა მიკოლამ, — ჩემი საქმე ცეცხლის შენახვაა, კოცონები მთელი ზაფხული უნდა ენთოს, თორემ უბედურება არ აგვცდება... — მან შიშით მიმოიხედა კიდეც, — კიდევ წყაროს წყლისა და შეშის მოტანა მევალება...

ამასობაში საძოვარზე კოცონი აბრიალდა, მხცოვანი ქურუმივით მრავლისმეტყველი მოძრაობით აყრიდა სარქალი კოცონს სოჭის გამხმარ ტოტებსა და ნორჩ წიწვებს. ლურჯი კვამლი მსუბუქად მიიწევდა მაღლა-მაღლა და ქარს აყოლილი მთებს ედებოდა, ტყეთა შავ ზოლს სარტყელივით გარს ეჭდობოდა და შორეულ, ლაჟვარდოვან მწვერვალებზე ივანებდა.

ჩაუქრობელი კოცონის დაგზნებით იწყებოდა საძოვარზე სიცოცხლე. ამ კოცონს იგი ყოველგვარი უბედურებისაგან უნდა დაეცვა. თითქოს ცეცხლმაც იცოდა ეს, უხსენებელივით ამაყად იკლაკნებოდა და ბოლქვა-ბოლქვა ასდიოდა კვამლი...

ოთხი ნაგაზი ბალახზე მიწოლილიყო და დაფიქრებული გასცქეროდა მთებს, ყოველწამს მზად იყვნენ წამომხტარიყვნენ, კბილები დაეღრჭინათ და ბალანი აებურძგნათ.

დღე ილეოდა. მთები ცისფერ მორთულობას ოქროცურვილ შესამოსელზე სცვლიდნენ.

მიკოლა ვახშმად ხმობდა.

მაშინ მეცხვარეები სადგომში შეიყარნენ და ცეცხლს შემოუსხდნენ, მშვიდად რომ ეგემნათ საძოვარზე პირველი კულეშა[1]...

უნდა განახათ, რა ჟრიამულია საძოვარზე გაზაფხულის დამდეგს, როცა სოფლებიდან დაძრულ ცხვარს მოერეკებიან აქეთ!..

მაღალი სარქალი, ვით საძოვრის სული, ცეცხლით დაივლიდა ფარეხს. ქურუმივით შეუვალი, მტკიცე და ფართო ნაბიჯს ადგამდა, მუგუზალი კი მფრინავი გველივით თავს დასისინებდა. ფარეხის ზღურბლთან, სადაც ცხვარს უნდა გაევლო, სარქალი ცეცხლს ტოვებდა და სმენას ძაბავდა. მარტოოდენ ყურს როდი ესმოდა საძოვრისაკენ დაძრული ოთხფეხის ხმა. გულს ესმოდა მისას, როგორ მოიჩქაროდა ღრმა ხეობებიდან, სადაც აქაფებული მდინარეები მიშხუოდნენ და ნაპირებს ასკდებოდნენ, წყნარი სოფლებიდან და სათიბებიდან, გაზაფხულის ძახილს ადევნებული საქონლის ცოცხალი ტალღა და პირუტყვის ფეხქვეშ ლაღად სუნთქავდა გახალისებული მიწა. ესმოდა შორეული ფარის სუნთქვა, ძროხების ბღავილი და ქარს მოყოლილი სიმღერები. როცა ბოლოს ადამიანებმა მოატანეს და მზით აელვარებული ბუკები აღმართეს, რომ ლურჯ მწვერვალთა შორის დავანებულ საძოვარს მისალმებოდნენ, როცა აბღავლდა ცხვარი და ხმაურიან ნაკადად მოედო ფარეხს, სარქალი მუხლზე დაეცა და ხე-

[1] კულეშა — სიმინდის ფქვილის ფაფა.

ლები ცად აღაპყრო. დანარჩენებმაც მას მიბაძეს. ისინი ღმერთს შესთხოვდნენ, ცეცხლივით ცხელი გული მოეცა ცხვრისთვის, იმ ცეცხლივით ცხელი, ზედ რომ გადადიოდა ფარა, ევედრებოდნენ, მოწყალე უფალს ყოველგვარი ხიფათისა და ნადირისაგან დაეფარა ქრისტიანთა ცხვარი.

ზეცა მოწყალედ ისმენდა ალალმართალ ლოცვას, უწყინრად იღუშებოდა ბესკიდი[1], მონაქროლი სიო კი, ვით დედა პირმშოს, ისე გულდაგულ უვარცხნიდა საძოვარს მობიბინე ბალახს...

ნეტავ ასე რამ გაგახარა, საძოვარო, იმან ხომ არა, ცხვარი რომ დაკუნტრუშობს გალაღებული...

— ჰიის! ჰიის! — მიერეკებოდა მწყემსი. ცხვრები ზანტად ხრიდნენ მუხლს, წვრილი ფეხები უკანკალებდათ და უთრთოდათ ზურგი. — ჰიის! ჰიის!.. — ბებრული მოწყენილობით დაღდასმული დრუნჩები დორბლიან პროშებს აბჩენდნენ, რომ შეეჩივლათ... ღმერთმა უწყის, ვისთვის. „ბე-ე... მე-ე...“ ორი მწყემსი წინ მიუძღოდა ფარას. წითელი შარვლები ჰაერს მიაპობდნენ, ყოველ ფეხის გადადგმაზე ჭილის ქუდზე დამაგრებული ყვავილი ტოკავდა და თავს ხრიდა. ბირ-ბირ!.. — ორი ნაგაზი ჰაერს ყნოსავდა და თან ცალი თვალით, ალმაცერად გადახედავდა ხოლმე ცხვარს, ხომ არაფერი უჭირსო. ეხახუნებოდა საწმისი საწმისს, შავი თეთრს, ტბის პაწია ტალღებივით მილივლივებდნენ ღუნღულა ზურგები, მიღელავდა ფარა. — პტრუა!.. პტრუა!.. — ხორხისმიერი შეძახილი წარა-მარა აბრუნებდა ფარაში განაპირებულებს, მოდიდებულ ცხვარს კალაპოტში აკავებდა. გარეშემო ზღვასავით ლურჯად ჩანდნენ მთები, ქარი ღრუბლებს ახვავებდა. ცხვრებს ხუჭუჭა კუდები უცახცახებდათ, თავები ჩაეხარათ და თეთრი ნაფოტა კბილებით შიგ ძირში კვნეტდნენ ტკბილ ზაფრანას, შვრიას, სამყურას — ბირ! ბირ!.. — საძოვარი ფეხქვეშ უშლიდა ფარას თავის მწვანე ხალიჩას, ცხვარი კი ზედ აფენდა მოძრავ, ჩოფურა ტყაპუჭებს. ხრაშ-ხრუშ... ბე-ე... მე-ე!.. ღრუბელთა ჩრდილები დაეხეტებოდნენ ახლო-მახლო ბორცვებზე, ადგილს უცვლიდნენ, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაჰქონდათ ისინი. გეგონებოდა, მთებს, ზღვის ტალღებისა არ იყოს, ფეხი აუდგამთო, მხოლოდ შორეული, ლილისფრად აზვირთებული მწვერვალები იდგნენ უძრავად. მზე გადაეფრქვა ცხვრის საწმისს, ცისარტყელად გადაიშალა, მწვანე ცეცხლი შეუგზნო ბალახს, მწყემსებს გრძელი ჩრდილები აედევნენ. — პტრუა... პტრუ!.. ხრაშ-ხრუშ... ხრაშ-ხრუშ... უხმაუროდ მიაბიჯებდნენ მწყემსები, საძოვარზე რბილად მიგორავდა მატყლის ტალღა, ქარი კი შორეულ ღობეს დასთამაშებდა. დზ-ზ... წვრილ ხმაზე მღეროდა ქარი და ზედ აწყდებოდა მოგდებულ ლატანს, ბუზივით გულის გამაწყალებლად ბზუოდა. დზ-ზ... ბანს აძლევდა ახლა სხვა ღობე და სევდას ეძახდა. ღრუბლებმა ნახევარი ზეცა გადაფარეს, შორეული ბესკიდი ჩაქრა და ჩრდილდაფენილი ისე გაშავდა და მოიღუშა, თითქოს ქვრივი ყოფილიყო, ხოლო საძოვარი კვლავაც ხასხასებდა და ღობესთან მოსისინე ქარი ეკითხებოდა მჭმუნვარე ბესკიდს: „რად არ იქორწინებ, ახოვანო ბესკიდ?“ — „მწვანე საძოვარი მე არ გამომყვება“, — მწუხარედ ოხრავდა ბესკიდი. ლაჟვარდოვანი ზეცა ნაცრისფრად გადაითხუპნა, მთათა ოკეანე ჩაშავდა, საძოვარს ფერი წარეხოცა და ზედ ფარა მრუმე ხავსურასავით მიოლოავდა. ცივი ქარი

---

[1] ბესკიდი — კარპატის მთათა მწვერვალები.

ფრთებს შლიდა, კეპტარში ატანდა და ფრთებს ზედ გულის ფიცარს ახლიდა, სუნთქვა ისე ჭირდა, უთუოდ უნდა შებრუნებულიყავი... კისერიც მოუტეხია... წივანა ხმით იწყებდა სიმღერას ღობე, მღეროდა, ვით ობობას ქსელში გახლართული ბუზი. მოსთქვამდა დაუთმენელი ტკივილი, სტიროდა მარტოდშთენილი სევდა... დზ-ზ... დზი-ი... სულის მოუთქმელად, დაუსრულებლივ, ილაჯს უწყვეტდა და გულს ლახვრად ესობოდა. არ გსურს ისმინო, მაგრამ არ ძალგიძს წაყრუება, გინდა გაექცე, — სად გაექცევი? — ჰიის... ჰიის!.. — შენ საითლა მიხვალ... დაგწყევლა გამჩენმა. ბირ-ბირ!.. მურა! — მაგრამ მურა უკვე წინ გავარდა. ცხვარს უყელა, ქარმა ძაღლს ბალანი წამოუშალა, ნაგაზი კი უკვე სწვდა ცხვარს და ფარას მიუგდო. დზ-ზ-ი-ი... დზ-ზი-ი-ი... ასე კბილმა იცის გაბმული და აუტანელი ტკივილი. კბილს კბილს დააჭერდა და გაყუჩდებოდა. თორემ ამოიღო სული და ეგ არის. არც ჰკლავს და არც არჩენს. ეს რა ხმაა, ვინ სტირის. ეტყობა, „იმისი“ ბრალია, აგრემც გაქვავებულა... ასე ეგონა, დაეცემოდა მიწაზე, ღონემიხდილი, სმენას დაიხშობდა და ატირდებოდა... როგორ გაწამდა... დზზ-ი-ი! დზი-ი-ი!.. ჰოი!..

ივანემ სალამური ამოიღო და რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ჩაჰბერა. მაგრამ ის, — გონდაკარგული მოტირალი სჯობნიდა, ჩორნოგორიდან აღვირახსნილი ცხენივით გამოჰქროლდებოდა, ფლოქვებს ბალახს დასცემდა და სალამურის ჰანგს კვეთდა ფაფარი მისი. ჩორნოგორა კი, ვით კუდიანი დედაბერი, გაწეწილი შავი თმის მიღმა შეფარულ თოვლიან მინდორს — ლიბრგადაკრულ თვალს უპაჭუნებდა და აშინებდა, დზზ-ი... დზი-უ-უ...

ცხვარი ხეობაში დაეშვა, იქ სიწყნარე იყო.

ყომრალ ცაზე ლაჟვარდოვანი ტბა აღჩნდა. საძოვრის ბალახმა უფრო მძაფრი სურნელი დააფრქვია. ტბა ნაპირებს გადმოვიდა და აქეთ-იქით მიმოიღვარა ლურჯი წყლები. კვლავ ლილისფერი გახდნენ მწვერვალები, ხეობებს კი მზის ოქრო ჩაეღვარათ.

ივანე დაბლობს ჩასცქეროდა, სადღაც იქ, მთებშუა, სადაც ადამიანები ეგულებოდა, მწვანეზე დააბიჯებდა მარიჩკა. თვალი საძოვრისაკენ ეჭირა. ნეტავ თუ მღეროდა საყვარელ სიმღერებს. ან იქნებ მართლაც მთებში მიმოჰფანტა, სიმღერები ყვავილებად აღმოცენდნენ, ხოლო მარიჩკა დადუმდა სამუდამოდ.

გაჰყოლია ფარას მწყემსი,
ხემსიც კი არ აუღია...
მხოლოდ ჩემი სიმღერები
მთაში საგზლად წაუღია...

გაახსენდა ქალწულის სანატრელი ხმა, დაიხარა, ყვავილი მოწყვიტა და ჭილის ქუდი შეიმკო.

პტრუა... პტრუა... — მზე აცხუნებდა. ჰაერი შეიხუთა. მიგოგმანებდნენ ცხვრები, თან გზადაგზა ფრუტუნებდნენ, წინ იშვერდნენ ბებრულ პროშებს, რათა ადვილად მისწვდენოდნენ ტკბილ შვრიას, თან გზა-გზა კურკლს ტოვებდნენ... ხრუს-ხრუს... ხრუმ-ხრუმ... ეხახუნებოდა საწმისი საწმისს, თეთრი ცხვარი შავს, ტბის პატარა ტალღებივით მიარწევდნენ ზურგებს... ბე-ე... მე-ე... ძაღლები კი ფარას გზას უკეტავდნენ, რომ არ გაფანტულიყვნენ.

დაიქანცნენ ნაგაზები. ბალახზე მიწვნენ და საბერველივით აუდ-ჩაუდიო-

დათ გვერდები. ეშვებს შორის გადმოგდებულ გრძელ, წითელ ენას ბუზები ასხდებოდნენ.

— ბირ-ბირ! — შეუძახებდა გულმოსული ივანე, და ძაღლები კვლავ შემოუდგებოდნენ ფარას.

შორს, საძოვარზე, დაბურულ ტყეში ძროხები ბალახობენ. მენახირე გრძელ ბუკს დაყრდნობია და ჩაფიქრებულა.

ასე მიიზლაზნება დრო! მთის ნიავმა თავისი ჰქნა, მოაშივა. რა სიმარტოვეა. დგეხარ პატარა, დაკარგული, ვით ბალახის ღერი თვალუწვდენ მინდორში, ფეხთაქვეშ მწვანე კუნძულია, შორეულ მთათა ცისფერი წყლებით გაჟიჟინებული. ხოლო იქ, პირქუშ, უკაცრიელ მწვერვალებზე, სად ძეხორციელს ჯერ არ შეუდგამს ფეხი და არავინ იცის იქაური ამბავი, ყველა ჯურის ავი სული ბუდობს, მტრული ძალები დასადგურებულან, აბა, იმათთან რას გახდები! ერთიღა დაგრჩენია — სიფხიზლე...

— ჰიის-ჰიის! — მითახთახებენ მწვანე მინდვრით ცხვრები, რბილად მიაბიჯებენ მოღალანე ბალახზე მწყემსები... ისეთი სიჩუმეა, ისმის, როგორ მიედინება ძარღვებში სისხლი... რული ეძალება თვალს. ტკბილი ბურანი ფაფუკ თათს უცაცუნებს ქუთუთოებზე, სახეზე და ეჩურჩულება: იძინე... ინისლება ფარა... აი, ჯერ ბატკნებად იქცნენ, მერე სულ გაქრნენ. ირხევა ბალახი, როგორც მწვანე წყალი. გამოჩნდება მარიჩკა. ჰაი, ვერ მომატყუებ, ძვირფასო, ვერ მომატყუებ... ივანემ იცის, რომ ეს ალია და არა მარიჩკა. ალი თვალთმაქცობს, გატყუება სწადია. რაღაცა იზიდავს ივანეს, ხიბლავს. თავისუნებურ უკან მისდევს, ისევ ვით ბალახი მიღალანებს მწვანე ნაკადად...

და უცებ, შემზარავი, სასიკვდილოდ განწირული ძროხის ბღავილი აფხიზლებს. რა მოხდა? სადა? მენახირე როგორც იდგა ბუკზე დაყრდნობილი, ისევე დგას, გაქვავებული. მწითურმა ხარმა მიწას ჩლიქები დაჰკრა, ქედი დაზნიქა და კუდი აპრიხა. ანაზდად ადგილიდან მოწყდა და იქით გავარდა, საიდანაც ესმა შემზარავი ბღავილი, მაღლა-მაღლა მიხტის და ჩლიქებით გლეჯს ბალახს. ფეხებით მიაპობს ჰაერს. მენახირე გამოფხიზლდა და ხარს უკან მიჰყვა ტყისაკენ. იგრიალა თოფმა. ბახ-ბახ-ბახ... — მწვერვალებმაც დასცალეს თოფები. ბახ-ბახ-ბახ... — გამოეპასუხა შორეული გამოძახილი, და კვლავ მიწყნარდა ყოველი. სიჩუმეა.

„ალბათ, დათვმა გამოლადრა ძროხას ყელი“, — გაიფიქრა ივანემ და ფარას თვალი გადაავლო.

— პტრუა-პტრუა... — მზემ თითქოს მიიძინა, ქარი ჩანელდა და დედამიწიდან ცაში გადაინაცვლა. ახლა იქ ახვავებს ღრუბლებს, ისეთივე აქოჩრილ მწვერვალთა ოკეანეს, საძოვრის გარშემო რომ იხილა. უკიდეგანო სივრცეში დაინთქა ჟამი, და ვერ გაგიგია, დღე დამდგარა თუ მიდის...

ანაზდად ყურს სწვდება ბუკის ნანატრი ძახილი. ამ ძახილს თან მოაქვს კულეშისა და კვამლის სურნელი და გაბმული, მელოდიური ჟღერა ამცნობს მწყემსებს, რომ ფარეხი ცხვარს მიელის...

— ჰიის-ჰიის... — შფოთავენ ძაღლები, ბღავიან ცხვრები და ხეობაში ბუმბულის ნაკადად მიედინებიან, გატიკნილ ჯიქნებს მიარწევენ...

მესამე დღეა საძოვარზე ჟინჟღლავს. აბოლდნენ მწვერვალები, ცა დაიკარგა, ნაცრისფერ ბურუსში გაუჩინარდნენ მთები. რეზინის ღრუბელივით

წყლით გაჟღენთილი, დამძიმებული ცხვრები ძლივს ადგამენ ფეხს, მწყემსებს ტანსაცმელი დაუსველდათ, ზედ შეაცივდათ და გაუხეშეშდათ. სულის მოთქმა მხოლოდ ფარდულში, წვეის დროს შეიძლება.

ივანე ზის, ზურგით ფიცარს მიყრდნობია, ფეხებშუა საწველელი ჩაუდგამს და მუხლებს უჭერს. გვერდით შავ-შავი თმაგაბურძგნული მეთხე უდგას, სიტყვას ისე არ იტყვის, გინება არ მოაყოლოს, ცალკე კიდევ მეცხვარეები... მოუთმენელია ცხვარი, ზოგიერთს რძე მოსწოლია მეტისმეტად, აწუხებს და ბაკიდან მოსაწველ ფარდულში მოძვრება, ველარ ითმენს, ერთი სული აქვს, მალე გამოწველონ. მოიცათ, თქვე საწყლებო, ეგრე არაფერი გამოვა... რიგრიგობით მოდით.

— რისტ! — ცხვრის ბღავილში იძირება გულმოსული მეხრის შეძახილი და სველი წკეპლის შხუილი. — რისტ. რისტ!.. — ამხნევებენ მწყემსები და რიგრიგობით ერეკებიან მოსაწველ ფარდულში, მუხლებს მოაცილებენ ბერას, ცხვარი რომ უნდა გაძვრეს,— ოჰ! შენი...— ალარ აბოლოვებს გინებას მეთხე: აბა, ასეთ დროს რას იტყვი!

ივანემ ცხვარს ხელი დაავლო და ფართე საწველელისაკენ წაათრია. მორჩილად დგას ცხვარი, ფეხები უშნოდ გაუჩაჩხავს, დგას და უსმენს, როგორ მოჩხრიალებს საწველელში რძე. — რისტ! — გაიძახის მეთხე და წკეპლას სცემს ცხვარს. — რისტ! რისტ! — გაჰყვირიან მეცხვარეებიც. გამოწველილი ცხვრები, გეგონება გამოთაყვანდნენო, ქვაზე ეყრებიან ფარეხში, თავს ფეხებზე ჩამოსდებენ და ბებრულ, მოტიტვლებულ პროშებს დაბრეცავენ. — რისტ!-რისტ! — ივანეს ხელები დაუცადებლად სრესენ ცხვრის თბილ ცურს, ძუძუს ცერებს ეჭაჩებიან, ხელებზე კი ცხიმის სურნელით გაჟღენთილი რძე ეღვრება და სქელი, ტკბილი ოხშივარი ასდის საწველელს. — რისტ! რისტ! — დამთხვეულებივით წამოხტებიან ცხვრები, საწველელის თავზე ფეხებს გაფარჩხავენ და ათი მწყემსის ხელი სრესს თბილ ჯიქნებს. საწყალობლად იცრემლება ფარა, ფარეხში ილაჯგაწყვეტილი ცხვრები ძირს ცვივიან, სქელი რძე კი საწველელაში მიჩხრიალებს და თბილი ნაკადი სახელოში ჩასდის. — რისტ! რისტ!

მეთხე თავის ოხებს თვალებით უცინის, თხები ცხვრებს როდი ჰგვანან, ცხელი გული აქვთ. ულონოდ კი არ ეცემიან ძირს, წვრილ ფეხებზე მტკიცედ დგანან. ცნობისწადილით აუღერიათ რქები და ბურუსში იცქირებიან, თითქოს იმის იქით რაღაცას ხედავდნენ, ხალისიანად უცანცარებთ თხელი წვერი...

დაცარიელდა ფარეხი. იქაურობა გაუკაცურდა, სიჩუმემ დაისადგურა. იქნებ, იქ სადმე, ღრმა ხეობებში, საიდანაც მთები ამაღლებას იწყებენ, გაისმის ადამიანთა სიცილი და ხმა, მაგრამ ამის დაჯერება ჭირს, აქ, საძოვარზე, სადაც ზეცა უკაცრიელ სივრცეებს გადაუფარავს, საუკუნო სიჩუმე სუფევს.

მარტოოდენ სადგომში ტკაცუნობს ჩაუქრობელი ცეცხლი და შორ გზაზე მიაცილებს თავისსავე ლურჯ კვამლს. რძე ხის ჭურჭელში ისვენებს, სულს ითქვამს, სარქალი ზედ დასდგომია. უკვე ჩადო კვეთი. თაროებიდან, სადაც ყველის ვეება კვერები ძევს გამოსაშრობად, სარქალს ქარი სცემს, მაგრამ ნახშირის, ყველისა და ცხვრის ტყავის სუნი სადგომიდან ვერა და ვერ გაუდევნია. სარქსალსაც ხომ იგივ სუნი ასდის. კუთხეში მდუმარედ დგანან ახალთახალი გე-

ჯები და კასრები, მაგრამ საკმარისია რომელიმეს მიუკაკუნო — და შიგ დაბუდებული ხმა გამოგეპასუხება. ცივი წაქა მწვანე თვალს აელვებს გოვზადან. თავისი მეურნეობით გარემოცული სარქალი შვილებში ჩამჯდარ მამასა ჰგავს. ყველაფერი: ჩაშავებული კედლები, კოცონი და კვამლი, ყველი, კასრები და წაქა, — ყველაფერი ახლობელი და მშობლიურია, ყველაფერს იმისი თბილი ხელი შეეხებია.

რძე უკვე შესქელდა, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს. მაშინ სარქალი სარტყელში გარჭობილ ძელაკების შეკვრას დააძრობს და კითხვას იწყებს. ამ ძელაკებზეა ყველაფერი ამოკვეთილი, ხის ამ წიგნში სწერია, ვის რამდენი ცხვარი ჰყავს და ვის რა ეკუთვნის. ფიქრმა წარბები შეუყარა, ის კი დაბეჯითებით კითხულობს: „მოსეიჩუკს თოთხმეტი ცხვარი ჰყავს, და ერგება...“

სადგომის კედელს მიღმა სპუზარი მღერის:

ნებიერო ჩემო ნერბო, —
ეუბნება ყოჩი ცხვარსა, —
ხომ წახვალ და ხომ მომიტან
ქორფა-ქორფა სამყურასა?

— აჭიკჭიკდა. — ბრაზობს სარქალი და თავიდან ითვლის ნაჭდევებს.

ზამთრის გაძლება, რქიანო,
არ დაიკვეხო არასდროს,
იქნება კიდეც გადურჩე
იქნება ტყავიც გაგაძროს...

წინკარში სიმღერას ამთავრებს სპუზარი და სადგომში შედის.

გაჭვარტლული სპუზარი ცეცხლზე იხრება და თეთრ კბილებს აელვებს. წყნარად ტკაცუნობს ცეცხლი.

ხის ჭურჭელში რძე თანდათან ყვითლდება და სქელდება. დაძაბული, თითქმის პირქუში სარქალი ზედ იხრება, აუჩქარებლად იხსნის სახელოებს და ბანჯგვლიან ხელებს იდაყვებამდე შიგ ჰყოფს. ერთხანს ასე გარინდებული ჩასცქერის რძეს...

ახლა სიჩუმე უნდა იყოს სადგომში, კარი გადარაზულია, სპუზარიც კი ვერ გაბედავს რძეს თვალი შეავლოს, ვიდრე იქ რაღაც იდუმალი ხდება, სანამ სარქალი ჯადოს კრავს. მოლოდინში თითქოს ყოველივე გაქვავდა, ხმა გაკმინდეს კასრებმა, მიყუჩდნენ თაროებზე ჩამწკრივებული ყველის ვეება კვერები, მიიძინეს შავმა კედლებმა და უზურგო სკამებმა, სუნთქვა შეიკრა ცეცხლმა, კვამლიც კი მოცხვად მიიპარება სარკმელში. მარტოოდენ სარქლის შიშველ ხელებზე ძარღვების წყნარი მოძრაობაა ნიშანი იმისა, რომ ჭურჭლის ფსკერზე რაღაც იძვრის. ნელ-ნელა უცოცხლდება სარქალს ხელები, ადი-ჩადიან, წრეს ხაზავენ იდაყვები, ხელები რაღაცას უთქაფუნებენ, რაღაცას ეფერებიან და ამრგვალებენ იქ, სიღრმეში და ანაზდად ჭურჭლის ფსკერიდან, რძის მორევიდან ამოდის ყველის მრგვალი ტანი, რაღაც სასწაულით დაბადებული. ყველი იზრდება, თეთრ ემბაზში ჭყუმპალაობს, თავადაც თეთრი და ლბილი, და როცა სარქალი ზე ამოზიდავს, წაქა წურწურით ჩაედინება ჭურჭელში...

სარქალმა შვებით ამოისუნთქა. ახლა სპუზარსაც შეუძლია ნახოს. დიდებული ყველი ამოვიდა, სარქალის ნუგეშად და ადამიანთა სარჩოდ...

ყურთამდე გააღეს ჯარი, თაროებიდან ქარი უბერავს, გახალისებული ცე-

ცხელი ლოკავს შავ ქვაბს, შიგ რომ წაქა კოლომიიკას იმღერის, და კვამლითა და ცეცხლით გარემოცულ სარქალს კბილები უელავს...

ხოლო როცა მზე ჩავიდა, სარქალმა სადგომიდან ბუკი გამოიტანა და უკაცურ მთებს ამცნო, რომ დღე მშვიდობიანად დასრულდა, ყველი ამოიყვანა, კულეშა მზად იყო და მოსაწველი ფარდულები ახალ რძეს მოელოდნენ...

ივანეს რა აღარ გადახდა საძოვარზე, ერთხელაც, საკვირველ სურათს შეესწრო. ის-ის იყო ცხვარი ფარეხისაკენ უნდა წამოესხა, რომ უნებლიეთ ახლობელი მწვერვალისკენ გაექცა თვალი. ნისლი ჩამოწვა და ფოთლოვანი დაბურა, ტყე მოჩვენებასავით გამსუბუქდა, გაჭაღარავდა. მხოლოდღა მდელო მწვანობდა და მარტოხელა სოჭი ელავდა შავად. ანაზდად იმ სოჭს კვამლი ავარდა. სოჭი იზრდებოდა და იზრდებოდა — ხიდან თეთრი, მაღალი კაცი გადმოვიდა, მდელოზე დადგა და ტყეს გასძახა. უმალ ტყიდან ირმებმა იწყეს დენა, ერთი-მეორეზე უკეთესი და ლამაზი რქები ედგათ. გუნდად გამოცვივდნენ არჩვები და აცახცახებულებმა ბალახს დაუწყეს წიწკნა. არჩვები გაიფანტნენ თუ არა, დათვმა კვლავ ერთად შეაქუჩა, როგორც ნაგაზმა ცხვარი. ის თეთრი კაცი კი საქონელს აბალახებდა, თან კიდევ პირუტყვს უცაცხანებდა. ანაზდად ქარი ამოვარდა, ის ნახირიც აქეთ-იქით მიმოფანტა და დაიკარგა. სწორედ ასე მოხდა — ვითომც შუშისათვის შეგებეროს სული, შუშა დაიორთქლება, მერე კი ყველაფერი გაქრება, თითქოს არც არაფერი ყოფილიყოს. ივანემ სხვებიც მიახედა იქით, მაგრამ ყველა გაკვირვებული იყო, ერთსა და იმავეს გაიძახოდნენ: „აბა, სადა? ნისლის მეტი არაფერია“.

ორი კვირის განმავლობაში „დიდმა“ — ასე ეძახდნენ მწყემსები დათვს — კიდევ ხუთ ძროხას გამოლადრა ყელი.

ხანდისხან ცხვარს საძოვარზე ნისლი მოუსწრებდა. ხშირი, რძისფერი ბურუსი შთანთქავდა ყოველივეს: ზეცას, მთებს, ტყეებს, მწყემსებს, — ჰეი! — გაჰყვიროდა ივანე — ჰეი! — ყრუდ მოესმოდა პასუხი, მაგრამ თავად ის, ვინც ძახილზე ეხმიანებოდა, არ ჩანდა. ფეხებწინ ლეგა ბურუსივით მიგორავდნენ ცხვრები, მერე ისინიც იკარგებოდნენ თვალთაგან. ივანე უმწეოდ მიაბიჯებდა, ხელები წინ გაეწვდინა, თითქოს ეშინოდა, რამეს არ გადავაწყდეო, თან გაჰყვიროდა: — ჰეი!.. სადა ხარ? — მოესმოდა სადღაც ზურგს უკან,—უნდა შეჩერებულიყო. იდგა ილაჯგაწყვეტილი, სქელ ბურუსში გახვეული და როცა ბუკს საპასუხოდ ტუჩებთან მიიტანდა, რომ ბუკის დაძახილს შეხმიანებოდა, ბუკის მეორე ბოლო თვალს ეკარგებოდა ნისლში, ყრუ, ჩახლეჩილი ხმა კი იქვე, მის ფერხთით ეცემოდა. ასე დაჰკარგეს რამდენიმე ბატკანი.

„დიდმა“ კიდევ ორი ძროხა დაგლიჯა, მაგრამ ეს უკანასკნელი იყო: ლამით დათვი სადგომს ეპარებოდა თურმე და სარზე წამოეგო. ახლა იმისი ტყავი ლატანზე შრებოდა და ძაღლები უყეფდნენ.

დრო და დრო საძოვარზე კოკისპირული წვიმა ასხამდა. წმინდა ილია ებრძოდა მათ, ხმალს აელვებდა და ისე აჭექებდა თოფს — დიდ არს ღმერთი — რომ სკდებოდა ტატნობი და მთებს ემხობოდა, და როგორც კი დაიბზარებოდა ზეცა, იმწამს რაღაცა შავი მიაწყდებოდა აქეთ-იქით და ლოდქვეშ შევარდებოდა... ავსული, ეგ ვერანა, ეგა, ღმერთს მასხრად იგდებდა, კურტუმს უჩვენებდა, მწყემ-

სის თავს კი უბედურების მეტი რა იყო: ჯერ ხომ შიშსა ჭამდა და მერე კიდევ ერთიანად გაილუმპებოდა...

პეტრეობას თოვლი წამოვიდა — თანაც ისე ხვავრიელად მოთოვა, რომ სამი დღე აღარ გამლხვალა. მაშინ ბევრი ბატკანი გახდა ავად...

ხანდისხან ხეობიდან ხალხი ამოვიდოდა. მწყემსები გარშემოეხვეოდნენ, ერთმანეთს აღარ აცლიდნენ ლაპარაკს:

— სოფელში რა ამბავია?

და ბავშვებივით უსმენდნენ: სოფელს თივა დაემზადებინა, კარტოფილი ვერ მოეწიათ, არც სიმინდს უჩანდა კარგი პირი, მოჩარნიკოვა ელენე გარდაცვლილიყო.

მერე ყველანი ერთად სვამდნენ პირუტყვის სადღეგრძელოს, სტუმრები კასრებს ბრინწათი დატენიდნენ და კვლავ ხეობისაკენ დაეშვებოდნენ.

საღამოობით სადგომთან ცეცხლი გიზგიზებდა. მწყემსები ტანსაცმელს იხდიდნენ და ცეცხლს აბერტყავდნენ მკბენარს, ან არადა, ერთად შეიყრებოდნენ და ქალს დანატრებულნი, ურცხვად ენაწყლიანობდნენ. იმათი ხორხოცი მძინარე საქონლის ფშვინვასაც კი ფარავდა.

ივანე, ვიდრე დასაძინებლად დაწვებოდა, თავისთან მოუხმობდა მიკოლას, ვისაც აგრე უყვარდა სიმღერა და საუბარი.

— მიკო... აქ მო, ძმაო...

— მოიცა, ძმაო ივა, ახლავე მოვალ, — გამოსძახებდა სადგომთან მდგარი სპუზარი, და უკვე იქიდანვე შემოესმებოდა ივანეს იმისი სიმღერა:

პურს ჩორნოგორა რას აქნევს,
ქერსა და ქერის ფაფასა,
მთა მწყემსებს გვიზრდის, მწყემსი კი —
ყველს აყენებს და წაქასა...

მიკოლა ობოლი იყო და საძოვარზე გაიზარდა. „ცხვარია ჩემი გამდელი“, — იტყოდა ხოლმე და თან ურჩ თმაზე ხელს გადაისვამდა.

საქმეს რომ მოათავებდა, გაბოლილი, გაჭვარტლული სპუზარი ივანეს გვერდით მიწვებოდა და ცეცხლის შუქზე ჯანსაღ კბილებს გამოაჩენდა. ივანე მიკოლასთან ახლოს მიიწევდა, ყელს გამოუწევდა და შესთხოვდა:

— ძმაო, რაიმე ზღაპარი მომიყევი, ზღაპრები ბევრი იცი...

ჩალუსკუმებული ციდან ვარსკვლავები მოწვეთავდნენ, ვარსკვლავებს თეთრ ქაფად გადასდიოდათ ციური მდინარე.

ხეობებში თვლემდნენ მთები.

— იზრდებიან, — ისე იტყოდა ივანე, გეგონება თავს ესაუბრებოდა.

— ვინა?

— მთები.

— წინათ იზრდებოდნენ, ახლა გაჩერდნენ...

მიკოლა გაყუჩდებოდა, მერე ხმადაბლა დასძენდა:

— თავიდან მთების ხსენებაც არსად იყო, მარტო წყალი... იმდენი წყალი იყო, უკიდეგანო ოკეანეს ჰგავდა და წყალზე ღმერთი დააბიჯებდა. ერთხელ ღმერთმა თვალი ჰკიდა, წყალს ქაფი მოეგდო. „ვინა ხარ?“ — ჰკითხა. იმან კი მიუგო: „არ ვიცი. ცოცხალი კი ვარ, მაგრამ სიარული არ შემიძლია“. ეს არიდნიკი იყო. ღმერთი მას არ იცნობდა, არიდნიკი ხომ ოდითგან თავად იყო ღვთაება. ღმერთმა მისცა ხელ-ფეხი და ახლა უკვე ერთად დაიარებოდნენ ძმადნაფი-

ცები. მობეზრდათ ერთავად წყალზე სიარული, ღმერთმა დედამიწის შექმნა მოიწადინა, მაგრამ არ იცოდა ზღვის ფსკერიდან როგორ ამოეტანა თიხა, ღმერთმა ხომ ამქვეყნად ყველაფერი უწყოდა, ოღონდ საქმისა არაფერი გაეგებოდა.



ივანე დარწმუნებული იყო, მის ზურგს უკან მარიჩკა იდგა და ტიროდა...

არიდნიკს კი დიდი მოხერხება ჰქონდა, უთხრა ღმერთს: „მე ჩავიდოდი ფსკერზე“, — „ჩადი“. ჰოდაა, ჩაყვინთა არიდნიკმა, ერთი მუჭა თიხა მოხვეტა, დანარჩენით კი პირი გამოიტენა. გამოართვა ღმერთმა თიხა, აქეთ-იქით მიმოაპნია, „აღარ არის?“—„არა“. აკურთხა ღმერთმა ის დედამიწა, ჰოდა მიწამაც ზრდა იწყო. ის თიხაც იზრდებოდა, სატანას რომ ჰქონდა პირში გადამალული. უკვე პირიდანაც გადმოხეთქა, ველარ იქცევდა არიდნიკი სულს, თვალები დაექაჩა. „გადააფვრთხე!“—ურჩევდა ღმერთი. დაიწყო არიდნიკმა ფურთხება და სადაც არ დააფურთხებს, ჩნდება მთები, ერთი-მეორეზე მაღალი, ზეცას უწვდენენ მწვერვალებს. გააპობდნენ კიდეც ზეცას, ღმერთს რომ არ შეეჩერებინა. მას უკან მთებმა ზრდა შეწყვიტეს...

ივანეს უკვირდა, ეს მხიარული, ლამაზი მთები ავსულმა როგორ შეჰქმნაო.

— განაგრძე, ძმაო, განაგრძე, — სთხოვა ივანემ, მიკოლამაც დაიწყო:

— არიდნიკი რასაც განიზრახებდა, კიდეც შეიძლებდა, ღმერთს კი, თუკი რაიმეს ქონას მოიწადინებდა, არიდნიკისთვის უნდა დაეცინცლა ანდა მოეპარა. არიდნიკმა ცხვარი შექმნა, გააკეთა ვიოლინო და უკრავს, ცხვრები იქვე ბალახობენ. დაინახა ღმერთმა და მოჰპარა, ახლა უკვე ორივენი აბალახებენ ცხვარს. ამქვეყნად რაც კი რამ არსებობს — სიბრძნე, ათასგვარი უცნაურობა — ყოველივე სატანისეულია. თუ სადმე რამეა — ფორანი, ცხენი, მუსიკა, წისქვილი თუ

ხატა, — ყველაფერი იმან მოიგონა. ღმერთი კი მხოლოდ პარავდა და ხალხს აძლევდა. ასე იყო...

ერთხელ არიდნიკს შესცივდა და, რომ გამთბარიყო, კოცონი გამოიგონა. მივიდა ღმერთი და ცეცხლს შეაცქერდა. ავსულმა კი უკვე იცის, რა ფიქრი უტრიალებს ღმერთს. „შენ ყველაფერი მომპარე მე, — ეუბნება არიდნიკი, — ამას კი ალარ მოგცემ“. მაგრამ არიდნიკი ხედავს, რომ ღმერთი უკვე აჩაღებს კოცონს. ისე ეწყინა, მივიდა და ღმერთის კოცონში ჩააფურთხა. ცეცხლს იმ ფურთხისაგან კვამლი ავარდა. პირველ ცეცხლს კვამლი არ ჰქონდა, სუფთა იყო, მას შემდეგ არის, რომ კვამლი ასდის კოცონს...

დიდხანს ჰყვებოდა მიკოლა, ხოლო როცა უნებლიეთ ეშმაკს ახსენებდა, ივანე პირჯვარს გადაიწერდა ხოლმე. მიკოლა კი გადააფურთხებდა, რომ ავსულს მათთვის ხელი არ დაერია.

ავად გახდა მიკოლა — და ივანე მის მაგიერ დარაჯობს კოცონებს. ცეცხლის პირდაპირ, მერხზე, სარქალს სძინავს, იქ კი კუთხეში, სადაც კასრების ჩრდილები ირხევიან, ავადმყოფი კვნესის. შავ ქვაბში წყალი დუღს, ჭერქვეშ კვამლი ირევა და სოლყავარში მიფრიალებს. დროდადრო ღრიჭეში ავსული შემოუბერავს და მაშინ ცეცხლს კვამლი ბოლქვა-ბოლქვა ასდის და თვალებს წვავს, მაგრამ ეს კარგია, რულს არ მოგაკარებს. ძილი კი გძლევს. რულის გასაფანტავად ივანე ცეცხლს მიაშტერდა. უნდა უდარაჯოს ცეცხლს, საძოვრის სულს, თორემ ვინ იცის, რა მოხდება, ცეცხლი რომ ჩაქრეს. მძიმე ფარდულის ქვემოდან მხიარული შორეთი უცინის და უეცრივ ქრება. ახლა თვალწინ გაუელვებდნენ მწვანე ლაქები, სათიბებად და სოჭის ტყეებად რომ გარდაიქცნენ. სათიბზე მარიჩკას თეთრი ფეხები დალანდა. მარიჩკამ ფოცხი მიაგდო და ხელები გამოუწოდა. და სწორედ იმ წამს, როცა ივანეს აგერ-აგერ მკერდზე უნდა მიჰკვროდა მარიჩკას ლბილი ტანი, ტყიდან ბრდღვინვა-ბრდღვინვით გამოვიდა დათვი, ცხვრები აქეთ-იქით გაიფანტნენ და მარიჩკას ჩამოაშორეს. „ფუი, ნუთუ ჩამეძინა!“ კოცონი თვალს უპაჭუნებს, სარქალი ხვრინავს, მორიალე ჩრდილების საბურველქვეშ კი მიკოლა კვნესის.

იქნება დროა მწყემსებს საუზმედ კულეშა მოვუხარშო.

ივანე სადგომიდან გავიდა.

სიჩუმე და სიცივე შემოეჭდო ტანს. სადღაც საჩეხეში პირუტყვი სუნთქავს, ერთმანეთს მისწეპებიან ცხვრები, მწყემსების სადგომებთან მითვლემილი კოცონები კრთიან. ნაგაზები შემოეხვივნენ, იზმორებიან, მიწას ქექავენ და ფეხებზე ეგლასუნებიან. შავმა მთებმა ვეება ფარასავით აავსო ხეობები. ხეობები თავის წუთისოფელს ისეთ სიჩუმეში აღამებენ, რომ პირუტყვის სუნთქვაც კი ესმით. იმათ მაღლა კი ზეცა გადაჭიმულა, ციური საძოვარი, სადაც ვარსკვლავები ბალახობენ, როგორც თეთრი კრავები. განა არსებობს ამქვეყნად რაიმე ამ ორ საძოვარს გარდა. ერთი ბარად განფენილა, მეორე მთად, მათ შორის კი, პატარა, შავ ლაქასავით მოჩანს მწყემსი.

იქნებ არც არაფერი არ არის. იქნება ღამემ უკვე შთანთქა მთები, იქნებ ფეხი აიდგეს მთებმა, თუ რამ ცოცხალი იყო, ყოველივე მოახრჩეს და მხოლოდ ივანეს გულს გაუდის ყრუ ბაგაბუგი ბეწვის უსახელოებოს ქვეშ უკიდეგანო მკვდარ სივრცეებში? სიმარტოვე, ვით კბილის ტკივილი, გულს ულევდა. რაღაც ვეება, მაჯლაჯუნა ხუთავდა — ეს გაქვავებული სიჩუმე, გულგრილი სიმშვიდე,

ეს არყოფნის სიზმარი. მოუთმენლობა საფეთქლებში უკაკუნებდა, ყელში უჭერდა მოუსვენრობა — და, უეცრად გამოფხიზლდა, აძგერდა, კიჟინა დასცა და ყვირილით გავარდა საძოვარზე, რათა ნაგაზების ყეფასთან ერთად საზარელი კივილის გორგლად ქცეულს გაერღვია სიჩუმე, ნამსხვრევებად ექცია ღამე, ვით ქვას შუშა. ოვ-ოვ-ოვ. — პასუხობდნენ გამოფხიზლებული მთები... გა-გა-გა... — იმეორებდნენ შეშფოთებული შორეული მწვერვალები, და ისევ გამრთელდა გატეხილი სიჩუმე. ნაგაზები მობრუნდნენ. ულრენდნენ ივანეს და კუდებს აქიცინებდნენ.

მაგრამ ახლა უფრო მეტის ძალით შემოაწვა სევდა. ინატრა მზე, მდინარის ხალისიანი ჩხრიალი, ქოხის თბილი სურნელი, საუბარი, მწუხარებამ მოიცვა მისი გული, საამო კაეშანმა. მოგონებები მოეძალნენ და ტალღებივით აღელდნენ თვალწინ. და ანაზდად ძახილი მოესმა:

„ივა-ა!“ ვიღაცა ეძახდა. ო! ისევ: „ივა-ა!..“

მარიჩკა? აქ საიდან გაჩნდა? საძოვარზე მოვიდა? ასეთ ღამეში? თუ გზა აებნა და საშველად უხმობს? იქნებ მოეყურა? არა, აქაა მარიჩკა. გულმა ბაგაბუგი დაუწყო, მაგრამ ჯერ კიდევ ყოყმანობდა. საით წავიდე? და მესამეჯერ კვლავ მოესმა საიდანღაც „ივა-ა!..“ მარიჩკა... ისაა... რა თქმა უნდა... ივანე პირდაპირ გაიქცა, გზის განურჩევლად, იქითკენ, საიდანაც ხმა მოესმა, მაგრამ მხოლოდ უფსკრული დახვდა, არც ქვემოთ ჩასვლა შეიძლებოდა, არც უკან, საძოვარზე ამოღწევა. იდგა და შავ უფსკრულს ჩასცქეროდა. მაშინ კი მიხვდა: ტყის ალი დაეძებდა. პირჯვარი გადაისახა, თან შეშინებული უკან-უკან იყურებოდა, სადგომში მიბრუნდა.

კულეშის მოხარშვის დრო იყო. ადუღებულ ქვაბში სიმინდის ფქვილი ჩაყარა, აჭრა და მალე სურნელოვანი ორთქლი კვამლის სუნს შეერია. სარქალი გაიზმორა... თენდებოდა, მაგრამ საძოვარზე ვინღა ეძახდა? იქნებ მართლაც მარიჩკა იყო?

ივანეს ხელმეორედ ეწადა იქაურობისათვის დაეხედა დღის შუქზე. საძოვარში გავიდა. ცივმა ნამმა ქალამნები დაუსველა, ცა შეწითლდა, ვარსკვლავები გაბაცდნენ. ივანემ აიმაღლა — და ანაზდად გაშრა. სად მოვიდა? რა დაემართა? სად გაქრნენ მთები? საძოვარი წყალს დაეფარა, შთაენთქა მწვერვალები, უკიდეგანო ზღვაში ეულად მისცურავდა მწვანე მინდორი. ჩორნოგორიდან ქარმა დაჰქროლა, წყნარად ირხეოდა წყალი, იგრძნობოდა, უჩინარი მზე როგორ იზრდებოდა სიღრმეში და აგერ, ზღვიდან აღჩნდა მთლად ჭაღარა მწვერვალი, ღვარად რომ გადასდიოდა წყალი. იმძლავრა სუსხმა, იმატა ზღვაზე ტალღამ, მწვერვალები კი ერთი-მეორის მიყოლებით ამოიწვერნენ თეთრი ქაფიდან. გეგონებოდა, ახლა გაჩნდაო ქვეყანა, წყალი მწვერვალებს ჩამოსდინდა და ახლა ფეხთაქვეშ ირხეოდა, მზემ გვირგვინი ცად აიტანა და სადაც იყო სახესაც გამოაჩენდა, სადგომიდან კი ბუკის სევდიანმა ხმამ მოატანა და ძილი დაუფრთხო საძოვარს.

ასე გაატარა ცხვარში ზაფხული ივანემ, ვიდრე საძოვარი არ დაცარიელდა, ხეობისაკენ დაადგა გზას საქონელი, პატრონს ჩაბარდა. ჩაჩუმდნენ ბუკები, შემოდგომის ქარი დავიშვიშებდა გადათელილ ბალახს, გეგონება ცხედარს დასტი-

რისო. საძოვარზე მხოლოდ სარქალი და სპუზარი დარჩნენ, ისინი ცეცხლის გაქრობას უნდა დალოდებოდნენ, საძოვრის ცეცხლისას, ღმერთისებრ თავად რომ გაჩნდა და თავადვე უნდა მისძინებოდა. ხოლო როცა ისინიც წავიდნენ, დამწუხრებულ საძოვარზე ათასი ჯურის ავი სული მოეხეტა და საღგომსა და საჩეხებს მოედო, იქნებ რამე დარჩაო.

ამაოდ იჩქაროდა საძოვრიდან მობრუნებას ივანე. აღარ დაუხვდა მარიჩკა ცოცხალი. სწორედ წინადღით წყალს მოეტაცა ჩერემოშაზე გადასვლისას. მოულოდნელად ადიდებულიყო მდინარე, მძვინვარე ტალღებს წაექციათ მარიჩკა, ჩანჩქერში გადაეგდოთ და ხეობისაკენ კლდე-კლდე გაეტაცათ, ხალხი უყურებდა, როგორ აბურთავებდნენ მარიჩკას ტალღები, ესმოდათ იმისი ყვირილი და მუდარა, შველა კი არავის შეეძლო.

ივანეს არა სჯეროდა, რა თქმა უნდა, გუტენიუკების ოინიაო, ფიქრობდა, ალბათ შეიტყვეს ჩვენი სიყვარული და გადამალესო მარიჩკა.

მაგრამ ყოველის მხრიდან ერთი და იგივე რომ ესმოდა, გვამის მოძებნა გადაწყვიტა. სადმე მდინარის ნაპირებთან ხომ უნდა გამოერიყა, სადმე ხომ უნდა ენახა ხალხს. გავეშებული ნაპირ-ნაპირ გაუყვა მდინარეს, სძულდა იმისი განუწყვეტელი ხმაური და დაუცხრომელი სიშმაგე.

ერთ-ერთ სოფელში იპოვა გვამი. უკვე გამოეტანათ ნაპირზე. ივანემ მარიჩკა ვერ იცნო. მარიჩკა კი არა, რაღაც სველი ტომარა ეგდო, ლურჯი, სისხლიანი მასა, მდინარის ქვებს დოლაბის საქნელი ექნათ.

ენით უთქმელმა მწუხარებამ მოიცვა ივანეს გული. უმალ კლდიდან მორევში გადავარდნა იფიქრა: „მეც ჩამყლაპე ბარემ!“ მაგრამ მწუხარების ახალმა ტალღამ მდინარისაგან შორს, მთებში გააგდო. ყურებზე ხელები აიფარა, რომ არ ესმინა მდინარის მუხანათური ხმაური, მისი მარიჩკას უკანასკნელი სუნთქვა რომ შთაენთქა.

* * *

განა ამისთვის ცხოვრობს ქვეყნად გუცული...

ნაგრიგალებ ტყეში დაჭრილი დათვივით უგზო-უკვლოდ ეხეტებოდა და შიმშილიც კი ვერ აიძულებდა სოფელში ჩასვლას. პოულობდა მაყვალს, წითელ მოცვს, ნაკადის წყალს სვამდა და ასე ირჩენდა თავს. მერე დაიკარგა. ალბათ დიდმა მწუხარებამ გადაიყოლაო, ფიქრობდნენ, ქალიშვილებმა კი მათ სიყვარულზე და მარიჩკას სიკვდილზე სიმღერები შეთხზეს და მთებში მიმოფანტეს. ექვსი წელი ისე გავიდა, მისი ამბავი კაცმა არ იცოდა, მეშვიდე წელს კი — უცებ გამოჩნდა. გამხდარი, ჩაშავებული, ასაკთან შედარებით ბევრად უფრო ხნოვანი, მაგრამ დამშვიდებული, დამცხრალი. უნგრეთის მხარეს მწყემსად ვიდექიო, ამბობდა. ერთი წელი კიდევ აღმა-დაღმა იარა, მერე კი დაქორწინდა. ხომ უნდა დაოჯახებულიყო.

დამბაჩების სროლა და საქორწილო ჟრიამული რომ მიწყდა, ხოლო ცოლმა ცხვარ-ძროხა საჩეხეში შერეკა, ივანე კმაყოფილიც კი ჩანდა. პალაგნა შეძლებული გვარის, გულზვიადი, ჯანმრთელი ქალი იყო, ბოხი ხმა ჰქონდა და ჩიყვიანი ყელი. მართალია, მდიდრულად ჩაცმა უყვარდა, და ამბობდნენ კიდეც,

განა ცოტა ფული დაჯდებაო აბრეშუმის თავსაფრები და ძვირფასი ყელსაბამები, მაგრამ საჩეხეში მობაკუნე ბატკნების, ცხვრის ფარის, ტყის საძოვრებზე მობალახე ძროხების შემყურე ივანეს დარდი არაფრისა ჰქონდა.

ივანეს საზრუნავი გაუჩნდა. გამდიდრებას არ ესწრაფოდა — განა ამისთვის ცხოვრობს ქვეყნად გუცული — საქონლის მოვლა-პატრონობა გულს სიხარულით უვსებდა. ვით დედას პირმშო, ისე ერჩია პირუტყვი ყველაფერს. მთელი დრო თივაზე ფიქრსა და საქონელის მსახურებას მიჰქონდა. თვალი უნდა სჭეროდა, პირუტყვი ავად არ გამხდარიყო, ვინმე უკეთურს არ გაეთვალა, ცხვარ-ძროხა ბედნიერად გამრავლებულიყო. ქვეყნად საფრთხეს რა გამოლევდა და საქონელი უნდა დაეცვა ქვეწარმავლისაგან იქნებოდა, ნადირისა თუ ჯადოქრებისაგან — ყველა ცდილობდა გამოეწველა ძროხები, დაეღუპა პირუტყვი. ბევრი რამ უნდა გცოდნოდა: შებოლვა, მისნობა, სამკურნალო ბალახეულის ცნობა, შელოცვა და გამოლოცვა. პალაგნა ეხმარებოდა. კარგი დიასახლისი იყო და ქმრის ყოველდღიურ საზრუნავს ინაწილებდა.

— ეს რა მეზობლები მოგვცა ღმერთმა,—შესჩიოდა პალაგნა ქმარს.—საჩეხეში ხიმა შემოეხეტა, როგორც კი ბატკნებს თვალი გადაავლო, ხელები გაასავსავა: „ო, რა მშვენიერები არიან!“ მაშინვე გულმა რეჩხი მიყო. ზღურბლს არ გადასცდენოდა, ორი ბატკანი ადგილზევე წამოიქცა — იქვე გათავდნენ... აგრემც ღმერთმა სიკეთე არ ანახა, მაგ კუდიანს!..

— მე კი, — უამბობდა ივანე, — ხიმას ქოხს ღამე ჩავუარე და რას ვხედავ — რაღაც ფულის ქისასავით მრგვალი მიგორავს, თანაც ვარსკვლავივით ანათებს. გავჩერდი და თვალი გავადევნე, ის კი ღობეზე გადმოვიდა, სათიბს გამოჰყვა და პირდაპირ ხიმას კარს მიაშურა... დროზე რომ მომეფიქრებინა და შარვალი გამეძრო, იქნებ დამეჭირა კიდეც ვინმე კუდიანი...

მეორე მხარეს, ახლობელ ბორცვზე, იურა სახლობდა. ამბობდნენ, ღმერთის ბადალი კაციაო. ღმერთივით ბრძენი და ყოვლადშემძლე იყო ეს სეტყვის შემლოცველი და ავგული ჯადოსანი. მძლავრი ხელებით ეპყრა ძალნი ცისანი და მიწისანი, სიკვდილი და სიცოცხლე, პირუტყვისა და ადამიანის ჯანმრთელობა. იურასი ეშინოდათ, თუმცა ყველას უჭირდა იმისი თავი.

ივანესაც ბევრჯერ მიუმართავს იურასათვის, მაგრამ ჯადოსნის შავ, მომნუსხველ თვალთა მზერას რომ წააწყდებოდა, შეუმჩნევლად გადააფურთხებდა: აგრემც დაბრმავებულხარო!

ყველაზე მეტად მაინც ხიმა აბეზრებდათ თავს. ნიადაგ სალმიანი, ლაქუცა ბებრუცუნა საღამოობით თეთრ ძაღლად გადაიქცეოდა და ღობე-ღობე დაძრწოდა. ივანეს არაერთხელ უსროლია მისთვის ხან ნაჯახი, ხანაც ფიწალი და გაუგდია.

ჭრელი ძროხა სულ უფრო და უფრო ილეოდა და დღითიდღე ნაკლებს იწველიდა. პალაგნამ კარგად იცოდა, ვისი ხელიც ერია ამ საქმეში. თვალი ეჭირა, შეულოცა, ძროხების დასახედად დღეში რამდენჯერმე გარბოდა, ღამეც კი დგებოდა. ერთხელ ისეთი ყვირილი ატეხა, გადარეულივით გავარდა ივანე საჩეხესაკენ და ის-ის იყო უნდა განეგდო უზარმაზარი გომბეშო, ბოსელში შეძვრომას რომ ლამობდა, მაგრამ ანაზდად გომბეშო გაქრა, ღობიდან კი ხიმას ხმა შემოესმათ:

— საღამო მშვიდობისა, ძვირფასო მეზობლებო... ხე-ხე...

— უსირცხვილო!

რას აღარ სჩადიოდა ეს კუდიანად ქმნილი ბებრუცუნა!

ხან ბინდ-ბუნდში ტყესთან მოფრიალე ქათქათა ტილოდ გარდაიქცეოდა, ხანაც ანკარად და მიწაზე მიცოცავდა, ხან კიდევ გამჭვირვალე გორგლად და ბორცვებზე მიგორავდა. ბოლოს მთვარეს ჩააქრობდა, სიბნელე რომ ყოფილიყო, სანამ ის მეზობლების საქონელს დაივლიდა. ბევრი იფიცებოდა, ჩემი თვალით ვნახე, საპენტელას როგორ წველიდაო: ოთხ პალოს ჩაასობს, ვითომც ძუძუებიაო, და მიდი, რძით გაავსებს საწველელს.

რამდენი საზრუნავი ჰქონდა ივანეს! სხვა რამეზე ფიქრის დრო სად იყო. მეურნეობა დღენიადაგ შრომას მოითხოვდა. პირუტყვის ცხოვრება იმდენად შეერწყა კაცისას, სხვა ფიქრებს ივანესთან აღარაფერი ესაქმებოდათ. მაგრამ დროდადრო, სრულიად მოულოდნელად, როცა მწვანე სათიბებს გაჰხედავდა, სადაც თავდადგმული თივის ზვინები ისვენებდნენ, ანდა ღრმად ჩაფიქრებულ ტყეს თვალს შეავლებდა, სწორედ მაშინ, საიდანღაც დიდიხნის წინათ დავიწყებული ხმა შემოესმოდა:

დღეში ორჯერ გამიხსენე,
გულს მეტი არ უნდა,
მე კი შვიდგზის ყოველ საათს
მოგიგონებ მუდამ...

მაშინ საქმეს თავს დაანებებდა და სადღაც გაუჩინარდებოდა.

გულზვიადი პალაგნა, კვირაში ექვსი დღე შრომას რომ იყო ჩვეული და მხოლოდ დღესასწაულებზე ისვენებდა, ლამაზი ტანსაცმლით თავმომწონე, გაჯავრებული, ქმარს უცნაურობას საყვედურობდა, ივანე კი ბრაზობდა:

— ხმა ჩაიწყვიტე. შენ შენი იცოდე, მე კი ჩემთვის დამაყენე...

ივანე თავადაც ჯავრობდა: „აბა, რისთვის?“ — და დამნაშავესავით ძროხებთან გასწევდა.

პურს ან მარილის ნატეხებს მიუტანდა, მიმნდობი ბღავილით შემოეგებებოდნენ თეთრონა ან ნისლა, თბილ, წითელ ენას გამოჰყოფდნენ და მარილთან ერთად ხელებსაც აულოკავდნენ. ნამჩამდგარი, მოელვარე თვალები ალერსიანად შემოსცქეროდნენ, გატიკნილი ცურებისა და ახალი ნაკელის სურნელი კვლავ აღუდგენდა წარხოცილ სიმშვიდესა და წონასწორობას.

ფარეხში კი ციცქნა, ჩამრგვალებული ცხვრის მთელი ზღვა მოეფინებოდა. ცხვრები და ბატკნები სცნობდნენ პატრონს, მხიარული ბღავილით ფეხებზე ეგლასუნებოდნენ, გაფუმფულებულ ცხვარს ხელს მოუთათუნებდა ან შვილივით აიყვანდა ბატკანს — და იმწამს საძოვართა სიო დაჰქროლებდა, მთებისაკენ ეძახდა. გულს სიმშვიდე და სითბო უვსებდა.

ეს იყო ივანეს სიხარული.

პალაგნა თუ უყვარდა? ამგვარ ფიქრს არასოდეს შეუწუხებია, ის ოჯახის უფროსი იყო, პალაგნა კი — დიასახლისი. თუმცა შვილები არ ჰყავდათ, სამაგიეროდ ჰყავდათ საქონელი — მეტი რაღა უნდოდათ? გვარიანი მეურნეობის წყალობით პალაგნა ფერ-ხორცით აივსო, ივანეს დედასავით ჩიბუხს ეწეოდა, აბრეშუმის მდიდრულ თავსაფრებს ატარებდა, ჩიყვიან ყელზე კი იმდენი ყელსაბამი უბრჭყვიალებდა, ქალები შურით აღარ იყვნენ. ერთად დაიარებოდნენ ხოლმე ქალაქში თუ ხატობაზე.

პალაგნა ცხენს თავად კაზმავდა და წითელ ქალამნებიან ფეხს ისე ამაყად

გაუყრიდა უზანგში, თითქოს გარშემო მთები მთლად მისი საკუთრება ყოფილიყოს. ხატობაზე ათასი ჯურის ხალხი იყრიდა თავს. სვამდნენ ლუდსა და არაყს, შორეულ მთათა ახალ-ახალ ამბებს შეიტყობდნენ. ივანე ყმაწვილ ქალებს ეხვეოდა, პალაგნას სხვა კაცები ჰკოცნიდნენ — დიდი რამე! — და კმაყოფილნი, რომ ასე კარგად გაატარეს დრო, კვლავ უბრუნდებოდნენ ყოველდღიურ საზრუნავს.

მათაც ეწვეოდნენ ხოლმე პატიოსანი მეუურნენი.

— დიდ არს ქრისტე. როგორა გყავთ ჯალაბი, პირუტყვი, ხომ კარგად?

— კარგად არიან, თქვენ როგორღა ხართ?..

მოჩუქურთმებულ მაგიდას მიუსხდებოდნენ ტყაპუჭებით ტანდამძიმებული კაცები და ახალ კულეშასა და ისე ცხარე გუსლიანკას მიირთმევდნენ, რომ ენა ეთუთქებოდათ.

ასე მიდიოდა ცხოვრება.

სადაგ დღეს — შრომა, უქმეს — მისნობა.

შობის წინადღეს ივანეს მუდამ უცნაური განწყობა ეუფლებოდა, რაღაც იდუმალებითა და წმიდით აღვსილი, ისეთი სიდინჯით საქმიანობდა, თითქოს თავად ღმერთს სწირავსო. პალაგნას სავახშმოდ ცეცხლს უნთებდა, თივას ფენდა მაგიდაზე და მაგიდის ქვეშ, და რწმენამოსილი, თან ძროხასავით ბღაოდა, ცხვარივით კიკინებდა და ცხენივით ჭიხვინებდა, ოღონდაც საქონელი გამრავლებულიყო. ქოხსა და ფარეხში საკმეველს აკმევდა, რომ იქაურობისათვის განერიდებინა ნადირი და კუდიანი, ხოლო როცა ფუსფუსით აწითლებული პალაგნა აუწყებდა, თორმეტივე თავი კერძი მზად არისო, ვიდრე თავად მიუჯდებოდა მაგიდას, ჯერ საქონელს გაუტანდა წმინდა ვახშამს. უწინ პირუტყვს უნდა ეგემა ტოლმა, ქლიავი, ლობიო, წანდილი, ასე გულდაგულ რომ მოემზადებინა მისთვის პალაგნას, მაგრამ საქმე ამით როდი მთავრდებოდა. საიდუმლო სერობაზე უნდა მოეხმო ყველა სამტრო ძალა, რომელსაც მთელი სიცოცხლე ერიდებოდა. ცალ ხელში კერძით სავსე ჯამს დაიჭერდა, მეორეში — ნაჯახს და ეზოში გავიდოდა. ცაში ვარსკვლავთა ოქროს წკრიალს აყურადებდნენ თეთრ სვიტკებში გამოწყობილი მწვანე მთები, ყინვა ვერცხლის ხმალს აელვებდა, ჰაერში დანთქმულ ხმებს კვეთდა, ივანე კი ყინვით შებოჭილ უკაცურ სივრცეს ხელებს უწვდენდა და იდუმალ სერობაზე იხმობდა ყველა ჯურის ჯადოქარს, ბოროტ ძალას, ვარსკვლავთმრიცხველებს, ტყეში მობინადრე მგლებსა და დათვებს. უხმობდა ქარიშხალს, შესთხოვდა მოწყალება მოელო, წმინდა ვახშამზე სწვეოდა და ეგემა ნოყიერი კერძები და არაყი, — მაგრამ მოწყალებას არავინ იღებდა, არავინ ჩანდა, თუმცა ივანე თავის თხოვნას სამგზის იმეორებდა. მაშინ ივანე ჯადოს კრავდა, საერთოდ რომ არასოდეს გამოჩენილიყვნენ, — და შვებით ამოისუნთქავდა.

პალაგნა ქოხში ელოდა, ღუმელში მობუბუნე ცეცხლი ჩამცხრალიყო, ნალვერდალიღა ღვიოდა, თივაზე ისვენებდა კერძები, ბნელი კუთხე-კუნჭულებიდან გადმოდიოდა საშობაო სიმშვიდე, შიმშილი კერძებისაკენ ეწეოდათ, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ ბედავდნენ მაგიდასთან დასხდომას.

პალაგნა ქმარს გადახედავდა — ორივე ერთდროულად მოიყრიდა მუხლს და ღმერთს შესთხოვდა, ვახშმად მოეშვა ყველასაგან მივიწყებული და უცნობი სულები. არავინ იხსენებდა უგზო-უკვლოდ დაკარგულებს, ტყის სამუშაოებზე დაღუპულებს, გზებზე დასახიჩრებულებს, წყალში დამხრჩვალებს, მათ

არც ლოგინიდან წამოდგომისას იხსენებდა ვინმე, არც დაწოლისას, არც ვინმე გზად დამდგარი გაიხსენებდა, ისინი კი, საბრალო სულები, შობის წინადღის მოლოდინში, მწუხარედ შთენილიყვნენ ქვესკნელში...

და როცა ასე ლოცულობდნენ, ივანე დარწმუნებული იყო, მის ზურგს უკან მარიჩკა იდგა და ტიროდა, ხოლო ნაადრევად გარდაცვლილთა სულები უჩინრად სხდებოდნენ უზურგო სკამზე.

— ვიდრე დაჯდები, სული შეუბერე! — მოითხოვდა პალაგნა.

მაგრამ ეს ივანემ პალაგნას გარეშეც კარგად იცოდა. სკამზე დასაჯდომ ადგილს სულს გულდაგულ შეუბერავდა, რომ რომელიმე სული არ მიეჭყლიტა, და ვახშმად დაჯდებოდა...

საახალწლოდ საჩეხეში საქონელს თავად ღმერთი ეწვეოდა. მაღალ ცაზე ძალუმად კაშკაშებდნენ ვარსკვლავები, ყინვა გააფთრებით ტკაცუნობდა, ჭალარა ღმერთი კი ფხვიერ თოვლზე ფეხშიშველი მიაბიჯებდა და ფარეხის კარს წყნარად გააღებდა.

ღამით გამოღვიძებული ივანე გარინდდებოდა, მოეყურებოდა, როგორ ეკითხებოდა მშვიდი ხმა პირუტყვს: „აბა, მითხარი, კარგად თუ გივლის, კარგად თუ გაჭმევს და გასმევს შენი პატრონი?“ მხიარულად კიკინებდნენ ცხვრები, მხიარული ბღავილით უპასუხებდნენ ძროხები — პატრონი კარგად, პატიოსნად გვივლის, გვასმევს, გვაჭმევს და დღეს დაგვვარცხნაო კიდეც. ახლა, ალბათ, ბატონი ღმერთი ახალი ნამატით დაასაჩუქრებს.

და ღმერთიც ნამატს არ იშურებდა. ცხვარ-ძროხა ბედნიერად მრავლდებოდა.

პალაგნა ნიადაგ მისნობით იყო დაკავებული, საქონელს კოცონს უნთებდა, ქვეყნიერების დარად რომ ებრწყინა და ლამაზი ყოფილიყო, ავი სული არ გაჰკარებოდა. რაც იცოდა, ყველაფერს აკეთებდა, რომ საქონელი მიწაში გადგმული ფესვივით მშვიდი და წყალუხვი ნაკადულივით დაუშრეტელი ყოფილიყო. ალერსით ეუბნებოდა პირუტყვს:

— შენ უნდა გვასაზრდოო მე და ჩემი პატრონი, მე კი თავს შემოგევლები, მშვიდად რომ იძინო და სატირალი არაფერი გქონდეს, ფუძის ანგელოზმა ვერ შეიტყოს სად გაათიე ღამე, სად იდექი, თვალი ვერავინ დაგადგას...

ასე დიოდა ცხოვრება პირუტყვისა და ადამიანისა და ისე ერწყმოდა ურთიერთს, ვით მთაში ორი წყაროო შეერთდება ხოლმე ერთ ნაკადად.

ხვალ დიდი დღეობაა. თბილმა გიორგიმ ცივ დიმიტრის წაართვა სამყაროს გასაღები, რომ დედამიწაზე ემეფა. გადავლილი წყლები, ზედ რომ დედამიწა დაცურავს, გიორგის მზემდე აღამაღლებენ. გიორგი მოკაზმავს ტყეებსა და სათიბებს. ვით ზაფხულის მიწა ბალახით, ისე დამძიმდება მატყლით ცხვარი, საბალახოები საქონელისაგან დაისვენებენ, ხვავრიელად ამწვანდებიან. ხვალ გაზაფხულია — სიხარულისა და მზის დღე. დღეს კი მთებზე უკვე ცეცხლი ანთია და ლურჯი კვამლი სოჭებს გამჭვირვალე ფარდაში ჰხვევს. ხოლო როცა მზე ჩავიდა, კოცონთ ფერი წარეხოცათ და კვამლი ცას შეერია. ხალისით აბღავლდა საქონელი, ცეცხლ-ნაღვერდალზე გადაატარეს, რომ ზაფხულში ცეცხლის ძალა მისცემოდა, ისე გამრავლებულიყო, ვით ცეცხლისაგან ფერფლი.

გიორგობის წინადღით გვიან წვებოდა ხალხი, თუმცა ადრიანად უნდა წამომდგარიყვნენ.

როგორც კი ინათა, პალაგნას მაშინვე გამოელვიძა. „ადრე ხომ არ არის? — გაიფიქრა ხმამაღლა, მაგრამ უმალ გაახსენდა, რომ დღეობა იყო და სათიბში უნდა გასულიყო. თბილი საბანი გადაიძრო და წამოდგა. ივანეს ჯერ ეძინა, კუთხეში მდგარი ღუმელი შავად ამთქნარებდა, ღუმელქვეშ კი სევდიანად მოსთქვამდა ჭრიჭინა. პალაგნამ პერანგი შეიხსნა, გაიხადა, ერთხანს შუაგულ ქოხში იდგა დედიშობილა, მერე კარისაკენ წავიდა, თან შიშნეულად გადახედავდა ხოლმე ივანეს. კარმა გაიჭრიალა და დილის სუსხი ტანზე მოეფინა. მთებს ჯერაც ეძინათ. ეძინათ ბერებივით კუშტ სოჭის ტყეთ, ღამის მანძილზე გაბაცებულ სათიბებსა და ბურუსში მიმქრალ მთათა ჭალარა წვეტებს. ხეობიდან ცივი ნისლი ზე იწევდა და თეთრ, ბანჯგვლიან თათებს უწვდიდა შავ სოჭებს, ჯერ ისევ მკრთალი ცისქვეშ კი ჩერემოშა ჰყვებოდა სიზმარს.

პალაგნა სველ ბალახზე მიაბიჯებდა და დილის სუსხისაგან ოდნავ აკრჭოლებდა. დარწმუნებული იყო, ვერავინ დაინახავდა, თუნდაც დაენახა ვინმეს, მერედა რა? რაღა თქმა უნდა, დასანანი იქნებოდა, რადგან მისნობა ფუჭად ჩაივლიდა. სხვაზე არაფერზე ფიქრობდა, ჯერ კიდევ ხარებას ჭიანჭველების ბუდეში მარილი, ქადა და ყელსაბამი ჩაფლა, ახლა ყველაფერი უკან უნდა ამოელო. ნელ-ნელა შეეგუა სიგრილეს, პალაგნას მკვრივი ტანი, ჯერ რომ არ ეტარებინა დედობის ტვირთი, თავისუფლად ლ ამაყად მიცურავდა სათიბის ქორფა ბალახში, ისეთი ვარდისფერი და ნორჩი, როგორც გაზაფხულის თბილი წვიმით სავსე მოოქრული ღრუბელი. ბოლოს წიფელთან შედგა, მაგრამ ვიდრე ჭიანჭველების ბუდეს გაჩხრეკდა, ხელები შემართა და გემრიელად გაიზმორა, სახსრები გაატკაცუნა, და ანაზდად იგრძნო, რომ ძალა ელეოდა, ცუდად შეიქნა. ხელები უმწეოდ ჩამოუშვა, გაიხედა და უეცრად შავ, ცეცხლოვან უფსკრულში ჩავარდა. უფსკრულმა ხელ-ფეხი შეუკრა და აღარ უშვებდა.

ღობეს იქით იურა-ჯადოსანი იდგა და პალაგნას შემოსცქეროდა.

ქალს შეყვირება უნდოდა — ვერ შეძლო, უნდოდა მკერდზე ხელები აეფარებინა, ძალა არ ეყო. გაქცევა ეწადა — მაგრამ მიწას ეზრდებოდა. გრძნობამიხდილი, ულონოდ იდგა და ჯიუტად შეჰყურებდა წყვილ ნაკვერჩხალს, ნელ-ნელა რომ აცლიდა ძალ-ღონეს.

ბოლოს ბრაზი მოერია. სულ ამაო გამოდგა მისნობა! თავს ძალა დაატანა, ბრაზი რომ გაელვივებინა და მრისხანედ შეუყვირა:

— რას დაგიჭყეტია ეგ თვალები? ქალი ჯერ არ გინახავს?

ისე რომ თვალი არ მოუშორებია, იურამ კბილები ააელვარა.

— ღმერთმანი, თქვენისთანა ჯერ არ მინახავს.

და ღობეზე გადმოალაჯა.

ქალი ცხადად ხედავდა, როგორ უახლოვდებოდა ის წყვილი ნაკვერჩხალი, ნებისყოფა რომ ფერფლად უქცია, და მაინც იდგა, იდგა და საამოსა თუ შემზარავის მოლოდინში ვერ განძრეულიყო.

იურა უკვე ახლოს იყო. პალაგნა მკაფიოდ არჩევდა კეპტარის მოხატულობას, დაბჩენილ პირს, ელვარე კბილებს... ზეაღმართულ მარჯვენას... იმისი სხეულის მხურვალებაც იგრძნო, პალაგნა ისევ ერთ ადგილზე იდგა.

მხოლოდ მაშინ, როცა იურას რკინის თითებმა მისი ხელი ჩაბღუჯეს და მიიზიდეს, ყვირილით დაუსხლტა და შინისაკენ გაიქცა.

ჯადოსანი იდგა, ნესტოები ებერებოდა და გასცქეროდა, მდინარე ჩერემოშას ტალღებივით როგორ მიირწეოდა ბალახზე პალაგნას თეთრი ტანი.

მერე, როცა პალაგნა გაუჩინარდა, იურამ ღობეს უკანვე გადააბიჯა და სათიბში გუშინდელი კოცონის ფერფლის თესვა განაგრძო, რომ იქ მობალახე ცხვარ-ძროხა უხვად გამრავლებულიყო. თითოეულ ცხვარს ორ-ორი ბატკანი მოეგო...

პალაგნა შინ გულმოსული მიბრუნდა. კიდევ კარგი, ივანეს არ დაუნახავს. ვერაფერს იტყვი, დიდებული მეზობელი მყოლია, აგრემც დამწვარა! სხვა დრო ვერ მონახა... მისნობა გაუცუდდა, მაგრამ ვეღარაფერს გამოასწორებდა. ყოყმანებდა, ეამბნა თუ არა ივანესთვის. წაეკიდებიანო კაცები, ჯადოსანს კი აბა, ერთი სცადე და შეეხე!.. აი, ერთი კარგი სილა უნდა მეჭმია და ყველაფერი ამით დამთავრდებოდა... მაგრამ პალაგნამ იცოდა, იურაზე ხელის შემართვა არ ძალუძდა. მარტო ამის გაფიქრებაზეც კი ტანში სისუსტეს გრძნობდა, ხელ-ფეხი საამოდ ეთენთებოდა.

შავ თვალთა მცხუნვარე მზერისა და ხარბად დაღებული პირიდან მჩენი მოელვარე კბილების გახსენებაზე თავს ისე გრძნობდა, თითქოს მთელ ტანზე აბლაბუდა ეხვია. და იმ დღეს რა საქმისთვისაც არ უნდა მოეკიდა ხელი, ჯადოსნის მზერა თან სდევდა და ხელ-ფეხს უკრავდა.

ორი კვირა ისე გავიდა, პალაგნას ივანესთვის არაფერი უთქვამს. ქმარს კი თვალს ადევნებდა. რაღაცა ხუთავდა ივანეს, ნაღველი ღრღნიდა და სხეულს უძაბუნებდა, რაღაც ბებრული, გაწყალებული ჭიატობდა მის დაღლილ თვალებში. სულ უფრო და უფრო შესაჩნევად ხდებოდა, აღარაფერი ეხალისებოდა. არა, იურა სჯობს. თუკი საყვარელს მოისურვებდა, უცილოდ იურას ამოირჩევდა. მაგრამ პალაგნა ამაყი იყო, ძალით მასთან ვერაფერს გახდებოდი. ესეც რომ არა, ჯადოსანზე გულმოსული იყო.

ერთხელ მდინარესთან შეხვდნენ, პალაგნას წამით მოეჩვენა, ვითომ შიშველი იყო და მთელ ტანზე სიფრიფანა აბლაბუდა შემოეხვია. თითქოს ძილში ჩაესმა:

— როგორ გეძინათ, ტურფა-პალაგნო?

ქალს ენაზე ადგა პასუხი: — „კარგად, თქვენ როგორღა?“ მაგრამ თავი შეიკავა, აიმრიზა, ქედმაღლურად ააღირა თავი და ისე ჩაუარა, თითქოს ვერც კი შეემჩნიოს.

— ჯანზედ როგორა ხართ? — მეორედ შემოესმა კითხვა.

მაგრამ არ მიუხედია.

„უბედურება ახლა ნახე!“ — შიშით გაიფიქრა პალაგნამ და მართლაც, შინ მიბრუნებულს, ივანემ აუწყა, ბატკანი დაგვეღუპაო. მაგრამ გასაკვირი ის იყო, რომ პალაგნას სულაც არ ენაღვლებოდა ბატკანები. ბრაზი მოსდიოდა კიდეც, რომ ივანე ასე თავგადაკლული იყო.

იურა აღარ გადასდგომია პალაგნას გზაზე. მაგრამ ფიქრი კი ხშირად გაურბოდა მისკენ, ხალისით უგდებდა ყურს იურას ძალაზე ჩამოვარდნილ სიტყვას და უკვირდა, რამდენი შეეძლო ამ ვნებიან იურას, პალაგნაზე უკეთესი არავინ რომ არ ენახა! იგი იყო ძლიერი. ძალოვანი, ყველაფერი იცოდა. მის ერთ სიტყვაზე უმალ იღუპებოდა პირუტყვი, ხმებოდა და კვამლივით შავდებოდა ადამიანი; შეეძლო, ვისთვისაც გნებავთ იმისთვის მიევლინა სიკვდილი და ეჩუქებინა სიცოცხლე, ღრუბლები მიმოეფანტა და სეტყვა შეეჩერებინა, შავ თვალთა ცეცხლით მტერი ფერფლად ექცია და ქალის გულში სიყვარული

დაენთო. იგი მიწიერი ღმერთი იყო, ეს იურა, პალაგნა რომ ეწადა, ხელებს უწვდიდა, იმ ხელებს, სამყაროს ძალები რომ ეპყრათ.

დროდადრო ქალს ებრალებოდა პირუტყვიც და ქმარიც, სოჭის რტოებზე წამით შეჩერებულ ფარატინა ფანტელივით რომ დნებოდნენ. სევდამოძალებული სათიბში გავიდოდა, და იქ, წიფლის ქვეშ მდგარს მკერდზე იურას მხურვალე სუნთქვა შემოენთებოდა, იმისი ხელის რკინის თითებს გრძნობდა. და იმ დროს იურა რომ გამოჩენილიყო, უთუოდ დაჰყვებოდა იმის ნებას.

მაგრამ იურა არსად ჩანდა...

პაპანაქება იდგა. იგრეცი აკვამლდა. მიწას ოხშივარი ასდიოდა, ჩორნოგორიდან ღრუბლები მორბოდნენ და მზით გაბრწყინებული წვიმა ასხამდა, ისეთი ოხშივარი იდგა, პალაგნა არაფრისდიდებით არ აძვრებოდა მწვერვალზე, ის სიზმარი რომ არ ენახა, საქონელს რომ ავს უქადდა. ტყეში ძროხებისთვის უნდა დაეხედა, გარშემო ნისლიანი მთები ბოლავდნენ. თითქოს მთის ნაკადები ადუღებულიყვნენ და ბოლქვა-ბოლქვა ასდიოდათ ორთქლი. დაბლა ჩერემოშა გრიალებდა, ხისტ კლდეებზე წოლა მობეზრებოდა და ქვიდან ქვაზე მიხტოდა. პალაგნამ ძლივს მოასწრო მაღლა აძვრომა, რომ ჩორნოგორიდან ქარმა ფრთა მოიქნია და ხეები ააქანა. „ნეტა ქარიშხალი არ ამოვარდებოდეს? — გაიფიქრა პალაგნამ და სახე ქარს მიუბრუნა. — ასე იქნება სწორედ...“ მოლურჯო-მოთეთრო მძიმე ღრუბელი თუხთუხებდა, თითქოს ცად თავად ჩორნოგორა ასულიყო, სადაცაა დედამიწაზე დაეშვებოდა და ყველაფერს მოსპობდა. პალაგნას წინ ქარი გარბოდა და სოჭებს არხევდა, მთები და ხეობები, თითქოს ნახანძრალი ყოფილიყვნენ, უმალ გადაშავდნენ. გზის გაგრძელებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. პალაგნა სოჭქვეშ დაიმალა. სოჭი ჭრიალებდა. შორიდან რბილად მოგორავდა ქუხილი, ჩრდილები გამალებით მიმორბოდნენ მთებზე და ფერს აცლიდნენ, შორეულ მწვერვალებზე მდგარი სოჭები წელში იდრიკებოდნენ. „ნეტა სეტყვა არ მოვიდოდეს, — შიშობდა პალაგნა, თან ბეწვის უსახელოებოს ტანზე იტმასნიდა. ზევით კი უკვე გრგვინავდა. იქ, ჩორნოგორაზე, გაყინულ ტბებზე ჯადოქრები ყინულს ამტვრევდნენ, წამებულთა სულები კი გამალებით ავსებდნენ ტომრებს და ღრუბლებისაკენ მიაქანებდნენ, რომ იქიდან გადმოეყარათ დედამიწაზე. „დაიღუპება სათიბები, ყინულით დაიფარება, და ატირდება მშიერი საქონელი, — მწარედ ფიქრობდა პალაგნა, მაგრამ ფიქრის დამთავრება ვერც მოასწრო, რომ მეხი გავარდა. შეიძრნენ მთები, სოჭებმა მიწას დაჰკრეს კენწეროები, დედამიწა აიწია და ყველაფერი გრიგალისებრ დატრიალდა. პალაგნამ ძლივს მოასწრო ხეს მოსჭიდებოდა. ანაზდად, თითქოს ნისლს მიღმა, თვალი ჰკიდა, როგორ მობობღავდა მთაზე ვიღაც კაცი. ქარს ებრძოდა, ფეხებს კიბოსავით ადგამდა, ქვებს ებღაუჭებოდა და სულ მაღლა და მაღლა მოიწევდა, აგერ, უკვე ახლოსაა, ორად მოიკეცა, გამოიქცა — და ბოლოს, მწვერვალზე დადგა. პალაგნამ იურა იცნო.

„ალბათ მე მომდევდა...“ შეშინდა პალაგნა, მაგრამ იურამ, ეტყობა, ვერ შენიშნა ქალი.

ღრუბელს წინ დაუდგა, ცალი ფეხი წადგა და გულხელი დაიკრიფა. თავი გადაიგდო, ფერმკრთალი სახე ზე აღმართა და ღრუბელს კუშტი მზერა მიაპყრო. ერთხანს ასე იდგა, ღრუბელი კი უახლოვდებოდა. ანაზდად ჭილის ქუდი მოიძრო და მიწაზე დაანარცხა. ქარმა ქუდი უმალ ხეობისაკენ გააქანა, და იურას

გრძელი თმა აიტაცა, მაშინ იურამ ხელში რომ ეჭირა ის ჯოხი, ღრუბელს მოუღერა და სილურჯეში დანთქმულ გუგუნს ასძახა:

— შეჩერდი! მე არ გიშვებ!...



ღრუბელს დასდევდა ქართან მორკინალი...

ღრუბელი მცირე ხნით ჩაფიქრდა და პასუხად ცეცხლოვანი ისარი გამოისროლა.

— ოი! — პალაგნამ თვალებზე ხელები აიფარა, როცა მთები ჩამოიქცა.

მაგრამ იურა კვლავ მტკიცედ იდგა, ქარს აყოლილი კულულები ბუდეში მოკალათებულ უხსენებლებივით ეგრიხებოდა.

— აჰა! ასე ხომ! — შესძახა იურამ ღრუბელს. — მაშინ მე ჯადოს შევკრავ. მე გწყევლით თქვენ, დიდო და მცირე ქუხილო, დიდო და მცირე ღრუბლებო, შენ კი, ავდარო, გიბრძანებ მარცხნივ, ტყეებისა და წყლებისაკენ წახვიდე... გასწი, ქარივით მიმოიფანტე ქვეყნად... დაიმსხვერი და დაიფხვენი, შენი ძალა აქ არ არის...

მაგრამ ღრუბელმა მარტოოდენ ზიზღით დააქნია მარცხენა ფრთა და ხელმარჯვნივ, სათიბებისაკენ იწყო მიქცევა.

— ვაიმე, უბედურებაა ჩვენს თავს, — პალაგნა ხელებს იმტვრევდა, — თივას სულ დაალპობს...

მაგრამ იურა ფარ-ხმალის დაყრას არ ფიქრობდა. მხოლოდ უფრო გაფითრდა, თვალები კუპრივით გაუხდა, როცა ღრუბელი მარჯვნივ მიიქცეოდა, ისიც უკან მისდევდა, ღრუბელი მარცხნივ წავიდოდა და ისიც იქით გარბოდა. ღრუბელს დასდევდა ქართან მორკინალი, ხელებს იქნევდა, ჯოხს უღერებდა. მთაზე ხლაკუდასავით სხმარტალებდა, ღრუბელს შემოტრიალებას აძალებდა, ძალაში ეტოლებოდა, ედავებოდა... აგერ-აგერ, ცოტა კიდევ, ახლა აქეთა მხრიდან... მკერდში მოძალებულ ძალასა გრძნობდა, თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა და ჯადოს ქმნად ხელებს ცად აღაპყრობდა. ქარი ბეწვის უსახელოებოს უფრიალებდა და მკერდში გაავებით სცემდა. ღრუბელი ბუტბუტებდა, წვიმას აშხე-

ფებდა, თვალებს წყლით უვსებდა, ძაგძაგებდა და ჩამოქცევას აღარაფერი აკლდა. ოფლად გაღვრილი იურა კი, სულს ძლივძლივობით იბრუნებდა და მწვერვალზე გაშმაგებული გაჰქროდა, უკანასკნელი ძალების დაკარგვა აშინებდა. გრძნობდა, ღონე ელეოდა, მკერდში სიცარიელე ჩასდგომოდა, ქარი ხმას სტაცებდა, წვიმა თვალებს წყლით უვსებდა, ღრუბელი სადაცაა დასძლევდა, და აქ, უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და ცად შემართა პატარა ჯოხი:

— შესდექ!

და ანაზდად ღრუბელი შედგა. გაკვირვებით ასწია კიდე, ცხენივით ყალყზე შეიმართა, მალული რისხვისა და თვისი უძლურებით სასოწარკვეთილი ათუხთუხდა და შესთხოვა:

— გამიშვი! საით წავიდე?

— არ გაგიშვებ!

— გაუშვი! ვილუპებით! — საცოდავად ყიოდნენ სეტყვის კაკლებით სავსე, მძიმე ტომრებქვეშ დადრეკილი სულები.

— აა! ახლა შენა მთხოვ!.. გწყევლი მე, უცნობელ ადგილას გასწი, უფსკრულში ჩადი, სად ცხენი არ ჭიხვინებს, ძროხა არ ბღავის, ცხვარი არ კიკინებს, ყორნები არ ყრანტალებენ, სად ქრისტიანის ხმა არ გაისმის... იქითკენ გიშვებ...

და საოცრება მოხდა — ღრუბელი დანებდა. მორჩილად მიიქცა ხელმარცხნივ და სეტყვით სავსე ტომრები მდინარესთან გახსნა და იქ ჩასცალა. მთებს თეთრი ფარდა გადაეფარა, ხეობაში კი რაღაც ბობოქრობდა, იმსხვრეოდა, გრუხუნებდა. იურა მიწაზე დაემხო და მძიმედ სუნთქავდა.

ხოლო როცა მზემ ღრუბელი გაფხრიწა და სველმა ბალახმა ანაზდად გაიღიმა, იურა თითქოს ძილში ხედავდა, რომ მისკენ პალაგნა მორბოდა, მზესავით ალერსად დაღვრილი პალაგნა დაიხარა და შეშფოთებულმა ჰკითხა:

— იურა, ძვირფასო, ცუდი ხომ არაფერი შეგემთხვა?

— არაფერი, ტურფა-პალაგნო, არაფერი... შეხე! გრიგალი განვარიდე...

და ქალს ხელები გაუწვდინა...

ასე გახდა პალაგნა იურას საყვარელი.

ივანეს უკვირდა პალაგნასი. მდიდრულად ჩაცმა წინათაც უყვარდა, ახლა კი ველარ ეცნო: საქმის დღეებშიც კი უცნაურად დაქარგულ აბრეშუმის თავსაფრებსა და ოქრომკედით ამოქსოვილ მბზინავ ქვედაკაბებს ეტანებოდა, მონეტებით ასხმული სამკაული ყელს უმძიმებდა. დროდადრო სახლიდან დაიკარგებოდა და გვიან ბრუნდებოდა სახეალეწილი, თმაგაჩეჩილი, ვითომ ნასვამი იყო.

— სად დაეთრევი?! — ბრაზობდა ივანე. — დედაკაცო, ჭკუას მოუხმე!

პალაგნა კი გაიცინებდა.

— ოჰო, გარეთ გასვლასაც მიკრძალავ... ამქვეყნად ყოფნა ჩემს გემოზე მწადია, მეორედ კი აღარ მოვალ...

რაც მართალია, მართალია, ჩვენი სიცოცხლე ხანმოკლეა, — გაიელვებს და ჩაქრება. ივანე თავადაც ასე ფიქრობდა, მაგრამ პალაგნა მეტისმეტი იყო. დღეცისმარე სამიკიტნოში იურა-ჯადოსანთან ერთად სვამდა, საჯაროდ ეხვეოდა და ჰკოცნიდა, არც კი მალავდა, საყვარელი რომ ჰყავდა. განა პალაგნა პირველი იყო! ოდითგან მარტო არავინ დამდგარა.

ყველა პალაგნაზე და იურაზე ლაპარაკობდა, ამ ამბავმა ივანეს ყურამდეც მიაღწია, მაგრამ ივანე გულგრილი დარჩა.

პალაგნა ჰყვაოდა და ილხენდა, ივანე კი წუხდა და ხმებოდა, ძალ-ღონე ელეოდა. ამგვარი ცვლილება თავადაც უკვირდა. რა დაემართა? უძლურება იპყრობდა, დაბნეული, წყლიანი თვალები ღრმად ჩაუცვივდა, სიცოცხლემ გემო დაჰკარგა. აღრინდელ სიხარულს საქონელიც კი აღარ ანიჭებდა. იქნებ ვინმემ გათვალა? პალაგნაზე არ ნაღვლობდა, შეურაცხყოფასაც კი არ გრძნობდა, თუმცა იურას პალაგნას გამო შეება.

ჯავრის ამოსაყრელად კი არა, ხალხის თქმისა არ იყოს, ქმარი იყო და ასე „ეკუთვნოდა“, თან ძმადნაფიცი სემიონი გამოექომაგა, თორემ იქნებ, არც არაფერი მომხდარიყო.

ერთხელ, სამიკიტნოში შეყრისას, სემიონმა იურას სახეში სთხლიშა.

— ჰაი, შე უსაქმურო, პალაგნასთან რა ხელი გაქვს, შენ არა გყავს ცოლი?!

მაშინ ივანეს შერცხვა და იურას მიუხტა.

— შენს გაფიას მიხედე, ჩემსას კი შეეშვი! — და იურას ნაჯახი ზედ ცხვირწინ აუთამაშა.

— ბაზარზე იყიდე! — წამოენთო იურა.

იმისი ნაჯახიც თვალწინ უელავდა ივანეს.

— შე ფუტუროვ, შენა!..

— ჰაი, შე, ყაჩაღო!..

— ეგეც შენ.

ივანემ პირველმა დაჰკრა, პირდაპირ შუბლში, მაგრამ თავპირდასისხლიანებულმა იურამ იმარჯვა და ნაჯახი შუბლის ჯვარში ჩასცხო, სახე და კისერი წითლად შეუღება. ცხელი სისხლის ტალღებმა დააბრმავა მოჩხუბარნი, თვალები ამოუვსო, თუმცა კვლავ ასკდებოდა ნაჯახი ნაჯახს, ჯერაც გააფთრებით სცემდნენ მკერდში ურთიერთს. სიკვდილის ცეკვაში ჩაბმულიყვნენ წითელი ნიღბები და ცხელი სისხლის ოხშივარი ასდიოდათ. იურას უკვე ხელი დაკოდილი ჰქონდა, მაგრამ მარჯვე დარტყმით ანაზდად ივანეს ორად გაუტეხა ნაჯახი. ივანე დაიხარა, სიკვდილს ელოდა, მაგრამ იურამ მყის დაიურვა გააფთრება და მშვენიერი მედიდური მოძრაობით გვერდზე მიაგდო ნაჯახი.

— უიარაღოზე ნაჯახით ვერ მივალ!..

მაშინ კვლავ იპყრეს მოქიშპეებმა ხელთ ნაჯახები.

ძლივძლიობით განარიდეს ურთიერთს. მერედა რა, ივანემ ჭრილობები მოიბანა, სისხლისფრად შეღება ჩერემოშა, და ცხვარს მიაშურა. იქ ჰპოვა თვისი ნუგეშიცა და სიმშვიდეც.

მაგრამ ბრძოლა ამაო გამოდგა. ყველაფერი ძველებურად დარჩა. პალაგნასშინ კვლავ არ უდგებოდა გული, ივანეც ისევ ხმებოდა, კანი ჩაუშავდა და ძვლებზე გადაეჭიმა, თვალებიც უფრო ღრმად ჩაუცვივდა. სულ უფრო მეტის ძალით იპყრობდა ციება, სიფიცხე და მოუსვენრობა, პირის გემოც კი დაკარგა.

„უთუოდ ჯადოსნის საქმეა, — მწარედ ფიქრობდა ივანე. — ჩემს წინაალმდეგ ავი რამ განუზრახავს, სურს ამ ქვეყანას მომაშოროს და მახმობს...“

იყო მკითხავთან. მკითხავი ბევრს ეცადა, უბედურება განერიდებინა, მაგრამ ვერაფერი უშველა. ეტყობა, ჯადოსანი უფრო ძლიერი იყო.

მალე დარწმუნდა კიდეც. ერთხელ, იურას ქოხს რომ ჩაუარა, ანაზდად პალაგნას ხმა შემოესმა. ნუთუ პალაგნაა? ივანეს სუნთქვა შეეკრა.

გულზე ხელი მიიჭირა და ჭიშკარს ყურით მიეკრა, არ შემცდარა, იქ იყო

პალაგნა. ეზოში შესახედად ჭუჭრუტანას დაუწყო ძებნა, ღობის გასწვრივ უხმაუროდ ინაცვლებდა ადგილს. ბოლოს იპოვა კიდეც ღობეში ხვრელი, და პალაგნა და ჯადოსანი დაინახა. წელში მოხრილ იურას პალაგნას წინ თიხის თოჯინა ეკავა და თავით ფეხებამდე თითებს სცემდა.

— პალოს ვარჭობ აქ, — თვალბედითად ჩურჩულებდა, — უხმება ხელფეხი. სტანჯავს მუცელი; ჭამა აღარ შეუძლია...

— თავში რომ ჩაგესო? — ცნობისმოყვარეობით ეკითხებოდა პალაგნა.

— მაშინ იმწამსვე დაიღუპებოდა...

მათ ხომ ივანეს წინააღმდეგ შეკრეს პირი.

ამის შეგნებამ ივანეს გონება მოუნისლა. აი, ღობეს გადაახტეს და ორივე ადგილზევე მოჰკლას. ივანემ ნაჯახი ჩაბღუჯა, ღობე თვალით მოზომა, მაგრამ უეცრად დაცხრა... უძლურებამ და გულგრილობამ კვლავ შეიპყრო იმისი სხეული. რატომ? რისთვის? ეტყობა, ასეთი ბედი ჰქონია. ანაზდად შეამცივნა, ულონოდ დაუშვა ნაჯახი და იქაურობას გაეცალა. მიაბიჯებდა განადგურებული, ფეხქვეშ მიწას ვერ გრძნობდა, ბილიკი დაჰკარგვოდა.

საით მიდიოდა? არც კი ახსოვდა, უმიზნოდ დაეხეტებოდა, მთებზე მიბობღავდა, ჩამოდიოდა და ისევ ადიოდა, მიდიოდა საითაც ფეხებს მიჰყავდა. ბოლოს შენიშნა, მდინარის პირზე ჩამომჯდარიყო, აბიბინებულ მთათა მწვანე სისხლი მის ფერხთით ჩუხჩუხებდა და ხმაურობდა. ის კი უაზროდ გასცქეროდა მდინარის დაჩქერს, ვიდრე ბოლოს გადაღლილი გონება პირველმა საღმა ფიქრმა არ გაუნათა. აქ ოდესღაც მარიჩკა დადიოდა. აქედან მოიტაცა წყალმა. და მოგონებებმა თავისით, ერთი-მეორის მიყოლებით იწყეს დენა, დაცარიელებულ გულს უვსებდნენ. იგი კვლავ ხედავდა მარიჩკას, იმის სანუკვარ სახეს, საჩინოიყო მისი უბრალო და საამური ალერსი. ესმოდა იმისი ხმა, სიმღერები: „დღეში ორჯერ გამიხსენე, გულს მეტი არ უნდა, მე კი შვიდგზის ყოველ საათს, მოგიგონებ მუდამ...“ რა ხანია განქარდა ყოველი. განქარდა და არც არასოდეს მობრუნდება, როგორც არ დაბრუნდება წყალს გაყოლილი მდინარის ქაფი. ოდესღაც მარიჩკა, ახლა კი ის... მისი ვარსკვლავიც ძლივსღა იმაგრებს ზეცაში თავს, სადაცაა ჩამოგორდება. ნუთუ ესაა ჩვენი სიცოცხლე? ერთი გაელვება, ალუბლის ყვავილობა... მყიფე და ხანმოკლე.

მზე მთებს იქით მიიმალა, საღამოხანის ჩრდილდაფენილი გუცულური ქოხები აკვამლდნენ. ლურჯი ბოლი სახურავების ჭუჭრუტანებში მიიზლაზნებოდა და მთათა სიმწვანეზე უზარმაზარი ცისფერი ყვავილებივით მიმობნეულ ქოხებს ერთიანად ბურავდა.

* * *

ახლა უკვე საუკუნოდ ვართ დაწყვილებულნი...

გულს მწუხარება უვსებდა, სული უკეთესზე ნაღვლობდა, თუმცა უცნობ, მაგრამ სხვა, მშვენიერ სამყაროთ ელტვოდა, სადაც დასვენებას შესძლებდა.

ხოლო როცა ღამემ იძალა და შავი მთები, ვით ურჩხულის ავი თვალები, მარტოხელა სოფლების შუქით აციმციმდნენ, ივანე მიხვდა, მტრები უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ და ბრძოლაში ძლეულ იქნა.

ივანე გამოერკვა.

— ადექი, — აღვიძებდა მარიჩკა. — ადექი და გამომყევი.

ივანემ შეხედა და სულაც არ გაჰკვირვებია. პირიქით, რა ხანია ელოდა. წამოდგა და გაჰყვა.

მდუმარედ შეუყვნენ მთას. და თუმცა უკვე ღამე იყო, ვარსკვლავთა შუქზე ნათლად ხედავდა მარიჩკას სახეს. სათიბისა და ტყის გამმიჯვნელ ლობეზე გადაძვრნენ და სოჭების ტევრში შედგეს ფეხი.

— აგრე რამ ჩამოგახმო? ავად ხომ არა ხარ? — ჰკითხა მარიჩკამ.

— შენმა დარდმა, სულიკო... შენზე ვწუხდი... — თავს ისე კარგად გრძნობდა, არც უკითხავს, საით მიდიოდნენ.

—გახსოვს, ჩემო ივანკო, ჩვენი შეხვედრები ამ ტყეში: შენ სალამურს უკრავდი, მე კი ხელებს ყელზე შემოგაჭდობდი და საყვარელ კულულებს გიკოცნიდი?

— ეჰ, მახსოვს, მარიჩკა, არც არასოდეს დამავიწყდება...

ივანე ხედავდა მარიჩკას, თანაც ჰკვიროობდა, კარგად იცოდა, ეს მარიჩკა კი არა, ალი იყო. მხარდამხარ მიჰყვებოდა და მისი წინ გაშვებისა ეშინოდა, არ სურდა დანახვა ზურგზე პირდაღებული სისხლიანი ღრმულისა, საიდანაც გული, საშო და მთელი შიგნეული მოუჩანდა. სწორედ ისე, როგორც ეს ალებს აქვთ ხოლმე. როცა საცალფეხო ბილიკებზე გავლა უწევდათ, ეკვროდა ქალწულს, ოღონდ ერთად ევლოთ, ოღონდ უკან არ ჩამორჩენოდა, და გრძნობდა მისი სხეულის სითბოს.

— დიდი ხანია, მინდა გკითხო; რად შემომკარი სახეში ხელი? აი, მაშინ, გახსოვს, ჩვენები რომ ჩხუბობდნენ, მე საზიდართან ვიდექი და სისხლის დანახვაზე კანკალმა ამიტანა...

— მერე შენ გაიქეცი, მე ბაფთები მდინარეში გადაგიყარე, შენ კი კანფეტი გამიყავი...

— მე მაშინვე შემიყვარდი, ივანკო...

შავი სოჭები კეთილად იწვდიდნენ ბანჯგვლიან თათებს, თითქოს ილოცებიანო, გარეშემო მკაცრი, გულჩახვეული სიჩუმე სუფევდა, და მხოლოდ ხეობაში გრიალ-გრიალით იმსხვრეოდა ქაფმორეული თავნება ნაკადი.

— ერთხელ, შეშინება მოგინდომე და დაგემალე. გვიმრნარში შევიყუჟე, ხავსში წავწექი და გავისუსე. შენ მეძახდი, დამეძებდი, ცოტაც და ატირდებოდი, მე კი ვიწექი და სიცილს ძლივს ვიკავებდი. ბოლოს, როცა მიპოვე, რა ჩაიდინე, გახსოვს?..

— ხა-ხა!

— ჰაი!.. შე უსირცხვილო...

მარიჩკამ ტუჩები საყვარლად აბზიკა და ეშმაკურად გამოხედა.

— ხა-ხა! — იცინოდა ივანე.

— ხა-ხა! — იცინოდა ერთურთს ჩაკონებული ქალ-ვაჟი.

მარიჩკამ ბავშვობის ყველა თავშესაქცევარი გაახსენა, ცივ ნაკადებში ჭყუმპალაობა, ხუმრობები და სიმღერები, შიში და სიხარული, ვნებიანი ხვევნა-კოცნა და განშორების სევდა. ყველა ის სანუკვარი წვრილმანი, ორთავ გულს რომ ათბობდა.

— ამდენ ხანს საძოვარზე რად დარჩი, ივანკო? იქ რას აკეთებდი?

ივანეს სურდა ეთქვა, მარიჩკას ხმით როგორ ეძახდა საძოვარზე ალი, მაგრამ ამის გახსენებაც არ უნდოდა. ცნობიერება გაუორდა, მარიჩკას სიახლოვეს

გრძნობდა, თან იცოდა, მარიჩკა ამქვეყნად აღარ იყო და ვიღაც უცხოს მიჰყავდა იგი უფსკრულისაკენ, მთათა უკაცრიელ მწვერვალებისკენ, დასაღუპად მიჰყავდა. და მაინც ხალისით მისდევდა ქალწულის სიცილს, ამო ჟღურტულსა და უწინდელივით ბედნიერსა და გალაღებულს აღარაფრისა ეშინოდა.

ყველა საზრუნავი და საწუხარი, შიში სიკვდილისა, პალაგნა და ავგული ჯადოსანი — ყოველივე სადღაც გაუჩინარდა, განქარდა, თითქოს ამგვარი რამ არასოდეს ყოფილიყოს. შეუჭირვებელი სიყმაწვილე და სიხარული კვლავ დატარებდა ამ უკაცრიელ მწვერვალებზე, ისეთ მკვდარ და მიქვათაყურებულ ადგილებში, რომ ტყეთა ჩურჩულსაც კი ვერ გაეძლო იქ და ნაკადთა გრიალს ადევნებული ხეობისაკენ ისწრაფვოდა.

— შენს ლოდინში თვალები დამაწყდა. ერთი სული მქონდა, საძოვრიდან როდის მობრუნდებოდი, არ ვჭამდი, არ მეძინა, სიმღერებიც დამეფანტა, აღარც გათენება მიხაროდა... სანამ ერთად ვიყავით, გამხმარი მუხებიც ჰყვაოდნენ, დავშორდით და ნორჩებიც ჩამოხმნენ...

— მაგას ნუ ამბობ, მარიჩკო, ნუ, საყვარელო... ახლა უკვე საუკუნოდ ვართ დაწყვილებულნი...

— საუკუნოდ? ხა-ხა...

ივანე შეკრთა და წამოდგა. გესლიანმა სიცილმა გული გაუგმირა. უნდოდ შეაცქერდა ქალწულს.

— მარიჩკო, იცინი?

— რას ამბობ, ივანკო! მე არ გამიცინია, მოგეჩვენა. უკვე დაიღალე? სიარული გიჭირს? ცოტა კიდევ გავიაროთ, წამო!..

მარიჩკა ეველრებოდა და ივანემ გზა განაგრძო. ქალწულს მხარდამხარ მიჰყვებოდა, ერთიღა ეწადა — ასე ევლო, უკან არ ჩამორჩენილიყო და არ დაენახა, რომ მარიჩკას ტანისამოსის მაგიერ, ზურგის მაგიერ... არა... ამაზე ფიქრიც კი არ უნდოდა.

ტყე გახშირდა, დამპალ ხეთა შმორის სუნი, ტყის სასაფლაოს სუნი ტევრიდან აღწევდა, იქ ლპებოდნენ მკვდარი სოჭები და იქ ბუდობდნენ შხამიანი სოკოები — სოკოშხამა და ღვინო. ლიპი ხავსით მოგებულ უზარმაზარ ქვებს სიცივე ჩასდგომოდათ, სოჭის ხეთა შიშველ ფესვებს დაეხლართათ ხმელი წიწვის ხალიჩაფენილი ბილიკები.

ტყიან მწვერვალთა პირქუშსა და ზვიად სიმაღლეს მიელტვოდა ქალვაჟი.

მდელოზე გავიდნენ. იქ მეტი იყო ნათელი, თითქოს სოჭებს უკან ჩამოეტოვებინათ ღამეული წყვდიადი.

ანაზდად მარიჩკა შეკრთა, კისერი წაიგრძელა, მიაყურადა. ივანემ შენიშნა, როგორ გადაურბინა სახეზე შიშმა, წარბები აუზიდა. რა მოხდა? მაგრამ მარიჩკამ კითხვა მოუთმენლად გააწყვეტინა, ტუჩებზე თითი მიიდო, ჩუმად იყავიო, ანიშნა და გაუჩინარდა. ყოველივე იმდენად მოულოდნელად და უცნაურად მოხდა, ივანემ გონს მოსვლაც კი ვერ მოასწრო.

რამ შეაშინა მარიჩკა, საით ან რად გაიქცა? ივანე ერთხანს იმავე ადგილას დარჩა, ეგონა, მალე მობრუნდებაო მარიჩკა, მაგრამ დიდხანს რომ აღარ გამოჩნდა, ხმადაბლა დაუძახა:

— მარიჩკო!..

სოჭის რტოთა ლბილმა საბურველმა შთანთქა ის ძახილი და კვლავ სიჩუმე ჩამოდგა.

ივანე აფორიაქდა. მარიჩკას მოძებნა ეწადა, არკი იცოდა, საით წასულიყო, რადგან ვერ შენიშნა, რომელ მხარეს მიიმალა. ვაითუ ტყეში გზა აებნეს ან უფსკრულში გადაიჩეხოს. კოცონი ხომ არ დაანთოს? მარიჩკა ცეცხლს შენიშნავს და იოლად გამოიკვლევს გზას.

ივანემ გამხმარი ტოტები მოზიდა და ცეცხლი შეუნთო. კოცონმა ერთხანს იტკაცუნა და აკვამლდა. ხოლო როცა კვამლი ცეცხლს თავს მოექცა და დაიკლაკნა, სოჭის ხეთა ბანჯგვლიანი ჩრდილებიც აწრიალდნენ და მდელო ააჟრიამულეს.

ივანე კუნძზე ჩამოჯდა და მიმოიხედა. მდელო დამპალი ხეებით იყო სავსე, ეკლიან ბადედ განფენილიყვნენ წვეტიანი ტოტები, აქა-იქ გარეული ჟოლო ჭიატობდა. სოჭებს ძირა, გამხმარი ტოტები ჟღალი წვერივით დაჰკონწიალებდნენ.

ივანეს სევდა მოუბრუნდა. კვლავ მარტო იყო. მარიჩკა არსად ჩანდა. ჩიბუხი გამართა და, დრო რომ მოეკლა, ცეცხლს შეჰყურებდა. ბოლოს და ბოლოს ხომ მოვიდოდა მარიჩკა. ეჩვენებოდა კიდეც, მარიჩკას ნაბიჯების ხმა და მის ფეხთაქვეშ ტოტების ტკაცატკუცი მესმისო. ჰოი! როგორც იქნა... ივანეს უნდოდა წამომდგარიყო და შესახვედრად გასულიყო, მაგრამ ვერ მოასწრო.

ხმელი ტოტები გადაიწია და ტყიდან ვიღაც კაცი გამოვიდა.

ტანთ არა ემოსა. შიშველ სხეულს რბილი, მუქი ფერის თმა უფარავდა, მრგვალ, კეთილ თვალებს უჩარჩოებდა და ნიკაპთან სოლივით ჩამოშვეროდა. ბანჯგვლიანი ხელები ვეება მუცელზე დაიწყო და ივანეს მიუახლოვდა.

მაშინ კი იცნო მხიარული ჩუგაისტერი, ტყის კეთილი სული, ადამიანთა დამცველი და ალების ულმობელი მტერი: დაიჭერდა ალს და შუაზე გაგლეჯდა.

ჩუგაისტერმა გულთბილად გაიღიმა, ივანეს თვალი ეშმაკურად ჩაუკრა და ჰკითხა:

— საით გაიქცა?

— ვინა?

— ალი.

„მარიჩკაზე ამბობს, — ელდა ეცა ივანეს და გულმა ბაგაბუგი დაუწყო: — აი, თურმე რად გაიქცა!..“

— არ ვიცი... არ დამინახავს, — გულგრილად მიუგო და მიიპატიჟა ჩუგაისტერი:

— ჩამოჯექი!

ჩუგაისტერი კუნძზე ჩამოჯდა, გამხმარი ფოთლები ჩამოიფერთხა და ფეხები ცეცხლს მიუშვირა.

ორივენი დუმდნენ. ტყის კაცი ცეცხლს ეფიცხებოდა და მრგვალ მუცელს ისრესდა, ივანე კი დაჟინებით ფიქრობდა, როგორ დაეყოვნებინა ჩუგაისტერი, რომ მარიჩკას მოესწრო და იმ არემარეს გასცლოდა.

ჩუგაისტერი თავად მიეხმარა.

თვალი ეშმაკურად ჩაუკრა და სთხოვა:

— ხომ არ მეცეკვები?

— რატომაც არა! — წამოხტა გახარებული ივანე.

ცეცხლს წიწვი მიაყარა, ქალამნებზე დაიხედა, პერანგი გადაიძრო და საცეკვაოდ გაემზადა.

ჩუგაისტერმა ბანჯგვლიანი ხელები წელზე შემოიდგა და ცოტა წაუცეკვა კიდეც.

— აბა, დაიწყე!

რა გაეწყობა, თუ ცეკვაა, ცეკვა იყოს!

ივანემ ფეხი წინ წადგა, ტანი შეარხია და ლაღი გუცულური ცეკვა დაიწყო. ჩუგაისტერი სასაცილოდ იგრიხებოდა, თვალებს ნაბავდა, ტუჩებს აწკლაპუნებდა, მუცელს არხევდა და მოუქნელ ფეხებს დათვივით ერთ ადგილზე აბაგუნებდა, ბუქნავდა. ეტყობა, ნელ-ნელა ეშხში შედიოდა.

უფრო მაღლა-მაღლა ხტოდა, მეტი მონდომებით ბუქნავდა, თან მხიარული ბურდღუნით თავს იმხნევებდა და საბერველივით ქშინავდა. ქუთუთოებზე ოფლის წვეთები დაასხდა, შუბლიდან პირისაკენ ღვარად ჩამოსდიოდა ოფლი, ცხენივით გაქაფულს იღლიები და მუცელი უბზინავდა. სულ გადაირია ჩუგაისტერი.

— ჰაიდუკ, ერთი! კიდევ ერთი! — გაიძახოდა და ფეხებს მიწას უბაგუნებდა.

— ჰეი, დაფეხვილი!.. ჰეი, ბრუციანი!..—აცხარებდა ივანე. — ჰო-ჰო!.. თუ ცეკვაა, ცეკვა იყოს!

— ეგრე იყოს, — ტაშს უკრავდა ჩუგაისტერი, ბუქნავდა და ტარაბუას უვლიდა.

— ხა-ხა-ხა! — ბარძაყებზე ხელებს იცემდა ივანე.

ნუთუ კიდევ შეუძლია ცეკვა!

კოცონი მხიარულად გიზგიზებდა და აქეთ-იქით დაარბენინებდა მოცეკვავეთა ჩრდილებს, გაჩახჩახებულ მდელოზე რომ ბუქნავდნენ და იგრიხებოდნენ.

ჩუგაისტერს ძალა ელეოდა, წარამარა მიჰქონდა შუბლთან ფრჩხილებში ჭუჭყჩამკვდარი თითები და ოფლს იწმენდდა. ახლა აღარ ხტოდა, ერთ ადგილზე იდგა და ბანჯგვლიან ტანს არხევდა.

— იქნება კმარა? — ჩუგაისტერს სული ეხუთებოდა.

— ეი, არა... ცოტა კიდევ.

ივანე თავადაც ფეხზე ძლივს იდგა, გაოფლიანდა, სულმთლად სველი იყო, ფეხები სტეხდა და ძლივძლივობით ითქვამდა სულს.

—ახლა მე დავუკრავ, შენ იცეკვე, — ივანემ ჩუგაისტერი წაახალისა და სარტყელიდან სალამური ამოიძრო, — შენ ამგვარი ჯერ არაფერი გსმენია, ძმაო...

ივანემ ტყეში ეშმაკისაგან გაგონილი სიმღერა დაუკრა: „აი, ჩემი თხები... აი, ჩემი თხები!..“ — სიმღერის ჰანგებით გამოცოცხლებული ჩუგაისტერი კვლავ მაღლა-მაღლა ისროდა ფეხებს, სიამოვნებისაგან თვალები მინაბა, ეტყობოდა, დაღლილობა გადავიწყნოდა.

ახლა მარიჩკას შეეძლო გულმშვიდად ყოფილიყო.

„გაიქეცი, მარიჩკო... ნუ გეშინია, საყვარელო... შენი მოძულე ცეკვავს“, — მღეროდა სალამური.

ჩუგაისტერს ბალანი ტანზე მიეწეპა, თითქოს ეს-ესაა წყლიდან ამოვიდაო, მეტისმეტი სიამოვნებისაგან პირდაბჩენილს დორბლი ნაკადად სდიოდა, ცეცხლის შუქზე ერთიანად ბზინავდა, ივანე კი მხიარული სიმღერით უფრო აცხა-

რებდა და, ვითომც გონდაკარგული და ლონემიხდილი, ქვიან მდელოს ლონივრად სცემდა ქალამნებგაცვენილ შიშველ ფეხებს.

— ჰაიდუკ, ერთი! კიდევ ერთი! — გაიძახოდა და ფეხებს მიწას უბაგუნებდა.

ბოლოს ჩუგაისტერს ილაჯი გაუწყდა:

— მეტი აღარ შემიძლია...

ბალახზე დაეცა და მძიმე-მძიმედ სუნთქავდა, თვალები მოხუჭა. ივანეც ჩუგაისტერის გვერდით გაგორდა მიწაზე. ორივე ძლივს ითქვამდა სულს. ბოლოს ჩუგაისტერმა ხმადაბლა ჩაიხითხითა:

— დღეს კარგა გვარიანად ვიცეკვე...

მრგვალი მუცელი კმაყოფილებით მოისრისა, ახვნეშდა, მკერდზე თმა მოისწორა და წასასვლელად გაემზადა...

— ცეკვისთვის დიდად მადლობელი ვარ...

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

— ბედნიერად.

ხმელი ტოტები მისწი-მოსწია და ტყეს შეერია.

მდელოს ისევ მოეძალა წყვდიადი და სიკრთოდა.

ჩუმე. ბნელში კოცონის ეული წითელი თვალიღა ნეტა მარიჩკა სად წავიდა?

ივანეს კიდევ ბევრი რამ ჰქონდა სათქმელი, დაუოკებელ წყურვილს გრძნობდა, მარიჩკასთვის მთელი თავისი ცხოვრება ეამბნა, ეთქვა, როგორ უჭირდა უმისოდ, მოეთხრო უსიხარულო დღეებზე, მოძულეთა შორის მარტოდ ყოფნაზე, უბედო ქორწინებაზე... მაგრამ სადაა მარიჩკა? საით წავიდა? იქნებ ხელმარცხნივ? ასე ეგონა, უკანასკნელად სწორედ იმ მხარეს დალანდა იგი.

ივანე გზას მარცხნივ დაადგა. იქით დაბურული ტყე იყო, სოჭები ისე ახლოახლო იდგნენ, გაძვრომა ჭირდა. ქვედა, გამხმარი ტოტები სახეს უკაწრავდა. მაინც არაფერს ეპუებოდა. მრუმე სიბნელეში მიეხეტებოდა, ბორძიკობდა და სოჭებს მალი-მალ აწყდებოდა. დროდადრო ვიღაცის ძახილი მოესმოდა. შედგებოდა, სუნთქვას შეჰკრავდა და მიაყურებდა, მაგრამ ტყე ისეთ სამარისე-

ბურ სიჩუმეს მოეპირთავებინა შრიალი ხმელი ტოტებისა, უნებურად მხარს რომ გაჰკრავდა, ერთიათად ხმიანდებოდა და ტყეში ნაჯახით გადაჭრილ ხეთა ჭრიალად ეჩვენებოდა. ივანეს ხელები წინ გაეშვირა და ისე მიიკვლევდა გზას იმ ბრმასავით, ჰაერს რომ ებლაუჭება, რაიმეს არ გადავაწყდეო.

უეცრად ივანეს სმენას ჩუმი, ძლივს გასაგონი სუნთქვა მისწვდა; ხმა საიდანღაც მოისმოდა, რომელიღაც სიღრმიდან ამორბოდა, თითქოსდა ზღვად დამდგარ წიწვებში მოიკვლევდა გზას.

მარიჩკას იქ ძებნას აზრი არა ჰქონდა.

უკან უნდა დაბრუნებულიყო. ივანე ჩქარობდა, სოჭებს მუხლის თავებით აწყდებოდა, ტოტებს აქეთ-იქით სწევდა და თვალებს ხუჭავდა, წიწვებზე რომ არ დაეთხარა. ღამე თითქოს ფეხებში ეჭიდებოდა და არ უშვებდა. ივანე კი თან მიათრევდა წყვდიადს და მკერდით მიაპობდა. კარგა ხანი იყო დაეხეტებოდა, მაგრამ მდელო ვერა და ველარ ეპოვა, ფერხთით მიწა ეცლებოდა. წინ ეღობებოდა დიდრონი ქვები, გვერდს უვლიდა და ყოველი შემოვლის დროს ლიპ ხავსზე ფეხი უცურავდა, მჭიდე ფესვებზე ბორძიკობდა და, რომ არ მომწყდარიყო, ბალახს ეჭიდებოდა.

და უფსკრულიდან კვლავ მოესმა ტყით დახშული სუსტი ძახილი:

— ივა-ა!..

ივანეს გაპასუხება ეწადა, მაგრამ ვერ გაბედა, ვაითუ ჩუგაისტერმა გაიგონოსო.

ახლა უკვე იცოდა, სად ეძებნა მარიჩკა. ხელმარცხნივ უნდა წასულიყო და მერე ქვევით დაშვებულიყო. მაგრამ ის ადგილი კიდევ უფრო ციცაბო იყო და გაუკვირდა, როგორ შეიძლოო მარიჩკამ ჩასვლა.

ფეხქვეშ ეცლებოდა წვრილ-წვრილი ქვები და მრუმე სიღრმეში ყრუ ბუზღუნით ცვიოდა. მაგრამ მოხერხებულსა და მთას შეჩვეულ ივანეს შეეძლო ხრამის კიდეზე გაჩერება, მერე ფრთხილად კვლავ ეძებდა საყრდენს. მერე და მერე უფრო ძნელად სავალი იყო დამრეცი. ერთხელაც, ცოტა დარჩა, არ მოსწყდა, მაგრამ ბედად კლდის წანაშვერს მოეჭიდა და ხელებზე დაეკიდა. ძირს რა ელოდა, არ იცოდა, მაგრამ სუსხსა და ავისმომასწავებელ სუნთქვას კი გრძნობდა უფსკრულისას, მის შთანსათქმელად რომ დაეღო გაუმაძღარი ხახა.

— ივა-ა!.. — სადღაც უფსკრულში კვნესოდა მარიჩკა და სიყვარულისა და ტანჯვისა იყო ის ხმა.

— მოვდივარ, მარიჩკო! — ივანეს მკერდში უცემდა პასუხი, მაგრამ ხმას ამოფრენისა ეშინოდა.

უკვე გადაავიწყდა, რომ სიფრთხილე მართებდა. ქვიდან ქვაზე გარეული თხის სიმარდით მიხტოდა, სულს ძლივს იბრუნებდა, ხელ-ფეხიდან სისხლი სდიოდა, მკერდით ციცაბო კლდეს აწყდებოდა, წამისწამ ფეხქვეშ მიწა ეცლებოდა და სურვილის ცხელი ბურუსით შეპყრობილი ხეობისაკენ მიგორავდა. ერთიღა ესმოდა, როგორ აჩქარებდა სანუკვარი ხმა:

— ივა-ა!..

— აქა ვარ! — იყვირა ივანემ და ანაზდად იგრძნო, რომ უფსკრულმა წარიტაცა, კისერში სწვდა, გადადრიკა. ჰაერს ებლაუჭებოდა, ადგილიდან დაძრულ ქვებს ფეხებით იჭერდა და გრძნობდა, ძირს მიექანებოდა. სხეულში სიცივე და საოცარი სიცარიელე ჩასდგომოდა. შავმა, მძიმე მთამ სოჭებს ფრთები შეუსწო-

რა და თვალის დახამხამებაში ფრინველივით ცად აიჭრა. მძაფრმა სასიკვდილო ცნობისწადილმა ივანეს ტვინი დაუწვა; რას მივარტყი თავი? კიდევ იგრძნო ძვლების ტკაცანი და მწვავე, აუტანელი ტკივილი, სხეული რომ ერთიანად დაუკრუნჩხა — და ანაზდად ყოველივე გაიქნა ალისფერ ცეცხლში, მისი სიცოცხლე რომ ჩაფერფლა.

მეორე დღეს მწყემსებმა იპოვეს ცოცხალ-მკვდარი ივანე.

ბუკი მწუხარედ ამცნობდა მთებს სიკვდილის ამბავს.

რამეთუ აქ სიკვდილს თავისი ენა აქვს და ამ ენაზე ეხმიანება მარტოხელა ქაჩალ მთებს. ცხენები ჩლიქებს სცემდნენ ქვიან ბილიკებს. ღამეულ წყვდიადში ქალამნების შრიალი ისმოდა. მთებში მიკარგული ბუნაგებიდან გვიანობამდე მოკიაფე სინათლისაკენ მიიჩქაროდნენ მეზობლები. ცხედრის წინაშე მუხლს იყრიდნენ, მიცვალებულს სულის შესანდობად მკერდზე ფულს უწყობდნენ და უხმოდ სხდებოდნენ უზურგო სკამებზე ჭაღარა ბერიკაცები და ცეცხლისფერთავსაფრიანი ქალები, ატმისფრად შეფაკლული გოგოები და ნაოჭებით დაღარული, ცვილისფერი დედაბრები.

სამგლოვიარო სანთელთა შუქი ერთნაირი ჩრდილების ბადეს ქსოვდა მიცვალებულისა და ცოცხალთა სახეებზე. შეძლებულ მეურნეთა ცოლებს ჩიყვები უცახცახებდათ, მშვიდად უელავდათ თვალები ბერიკაცებს, სიკვდილს ეკრძალებოდნენ.

ბრძნული სიმშვიდე აერთებდა სიკვდილ-სიცოცხლეს, და უხეში, ნაჯაფი ხელები ყველას მუხლებზე ეწყო.

პალაგნა მიცვალებულს სუდარას უსწორებდა. თითები უსიცოცხლო ტანის სიცივეს გრძნობდნენ. სანთლებიდან წვეთ-წვეთად ჩამომდინარე ცვილის თბილი, მოტკბო სურნელი მკერდში სიბრალულს უღვივებდა და ყელში უჭერდა.

ფანჯრის მიღმა ბუკი მოსთქვამდა.

ივანეს ყვითელი სახე მშვიდად ესვენა, თითქოს გულში მხოლოდ მისთვის საცნაური რამ ჩაედო და გატრუნულიყო. ოდნავ ზეაწეული ქუთუთოდან კი მარჯვენა თვალი ეშმაკურად შეჰყურებდა მკერდზე დაყრილ შავ ფულს, დაკრეფილ ხელებს, სანთელი რომ ეპყრათ.

თავსასთუმალთან ისვენებდა უხილავი სული, ქოხიდან გაფრენა ჯერ ვერ გაებედა. პალაგნა სწორედ მას მიმართავდა, მეუღლის ეულ სულს, ობოლივით რომ ეკვროდა უძრავ ტანს.

— რატომ არაფერს მეტყვი, რად არ შემომხედავ, ჩემს ჭრილობებს მალამოდ რად არ დაედები? ხომ ვეღარასოდეს შეგხვდები ამ გზაზე, უკანასკნელად უნდა გაგაცილო... — მოსთქვამდა პალაგნა და როგორც კი ბედზე ჩივილს მოჰყვებოდა, ბოხი ხმა უწყდებოდა.

— კარგად ტირის... — თავს აქნევდნენ დედაბრები და პასუხად ესმოდათ სხვათა ამოოხვრა, ხალხის ხმაური რომ ნთქავდა.

— ჩვენ საძოვარზე მწყემსად ერთად ვიდექით... ერთხელაც, ცხვარს რომ ვაბალახებდით, ისეთი ცივი ქარი ამოვარდა, ზამთარი გეგონებოდა... ისეთი ქარაშოტი დატრიალდა, აღარ იხედებოდა ქვეყანა, ეგ კი, ღმერთმა აცხონოს... — უამბობდა ერთი მეურნე მეზობლებს; ყველას თავ-თავისი მოგონება უთრთოლებდა ტუჩებს, ხომ უნდა ენუგეშებინათ სხეულს განრიდებული მწუხარე სული.

— წახვედი და მარტოდ დამაგდე... ახლა აქაურობას რაღა ვუყო, საქონელს როგორღა მივხედო?.. — მეუღლის სულს ეკითხებოდა პალაგნა.

ღია კარში ბნელი ღამიდან სულ ახალი და ახალი მომსვლელები შემოდიოდნენ. ცხედრის წინაშე მუხლს მოიყრიდნენ, მიცვალებულს მკერდზე ფულს დაუწყობდნენ, და მიიწ-მოიწეოდნენ უზურგო სკამებზე მსხდარნი, ახალმოსულებს ადგილს უთავისუფლებდნენ.

ნება-ნება იღვენთებოდნენ კელაპტრები, ცვილის კურცხლებად იღვრებოდნენ. მკრთალი ალი შეხუთულ ჰაერს ლოკავდა, და ლურჯი ბუღი, ცვილის გულისამრევ სურნელსა და ოფლის სუნში არეული, ქოხში მდგარ დაგუდულ ჟრიამულს ზე მოქცეოდა და მაღლით ეკიდა.

ქოხში ვიწროობა იყო, თბილი სუნთქვა სუნთქვას ერეოდა, გაოფლილი შუბლები, სარტყელები და ჩანთები სამგლოვიარო სანთელთა შუქს ირეკლავდა. ქოხს კი ემატებოდა და ემატებოდა სამძიმარზე მოსულნი, ხალხი უკვე ზღურბლთან იდგა .

ცხედარი შეირხა, მოთეთრო ლაქები ხავსურასავით დააცოცავდნენ ძლივს შესამჩნევ ჩრდილებად.

— ჩემო ტკბილო, სავაგლახოდ დამტოვე... — მოსთქვამდა პალაგნა. — ვიღა წამივა ქალაქს, აღარც მომტანი მეყოლება ვინმე და აღარც გამგებელი...

ფანჯრის მიღმა მწუხარე ბუკიც ამასვე ამბობდა, უბედურებას უასკეცებდა პალაგნას.

ერთი საბრალო სულისთვის ოჯნებ საკმარისიც იყო ამდენი მოთქმა და ცრემლი?

ამგვარი ფიქრი, ეტყობა, დამთრგუნველი ნაღველის მიუხედავად მაინც ბოგინებდა, რადგან ზღურბლთან უკვე ამოძრავდა ხალხი. ჯერ გაუბედავად აბრაგუნებდნენ ფეხებს, გაუბედავად იკვრევინებოდნენ იდაყვებს, დროდადრო თუ გაბრახუნდებოდა აყირავებული სკამი, ცალკეული ხმები ბრბოს ყრუ ხმაურს ერთვოდა. და აი, უეცრად ქალის ხმამაღალმა სიცილმა გაკვეთა მწუხარების მძიმე საფარველი. აქამდე შეკავებულმა ჟრიამულმა ისე იფეთქა, როგორც ცეცხლი ამოვარდება ხოლმე შავი კვამლის ჭერხოდან.

— შენ ეი, ცხვირავ, კურდღელი არ გინდა? — დაიბუხუნა ახალგაზრდულმა ხმამ და იმის პასუხად უფრო ძლიერი ხარხარი გაისმა:

— ხა-ხა! ცხვირავ!..

— არ მინდა.

გართობა იწყებოდა.

ისინი, კართან რომ ისხდნენ, შეტრიალდნენ, ცხედარს ზურგი აქციეს, მზად იყვნენ თამაშს აჰყოლოდნენ. წუთის წინ მწუხარებით მოწრუფხული სახეები მხიარულმა ღიმილმა გაუშალა იმათ, კურდღელი კი გადადიოდა და გადადიოდა, სულ უფრო და უფრო ფართო წრეს უვლიდა და სადაც იყო მიცვალებულსაც მიატანდა.

— ხა-ხა, კუზიანო!.. ხა-ხა, დაფეხვილო!..

ხარხარი სანთელთა ალს არხევდა და კვამლს აყენებდა.

ერთიმეორის მიყოლებით დგებოდნენ უზურგო სკამებიდან სტუმრები და კუთხეებში გროვდებოდნენ, ტევა აღარ იყო.

მიცვალებულს სახეზე ეზრდებოდა და ეზრდებოდა ლაქები, თითქოს არ

ასვენებდა გულს ჩამარხული ფიქრი, განუწყვეტლივ უცვლიდა გამომეტყველებას. აბზუებული ტუჩის კუთხეში თითქოს მწარე ფიქრი შეჰყინვოდა. რა არის ჩვენი სიცოცხლე? ერთი გაელვება, ალუბლის ყვავილობა...

მხიარულება ეშხში შედიოდა.

წინკარში უკვე კოცნაობდნენ.

— ვის ირჩევ?

— შავტუხა ანიჩკას.

ანიჩკაც ვითომ უარზე იდგა და ჯიუტობდა, მაგრამ ათობით ხელი სწვდა და ბრბოდან ძალით გაიყვანეს, მხურვალე ტუჩებმა გაახალისეს:

— მიდი, გოგო, მიდი...

და ანიჩკაც ეხვეოდა იმას, ვინც ამდენ ქალში ამოირჩია და, აქეთ-იქიდან მხიარული შეძახილებით წათამამებული, ტუჩებში გემრიელად ჰკოცნიდა.

მიცვალებული გადაავიწყდათ. ცხედართან სამი დედაბერიღა შერჩა. შუშის თვალებით მწუხარედ შესცქეროდნენ, როგორ დაცოცავდა ბუზი ყვითელ უძრავ სახეზე.

ყმაწვილი ქალები თამაშს ესწრაფოდნენ, თუმცა თვალებში ჯერ ისევ ედგათ სამგლოვიარო სანთელთა შუქი და ცხედრის სახება. მაინც ხალისით მიიწევდნენ საკოცნაოდ, სრულიად გულგრილნი თავიანთი ქმრებისადმი, ასევე დიდი ნდობით რომ ეხვეოდნენ და ჰკოცნიდნენ სხვის ცოლებს.

ქოხში ხმამაღალი კოცნის ხმა გაისმოდა და ერთვოდა ქვითინს მწუხარე ბუკისას, შორეულ მთებს ისევ და ისევ რომ ამცნობდა ქაჩალ გორაზე მომხდარ უბედურებას.

პალაგნა აღარ მოსთქვამდა, უკვე გვიანი იყო და სტუმრებისთვის უნდა მიეხედა.

მხიარულება ეშხში შედიოდა. ჰაერი შეიხუთა, ოფლში იწურებოდა ბეწვის უსახელოებში გამოწყობილი ხალხი, ოფლის, თბილი ცვილის ბოლითა და უკვე ხრწნადაწყებული ცხედრის სუნით გაჟღენთილ ჰაერს ისუნთქავდა. ყველანი ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, თითქოს გადავიწყნოდათ, აქ რისთვის მოსულიყვ-

ნენ, ათასგვარ თავგადასავალს იხსენებდნენ და ხარხარებდნენ. ხელებს იქნევდნენ, ერთმანეთს მხარზე უტყაპუნებდნენ და თვალს უპაჭუნებდნენ ქალებს.

იმათ, ვინც ქოხმა ვერ დაიტია, გარეთ კოცონი დაანთეს და მხიარული თამაშობა გააჩაღეს. წინკარში სინათლე ჩააქრეს. გოგოები შემზარავად კიოდნენ, ბიჭები კი სიცილით იგუდებოდნენ. თავაწყვეტილი მხიარულება კედლებს არყევდა და მშვიდად მწოლი მიცვალებულის სარეცელს კივილის ტალღებს ახლიდა.

სანთელთა ყვითელი შუქი შესქელებულ ჰაერში გაიქნა.

თამაშში მოხუცებიც ჩაებნენ. უდარდელი ხარხარი ჭალარა თმას ურხევდათ, ნაოჭებს უშლიდათ და ისინი ახალგაზრდებს ქალების დაჭერაში შველოდნენ, აკანკალებულ ხელებს უხვედრებდნენ. ქალებს ყელსაბამები უწკრიალებდათ, იმათ წივილ-კივილისაგან ყურთასმენა აღარ იყო. ბრაგაბრუგი გაუდიოდა ადგილიდან სკამებს, ზედ აწყდებოდნენ იმ მერხს, მიცვალებული რომ ესვენა.

— ხა-ხა!.. ხა-ხა!.. — ხალხი სიცილისაგან ორად იკეცებოდა, მუცლები ხელით ეჭირათ.

ზედახორასა და წივილ-კივილში აუტანლად ჭრიალებდა „წისქვილი“.

— რა გაქვს დასაფქვავი? — დაჟინებით გაიძახოდა მეწისქვილე.

— სიმინდი... — გოგოები წისქვილისაკენ რის ვაივაგლახით მიიკვლევდნენ გზას, სალაღობოდ მორთული, ძენძის გრძელი წვერით სახეშენიღბული ჭაბუკები კი ერთმანეთში კინკლაობდნენ.

პირსახოცისაგან დაგრეხილი სველი, გრძელი ჩალიჩი შოლტივით შხუოდა, მარცხნივ თუ მარჯვნივ არავის ინდობდა. ჩალიჩს გაურბოდნენ, ურთიერთს აწყდებოდნენ, ერთი წივილ-კივილი და ხარხარი იდგა. ისეთი მტვერი ააყენეს, სუნთქვა ჭირდა. იატაკი დგანდგარებდა, მერხზე დასვენებული ცხედარი ხტოდა და ირხეოდა ყვითელი სახე, ჯერაც რომ დასთამაშებდა იდუმალი ღიმილი სიკვდილისა...

მიცვალებულის მკერდზე სულის შესანდობად დაყრილი შავი ფული წყნარად წკრიალებდა.

ფანჯრებს მიღმა მწუხარედ მოსთქვამდა ბუკი.

ვილიამ ფოლკნერი

ძ ა ლ ო ა ძ ი

რ ო მ ა ნ ი

თარგმნა რევაზ თვარაძემ

ვ. კ. რეგლიფი

11

და მაინც ვერაფერს მიხვდა ეს კაცი, თუმცა კი თავის კაბინეტში მჯდარი თვალს ადევნებდა, რა ხერხით დაიხსნა ფლემმა ჯეფერსონი მონტჰომერი უორდისგან. და მაინც მე არაფრის მოყოლა არ შემეძლო მისთვის.

ჩარლზ მალისონი

12

რასაც უნდა მისწრაფვოდა მისტერ სნოუპსი რეტლიფის აზრით, მე მაინც მგონია, რომ ის, რასაც გევინ ბიძიამ მიჰყო იმხანად ხელი, არაფრის წამდგომი არ გახლდათ. ამჯერად დედაჩემს ისიც აღარ დასჭირვებია, ყველაფერი მის მელისანდრა ბეკუსისთვის გადაებრალებინა, რადგან საამდროოდ მის მელისანდრა გათხოვდა კიდეც, ცოლად გაჰყვა ჩამოსულ კაცს, რომლის ამბავიც, თავად მის მელისანდრას გარდა, ყველამ ასე ვიცოდით (იმისას ვერაფერს მოგახსენებთ, მამამისმა თუ იცოდა ეს ამბავი, იმ კაცმა, ცისმარე დღე თავის ვერანდაზე რომ იყო მოკალათებული და ცალ ხელში სოდიანი ვისკი ეპყრა, მეორეში კი ჰორაციუსის ან ვერგილიუსის წიგნი — ამგვარი შეხამება, გევინ ბიძიას თქმით, უფრო ძლიერ კაცსაც გამომიჯნავდა ჩრდილოეთ მისისიპის ლიტონი სოფლური ცხოვრებისგან) — ყველასთვის ცნობილი ახალორლეანელი

---

* გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ №1, 2.

მდიდარი ბუტლეგერი არისო. სიმართლე რომ ითქვას, იმ ქალს არ სურდა ეს ამბავი დაეჯერებინა, მაშინაც კი, როცა მისი ქმარი ტყვიით შუბლგახვრეტილი მოასვენეს და მერე ტყვიაგაუმტარი შეჯავშნული კატაფალკით გაუყენეს სასაფლაოს გზას, უკან კიდევ ისეთი პიკარდები და კადილაკები მიჰყვებოდა, ჰოლივუდიც არ დაიწუნებდა, ალ კაპონესი რომ აღარაფერი ვთქვათ.

არა, სხვას ვამბობ. ჩვენ კვლავინდებურად ვერაფერი შევიტყეთ, იცოდა თუ არა ის ამბავი მის მელისანდრამ, მისი ქმრის სიკვდილიდან კარგა ხნის გასვლის მერეც, როცა დიდძალი ფულისა და ორი ბავშვის პატრონი გახლდათ, ხოდა იმ მამულის კიდევ; მის ბავშვობაში ჩვეულებრივი მისისიპური ბამბის პლანტაცია იყო ის მამული, მაგრამ მისმა ქმარმა ისეთი თეთრ-თეთრი მესერები ჩააწკაპა, ისეთი ფლუგერები დააყენა, რომ ის მამული რაღაც საშუალოდ იქცა კენტუკის საგარეუბნო კლუბსა და ლონგ-აილენდის იპოდრომს შორის; მის მრავალ მეგობარს მიაჩნდა — ჩვენი ვალია თვალი ავუხილოთ, მივახვედროთ, ის იმდენი ფული საიდან მოედინებოდაო; მაგრამ ეხლაც კი ამის თაობაზე სიტყვას ჩამოაგდებდნენ თუ არა, საუბრის თემას ხელად შეცვლიდა ხოლმე; ჯერაც ნორჩი ქალწული გეგონებოდათ, გაწლობილი, შავგვრემანი, თუმცა მილიონერი გახლდათ და ორი ბავშვის დედა და საშინელი ძალა იფარვოდა მასში — ის უმწეობა, უსუსურობა, ახლომახლო მყოფ ყოველ კაცს უმალ რაინდად რომ აქცევს, ვიდრე შებრუნებას და მოძალებას მოასწრებდეს. ხოდა საუბრის თემას შეცვლიდა ხოლმე, თითქოს თავისი ქმრის სახელი არც არასოდეს სმენოდეს, თითქოს არც კი არსებულიყოს ქვეყნად ის კაცი.

დიახ, ბატონო, ამჯერად დედაჩემი იმასაც ველარ ამბობდა — მელისანდრა ბეკუსი რომ შეერთო, ამ უბედურებას ის გადაარჩენდაო; თანაც ამჯერად დედაჩემი ლინდა სნოუპსს გულისხმობდა, ისევე როგორც წინათ — მისის ფლემ სნოუპსს. ერთი კია, რომ ყოველივე გაისიგრძეგანა დედამ, იმიტომ რომ წუხილს შეეშვა უცებ. — არაფერია, — უთხრა მამაჩემს. — ეს ყველაფერი ერთხელ მოხდა უკვე: აღარ გახსოვს? მელისანდრაც არ ჰყვარებია არასოდეს, ნამდვილად-მეთქი, იმის თქმა მინდა. რაღაც-რაღაცა წიგნები ჰქონდა ამოჩემებული, ყვავილები, ჩემს ტულიპებს და ნარგიზებს წყვეტდა ხოლმე გაშლისთანავე, ხოდა იქ უგზავნიდა, სადაც მთელი ეზო-მიდამო — მეტი თუ არა, ორ აკრამდე მიწა მაინც — ტულიპებით იყო გადაფარული; ჩემს საუკეთესო ვარდებს ჭრიდა იმისთვის და ლექსებს უკითხავდა ჰამაკში ჩამჯდარი. გონებას უყალიბებდა მხოლოდ, მეტი არც სურდა არაფერი. ოლონდ მელისანდრა ხუთი წლითაა ამაზე პატარა, მეტით კი არა, ეს გოგო კიდევ ლამის ორჯერ უმცროსია, კაცმა რომ თქვას, ბაბუადაც შეიძლება მოუდიოდეს გევინი.

ხოდა მამამ თქვა: — ჰი, ჰი, ჰი! ჩამოყალიბებით კი ყალიბდება ის გოგო, ოლონდ მის გონებაზე კი არა, გევინზე მოქმედებს ეს ამბავი. ჩემზეც კი იმოქმედებდა მისი ჩამოყალიბებული ნაკვთები, ცოლი რომ არ მყავდეს და მისკენ გახედვის არ მეშინოდეს. შენ თვითონ თუ შეგიხედავს იმ გოგოსთვის როდისმე? ქალი კი ხარ, მაგრამ ადამიანი ხომ ხარ მაინც.

— გაჩუმდი! — უთხრა დედამ.

— კი მაგრამ, — თქვა მამამ, — იქნება მართლა დასახსნელი გვყავს გევინი იმ თექვსმეტწლიანი კლანჭებისგან. შენ მოელაპარაკე, ჩემი უთხარი — თანახმაა ოჯახის ღირსების საკურთხეველზე თავი მსხვერპლად მიიტანოს-თქო.

— გაჩუმდი! გაჩუმდი ეხლავე! — უთხრა დედამ.—ნუთუ ის მაინც არ შეგიძლია, ცოტათი უკეთესად იხუმრო?

— სახუმროდ რომ გვქონდეს საქმე, კარგი დაგემართოს, — თქვა მამამ. — ხუმრობის გარეშე გეუბნები. გუშინ ნასადილევს მაგიდას უსხდნენ ორივენი კრისტიანის საკონდიტროში. გევინს წინ ნაყინი ედგა მხოლოდ, ის გოგო კიდევ რალაცა დომხალს მიირთმევდა, ერთი ოცი, ის კი არა და ოცდაათი ცენტი მაინც დაუჯდებოდა ალბათ. ისე რომ გევინმა მშვენივრად იცის, რასაც აკეთებს; ხოდა, თუმცა ურიგო არაა ის გოგო, დედამისამდე მაინც ბევრი აკლია: რალაცა არა აქვს ისეთი. — და მამაჩემმა ჰაერში ქვიშის საათის მსგავსი რამ გამოსახა ორივე ხელით, დედა კი მის წინ იდგა და როგორც გველი, ისე უყურებდა.— იქნება ჯერჯერობით მისი ნაკვთების ჩამოყალიბებას აქცევს მთელ ყურადღებას, ჭკუის ჩამოყალიბება კიდევ არ აფიქრებს მაინცდამაინც. ხოდა ვინ იცის, იქნება როდისმე გევინსაც ისეთივე თვალით შემოხედოს, როგორითაც იმას უყურებდა — ბანანის პლომბირი იყო თუ რალაცა, რაც სკიტს მაკჰაუნმა მიართვა სუფრაზე.

ოღონდ დედა წასულიყო უკვე. ხოდა ეხლა, რალა თქმა უნდა, ვინმე ესაჭიროებოდა, მის მელისანდრას და ყველა მისი დაქალის (ესე იგი ფაქტიურად მთელი ჯეფერსონის) ნაირი, რათა თვალი სჭეროდა, როდის შედიოდნენ ნასკოლევს გევინი და ლინდა კრისტიანის საკონდიტროში და ლინდა ბანანის პლომბირს შეექცეოდა, ან კიდევ უბრალო ნაყინსა და სოდიან წყალს, ხოლო გევინის მიერ მისთვის გამოწერილი ლექსების ბოლო წიგნი იქვე იდო, მარმარილოს მაგიდაზე, დამდნარი ნაყინის თუ კოკა-კოლას გვერდით. ოღონდ, მე რომ მკითხოთ, ჯეფერსონი მაინც ერთობ პატარა ქალაქია საიმისოდ, რათა ოცდათხუთმეტი წლის ბერბიჭამ, თუნდაც ჰარვარდის უნივერსიტეტის მაგისტრმა და ჰაიდელბერგის დოქტორმა, ლამის ოცდახუთი წლის ასაკიდან ჭალარამიძალებულმა, თექვსმეტწლიან გოგოსთან ერთად ნაყინი მიირთვას და ლექსები იკითხოს არხეინად. თუმცა, თუკი მოსახდენი იყო ეს ამბავი, იქნება ოცდათხუთმეტი წელი ყველაზე შესაფერისი ასაკიც გამოდგეს ბერბიჭასთვის, რათა თექვსმეტი წლის გოგოს ნაყინით გაუმასპინძლდეს და ლექსების წიგნი უძღვნას ხოლმე. ეს ვუთხარი დედაჩემს. ხოდა დედამ ასე მიპასუხა — გველის ხმით კი არა, იმიტომ რომ გველს არც აქვს ხმა, სწორედ ისეთი ხმით, როგორითაც კბილის სამკურნალო ბორმანქანა ამოიღებდა ხმას, ლაპარაკი რომ სცოდნოდა:

— სამი წლიდან მოყოლებული ოთხმოც წლამდე ისეთი ასაკი არასოდეს დაუდგება მარტოხელა კაცს, როცა დაუსჯელად შეეძლოს ნაყინით გაუმასპინძლდეს ხოლმე თექვსმეტი წლის გოგოებს, — მითხრა დედამ.—გონებას უყალიბებს, — თქვა მერე. ოღონდ გევინ ბიძიას რომ ელაპარაკებოდა, თაფლივით ჰქონდა ხმა. არა: არავითარ ხმას არ გამოსცემდა, რადგან დუმდა მაშინ. იმას ელოდებოდა, გევინი თავად ალაპარაკდებაო. არა: უფრო სწორად, ისე ელოდებოდა, რაკი იცოდა — გევინს ალაპარაკება მოუწევსო; ჯეფერსონი ხომ ერთობ პატარა ქალაქი გახლდათ. არა, მე იმის თქმა მინდა, რომ გევინ ბიძია მისი დღე და მოსწრება ჯეფერსონში თუ სხვა პატარ-პატარა ქალაქებში ცხოვრობდა, ისე რომ არა მარტო ჩინებულად ხვდებოდა, რასაც იტყოდა ჯეფერსონი მის გამოც, ლინდა სნოუპსის გამოც, იმ ბანანის პლომბირების თუ ლექსთა წიგნების გამოც, არამედ იმასაც ხვდებოდა — ჩემს დაიას საკმარისად ჰყავს დაქალები და ყოველივეს შეიტყობსო.

ხოდა ელოდებოდა დედაჩემი. შაბათი დღე იყო. გევინ ბიძია ორჯერ შე-

ვიდა კაბინეტში (ჯერაც ასე ვეძახოდით იმ ოთახს, ოღონდ დედასსობას არა, რადგან ბაბუა ასე უწოდებდა ხოლმე, თუმცა ბოლოს და ბოლოს დედაც შეეშვა ბიბლიოთეკად მის ხსენებას), სადაც დედა დამჯდარიყო და რაღაცას იწერდა, იქნება სამრეცხაოში წასაღებ თეთრეულს აღნუსხავდა; ორჯერ შევიდა და გამოვიდა გევინ ბიძია, მაგრამ დედას მისთვის ყურადღება არ მიუქცევია. მერე გევინ ბიძიამ თქვა: — მე ვიფიქრე, იქნება...—სულ ასე საუბრობდნენ ხოლმე ისინი. ესე იგი ამნაირად იმიტომ საუბრობდნენ ალბათ, ტყუპები რომ იყვნენ. ესე იგი მე დავასკვენი ასე, რადგან სხვა ტყუპები არასოდეს მენახა და ვერ შევადარებდი. დედას წერაც არ შეუწყვეტია.

— რაღა თქმა უნდა, — უთხრა დედამ.—იქნება ხვალვე?—აქ გევინ ბიძიას შეეძლო წასულიყო, იმიტომ რომ, ეტყობა, ორივე მიხვდა, რასაც შეეხებოდა საუბარი. მაგრამ გევინ ბიძიამ თქვა:

— მადლობელი ვარ. — მერე მე მომიბრუნდა: — მგონი ალეკ სენდერი გიცდის ქუჩაში, არა?

— კარგი ერთი!—თქვა დედამ.—რასაც ეგ შენგან შეიტყობს თექვსმეტწლიანი გოგოების ამბავს, ალბათ ასჯერ უფრო მიამიტური იქნება იმაზე, რასაც ერთ მშვენიერ დღეს თვითონ თექვსმეტწლიანი გოგოსგან გაიგებს. ესე იგი დედამისს დავურეკო და ვთხოვო, ხვალ ჩვენთან გამოუშვას სადილად, თუ შენ თვითონ დაურეკავ?

— მადლობელი ვარ! — უთხრა გევინ ბიძიამ. — გინდა ყველაფერს მოგიყვე ამ ამბებისას?

— შენ გინდა? — შეეკითხა დედა.

— კი, იქნება ასე აჯობოს, — მიუგო გევინ ბიძიამ.

— ვითომ საჭიროა? — უთხრა დედამ. ამჯერად გევინ ბიძიას აღარაფერი უთქვამს. მერე დედამ უთხრა:—კარგი, გისმენთ.—და გევინ ბიძიას არც ეხლა ამოუღია ხმა. ოღონდ ამასობაში ძველ გევინ ბიძიად იქცა ისევ. ამ წუთამდე ისე ლაპარაკობდა, როგორც მე ვიცოდი ხოლმე ზოგჯერ ამეტყველება. ეხლა კი იდგა, დედას კეფას დასცქეროდა, გაბურძგნული ჭაღარა თავი დაეხარა, გულის ჯიბიდან ლერწმის ჩიბუხის გაბოლილი ტარი ამოსჩროდა, ხოდა თვალები, სახე ისეთი ჰქონდა, დანამდვილებით ვერაფრით ვერ მიხვდებოდი, რას იტყოდა ამ წუთას.

— ხო-ო, — თქვა ბოლოს. — თუკი შენისთანა ადამიანიც, — ჭორებს და ბინძურ მითქმა-მოთქმას რომ არ აჰყვება ხოლმე, ისეთი, — თუკი ამნაირი ადამიანიც რაღაცას იგონებს და თხზავს თავისთვის, წარმომიდგენია, რა დღეში იქნება მთელი ჯეფერსონი, ამგვარი ამბების ყველა სპეციალისტი. ნამდვილად წლები მაკლდება, ვახალგაზრდავდები, ციცერონს გეფიცები: აგერ ნახავ, გავალ ქალაქში და წითელ ჰალსტუხს ვიყიდი. — დედას კეფას დააჩერდა. — მადლობელი ვარ შენი, მეგი, — თქვა მერე.—ამ საქმისთვის ყველაფერი უნდა ვიღონოთ, მთელი ნებისყოფა უნდა მოვიკრიბოთ. სნოუპსებისგან ჯეფერსონის დახსნა ჩვენი მოთხოვნილებაა, აუცილებელი საქმეა, ვალია ჩვენი. ხოდა სნოუპსებისგან სნოუპსის დახსნა პატივია, პრივილეგია, დამსახურება.

— მით უფრო, თუკი ის თექვსმეტწლიანი სნოუპსი მდედრობითი სქესისაა, ხომ? — უთხა დედამ.

— არა თუ? — შეეკითხა გევინ ბიძია.

— როდის გითხარი, არა-მეთქი? — უთხრა დედამ.

— აპირებდი მაინც!—დედას ფიცხლად მიეახლა, თავზე ხელი დაადო და ისე განაგრძო:—ხოდა ღმერთმა გაცოცხლოს. შენ ყოველთვის ცდილობდი იმ დაწყევლილი ქალური თვისების წინააღმდეგი ყოფილიყავი, იმ ცოლქმრული, თავდაოკებული რესპექტაბელურობის ინსტინქტის წინააღმდეგი, მთელი კულტურის, ჯერაც გადაუგვარებელი კულტურის საძირკველი რომაა; კულტურა ხომ მანამდე არ გადაგვარდება, ვიდრე შენნაირ დაუყოლიებელ, შეუპოვარ ხალხს წარმოშობს კიდევ, იმ ხალხს, ვისაც საიმისოდ ერჩის გული, რომ თავსაც დაატყდეს, კიდეც გაუმაგრდეს და უარყოს კიდეც,—ხოდა წამით ისიც მოგვეჩვენა, ეხლა დაიხრება და აკოცებსო დედას: მე მგონია, სამივემ ასე ვიფიქრეთ. მაგრამ გევინ ბიძიას არ უკოცნია, უფრო სწორად — დედამ მოასწრო თქმა:

— გეყოფა, დამანებე თავი! ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტე — ის გინდა, მე დავურეკო, თუ შენ თვითონ იზამ ამას?

— მე დავურეკავ, — უთხრა გევინ ბიძიამ. მერე მე გადმომხედა: — ორი წითელი ჰალსტუხი იქნება, ერთი — საშენოდ. აფსუს, თექვსმეტის რომ არ ხარ ჯერ. იმ გოგოს კავალერი სჭირდება, ესაა საქმე.

— თექვსმეტი წლისას თუ უსიკვდილოდ იმის კავალრობა მომიწევდა, მადლობა ღმერთს, თექვსმეტის რომ არ ვარ ჯერ, — ვუთხარი მე.—კავალერი უკვე ჰყავს — მატ ლივიტი. ოჰაიოში იყო თუ სადღაც სხვაგან, ოქროს ხელთათმანები მიიღო შარშან. შესახედადაც იმნაირია, იმ ოქროს ხელთათმანებს ეხლაც კარგად იხმარდა. ასე რომ დიდი მადლობა მომიხსენებია.

— რაო, რაო? — დედამ თქვა.

— სისულელეს ამბობს რაღაცას, — უთხრა გევინ ბიძიამ.

— ეტყობა, არ გინახავს, რანაირი მოკრივეა, —მე მივუგე. —რომ გენახა, სისულელეო — აღარ იტყოდი. მე კი მყავს ნანახი, პრიჩერ ბერდსონგთან რომ დაარტყა.

— შენი მეგობარი სპორტსმენებიდან პრიჩერ ბერდსონგი რომელია?—მკითხა დედამ.

— სპორტსმენი სულ არაა ის ბიჭი,—ვუპასუხე.—სოფელში ცხოვრობს. კრივი საფრანგეთში უსწავლია, ომის დროს. ის და მატ ლივიტი...

— მოიცა,—გევინ ბიძიამ მითხრა.—ის...

— ვინ „ის“?—იკითხა დედამ.—შენი რაყიფი?

— ...ოჰაიოელია, — თქვა გევინ ბიძიამ.—ის ახალი სკოლა აქვს დამთავრებული, მექანიკოსების სკოლა, ფორდთან, ხოდა ფირმამ ჩვენთან გამოამწესა, გარაჟში, მექანიკოსად...

— იმას თავისი მანქანა ჰყავს, ყვითელი, გადახდილი, — ვთქვი მე.

— და ლინდა იმ მანქანით სეირნობს ხოლმე?—იკითხა დედამ.

—...ხოდა, რაკი ჯეფერსონი პატარა ქალაქია, ის ბიჭი კიდევ ბრმა არაა,— გევინ ბიძიამ განაგრძო,—ადრე იყო თუ გვიან იყო, ლინდა სნოუპსსაც მოჰკრა თვალი, ალბათ სახლსა და სკოლას შორის სადმე. ხოდა, რაკი კაცია და ოცდამეერთეშია გადამდგარი, ბუნებრივია, რომ დრო აღარ დაუკარგავს და გაეცნო ლინდას; ოქროს ხელთათმანების მფლობელის რეპუტაციამ, რომელიც ან მართლა დაიმსახურა, ან კიდევ აქეთობისას გზაში მოიგონა თვითონვე, ეტყობა, ყველა შესაძლო რაყიფი ჩამოაშორა და...

— შენს გარდა, — დედამ უთხრა.

— გეყოფა, — თქვა გევინ ბიძიამ.

— ხო, შენს გარდა, — უთხრა დედამ.

— ის ბიჭი ხუთი წლითაა ლინდაზე უფროსი, მეტით კი არა, — თქვა გევინ ბიძიამ. — მე კიდევ ორჯერ უფროსი ვარ.

— შენს გარდა, — უთხრა დედამ. — სულ ერთია, რამდენისაც უნდა გახდე, ვინც გინდა ქალი ვთქვათ, იმაზე ორჯერ უფროსი შენ ვერც როდის ვერ შეიქ-ნები, ხოდა ლინდა რამდენისაა, ამას არა აქვს მნიშვნელობა!

— კარგი, კარგი, — თქვა გევინ ბიძიამ. — ხო, რას ვამბობდი? სნოუპსის-გან ჯეფერსონის დახსნა ვალია ჩვენი. სნოუპსისგან სნოუპსის დახსნა კიდევ დიდი პატივია.

— შენ ამბობდი — პრივილეგიაა, დამსახურებაა, — უთხრა დედამ.

— კარგი, ბატონო, — თქვა გევინ ბიძიამ, — სიამოვნება იყოს და მეტი არაფერი. კმაყოფილი ხარ?

ამით მოათავეს. ცოტა ხნის მერე მამაჩემი დაბრუნდა შინ, მაგრამ დედას არაფერი ჰქონდა მოსაყოლი, რადგან მამამ უიმისოდაც ყველაფერი იცოდა; მა-მას ისღა დარჩენოდა, ხვალინდელ დღეს დალოდებოდა, ხვალინდელ ნასადი-ლევს.

ლინდა რომ მოვიდა, თორმეტს იყო ცოტათი გადაცილებული, სწორედ ის დრო იდგა, როდესაც ეკლესიიდან გამოვიდოდა, თუკი ნამყოფი იყო იმ დღეს ეკლესიაში. იქნება იყო კიდეც, იმიტომ რომ შლაპა ეხურა თავზე. თუმცა ისიც შესაძლოა, რომ შლაპა დედამისმა დაახურინა დედაჩემის ხათრით. ქუჩის კუ-თხეს გამოსცდა და ჩვენი სახლისკენ წამოვიდა სირბილით. ხოდა მაშინ შევას-წარი თვალი, რომ ის შლაპა რაღაცნაირად გვერდულად გადაქანებოდა, გეგო-ნებოდათ, ვინმემ მოსწია თუ დაქაჩა, ანდა თვითონ წამოსდოო რაღაცას, ხოდა კიდევ ის იყო, რომ მეორე ხელი მხარზე აეფარებინა. მერე ისიც დავინახე, რომ სახე საშინლად გაავებული ჰქონდა. შიშნაკრავიც ჰქონდა, რაღა თქმა უნდა, მა-გრამ ეხლა, ჭიშკარში რომ შემოდიოდა მხარზე ხელწავლებული, თანაც კი აღარ მორბოდა, ისე მოდიოდა ჩქარი და დაჯერებული ნაბიჯით, სახე შიშნაკ-რავზე მეტად გაავებული ჰქონდა. ოღონდ მერე და მერე შიში მეტად მიეძალა მის სახეს. ხოდა უცებ ორივე ის გამომეტყველება ერთ იერად შეირწყა, ისეთ რამედ, რაც შიშსაც ნაკლებად ჰგავდა და გაავებასაც. რადგან სწორედ იმ წუ-თას კუთხიდან მანქანამ გამოუხვია და იქვე ჩაუქროლა — მატ ლივიტის მანქა-ნამ, — იმგვარი ნახმარი მანქანა ქალაქში მრავლად იყო, ოღონდ მის მეტს არავის უმშვენებდა რადიატორს უზარმაზარი სპილენძის სირენა, ხოდა გაქროლებული კნოპს რომ დააჭერდა, სირენა ორნაირ ხმაზე ყვიროდა ხოლმე. ხოდა უცებ ისე მომეჩვენა, რაღაცის სუნს ვიკრავ-მეთქი, რაღაც ისეთი გაკრთა, რასაც ვერ ვხვდები, თუნდაც რომ ის რაღაცა ერთხელ უკვე მომხდარი იყოს-მეთქი. მანქა-ნამ ჩაიქროლა, ლინდა კიდევ ჩვენკენ გამოემართა დაძაბული, ფეხაჩქარებული, შლაპაგვერდზემოქცეული, ისევ მხარში ხელწავლებული, კვლავაც ქოშინით მსუნთქველი, თუმცა სახეზე შიშის მეტი აღარაფერი ეტყობოდა, და ასე ამოვი-და ვერანდაზე, სადაც დედა და გევინ ბიძია ელოდებოდნენ.

— გამარჯობა, ლინდა! — დედამ უთხრა. — სახელო გაგხევია!

— ლურსმანს წამოვედე, — თქვა ლინდამ.

— ვხედავ, — უთხრა დედამ. — ზევით წავიდეთ, ჩემს ოთახში, კაბას გაგახ-დევინებ და გაგიკერავ.

— არ ღირს, — თქვა ლინდამ. — ის აჯობებს, ქინძისთავი მათხოვოთ.

— კარგი, ნემსი აიღე და შენ თვითონ გაიკერე. მე წავალ, სადილს მივხედავ, — უთხრა დედამ.—კერვა ხომ იცი?

— დიახ, მემ, — მიუგო ლინდამ. მერე ისინი ზევით ავიდნენ, დედას საწოლ ოთახში, გევინ ბიძია და მე კიდევ კაბინეტში შევედით. ხოდა, რაღა თქმა უნდა, მამაჩემმა გევინ ბიძიას უთხრა:

— ესე იგი, აქამდე მოსვლაც ვერ მოასწრო, რომ ვიღაცა აეტორღიალა, ხომ? რაო, ვაჟკაცო, სადაა შენი ფარ-შუბი, შენი დარახტული ცხენი სადაა?

ოღონდ იმ პირველად მატს ჩვენი სახლის წინ ჩაქროლებისას თავისი სპილენძის სირენა არ აუყვირებია, ისე რომ ჩვენ ვერც კი ვხვდებოდით, რას აყურადებდა ესოდენ გულმოდგინედ სადილობისას ლინდა; მხართან გახეული კაბა გაეკერა, ისე ამოენემსა, იტყოდით ათწლიან ბალღს უცოდვილიაო, ხოდა სახე ისევ დაძაბული და შიშნეული ჰქონდა. მაგრამ ჩვენ მაშინ ჯერაც ვერაფერს ვხვდებოდით. ესე იგი იმას ვერ ვხვდებოდით, რამდენი რამის კეთება უხდებოდა ერთბაშად ლინდას: ისიც უნდა მოეჩვენებინა — სადილი მომწონსო, თავიც რიგიანად უნდა დაეჭირა სუფრასთან, უცხო სახლში, იმ ხალხს შორის, ვისაც, მისი გაგებით, განსაკუთრებული მიზეზი არაფერი ჰქონდა საიმისოდ, რათა მისდამი კეთილად ყოფილიყო განწყობილი, თან სულ იმის მოლოდინი უნდა ჰქონოდა, მატ ლივიტი კიდევ რას იხიმანკლებსო, ხოდა იმასაც უნდა ცდილიყო, რომ არავის შეემჩნია მისი საფიქრალი და საწუხარი. ესე იგი დაძაბული უნდა დალოდებოდა მოსახდენს, ხოლო მერე, როცა ის მოსახდენი ხდებოდა, ვითომც აქ არაფერიაო, ისე უნდა განეგრძო მშვიდად ჭამა და დედაჩემის ყოველ შეკითხვაზე „დიახ, მემ“, „არა, მემ“ ეპასუხა; ამასობაში კიდევ ყვითელი მანქანა ხელახლა ჩაუქროლებდა ჩვენს სახლს, სირენაც ორ ხმაზე კიოდა, ხოდა ამ დროს მამაჩემმა უცებ თავი ასწია, ჰაერი ხმიერად ჩაისუნთქა და იკითხა: —ეს რა სუნი მომდის?

— რა სუნი?—დედამ უთხრა.—რისი სუნი?

— აი იმისი, — თქვა მამამ. — რამდენი ხანია, აღარ მიგრძვნია... როდის იყო ის, გევინ? — ხოდა მე მაშინვე მივხვდი, რასაც მამაჩემი ამბობდა, თუმცა ის ამბავი რომ მოხდა, მე დაბადებულიც არ ვყოფილვარ, მაგრამ ჩემმა ბიძაშვილმა მიამბო ყველაფერი, გაუნმა. დედაჩემიც მიხვდა. ესე იგი დედას ყველაფერი გაახსენდა, რადგან დე სპეინის მაშინდელი კივილი კი ჰქონდა მოსმენილი. ესე იგი, იქნება სირენას მაშინდელი აკივლება მატ ლივიტთან არც დაეკავშირებინა, მაგრამ მისთვის ისიც კმაროდა, ლინდასთვის და გევინ ბიძიასთვის შეეხედა იმ წუთას. ანდა შესაძლოა მარტო გევინ ბიძიასთვის შეხედვაც საკმარისი ყოფილიყო — ისინი ხომ ტყუპები იყვნენ, ხოდა ამით ყველაფერი ითქმის და ისაა. იმიტომ რომ მაშინვე შეაჩერა მამა:

— ჩარლი! — მამამ კიდევ თქვა:

— იქნება მის სნოუპსმა ამ ერთხელ მაპატიოს. — მამაჩემი ლინდას მიმართავდა. — საქმე ისაა, რომ, როცა ჩვენსას თვალადი ქალიშვილი სადილობს ხოლმე, რაც უფრო ლამაზია ის ქალიშვილი, მით უფრო ვცდილობ ენა ავილესო — იქნება ჩვენთან მოსვლა კიდევ მოვანდომო-მეთქი. ოღონდ ამჯერად, მგონი, მეტი მომივიდა. ისე რომ, თუკი მის სნოუპსი იმას მაპატიებს, ნამეტანი თავგამოდებული რომ ვცდილობდი სულელური ხუმრობით გამეცინებინა, მე იმას ვაპატიებ, ნამეტანი თვალადი რომაა.

— ყოჩაღ შენ! — გევინ ბიძიამ უთხრა. — კი, ეს ხუმრობაც ვერ გამოგივიდა

მაინცდამაინც სანაქებო, მაგრამ სუსხდაკრული მაინც აღარაა იმ პირველივით. ვერანდაზე გავიდეთ, მეგი, იქ უფრო გრილა.

— კარგი! — მიუგო დედამ. წინაოთახში ცოტათი შევყოვნდით და ლინდას შევხედეთ. მის სახეს შიში კი აღარ აღბეჭდოდა მხოლოდ, იმით აღძრული შიში, რომ ის, თექვსმეტი წლის გოგო, პირველად მოხვედრილიყო უცხო სახლში, იმ ხალხის გარემოცვაში, ვინც ალბათ წინასწარვე ამრეზილი იყო მისდამი. არ ვიცი, რა აღბეჭდოდა სახეზე. ოღონდ დედამ კი იცოდა, იმიტომ რომ ლინდა სწორედ დედას შეჰყურებდა.

— კაცმა რომ თქვას, სასტუმრო ოთახში უფრო ეგრილება, — თქვა დედამ. იქ შევიდეთ. — ოღონდ უკვე გვიან იყო. უკვე მოგვწვდა სირენას ხმა, ყოველი ბგერა გარკვევით ჩაგვესმოდა: „დუ, დუ, დუ, დუ, დუ დუ“, — მეტად და მეტად ხმამაღლა. მერე ჩვენს სახლს გასწორებული უფრო გარკვევით ახმიანდა, მერე მინელდა, ხოდა ლინდამ უცებ დედას შეხედა, ერთი-ორ წამს მიაჩერდა განწირულად. მაგრამ ის განწირულების გამომეტყველებაც გაუქრა; იქნებ წამით იყო მხოლოდ განწირულება, მერე კი გაქრა და ოდინდელი დაძაბულობაღა შემორჩა მის სახეს.

— ჩემი წასვლის დროა, — აღმოთქვა ლინდამ. — მე... მაპატიეთ თუ შეიძლება, წასვლის დროა... — და ამასობაში თავს დაეუფლა:—მადლობელი გახლავართ მასპინძლობისთვის, მისის მალისონ. მადლობელი გახლავართ მასპინძლობისთვის, მისტერ მალისონ. მადლობელი გახლავართ მასპინძლობისთვის, მისტერ გევინ. — უკვე იმ მაგიდას უახლოვდებოდა, სადაც მისი შლაპა და ხელჩანთა იდო. არა, იმის მოლოდინი არ მქონია — მასპინძლობისთვის მადლობას მეც გადამიხდის-მეთქი.

— გევინმა ჩაგისვას და მიგიყვანოს სახლში, — დედამ უთხრა. — გევინ...

— არა, არა, — თქვა ლინდამ. — მე არ... მე, მე... ის არ... — და სადარბაზოში გავარდა, ჭიშკრამდე მიმავალი ბილიკი თითქმის სირბილით გაიარა, ჭიშკარს გაცილებული კიდევ მართლა გაიქცა განწირულად. მერე თვალს მიეფარა.

— ციცერონს გეფიცები, გევინ, — მამამ უთხრა, — სულ წახდი კაცი. მაშინ ის მაინც იყო, რომ ესპანეთ-ამერიკის ომის ვეტერანს გადაეყარე, სამარული ავტომობილის პატრონს. ხოდა ეხლა შეკოწიწებულ დრანდულეტში ჩამჯდარი მოყვარული მოკრივე შეგრჩა ხელში. ფრთხილად იყავი, ჩემო ძმაო, თორემ სხუმის ველოსიპედზე გადამჯდარი ბოისკაუტი გაგიწვევს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში.

— რაო? — დედამ იკითხა.

— შენ რაღას იზამდი, ოცი წლის რომ ყოფილიყავი და მექანიკოსად რომ გემუშავა გარაჟში საღამოს ექვს საათამდე, ხოდა ამ დროს თმაგაჭაღარავებულ ბერიკაცს, დონჟუანს ყოველდღე რომ გამოეჭირა სკოლიდან შინისკენ მიმავალი შენი გოგო, იმ ბუნაგში შეეტყუებინა, სადაც სოდიანს ყლუნწავენ, და ნაყინით ამოეყორა? საიდან უნდა იცოდეს იმ ბიჭმა, რომ გევინს მისი გოგოს გონების ჩამოყალიბება უნდა და მეტი არაფერი?

თუმცა ეხლა არავითარი „ყოველდღე“ აღარ იყო. საერთოდ, ყველაფერი დამთავრდა. ვერ გავიგე, რა მოხდა, რანაირად აეწყო ასე: არ ვიცი, ლინდამ შემოუთვალა გევინ ბიძიას — ნასკოლევს ნულარ დამელოდებით ხოლმეო, არ ვიცი, შინ სხვა გზით ბრუნდებოდა და გევინ ბიძია ვეღარ ხვდებოდა, ანდა იქნება

სულაც სკოლაში აღარ დადიოდა ლინდა. უკვე უფროსკლასელი გახლდათ, მე კიდევ დაწყებითს სკოლაში ვსწავლობდი ჯერაც, ისე რომ ვერაფრით მეცოდინებოდა, სკოლაში დადიოდა თუ არა.

ისიც კი არ ვიცოდი, ჯეფერსონში იყო თუ არა. იმიტომ რომ ზოგჯერ თვალს მოვკრავდი ხოლმე, როგორ მიაქროლებდა თავის მანქანას მატ ლივიტი გარაჟის დაკეტვის შემდეგ; წინათ ლინდაც უჯდა იმ მანქანაში ხან დღისით, ხანაც იშვიათად საღამოხანს — კინოსკენ თუ კინოდან შინისკენ გამგზავრებული. ეხლა ლინდა აღარ ჩანდა. მატ ლივიტი ან მარტო იჯდა ხოლმე მანქანაში, ან ვინმე თავისი თანატოლი თუ უფროსი კაცი ჰყავდა გვერდით. რამდენადაც მე ვიცი, გევინ ბიძიასი არ იყოს, მატ ლივიტიც აღარ ხვდებოდა ლინდას.

გევინ ბიძიასგანაც ვერაფერს შეიტყობდი კაცი. წინათ სკოლიდან მომავალს დამინახავს, როგორ ისხდნენ ისა და ლინდა კრისტიანის საკონდიტროში და ნაყინს შეექცეოდნენ, ხოდა, მე რომ დამინახავდა ან ორივენი დამინახავდნენ, გევინ ბიძია მანიშნებდა ხოლმე — შემოდიო, და მერე სამივენი მივირთმევდით ნაყინს. მაგრამ ეხლა ის ამბავიც კი, მე რომ საკონდიტროში შეჭყეტა აღარ მიხდებოდა, გევინ ბიძიას თითქმის არ დამჩნევია. ხოდა ერთხელ, პარასკევ დღეს, თვალი მოვკარი, რომ გევინ ბიძია იმ საკონდიტროში მაგიდას მისჯდომოდა და მელოდებოდა, როდის ჩავივლიდი და კვლავინდებურად შემიხმობდა შიგნით. და თუმცა მაგიდაზე ნაყინის მეორე ჭურჭელი არ მდგარა, მე მაინც ის ვიფიქრე — ალბათ ლინდა ერთი წუთით წამოდგა და შესაძლოა პარფიუმერიის დახლთან ან გაზეთების მაგიდასთან დგას-მეთქი; ისე რომ, როცა შევედი და გევინ ბიძიამ მითხრა — მე ატმის ნაყინი მაქვს, შენ რომელი გინდაო, მაინც სულ იმას ველოდებოდი — აგერ-აგერ ლინდა გამოჩნდება-მეთქი საიდანმე.

— მე ხენდროსი მინდა, — მივუგე. მაგიდაზე გევინ ბიძიას მიერ ლინდასთვის გამოწერილი ბოლო წიგნი იდო — ჯონ დონის ლექსები.

— აქვე, ჯეფერსონში ფოსტით რომ გაუგზავნო კაცმა წიგნი, მაინც იმდენივე ჯდება, რამდენიც მემფისს გაგზავნა დაჯდებოდა, — მითხრა გევინ ბიძიამ. — რა იქნება ვითომ, ნაყინზე რომ დაგპატიჟო და ის ფოსტით გასაგზავნი ფულიც მოგართვა, ხოდა შენ გზად შეუარო და ეს წიგნი გადასცე?

— კარგი, — მივუგე მე. მისტერ სნოუპსი ჯეფერსონში რომ ჩამოვიდა, სახლი იქირავა. მერე ალბათ იყიდა კიდეც ის სახლი, რადგან ბანკის ვიცე-პრეზიდენტი როცა შეიქნა, სახლის შეკეთება დაიწყეს, კედლებიც შეღებეს, ხოდა გლიცინიები მისის სნოუპსმა თავისი ხელით დარგო ალბათ. ჭიშკარი რომ შევაღე, ლინდამ დამიძახა და გლიცინიებშემოხვეული ფარდულის ქვეშ ჰამაკი დავინახე. გლიცინიები ჯერაც ჰყვაოდა და იმ ყვავილებში დამამახსოვრდა ლინდა — მუქი თმა ჰქონდა, თვალები კიდევ თითქმის იმ გლიცინიების ფერი, იმ ფერისავე კაბა ემოსა. ჰამაკში იწვა და კითხულობდა, ხოდა მე გავიფიქრე — **გევინ ბიძიას ეს წიგნი არ უნდა გამოეგზავნა, ჯერ წინაც არ წაუკითხავს-მეთქი.** ოღონდ ამასობაში ჰამაკქვეშ მიწაზე მიმოფანტულ მის სახელმძღვანელოებს მოვატანე თვალი, ისიც დავინახე, რომ გეომეტრიას კითხულობდა თურმე და ხელახლა გავიფიქრე: „მატ ლივიტს ალბათ არაფრად სიამოვნებს ეს ამბები, — არც ის, რომ ლინდას გეომეტრიის სწავლა ურჩევნია მასთან ერთად სეირნობას, და არც ის, რომ გევინ ბიძიასთან ერთად ამჯობინებს ნაყინის ჭამას“.

წიგნი გადავეცი და შინისკენ წამოვედი. პარასკევს იყო ეს ამბავი. მეორე დღეს, შაბათს ბეისბოლის მატჩზე გახლდით და იქიდან გევინ ბიძიას შევუარე მის კაბინეტში, რათა შინ ერთად წავსულიყავით. კიბეზე ფეხის ხმა შემოგვესმა,

რამდენიმე ფეხის ბაკუნი, ქოშინიც გავიგონეთ, ვიღაცის ჩურჩულიც. და უცებ მატ ლივიტმა შემოხეთქა კარი, გამალებული შემოვარდა, იღლიაში რაღაც ამოეჩარა, კარი მიიჯახუნა, კარს უკან კი ვიღაც ცდილობდა შემოჰყოლოდა, ხოდა ამან კარს მუხლი მიაბჯინა, რაზა მოიფათურა, მოისაზრა, როგორ უნდა გადაეწია და კარი ჩაკეტა. ამის მერეღა შემოგვიბრუნდა. ლამაზი ბიჭი იყო, ოღონდ სახე ლაღი არ ჰქონია, არც ხალისიანი. იმ სახეს, რეტლიფის ნათქვამის არ იყოს, უტიფრობის დაღი ესვა. ამგვარი სახე აქვს ხოლმე იმ ადამიანს, ვინც არაფერში შეეჭვებულა ჯერაც. თუმცა ეხლა ის უტიფრობაც აღარ აჩნდა სახეზე. ხოდა დაფურცლული წიგნი შემართა — ჯონ დონის ლექსები იყო, მე რომ ლინდას გადავეცი გუშინ — და მაგიდისკენ მოისროლა, ისე რომ ამოფხრეწილი ფურცლები აფრიალდა, მაგიდაზე მიმოიფანტა და იატაკზეც კი ჩაფარფატდა.

— რა, არ მოგწონთ? — თქვა, მაგიდას შემოუარა და ფეხზე წამომდგარ გევინ ბიძიას მიადგა ჯიქურ. — აბა, დაიცავთ თავს თუ არა? — თქვა მერე. — თუმცა რას ვამბობ, ჩხუბი რა იცით თქვენ! არაფერია, ძალიან არ მიგბეჟავთ, ერთიბეწოს დაგამშვენებთ, რომ გაიხსენოთ, როგორ ხდება ეს ამბავი! — ხოდა იტყოდით, მაგრად სულ არ გაურტყამსო, მისი მუშტები თითქოს ძლივსძლივობით იძვროდა გევინ ბიძიას სახიდან ოთხ-ხუთ დუიმზე, ისე რომ გეგონებოდათ, ცხვირიდან, ტუჩებიდან დარტყმების გამო კი არ წასკდა სისხლი, გეგონებოდათ, იმ მუშტებმა თავისთავად შეუღებესო სისხლით სახე; ორჯერ, სამჯერ გაუქანა ასე, მაგრამ ამასობაში მეც გონს მოვეგე, ხელი ვტაცე ბაბუას მომსხო ხელჯოხს, ისევ ძველებურად რომ იყო მიყუდებული კართან, საკიდარს უკან, ხოდა შევმართე, რათა მთელი ძალით კეფაში ჩამეთხლიშა იმ ბიჭისთვის.

— ჩიკ, გაჩერდი! — მომაყვირა გევინ ბიძიამ. — გაჩერდი! არ გაბედო! — ვერაფრით ვერ დავიჯერებდი, რომ თუნდაც შეყვირებაზე მატი ასე ფიცხლად შემომიტრიალდებოდა. ეტყობა, ოქროს ხელთათმანები ტყუილუბრალოდ არ ჰქონია მოგებული. ერთი სიტყვით, შემომიტრიალდა, იმ ჯოხს ხელი მიტაცა და მანამდე გამომგლიჯა, სანამ გონს მოვიდოდი, მე კიდევ იმის შიშით — ან მე, ან გევინ ბიძიას, ან კიდევ ორივეს ერთად დაგვცხებს-მეთქი იმ ჯოხს, დავიღუნე და ფეხებში მინდოდა ვწვდომოდი, მაგრამ იმან ჯოხი ხიშტივით გამოიშვირა, მკერდზე, ყელში მომაბჯინა და თითქოს ამწია იმ ჯოხით, გინდაც ჩვარი ვყოფილიყავი, ანდა ქაღალდის ნაგლეჯი.

— არ გამოგივიდა, ბიჭი! — მითხრა. — ისე კარგად კი გქონდა მოქნეული. აფსუს, ბიძაშენმა რომ გაგთქვა. — ჯოხი კუთხისკენ მოისროლა, გვერდი ამიარა და კარისკენ წავიდა. ხოდა მაშინღა გავიგონეთ ყველამ, რომ ის, ვინც ამან კაბინეტში არ შემოუშვა, გამწარებული კარს მუშტებს უბრახუნებდა; ამან რაზა გადაწია, კარი გააღო და უკუდგა ლინდას წინაშე, ის კიდევ შემოიჭრა, ცეცხლის ალივით შემოვარდა, კი, ნამდვილად ცეცხლის ალივით, გევინ ბიძიასთვის და ჩემთვის არც შემოუხედავს, ფეხის წვერებზე შედგა და სახეში ლეწა მატს ორჯერ, ჯერ მარცხენა, მერე მარჯვენა ხელი მოუნაცვლა აქლოშინებულმა, აყვირებულმა: — ჩერჩეტო! ცხოველო! ლენჩო! ხვადაგო! შე საზიზღარო! გამოყეყეჩებულო! — მანამდე არასოდეს არ გამეგონა, რომ თექვსმეტი წლის გოგო ასეთ ლანძღვა-გინებას მოჰყოლოდეს. არა: მანამდე არასოდეს გამეგონა, რომ ქალი მოჰყოლოდეს ასეთ ლანძღვა-გინებას. ის კიდევ იდგა იმ ბიჭის წინ, ხმამაღლა ტიროდა გაშმაგებული, თითქოს აღარ იცოდა, რა ექნა ეხლა, კიდევ გაერტყა

თუ ელანძღა ისევ. მაგრამ ამასობაში გევინ ბიძია მიეახლა, მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

— გაჩერდი! გაჩერდი, გესმის? — ხოდა ლინდა მობრუნდა, ხელები შემოხვია, სისხლით მოთხვრილ მის ხალათს მიეკრო სახით და კვლავაც მტირალმა ალმოთქვა:

— მისტერ გევინ, მისტერ გევინ, მისტერ გევინ!

— ჩიკ, კარი გააღე! — მითხრა გევინ ბიძიამ. მე გამოვაღე. — წადი აქედან, ბიჭო, — მატს მიმართა. — აბა, ჩქარა! — მატი გავიდა. მე კარის მიხურვა დავაპირე. — შენც, — მითხრა გევინ ბიძიამ.

— სერ? — ჩავეკითხე მე.

— შენც წადი! — მითხრა გევინ ბიძიამ და ლინდას ხელი მოხვია, ლინდა კიდევ კანკალებდა და ატირებული ეკვროდა, ხოდა მისი სისხლი ლინდასაც ეწვეთებოდა.

გევინ სტივენსი

13

— წადი! —ვუთხარი. —შენც წადი! —ჩიკი გავიდა, მე კიდევ ლინდას მოხვეული ვიდექი. უფრო სწორად, ლინდა მეკვროდა მთელი ძალით, კანკალებდა, სლუკუნებდა და ისე გამწარებული ტიროდა, ხალათი დამისველა მისმა ცრემლებმა. თვალი თვალისა წილო, — იტყოდა ალბათ რეტლიფი, რადგან ჩემი ცხვირიდან წვეთ-წვეთად დადენილი სისხლი ლინდას კაბის სახელოს უთხუპნიდა. თუმცა მე იმდენი მოვახერხე, ცალი ხელი გამომეთავისუფლებინა და მის მხარს ზემოთ ცხვირსახოცი ამომეღო პიჯაკის ჯიბიდან. ჯერჯერობით ესეც კმაროდა, ვიდრე სულ განვთავისუფლდებოდი და ონკანს მივწვდებოდი ცივი წყლის მოსაშვებად.

— გეყოფა! — ვუთხარი. — გეყოფა-მეთქი! — ის კიდევ ტირილს უმატებდა, უფრო მაგრად მეკვროდა და იმეორებდა:

— მისტერ გევინ, მისტერ გევინ, ო, მისტერ გევინ!

— ლინდა! —ვუთხარი. —მისმენ? —პასუხი არ გაუცია, ოღონდ მეტი ძალით ჩამეჭიდა, მომეყრდნო და მომეყრდნო მკერდზე. — გინდა ცოლად გამომყვე?

— კი! — ალმოთქვა მან. — კი! კი!

მაშინ ნიკაპქვეშ ხელი ამოვდე, მკერდს მოვიწყვიტე, თავი ავაწევინე და ვაიძულე პირდაპირ თვალებში შემოეხედა. რეტლიფმა მიამბო — მაკკერონს ნაცრისფერი თვალები ჰქონდაო, — ალბათ ისეთივე ფოლადისფერდაკრული, როგორიც ჰებ ჰემპტონს აქვს. ოღონდ ლინდას ნაცრისფერი არ ჰქონია თვალები, მუქი საფირონისფერი ჰქონდა, — მუდამ ამგვარი წარმომიდგებოდა ხოლმე ჰომეროსისეული საფირონის ზღვა.

— ყური მიგდე! — ვუთხარი. — გინდა გათხოვება? — არა, ჭკუა არაფრის მაქნისია იმათთვის, საუბრის დროს თუ დასჭირდებათ, ხალხთან საურთიერთოდ. თუმცა იმნაირებიც შემხვედრიან, მომხიბვლელნი რომ ყოფილან, ტაქტის მქონენი, ოღონდ ყოვლად უტვინონი. რადგან მამაკაცებთან, ადამიანებთან შეყრისას იმათ თავიანთი ინსტინქტი ესაჭიროებათ მხოლოდ, თავიანთი ინტუიცია,

თუმცა, ხანი რომ გამოხდება, ესეც უჩლუნგდებათ, ავიწყდებათ ხოლმე. იმათ თავგანწირვის ზღვარდაუდებელი უნარი სჭირდებათ, გულცივი მორალით და კიდევ უფრო გულცივი ფაქტებით შეუბრკოლებელი.

— მერედა აუცილებელია გათხოვება? — მკითხა ლინდამ.

— არა, რაღა თქმა უნდა. სულ ნუ გათხოვდები, თუკი არ ისურვებ.

— არ მინდა, არა, არავინ ქმრად არ მინდა!—თქვა, არა, დაიყვირა ლინდამ და ისევ მომეკრო, ისევ ჩამალა სახე ჩემს სველ, ცრემლებითა და სისხლით ერთიანად გაჟღენთილ ხალათში.

— არავინ არ მინდა! — ამოისლუკუნა. — არავინ მყავს თქვენს მეტი! თქვენი მწამს მხოლოდ! თქვენ მიყვარხართ! მიყვარხართ!

ჩარლზ მალისონი

14

გევინ ბიძია შინ რომ დაბრუნდა, სახე მობანილი ჰქონდა. მაგრამ მისი ცხვირის, მისი ტუჩის შემხედვარე მაინც ყველაფერს მიხვდებოდი კაცი; ხალათს და ჰალსტუხს ხომ ისეც ვერაფერს მოუხერხებდა, ახალს თუ იყიდდა — შაბათობით მაღაზიები გვიანობამდე არ იკეტებოდა. ოღონდ ყიდვით არაფერი უყიდია. დედა მაინც შეიტყობდა ყოველივეს; იქნება უეჭველად ასე ხდება ხოლმე, როცა თქვენ და თქვენი დაია ტყუპებად ხართ გაჩენილი. კი, ჩემო ბატონო, ბორმანქანებმა ლაპარაკი რომ იცოდნენ, დედაჩემის ხმა სწორედ ბორმანქანისას ემსგავსებოდა: აღარც იცინოდა, აღარც ტიროდა, იმასაც აღარ ამბობდა — გევინ, გევინ, ღმერთო, ეს რა უბედურებაა. ხოდა გევინ ბიძია ზევით ავიდა, რათა ვახშმობისთვის სუფთა ხალათი ჩაეცვა და სუფთა ჰალსტუხი გაეკეთებინა, და მაშინ კი თქვა დედამ:

— გონებას უყალიბებს, ხო.

კაცი იტყოდი, გევინ ბიძია ყველაფერს გაუძლებს, ოღონდ კი დარტყმით არ მოცელონ და ცხვირ-პირი არ დაუსისხლიანონო. ასე, მისტერ დე სპეინს მაშინ, მეჯლისის დღეს ეზოში რომ არ წაექცია, გევინ ბიძია თვითონვე დაივიწყებდა მისის სნოუპსს და აღარც ლინდას გონების ჩამოყალიბებისთვის იზრუნებდა, ხოლო მატ ლივიტი კაბინეტში რომ არ შევარდნოდა და ცხვირიდან სისხლი არ ედინა მისთვის, გევინ ბიძია ლინდას გონების ჩამოყალიბებაზე თვითონვე აიღებდა ხელს, სულ აღარ დასჭირდებოდა ამ საქმის მიყოლა.

ეხლა კი ვერ შეჩერდებოდა, აღარ შეეძლო შეჩერება. ოღონდ ერთი კია, რომ მატ ლივიტისგან მაინც დაიხსნა თავი. გაზაფხულზე იყო ეს ამბავი. ლინდა ბოლო კლასში სწავლობდა, მაისში სკოლას ამთავრებდა, ხოდა ნასკოლევს ყოველდღე ვხედავდი, როგორ ბრუნდებოდა სახლისკენ თავისი წიგნებით დატვირთული. არაფერი ვიცი, ლექსები თუ იყო იმ წიგნებში, იმიტომ რომ ეხლა კრისტიანის საკონდიტროსთან ჩავლისას ლინდა იქითკენ არც იხედებოდა. პირ-

დაპირ იყურებოდა თავაწეული, როგორც პოინტერს სჩვევია ნაბულის გაკეთების წინ. ისე მიდიოდა, თითქოს მთელ ხალხს და მთელ ჯეფერსონს, მთელ მოედანს კარგად ხედავსო, რადგან იმ წუთას, ყოველ წუთს ისე უნდა ჩაევლო გვერდი რაღაცისათვის, რომ არ შეჩერებულიყო, ჯეფერსონი იქნებოდა ის რაღაცა თუ ჯეფერსონელთა ჯარი, წინ უნდა ევლო, მორჩა და გათავდა.

ოღონდ გევინ ბიძიაც აღარსად ჩნდებოდა იქ, ვითომ შემთხვევითაც აღარ ენახებოდა. და თუ ეხლა გევინ ბიძია მის პირდაპირ მარმარილოს მაგიდას არ უჯდა კრისტიანის საკონდიტროში და არ შესცქეროდა, როგორ მიირთმევდა ლინდა მაღალ-მაღალი ჭიქიდან თხუთმეტი იქნებოდა თუ ოცი ცენტის საფასურ რაღაცას, სამაგიეროდ მატ ლივიტიც აღარსად ჩანდა ახლომახლო. გარაჟის დაკეტვის შემდეგ თავის ნახმარ მანქანაში ჯდებოდა მატ ლივიტი და ის მანქანა უმცირესი სიჩქარით მიღოღავდა მოედანზე ტროტუარის გასწვრივ, ოდნავ თუ ჩამორჩებოდა, თიქმის გვერდი-გვერდ მიჰყვებოდა, როცა კი ლინდა თავის მეგობრებთან ერთად კინოსკენ მიდიოდა მაღლა თავაწეული და ერთხელაც არ მიხედავდა, ვიდრე ის მოჩოჩიალე მანქანა მის იდაყვს მისწებებოდა ლამის და საყვირიც ჩუმ ხმაზე მიპიპინებდა. ასე მიადგებოდნენ ხოლმე კინოს. იქ ქალიშვილები კარებში გაუჩინარდებოდნენ, მანქანა კიდევ მთელი ძალით გავარდებოდა, შეუხვევდა, ერთ კვარტალს გაიქროლებდა, მეორე შესახვევიდან გამოიჭრებოდა სირენააკივლებული, კინოს შესასვლელთან გაიგრიალებდა და ისევ კვარტალს უვლიდა გარშემო კივილ-კივილით. ამასობაში იმ შესახვევისკენ ოტის ჰარკერი გამორბოდა, ღამის პოლისმენი (გროვერ კლივლენდ უინბუში საიმდროოდ უკვე გადამდგარი გახლდათ), გააჩერე, გააჩერეო — ღრიალებდა, ოღონდ მაშინვე განზე უნდა გამხტარიყო, რათა მანქანას არ გაეჭყლიტა.

კვირადღეობით კიდევ ის სირენა მოედანზე კიოდა და მატს დღის პოლისმენი მისდევდა ღრიალით, მისტერ ბაკ კონნორსი. ხოდა ეხლა მატს გვერდით ქალიშვილი უჯდა, სოფლელი გოგო, კაცმა არ იცის, რომელ მხარეში ნაპოვნი, და მანქანა მოსახვევში მიჰქროდა ღრიალ-ღრიალით ქალაქის განაპირა უბნამდე, ოღონდ ლინდას სახლთან სვლას ანელებდა ყურისწამღებად მოხმიანე. გეგონებოდათ ჯეფერსონში ავტომობილის საყვირი ყოფილიყოს უნუგეშო სიყვარულის ან თუნდაც გატაცების, ანდა იქნება ხელის მოცარვის ერთადერთი უცვლელი სიმბოლო.

ოღონდ იმ დღეს მისტერ კონნორსმა თავად შერიფს გაუგზავნა კაცი ამბის შესატყობინებლად. ჯერ ის ვიფიქრე, ოტის ჰარკერს გავაღვიძებინებ, გამოვიდეს და მომეშველოს-მეთქი, — უთქვამს მისტერ კონნორსს. მაგრამ ოტისს რომ გაუგია, მისტერ კონნორსს მატის მანქანის დაკავება უნდაო, ლოგინიდანაც არ წამომდგარა. მერე, მცირე ხანი რომ გავიდა, ვიღაცამ ჰკითხა მატს — ნუთუ შერიფი რომ შერიფია, მისტერ ჰემპტონი, ნუთუ მანქანას იმასაც დაატაკებდიო? ხოდა მატმა, მთელი ამ ამბების მერე რომ იჯდა და ტიროდა გულს შემომსკდარი, ასე უპასუხა: — დავატაკებდიო? ჰებ ჰემპტონს დავატაკებდიო? აბა, სწორედ იმის აყროლებულ შიგანს დავასვრევინებდი ჩემს მანქანას! — ერთი კია, რომ იმგზობაზე მისტერ ჰემპტონს არც დასჭირვებია საქმეში ჩარევა, რადგან მატი მაშინვე გაქრა ქალაქიდან, იქნება ის თავისი გოგო გაამგზავრა შინისკენ. მაგრამ იმავე ღამეს, ასე, თორმეტი საათისთვის, მისტერ ჰემპტონს დაურეკეს — ვინმე გამოაგზავნეთო კალედონიაში, რადგან მატს კარგი მაგარი ჩხუბი მოსვლია ენს მაკკალემთან, მისტერ ბადდი მაკკალემის ერთ-ერთ ვაჟიშვილთან; ხოდა ენსს არ ვიცი სარი ამოუძვრია ღობიდან, არ ვიცი სხვა

რალაცა მოუმარჯვებია, და ალბათ იქვე მიასალებდა მატს, მაგრამ ამასობაში გაუშველებიათ და გაკავებული ჰყოლიათ, ვიდრე ვილაცა შერიფს ურეკავდა. მერე ორივენი ქალაქში ჩამოიყვანეს და ციხეში ჩაამწყვდიეს. მეორე დილას კიდევ თავად ხისფეხიანმა მისტერ ბადდი მაკკალემმა ჩამოაკითხა, ჯარიმა გადაიხადა, ა. ო. სნოუპსის თავლის უკან გაიყვანა ორივე ერთ უკაცურ ადგილას და თავის ენსს უთხრა:

— მაცალე მე შენ! პატიოსანი ჩხუბი არ იცი, სარი უნდა გეჭიროს ხელში, ხომ? ხოდა ნახავ აგერ, წავიძრობ ამ ხის ფეხს და დაგირთავ კარგად!

ამის მერე ყმაწვილკაცებმა ისევ დასცხეს ერთმანეთს უსაროდ და უიარაღოდ, თავად მისტერ ბადდი და კიდევ რამდენიმე კაცი იდგნენ და უყურებდნენ. ენსი რას მივიდოდა ოქროს ხელთათმანების პატრონ მატთან, მაგრამ მაინც მანამდე უძალიანდებოდა, სანამ მისტერ ბადდიმ არ თქვა: — მორჩა, გეყოფათ ეხლა. — მერე ენსს უბრძანა — ჭასთან მიდი, სახე მოიბანე და ჩვენს მანქანაში დამიცადეო, მატს კიდევ უთხრა: — კი გიწია იმ დრომ, აქაურობას რომ მოცილდე ნამდვილად. — თუმცა ეს საქმე უმისოდაც მოეხდინათ უკვე: გარაჟის ხალხმა უთხრა — მატი უკვე დაითხოვესო, მაგრამ მატმა იქვე უპასუხა:

— დამითხოვეს, კი, როგორ არა! მე თვითონ გავასწორე ანგარიში. ერთი პირში მითხრას იმ დამპალმა — დაგითხოვეო. — ოღონდ ამასობაში შერიფი ჰემპტონიც მოვიდა, მაღალ-მაღალი, მუცელწამოზრდილი, და მატს მიაცივდა თავისი მსუსხავი ნაცრისფერი თვალებით — ვინ ეშმაკებმა გააქრო ჩემი მანქანა? — იკითხა მატმა.

— მე მიყენია სახლში, — უთხრა მისტერ ჰემპტონმა. — ამ დილას ვუბრძანე — წაიყვანეთ-მეთქი.

— ესაა საქმე? — თქვა მატმა. — კიდევ კარგი, რომ მაკკალემმა მანამდე გადაიხადა საჩემო ჯარიმა, სანამ თქვენ ჩემს ავტომობილს გააქანებდით და ფულს ჩაიჯიბავდით, ხომ? იმისას რას იტყვით, რომ ავდგე ეხლა, იმ ჩემ მანქანაში ჩავჯდე და დავქოქო?

— არაფერს, შვილო, — უთხრა მისტერ ჰემპტონმა. — ჩაჯექი და მოუსვი, როცა მოგეხასიათოს.

— ეხლა კი ხართ თანახმა, — თქვა მატმა. — ხო, წავალ ამ თქვენი ჭირიანი ქალაქიდან, ოღონდ სირენას კი ავაყვირებ გემოზე. ამ ამბის მოთმენაც მოგიწევთ, ასე ვიცი მე. ხო, რას მიბრძანებთ?

— არაფერს, შვილო, — უთხრა მისტერ ჰემპტონმა. — მოდი, მოვრიგდეთ მე და შენ. რამდენიც მოგეხასიათოს, იმდენი აყვირე ჩვენი ოლქის ზედ საზღვრამდე და თუ გინდა საზღვარს იქითაც ერთი ათ ფუტზე, ხოდა კაციშვილს თითსაც არ დავაკარებინებ შენთვის, თუკი იმას შემპირდები, რომ მეტი არასოდეს გადმოცილდები იმ ჩვენს საზღვარს.

ამით მოთავდა ეს საქმე. ეს ამბავი ორშაბათს, ბაზრობის დღეს მოხდა. კაცი იფიქრებდი, მთელი ოლქი ჩვენს ქალაქში შეყრილაო. ყველანი მდუმარედ იყვნენ მოედანს შემოჯარულნი, რათა დაენახათ, როგორ ჩაივლიდა იმ მოედანზე მატ ლივიტი უკანასკნელად. გვერდით ფიბრის ჩემოდანი ედვა (სწორედ იმ ჩემოდნით მოევლინა პირველად ჯეფერსონს), სირენის კივილ-კივილით მიჰყავდა მანქანა. ხელიც არავის დაუქნევია გამოსამშვიდობებლად და არც მატს შეუხედავს ვინმესთვის: ყველანი უხმოდ მისჩერებოდნენ ნელი სვლით მიმავალ

მანქანას — მოხმაურობდა მოედანზე ის ავტომობილი, ხასხასა ფერებით შეღებილი, უტიფარი, გამომწვევი და, ამასთან, რალაცნაირად უჩვეულო და მილეული შესახედი, გინდაც საბავშვო სათამაშო ყოფილიყოს, ნაძვის ხეზე ჩამოსაკიდებელი ზიზილა, ისე რომ, კაცი იტყოდი, მემფისამდეც ვერაფრის დიდებით ვერ ჩააღწევს, ოჰაიოსი რომ აღარაფერი ითქვასო; მოედანს გასცდა და იმ ქუჩას გაუყვა, ქალაქის განაპირა უბანში მემფისის გზატკეცილზე რომ გადიოდა, სირენა კიდევ მიკიოდა და მილრიალებდა, კედლებიდან ექოდ არეკლილი ათასჯერ ძლიერ ხმას გამოსცემდა, თითქოს იმ მომცრო, საცოდავი, მილეული მანქანის ხმიანობა არც ყოფილიყოს. ხოდა ჩვენ, ზოგიერთი ჩვენგანი, ვვარაუდობდით — ეხლა კი უეჭველად ლინდა სნოუპსის სახლს ჩაუვლისო, უკანასკნელად გაატარებს ნელი სვლით იქ იმ თავის აბღავლებულ მანქანასო. მაგრამ ლინდას სახლთან არ ჩაუვლია. თანდათანობით უმატებდა სიჩქარეს იმ ფართო, დაცარიელებულ ქუჩაზე, ქალაქის განაპირას მდგარი უკანასკნელი სახლების გასწვრივ, სადაც ტყეთა და ველ-მინდორთა საგაზაფხულო სივრცე ეძალებოდა უკვე და სადაც სირენას გამომწვევი კივილიც კი საცოდავად გაისმოდა, ნელდებოდა და უკვალოდ ინთქებოდა წორეთში.

ისე რომ, მამაჩემის ნათქვამის არ იყოს, ერთით ნოლი გამოდიოდა გევინ ბიძიას სასარგებლოდ. ამასობაში მაისმაც მოატანა და უკვე ყველამ ვიცოდით— წელს ლინდა სნოუპსი სკოლას ამთავრებს, თავის კლასში პირველი მოწაფე არისო. ის იყო უილდერმარკის მაღაზიასთან უნდა ჩაგვევლო, რომ გევინ ბიძია შეჩერდა, ვიტრინას მიგვაყენა და გვითხრა: — აი, ის, იქ რომ დევს, მწვანეს გვერდით.

ქალის საგზაო ნესესერი იდო იქ.

— კი მაგრამ, ეგ სამგზავრო არ არის? — დედაჩემმა იკითხა.

— სწორედ, — დაუდასტურა გევინ ბიძიამ.

— სამგზავრო, — თქვა დედამ. — გზაში სახმარი.

— არა... თუმცა ხო, კი, — თქვა გევინ ბიძიამ. — სწორედ გამგზავრება სჭირდება აქედან, ჯეფერსონიდან.

— ვითომ რითაა ცუდი ჯეფერსონი? — უთხრა დედამ. — სამივენი მაღაზიის წინ ვიდექით და ქალის ნესესერს დავყურებდით. და მე ჩვენს ანარეკლებს ვხედავდი ვიტრინაში. დედა არც ჩუმი ხმით მეტყველებდა, არც ხმამაღლა, ერთობ მშვიდად მიმართავდა გევინ ბიძიას.—ხო, რით არის აქაურობა ლინდასთვის ცუდი?

გევინ ბიძიამაც იმავე ხმით უპასუხა: — არ მიყვარს, როცა ტყუილუბრალოდ იკარგება რამე. ადამიანს იმის საშუალება უნდა მისცე, ყველაფერი გააკეთოს, რათა მისი ცხოვრება ამაოდ არ განქარდეს.

— უფრო სწორად, ვილაცას საშუალება უნდა მისცე, ისე მოაწყოს საქმე, რომ ქალიშვილი ქალი ტყუილუბრალოდ არ დაღუპოს, ხომ? — უთხრა დედამ.

— კარგი, კარგი, — აღმოთქვა გევინ ბიძიამ. — მე მინდა ბედნიერი იყოს ის გოგო. ყველას უნდა მიეცეს იმის შესაძლებლობა, რომ ბედნიერი იყოს.

— ხოდა, ჯეფერსონში თუ დარჩა, რაღა თქმა უნდა, ვერ მოხერხდება ეგ ამბავი.

— კარგი, კარგი, — თქვა გევინ ბიძიამ. ერთიმეორეს არც უყურებდნენ ისინი. გეგონებოდათ ერთმანეთს კი არ ესიტყვებიან, ვიტრინაში გამოსახულ მკრთალ ანარეკლებს მიმართავენო. ეს იმას ჰგავდა, ქაღალდზე რაღაც აზრი რომ ჩაინიშნო და ხელუხლებელ, ზედწაუწერელ კონვერტში ჩადო ის ქაღალდი,

ცარიელ ბოთლში ჩაუშვა, თავი გადაუბეჭდო და ზღვაში შეაცურო; ან კიდევ ორი აზრი ჩაიწეროს, ის ფურცლები ორ ბოთლში ჩაბეჭდო სამუდამოდ და ორივე ერთად მისცე ზღვის დინებას, რათა ზვირთებზე აცურდნენ და ქვეყნის კიდემდე გააღწიონ, მარადიულ ყინულთა სამფლობელომდე; და მაინც ის აზრები მიუხებელი დარჩება, შეუცვლელი, აზრებად დარჩება, ჭეშმარიტებად, იქნებ ფაქტებადაც, თუმცა კაცის თვალი ვერასოდეს იხილავს მათ, სხვა რაიმე აზრი მათგან არ აღმოცენდება, არსად არავის შემოეყრება, ვერც სიხარულს აღძრავს, ვერც დასტურს და ვერც მწუხარებას.

— ყველას უნდა ჰქონდეს იმის უფლებაც, შესაძლებლობაც და მოვალეობაც, ისე მოაწყოს საქმე, რომ ყველანი ბედნიერნი იყვნენ, სულ ერთია, დაუმსახურებიათ თუ არა, სურთ თუ არა ეს ბედნიერება, — თქვა დედამ.

— კარგი, კარგი, — თქვა გევინ ბიძიამ. — მაპატიე, რომ გაგაჩერე. წავიდეთ, სახლში წასვლის დროა. მისის რაუნსველს ჰელიოტროპების თაიგულს გავაგზავნინებ.

— ვითომ რატომ? — უთხრა დედამ, ხელკავი გაუკეთა, შეაბრუნა, ვიტრინაში ჩვენი სამი გამოსახულებაც შებრუნდა და მაღაზიის კარს მივადექით, შიგნით შევედით. დედა პირველი მიადგა საგზაო ნივთების განყოფილებას.

— მე მგონია ის ლურჯი აჯობებს ყველას, მისი თვალების ფერს მოუხდება, — თქვა დედამ, — ლინდა სნოუპსისთვის გვინდა, სკოლის დამთავრების საჩუქრად, — მიმართა მის იუნის ჰენტს, გამყიდველს.

— რა მშვენიერია! — თქვა მის იუნისმა. — ლინდა სადმე გამგზავრებას აპირებს?

— დიახ, —-უთხრა დედამ. — იქნებ გაემგზავროს. ყოველ შემთხვევაში გაისად მაინც მიაკითხავს ალბათ აღმოსავლეთის შტატების რომელიმე ქალთა კოლეჯს. ასე კი თქვეს და.

— რა მშვენიერია! — თქვა მის იუნისმა. — სულ იმას ვამბობდი — ჩვენი ახალგაზრდები, ბიჭებიც და გოგოებიც, ერთი წლით მაინც უნდა მიემგზავრებოდნენ-მეთქი შინიდან, რომელიმე კოლეჯში შედიოდნენ-მეთქი. ხომ უნდა ნახონ მაინც, ხალხი რანაირად ცხოვრობს?

— რალა თქმა უნდა! — თქვა დედამ. — ვიდრე არ გაემგზავრები და არ ნახავ, იმედით სულდგმულობ ადამიანი. ხოდა, სანამ შენი თვალით არ იხილავ ყველაფერს, ვერაფრით ვერ დაშოშმინდები და ვერ გაშინაურდები, ასე არაა?

— მეგი, — გევინ ბიძიამ უთხრა.

— დაშოშმინდები და იმედიც გადაგეწურება, ხომ? — თქვა მის იუნისმა.— კი მაგრამ ახალგაზრდები იმედს რომ არ უნდა ჰკარგავდნენ?

— არა, რალა თქმა უნდა, — მიუგო დედამ. — არც უნდა დაკარგონ. ისედაც მუდამ ჭაბუკად უნდა დარჩე კაცი, მერამდენე წელიწადმაც უნდა მოგიკაკუნოს.

— მეგი, — გევინ ბიძიამ უთხრა.

— ხო-ო, ნაღდი გინდა გადაუხადო, რომ ანგარიში აღარ გამოგიგზავნონ? — შეეკითხა დედა. — ძალიან კარგი. ალბათ მისტერ უილდერმარკსაც ასე ურჩევნია ვაჭრობა.

ხოდა გევინ ბიძიამ ორი ცალი ოც-ოცდოლარიანი ამოიღო საფულედან, მერე თავისი სავიზიტო ბარათი ამოაყოლა და დედას გაუწოდა.

— მადლობელი ვარ, — უთხრა დედამ. — ოღონდ მის იუნისს ალბათ უფრო დიდი ბარათიც ეშოვება, ისეთი, ოთხივეს სახელი რომ დაეტიოს. — მის იუნისმა დედას დიდი ბარათი მიართვა, დედამ გევინ ბიძიასკენ გაიწოდა ხელი და დაელოდა, ვიდრე გევინ ბიძია თავის მუდმივ კალმისტარს ხუფს მოაძრობდა და გაუწოდებდა, ხოდა ყველანი დავყურებდით, როგორ გამოჰყავდა დედას დიდრონ-დიდრონი ბატიფეხური ასოებით:

მისტერ და მისის ჩარლზ მალისონები.

ჩარლზ მალისონ უმცროსი

მისტერ გევინ სტივენსი

მერე კალმისტარს ხუფი მოარგო, გევინ ბიძიას დაუბრუნა, ბარათის კიდეს ცერი და საჩვენებელი თითებით დასწვდა, ბარათი ჰაერში გააქან-გამოაქანა მელნის შესაშრობად და მის იუნისს გადასცა.

— ამ საღამოსვე გავუგზავნი, — თქვა მის იუნისმა, — თუმცა სკოლას იმ კვირაში ამთავრებენ. რა მშვენიერი საჩუქარია! ბარემ დღესვე გაიხაროს ლინდამ.

— ხო, — დედამ უთხრა, — რატომ არ უნდა გაიხაროს? — მერე გარეთ გამოვედით და ჩვენი ანარეკლები ვიტრინაში შეირწყა; დედამ ისევ გამოსდი ხელკავი გევინ ბიძიას.

— ოთხივეს სახელია დაწერილი, — თქვა გევინ ბიძიამ. — ის მაინცაა, რომ მამამისი ვერ შეიტყობს — გაჭაღარავებულმა ბერბიჭამ ჩემს ჩვიდმეტი წლის ქალიშვილს ტუალეტის საგნებიანი საგზაო საკვოიაჟი მიუძღვნაო.

— ხო, — უთხრა დედამ. — ერთი იმათგანი ვერ შეიტყობს ამ ამბავს.

გევინ სტივენსი

15

ყველაფერზე ძნელი იმის მოფიქრება იყო, როგორ მეთქვა, როგორ ამეხსნა მისთვის ეს ამბავი. ესე იგი ამეხსნა — ამიტომ და ამიტომ-მეთქი. თავად მოქმედება, ჩემი საქციელი კი არა, ის ამბავი, რითაც საქციელი იქნებოდა გამოწვეული, რისთვისაც იქნებოდა საჭირო; ყოველივე პირდაპირ მეთქვა იმ საშინელი სინთეტიკური დომხალის მირთმევისას, იმას რომ ისე ძალიან უყვარდა, ყოველ შემთხვევაში, სულ მუდამ რომ უკვეთავდა კრისტიანის საკონდიტროში; ანდა იქნება ქუჩაში გამეჩერებინა და ისე მიმეხალა: „დღეის იქით ჩვენ აღარ შევხვდებით ხოლმე ერთიმეორეს, რადგან მას შემდეგ, რაც ჯეფერსონი მოინელებს იმ შაბათის ყოველ წვრილმანს, როცა შენმა ბიჭმა ვითომც ჩემს კაბინეტში შეგისწრო და ცხვირიდან სისხლი მადინა, ერთი კვირის მერე გამოსამშვიდობებელი ღამე ჯეფერსონის ციხეში გაატარა, მერე ფეხთაგან სამუდამოდ განიფერთხა ჩვენი მტვერი და აქედან გაქროლდა სირენააკივლებული, — ყოველივე ამის შემდეგ ხელახლა რომ შემხვდე ნაყინით მოვაჭრე ბუნაგში, ეს იმის მაუწყებელი იქნება, რომ საბოლოოდ მოსპო ის, რაიც კიდევ შემოგრჩენია შენი შეურყვნელი სახელისგან“.

გამიგეთ? მთელი საქმეც ეს გახლდათ, ეს სიტყვები: „რეპუტაცია“, „შეურყვნელი სახელი“. ამ სიტყვათა წარმოთქმა, მათი არსებობისთვის სიტყვიერი

გამოხატულების მინიჭება უკვე თავისთავად იმას ნიშნავდა, რომ განურინებლად შებილწულიყვნენ ისინი, დარღვეულიყო ყოველივე იმის მიუხებლობა, რასაც ისინი ასახიერებდნენ, არა მარტო მოწყვლადად ქცეულიყო, — დასაღუპავადაც განწირულიყო ყოველივე. უქცეველ, ზვიად და წმინდა პრინციპთა ნაცვლად ფუჭ, იმთავითვე განწირულ, შერცხვენილ ცნებებად იქცეოდნენ ისინი და მერყევ კაცობრიულ პირობითობათა დონემდე დავიდოდნენ. უმანკოება და უბიწოება ზიანის, მწუხარების სიმბოლოდ თუ წანამძღვრად შეიქნებოდა, ისეთ რაიმედ, რაც მუდამ დასატირებელია, რაიც ნამყო დროში არსებობს მხოლოდ: **იყო და უკვე აღარ არის, აღარ არის, აღარ არის.**

აი ეს გახლდათ ყველაფერზე ძნელი, თორემ ყოველივე ამის ცხოვრებაში აღსრულებაზე ადვილი რა უნდა ყოფილიყო. ჩემდა ბედად ის ამბავი შაბათ დღეს გადამხდა, ისე რომ მე და სახეს ჩემსას ოცდათორმეტი საათი გვქონდა ბოძებული, ვიდრე ხალხში გამოჩენა მოგვიხდებოდა. (იქნებ გაცილებით ნაკლები დრო დამჭირვებოდა, იმის ბეჭედი რომ არა, სპილენძის კასტეტზე ოდნავ მომცრო, ბაჯალლო ოქროს რომ ჰგავდა ზედმიწევნით, მით უმეტეს, თუკი ძალიან არ დაუკვირდებოდი; იმ ბეჭედზე კიდევ ვეფხვის თავი იყო ნაქანდაკარი, კბილთა შუა ყალბი ლალის მჭერელი ოდესმე. ხო, მე მგონია, ყალბი იყო ის თვალი და მისი დაკარგვით ჩემი ტუჩის მეტი არავინ დაზარალებულა).

ისე, საკონდიტროში ყოველ კვირასაც როდი ვხვდებოდით ერთმანეთს, ყოველდღე შეხვედრისას აღარაფერს ვამბობ. ასე რომ შეიძლებოდა მთელ კვირას გაევლო, ვიდრე, ჯერ ერთი, ვინმე შეამჩნევდა — აგერ ერთი კვირა იქნება, აღარ შეყრილანო, და, მეორეც, მაშინვე დაასკვნიდა — თუ დასამალი არა აქვთ რაღაცა, ერთიმეორე მთელ კვირას რატომ არ უნახავთო, და, მესამეც, რაკი ერთ კვირას გაძლეს და მაინც შეიყარენ, ესე იგი, რაც მანამდე ივარაუდებოდა, ყველაფერი დასტურდებაო.

ოღონდ საიმდროოდ მე უკვე შემეძლო წვერი ისე გამეპარსა ხოლმე, გახეთქილი ტუჩი აღარ მეგრძნო. ისე რომ ყოველივე მარტივად აეწყო, სულ მარტივად, ხოდა მეც გულმარტივი გახლდით და არიფი. მოგონებით ასეთი რამე მოვიგონე: ზუსტად, წუთი წუთზე შემთხვევით გამოვიდოდი საკონდიტროდან, ხელში, ვთქვათ, ჩიბუხის თამბაქოს კოლოფი მეჭირებოდა და იმ კოლოფს ჯიბისკენ წავიღებდი სწორედ იმ დროს, როცა იქ სკოლისკენ მიმავალ ლინდას უნდა ჩაევლო: „დილა მშვიდობისა, ლინდა“, — თან ჩავუვლიდი და იქვე შევჩერდებოდი: „ახალი წიგნი მაქვს საშენოდ. მოდი შევხვდეთ გაკვეთილების მერე, თითო ჭიქა კოკა-კოლა დავლიოთ“.

თითქოს მეტი არაფერი იყო საჭირო, რადგან გულმარტივი გახლდით და ერთხელაც აზრად არ მომსვლია, იმ ლამის ოქროსგან გამოძერწილი, ლალამოვარდნილი ვეფხვის თავის დარტყმამ ლინდაც რომ დაჭრა, თუმცა ნაჭრილობევის კვალი აღარ დარჩენილა; რომ უმანკოება იმიტომ კი არ არის უმანკო, უარს რომ ჰყოფს, არამედ იმიტომ, რომ ლებულობს; უმანკო იმიტომ კი არ არის, ამ ქვეყნად ყოველივესთვის განუგმირავი და მოუწყვლელი რომაა, არამედ იმიტომ, რომ იმის უნარი აქვს, ყოველივეს გაუძლოს და მაინც უმანკოდ დარჩეს; უმანკოდ, რამეთუ ყველაფერი გათვალისწინებული აქვს და ამის გამო შიშის განცდას აღარ უნდა უფრთხოდეს. თამბაქოს კოლოფი უკვე ჯიბეში მედვა, რადგან ერთობ თვალშისაცემი შეიქნა, რომ ხელში მეჭირა ის კოლოფი;

უკვე ჩაიარეს უკანასკნელმა პატარებმა, წიგნებით დატვირთულებმა, სკოლის ზარის პირველი ხმიანების მოლოდინში ფეხაჩქარებულებმა, ლინდა კი არ ჩანდა და არა; როგორც ეტყობოდა, გამომპარვოდა თვალთაგან: ან ძალიან გვიან დამეკავებინა ჩემი პოსტი, ან კიდევ სხვა გზით ევლო იმას სკოლისკენ, ანდა იქნება იმ დღეს სულაც აცდენდა გაკვეთილებს რაღაც-რაღაც მიზეზთა გამო, და ის მიზეზები არაფრით არ იყო დაკავშირებული ასაკში შესულ ბერბიჭასთან, ვინც იმ გოგოს პოეტებს აცნობდა, ჯონსონს, გერიკს, ტომას კემპიონს; მოწაფეთაგან დაცლილი ქუჩა გადავჭერი და კიბეს შევუყევი, რამეთუ ხვალინდელ დღესაც მოვესწრებოდი, ისიც კი შემეძლო იგივე თამბაქოს კოლოფი მომემარჯვებინა მეტი დამაჯერებლობისთვის, თუკი ამასობაში ცისფერი ეტიკეტი არ ასძვრებოდა. მერე კარი შევაღე და ჩემს კაბინეტში შევედი.

ლინდა სკამზე იჯდა, საწერ მაგიდასთან მიდგმულ მარჯვედ ჩასაჯდომ სავარძელში კი არა, არც მომსვლელთათვის განკუთვნილ ტყავგადაკრულ სავარძელში, — წიგნების თაროსთან მდგარ უსახელურო, მაგარ სკამზე, თითქოს ერბინოს, ეფრინოს აქეთ გამოშურებულს, ვიდრე კედელს არ გადააწყდა, და მერეღა შეჩერებულიყოს, მერეღა დაშვებულიყოს იმ სკამზე არც მთლად გამართული, ოღონდ არც მოხრილი; რადგან ფეხები, მუხლები მჭიდროდ კი ჰქონდა დატყუპებული და ხელებიც მტკიცედ შეეტყველვა მუხლისთავებთან, მაინც თავი აილო და თვალი არ მოუშორებია ჯერ კარისთვის, მერე ჩემთვის. ის თვალები მაკკერონისგან ჰქონდა მემკვიდრეობით მიღებული, შორიდან შავ-შავი უჩანდა თმასავით, ოღონდ მერე შეამჩნევდით, ლურჯი რომ ჰქონდა თვალები, ისეთი მუქლურჯი, ლამის იისფრად მოგეჩვენებოდათ.

— მე ვიფიქრე... — აღმოთქვა მან. — ვიღაცამ მითხრა — მატმა სამუშაო მიატოვა და გუშინ აქედან წავიდაო. ხოდა ვიფიქრე, იქნება თქვენ...

— რაღა თქმა უნდა,—ვუთხარი.—შენი ნახვა ყოველთვის მიხარია,—და მაშინვე თავი შევიკავე, რომ არ მეთქვა: **იქ გელოდებოდი, ქუჩის კუთხეში, ბოლო ზარის დარეკვამდე გელოდებოდი, როდის ჩაივლის-მეთქი;** თუმცა კაცმა რომ თქვას, თავი იმისგან შევიკავე, რომ არ მეთქვა: **ადექი! ეხლავე წადი აქედან! რამ მოგიყვანა? ნუთუ არ გესმის, რომ ამ ამბის გამო ერთი ღამეც არ მძინებია შაბათს აქეთ?** — ოღონდ ის ვთქვი მხოლოდ — ერთი კოლოფი თამბაქო ვიყიდე და ეხლა ვიღაც უნდა მოვძებნო ისეთი, ვინც მის მოწევას შეძლებს თუ მოისურვებს-მეთქი, ხოდა იქვე დავსძინე, რაკი სიტყვამ მოიტანა: — ახალი წიგნი მაქვს საშენოდ. დილას წამოღება დამავიწყდა, მაგრამ საშუადღეოდ წამოვიძღვანებ. გაკვეთილების მერე საკონდიტროში დაგიცდი და ნაყინზე დაგპატიჟებ. ოღონდ ეხლა გაიქეცი, ისედაც დაგვიანებული ხარ.

კარის სახელურისთვის ხელი არც მქონდა შეშვებული, ისე რომ იმის მეტი არაფერი მჭირდებოდა, ხელახლა გამომეღო. ხოდა ის მჭირდებოდა კიდევ, იმ ხნის განმავლობაში, ვიდრე ლინდა ოთახს გამოივლიდა, ათასგვარი მომსკდარი ვარაუდი განმეშორებინა: კაბინეტში ხომ არ დავიმალო, ვითომ ამ დილას სულაც არ მოვსულვარ, და ლინდას მარტოს ვაცალო-მეთქი წასვლა; კიბემდე ხომ არ მივაცილო და მამაშვილურად ალერსიანი მოპყრობით ხომ არ გავისტუმრო-მეთქი; სკოლამდე ხომ არ მივყვე, თვალი მივადევნო, სანამ კარებში შევიდოდეს-მეთქი, ვითომ—ოჯახის მეგობარს მეზობლის ბალღი გაკვეთილების გაცდენას გადაურჩენია და სკოლის წიაღში მოუგვრიაო. ოჯახის მეგობარს, ფლემ სნოუპსის ოჯახის მეგობარს, იმ ფლემ სნოუპსისას, ვისაც მეტი მეგობარი არ ჰყოლია, ვიდრე ყაჩაღ პისტოლს; იულა უორნერის მეგობარს, იმ იულა

უორნერისას, ვის მეგობრებსაც კაციშვილი მეგობრებად არ მოიხსენიებდა, მესალინას ან მშვენიერი ელენეს მეგობრების არ იყოს.

ხოდა ამასობაში ყველაფერი ერთად მოვიმოქმედე: ჯერ კაბინეტში შევყოვნდი, იმდენ ხანს შევყოვნდი, რომ მერე კიბეზე ლინდას დადევნება მომიხდა; მერე ქუჩაში გავყევი, ოღონდ ისე არ დავცილებივარ, რომ არ შევემჩნიეთ, ყურადღება არ მოექციათ. ამის მერე ერთადერთი ისღა დამრჩენოდა, ჩემი დისწული დოლარიანით მომესყიდა და წიგნი გამეტანებინა. არც მახსოვს, რა წიგნი იყო, ალბათ არც დამიხედავს.

— კარგი, სერ! — მითხრა ჩიკმა. — ესე იგი ნასკოლევს კრისტიანის საკონდიტროში დავუხვდები, წიგნს გადავცემ და ვეტყვი — გევინ ბიძიაც შეეცდება მოვიდეს, ოღონდ თქვენ ნუ დაუცდით-მეთქი. ხო, კიდევ ნაყინზე უნდა დავპატიჟო, ოღონდ არ აჯობებდა დრო ტყვილად რომ არ დამეკარგა და პირდაპირ სკოლაში მიმეტანა ეს წიგნი?

— მართალი ხარ, — ვუთხარი. — არ აჯობებდა ეს დოლარი შენთვის არ მომეცა?

— ნაყინზეც უნდა დავპატიჟო, ხომ? ხოდა ამის ფულიც იმ დოლარიდან გადავიხადო?

— კარგი, — ვუთხარი მე, — ოცდახუთი ცენტი შენი იყოს. ლინდამ ბანანის პლომბირი თუ მოინდომა, შენ შეგიძლია წყალი მიირთვა და ერთი ნიკელი შეირჩინო კიდევ.

— იქნებ ლინდამ კოკა-კოლა დალიოს და მეტი არაფერი მოინდომოს, — მითხრა იმან, — მაშინ მეც დავლევ და თხუთმეტი ცენტი მაინც დამრჩება.

— მით უკეთესი, — ვუთხარი მე.

— სულ არაფერი რომ არ მოინდომოს?

— მით უკეთესი-მეთქი, გითხარი, — ვუპასუხე მე.

ეხლა ისღა დამრჩენოდა, დათქმულ დროს დავლოდებოდი: ალარ დაადგა საშველი ოთხის ნახევრის გახდომას, ათასგვარი ეჭვი მომეძალა, გაუთავებელი და მტანჯველი წინაუკმობა. გამიგეთ? მარტო პაემანის დასანიშნად კი არ წამაქეზა ამ გოგომ, — ისეთი პაემანის დასანიშნად, რომლის დროსაც უნდა დამეღუპა, დამელეწა, გამენადგურებინა, ჩამეკლა რალაც, — დამასწრო კიდეც თავისი სიმარტივით და უბრალოებით.

ხოდა ეხლა ისღა დამრჩენოდა, დავლოდებოდი. იმას დავლოდებოდი, დრო როდის გაივლიდა, უნდა გამეძლო ამ დროის გასვლამდე; ჩემი კაბინეტის ფანჯარასთანაც შემეძლო მომეცადა, უკეთესიც კი იყო აქ ლოდინი, ვიდრე სხვა რომელსამე ადგილას, რადგან ფანჯრიდან საკონდიტროს შესასვლელი ჩანდა, ისე რომ მოთმინებით აღჭურვა მმართებდა მხოლოდ. გაკვეთილების დამთავრების ზარს ვერ გავიგონებდი, საამისოდ ერთობ შორს იყო ჩემი კაბინეტი, მაგრამ იმის დანახვა კი შეიძლებოდა, როგორ გამოეფინებოდნენ სკოლიდან ისინი: თავდაპირველად სულ პატარები, პირველ და მეორეკლასელთა გაფანტული ნაკადები; მერე შუათანა კლასები — მოხმაურენი, ცელქნი, ბიჭები მაინც განსაკუთრებით; ბოლოს უფროსკლასელები და მათ შორის წლევანდელ წელს დამამთავრებელნი — საკუთარი ღირსებით დატვირთულნი, სიმწიფედაწყებულნი და ამის გამო გაგარეულებულნი; აჰა, ისიც გამოჩნდა, ტანმაღალი (არც ისე

ძალიან მაღალი, მაგრამ მაინც სხვათა უმაღლესი, გინდაც ყანჩა ყოფილიყოს, ბაყაყთა და თავკომბალათა შორის ჩამდგარი ჭაობში), წამით შეჩერდა საკონდიტროს შესასვლელთან, უკაცურ კიბეს ამოხედა, მერე შიგ შევიდა ხელით სამი წიგნის მჭერელი. იმ სამი წიგნიდან ერთ-ერთი ჩემი შეიძლებოდა ყოფილიყო, ხოდა ისიც გავიფიქრე: **ესე იგი, ჩიკს ის წიგნი სკოლაშივე გადაუცია, ოცდახუთი ცენტი შეუტყაპუნებია იმ მამაძაღლს.**

ოღონდ ამასობაში ჩიკიც დავინახე; ისიც საკონდიტროში შევიდა და ხელთ იმასაც წიგნი ეჭირა, ხოდა ამგვარი რამე ვიფიქრე: უნდა მომესაზრებინა, ერთი ჭიქა წყალი დამესხა ჩემთვის, დინჯად გადამეთვალა, ასე, სამოციოდე წამი, დაახლოებით ის დრო, რაც სოდიანი წყლის გამყიდველს სკიტს მაკჰაუნს დასჭირდებოდა, რათა რომელიმე უმცროს თუ უფროსკლასელ გოგოსთან ლაზღანდარობას შეშვებოდა და შეცვეთა მიეღო, ხოდა მერე მეც დამელია ის ერთი ჭიქა წყალი, როგორც კოკა-კოლას შესვამდნენ ისინი; ოღონდ ამასობაში ისიც გავიფიქრე: **იქნება ლინდამ პლომბირი შეუკვეთა, იქნება კიდევ მაქვსმეთქი დრო,** — და უმალვე ადგილს მოვწყდი, უმალვე გასასვლელს მივასკდი, კარი მანამდე გამოვაღე, ვიდრე ჩემს თავს ვაიძულებდი შევჩერებულიყავი: ხომ არაფრით არ შეიძლება ვინმემ თავისი თვალით იხილოს, როგორ მიჭენაობს კიბეზე კაბინეტიდან გამოჭრილი ოლქის პროკურორი, მერე ქუჩას როგორ გადაირბენს და როგორ შევარდება საკონდიტროში, სადაც დამამთავრებელი კლასის მოწაფე ელოდება, თექვსმეტი წლის ქალიშვილი!

ოღონდ დროულად კი მივუსწარი, სულზე მივუსწარი. ჯერ არ დამსხდარიყვნენ, ანდა იქნება ლინდა უკვე წამომდგარიყო და ორივენი მაგიდასთან იდგნენ, ლინდას ოთხი წიგნი ეჭირა ხელში. ხოდა შემომხედა, უკანასკნელ წამს შემომხედა ერთხელ იმ თავისი თვალებით, მუქნაცრისფერი თუ ლურჯი რომ უჩანდა, ვიდრე კარგად არ ჩააცქერდებოდი.

— უკაცრავად, რომ დავაგვიანე, — ვუთხარი. — იმედია ჩიკმა გაგაფრთხილა, არა?

— არაფერია, — იმან თქვა.—სულ ერთია, სახლში ვარ უკვე წასასვლელი.

— კოკა-კოლას შეუსმელად? — შევეკითხე მე.

— სახლში ვარ წასასვლელი, — მითხრა იმან.

— კარგი, სხვა დროს იყოს, — ვთქვი მე. — გადავდოთ.

— დიახ, — თქვა იმან, — ეხლა სახლში ვარ წასასვლელი. — მე გვერდზე გავდექი, კარისკენ გზა მივეცი.

— არ დაგავიწყდეს, ოცდახუთ ცენტს რომ შემპირდი, — მითხრა ჩიკმა.

მერე დამასწრო, კარი თვითონ გამოუღო და ჩვენ შორის ჩადგა, მაშინვე გაგვთიშა, დაგვაშორიშორა, ვიდრე ის ქალი რამეს მიხვდებოდა; ხოდა მერე ლინდას ისიც აღარ დასჭირვებია, რომ შეჩერებულიყო, უკმოეხედა, იმას მიმხვდარიყო — საფრთხე, საშიშროება აღარ მემუქრება, სავსებით ხელშეუხებელი და დაცული ვარო; აღარც ის სჭირდებოდა, „მისტერ სტივენსო“, ეთქვა, ან თუნდაც—„მისტერ გევინ“,ანდა—„ნახვამდის“, ან კიდევ რამე ამდაგვარი; „მადლობელი ვარო“, — ამის თქმაც კი აღარ იყო საჭირო, აღარც მოხედვა. ოღონდ მოხედვით მაინც მომხედა. — მადლობელი ვარ ამ წიგნის, — მითხრა. ხოდა წავიდა მერე.

— ხომ გახსოვს, ოცდახუთ ცენტს რომ შემპირდი? — მითხრა ჩიკმა.

— როგორ არ მახსოვს, — მივუგე. — მერე აქ რას ატუზულხარ? გაიქეცი და დახარჯე მაგ ფული!

დიახ, ბევრ ისეთ რამეს ვაკეთებდი, რასაც ჩიკი ჯერჯერობით ვერ მიხვდებოდა. თან მართობდა, მახალისებდა ისეთ მდგომარეობათაგან თავის დაძვრენა, რომელნიც მაიძულებდნენ ამგვარი ულირსი, საცოდავი ეშმაკობისთვის მიმემართა ხელახლა. ლინდამ ხომ არაფერი იცოდა (არ უნდა სცოდნოდა, ეხლა მაინც, ჯერჯერობით: ასე რომ არა, რიღას მაქნისი იყო ეს ჩემი წვრილმანი ულირსი ეშმაკობები?), გულდაჯერებული ხომ ვერ იქნებოდა იქ, საკონდიტროში იმდღევანდელი ჩვენი შეხვედრის, იმ ორი-სამი (არ ვიცი — რამდენი) წუთის ასავალ-დასავალისთვის; სწორად, დანამდვილებით არ იცოდა, მართალი უთხრა ჩიკმა თუ არა: მართლა დავაბარე თუ არა ჩიკს — დამაგვიანდება-მეთქი, ხოდა ჩემი დისწული მივუგზავნე ლინდას ერთგულ მაცნედ და ამფსონად ჩემს მისვლამდე, თუკი მივიდოდი საერთოდ, თუკი მოვევლინებოდი; ეს კიდევ იმას ნიშნავდა, მე იმდენად უფროსი კაცი ვიყავი, იმდენად თავგზაარეული, ისიც კი არ მესმოდა, რანაირ წყენას ვაყენებდი ლინდას იმითაც, რომ იძულებულს ვხდიდი, მჯდარიყო და მოეცადა, და იმითაც, რომ ათი წლის ლაწირაკს ვუგზავნიდი ამფსონად იმის მოვარაუდე — გამოსაშვები კლასის თექვსმეტ წელს გადაცილებული ქალიშვილი იმ ლაწირაკს მასლაათს გაუბამს-მეთქი; მერე ვინ იცის, იქნებ განზრახაც ჩავიდინე ეს საქმე: ჯერ პაემანი დავუნიშნე, მერე კი ჩემს მაგივრად ათი წლის ბიჭი მივუგზავნე, თითქოს დელიკატურად მენიშნებინოს— **რა გინდა, რას გადამეკიდე-მეთქი.**

ისე რომ, იმდენი უნდა მემარჯვა, როგორმე ლინდას განწირულის გულოვნება არ გამოეჩინა და არ შემკითხოდა — მაინც რომელი არისო სიმართლე? აი, ეს მართობდა და მახალისებდა, გამიგეთ? — მას რომ გავექცეოდი, გავერიდებოდი ხოლმე, ის ამბავი. ეს ყმაწვილობა გახლდათ, ოღონდ უკულმა შებრუნებული: უცოდველი ჭაბუკი ხომ მიისწრაფვის ხოლმე ქალიშვილისკენ, იმითვე დამფრთხალი, რაიც ესოდენ იზიდავს თავისკენ, უმარჯვოდ, შიშნეულად აგვარებს შემთხვევით შეყრის საქმეს, თან ხელს არც შეახებს გოგოს, ერთხელაც არ შეახებს, არც აქვს შეხების იმედი, არც კი სურს ეს ამბავი, ყოველი შეხების ეშინია ხოლმე; ოღონდ კი იმავე ჰაერს ისუნთქავდეს, ოღონდ კი მასაც იგივე ნიავი ხვდებოდეს, რაც მისი შეყვარებულის ჰაეროვან სხეულს ელამუნება; ხოდა ეხლა იმ გოგოს ხელიდან შემთხვევით დავარდნილი ხელთათმანი თუ ცხვირსახოცი, ანგარიშმიუცემლად მოსრესილი ყვავილი, თუგინდ მეცხრე-მეათე კლასის სახელმძღვანელოც — რომელიმე გეოგრაფია ან გრამატიკა, ან კიდევ არითმეტიკა, რომლის სატიტულო ფურცელზე საკუთრივ იმ გოგოს ჯადოსნური ხელით არის დაწერილი მისივე სახელი, — ეხლა ეს ასჯერ უფრო აფრთხობს და აღელვებს ბიჭს, ვიდრე ოდესმე შემდეგში ააღელვებს მოშიშვლებული მხრის ელვარება და გაშლილი თმის დალალი იქვე მის გვერდით დებულ ბალიშზე.

ჩემი საქმე კიდევ პირიქით იყო: ოღონდ კი არ შევხვედროდი, ერთთავად სადმე ახლოს ვყოფილიყავი და არასოდეს შევყროდი. თავადაც მოვეხსენებათ: პატარა ქალაქში, სადაც, ჩვენი არ იყოს, სამი ათასი მცხოვრებია სულ, ასაკოვანი ბერბიჭასა და თექვსმეტი წლის ქალიშვილის შეხვედრების გამო ჭორაობას მაშინ თუ მოუკლებდნენ, როცა ახალი ჭორი გამოჩნდებოდა: ის თექვსმეტი წლის ქალიშვილი და ის ასაკოვანი ბერბიჭა ნამდვილად გაურბიან ერთიმეორეს და კვირაში ორჯერ-სამჯერ თუ შეიყუჟებიან მაღაზიაში, ან რომელსამე შესახვევში. გამიგეთ? — ასაკოვანი იურისტი, თანაც ოლქის პროკურორი, ყოველ-

თვის გამოიძებნის საკმარის საქმეს (თუნდაც ისეთ ქალაქში, სადაც სულ სამი ათასი მცხოვრებია), რათა იმ ერთადერთ ქუჩაზე არ ამოყოს თავი, იმ გოგოს სახლიდან სკოლისკენ რომ მიუყვება; არც დილის ცხრის ნახევარზე გაიჭაჭანოს იქ, არც თორმეტიდან პირველ საათამდე და არც ოთხის ნახევარზე, ესე იგი, იმ საათებში, როცა მთელი ქალაქის ბარტყობა მიდი-მოდის იმ ქუჩაზე; ზოგჯერ შეიძლება მოხდეს ეს ამბავი, სულ რამდენჯერმე, ოღონდ ყოველთვის კი არა, მუდამ არა.

დიახ, სწორედ ამგვარად მიხდებოდა მოქცევა. რა გაეწყობა: ხომ არ შემეძლო დღისით, მზისით გამეჩერებინა ქუჩაში და მეთქვა: აბა, ეხლავე მიპასუხე — მიხვდი თუ ვერ მიხვდი, რაც მაშინ საკონდიტროში მოხდა? ზუსტად მითხარი, მოკლედ — რა იფიქრე-მეთქი მაშინ? არა, ერთადერთი ის შემეძლო, ჩამოვხსნოდი, თუმცა კი ჩემთვის ხსნა სულ არ ყოფილა ეს „ჩამოხსნა“.

ისე რომ უნდა გავრიდებოდი. იძულებული შევიქენი მარტო ჩემი საქმეები კი არა, მთელი იოკნაპატოფას ოლქის საქმეებიც წინასწარ დამეგეგმა, რათა თექვსმეტი წლის გოგოს არ გადავყროდი ხოლმე ქუჩაში. გაზაფხული იყო მაშინ. ესე იგი მეცადინეობის დამთავრებამდე, ნამაისევამდე ასე თუ ისე იოლად მოგვარდებოდა საქმე, კვირაში ხუთი დღე მაინც მექნებოდა განაღდებული. ოღონდ მერე არდადეგები დაიწყებოდა და ის გოგო არავითარ რეჟიმს, არავითარ დისციპლინას აღარ დაემორჩილებოდა; არადა პირადი გამოცდილება თუ არ მქონდა, დაკვირვებული ხომ დიდი ხანია ვიყავი, რომ ნებისმიერ თექვსმეტი წლის არსებას, თუკი ის არსება ბავშვს ძუძუს არ აწოვებს, ოჯახის სარჩენად ფულს არ შოულობს სადმე ან ციხეში არ არის გამომწყვდეული, სადაც გნებავთ იქ შეიძლება გადააწყდეთ დღეღამის ოცდაოთხი საათის განმავლობაში.

ისე რომ იმ დრომაც რა მოატანა, ესე იგი შარშანდელმა, სკოლის დამამთავრებელი წლის წინა ზაფხულმა, მე გადავწყვიტე შორეული, ჩვენთვის უცნობი კოლეჯების ყველა კატალოგი და პროსპექტი ჩემი მისამართით კი არ გამოეგზავნათ, რათა მერე მათი პირადად გადაცემა არ დამჭირვებოდა, არამედ პირდაპირ მისი მისამართით: მის ლინდა სნოუპსს, ჯეფერსონი, მისისიპის შტატი. თან ისიც შევუთვალე — ჩვენი შტატის სახელწოდება — მისისიპი დიდრონი ასოებით გამოიყვანეთ-მეთქი. ასე რომ არა, კონვერტი, იცით, სად მოხვდებოდა? ჯერ ერთი, მისურის შტატის ქალაქ ჯეფერსონში; მეორეც, სათითაოდ ყოველ იმ შტატში სავარაუდო ორმოცდარვა შტატიდან, სადაც აგრეთვე არსებობდა ქალაქი ჯეფერსონის სახელწოდებით; ვიდრე, — ეს უკვე მესამეცო, შეგვიძლია ვთქვათ, — ბოლოს და ბოლოს ვისმე აზრად არ მოუვიდოდა — იქნება მისისიპის შტატშიც მოიძებნებოდეს ისეთი ადამიანი, ვისაც ბუნდოვნად მაინც წარმოუდგენია აღმოსავლეთ ან ჩრდილოეთ შტატებში სასწავლად გამგზავრების შესაძლებლობა, ვისაც ყურმოკრული მაინც ექნება იმ სასწავლებელთა ამბავი, ანდა, ეს თუ არა, კატალოგებისთვის დართული სურათების გადათვალიერება და ერთმარცვლიანი სიტყვების ამოკითხვა მაინც შეეძლებაო.

ერთი სიტყვით, პირდაპირ ლინდას მისამართით გამოვიწერე ის კატალოგები და პროსპექტები, ის ეშმაკურად შედგენილი, შემპარავი, მაცდუნებელი რეკლამები ვირჯინიული კოლეჯებისა, სამხრეთ შტატებში მცხოვრებ დედათა ოცნება რომ არის — ნეტავი ჩემი ქალიშვილი სასწავლებლად იქ მიმაბარებინაო; თანაც პირწმინდად ინსტინქტურია ეს მათი ოცნება, თვითონაც არაფერი გაეგებათ, რა აოცნებებთ. ალბათ ის ამბავი, თავად რომ არ უსწავლიათ იმ კო-

ლეჯებში და ეხლა გულით არიან მოწადინებულნი თავიანთი ქალიშვილების მეშვეობით ის აინაზღაურონ, რასაც თვითონ ვერ მოსწრებიან, რაკი მათ-მათი დედანი, თავიანთი მხრივ, სულაც არ ყოფილან მოწადინებულნი ის აენაზღაურებინათ, რასაც თავად ვერ მოსწრებოდნენ.

თანაც მარტო ვირჯინიის კოლეჯების რეკლამები კი არ გამომიწერია, იმ პეწიანი „ინსტიტუტებისაც" ზედ მივაყოლე, მეისონ-დიქსონის ხაზის ჩრდილოეთით რომ არის განლაგებული. სამართლიანი ვიყავი, არა, უფრო სწორად, ორივენი სამართლიანნი გახლდით, ისიც და მეც; თუმცა კი, მისი შეურყვნელი სახელი რომ გადაგვერჩინა, ერთიმეორეს აღარც ვხვდებოდით, **მაგრამ შეთქმულნიც ხომ ვიყავით, მოკავშირენი** — მისი სულის სახსნელად; ორივენი თითქოს in absentia[1] ვეუბნებოდით დედამისს: **აი, ესოდენ ბრწყინვალე, ესოდენ არისტოკრატული სასწავლებლები. ჩვენ ხომ პატიოსნად ვირჯებოდით, ხელს არ გიშლიდით, ხოდა ეხლა იქითკენ გვინდა გავემგზავროთ და თქვენ შეგიძლიათ ხელი შეგვიწყოთ ამ საქმეში: აშკარა დასტურს თუ არ მოგვცემთ, „არას" მაინც ნუ გვეტყვით.** ამასობაში სხვა პროსპექტებიც გამოვიწერე, რათა ესენიც ჰქონოდა ლინდას: იმ კოლეჯების პროსპექტები, სადაც იმასაც არავინ მიაქცევდა ყურადღებას, — რას იცვამს, როგორ დაიარება, ჩანგალი სწორად უჭირავს თუ არა, საერთოდ, ხალხში როგორ ირჯებაო; რადგან ეს ყოველივე იქ დიდი ხნის წინათ იყო დადგენილი, ძვალსა და რბილში გამჯდარი, შეუცვლელი, და, რაც მთავარია, იქ მნიშვნელობა იმას ექნებოდა, რასაც სინამდვილეში მოიმოქმედებდა, როგორც მოიქცეოდა სულის მიუხებელ სიმარტოვეში.

ხოდა ეხლა, რა რომ ის უკანასკნელი პროსპექტებიც მიუვიდა, შობის კვირაძალში, მისი სკოლაში ყოფნის უკანასკნელ ზამთარს, — ეხლა მისთვის საჭირო, აუცილებელი შეიქნა შემხვედროდა. იმიტომ კი არა, სასწავლებლის შერჩევაში რომ მივშველებოდი, უფრო ისე, ერთად რომ აგვეწონ-დაგვეწონა და მოგვეფიქრებინა ყოველივე, ვიდრე საქმე საბოლოოდ გადაწყდებოდა. მე ველოდებოდი, დიდი მოთმინებით ველოდებოდი, ვიდრე ბოლოს და ბოლოს არ მივხვდი, რომ ლინდა პირველ ნაბიჯს არასგზით არ გადმოდგამდა ჩემთან შესახვედრად. ექვს თვეზე მეტი ხანი იყო გასული, რაც გავურბოდი. და ლინდამ ის კი არ იცოდა მხოლოდ, რომ ვემალებოდი (რადგან ისეთ პატარა ქალაქში, როგორიც ჩვენია, შეუძლებელია ამდენი ხნის განმავლობაში მამაკაცი ქალს არ გადაეყაროს შემთხვევით, ისევე როგორც, შეხვედრით როცა ხვდება, იმის მოიმედე არ უნდა იყოს — საიდუმლოდ, სხვათათვის შეუმჩნევლად ვხვდებიო), ლინდა უკვე იმასაც მიხვდა — მაშინ, აპრილში კრისტიანის საკონდიტროში შემდგარი პაემანიც არ ყოფილაო უაზრო შემთხვევითობა. დიახ, ჩემო ბატონო, ერთი პირობა მეც მომეჩვენა — ლინდას არავითარი საფუძველი არა აქვს საიმისოდ, ის იფიქროს, რომ იმ პროსპექტების ამბავი მეც ვიცი, ვიცი კი არა, მე თვითონ რომ გამოვუწერე-მეთქი. ოღონდ ეს აზრი მაშინვე განვიშორე და, მომდევნო ამბებს თვალს თუ მიადევნებთ, თქვენც განიშორებთ უეჭველად.

მაშასადამე პირველი ნაბიჯი მე უნდა გადამედგა. ეს ეხლა უწინდებურად იოლი ამბავი აღარ გახლდათ. ცისმარე დღეს ვხედავდი ჩემი კაბინეტის ფანჯრიდან (თუკი იქ ვიყავი) ოთხის ნახევარზე სხვა მოწაფეთა შორის სკოლიდან

---

1. დაუსწრებლად (ლათ.).

გამომავალ ლინდას. შარშან, საერთოდ, ამ ამბებამდე მუდამ მარტო დადიოდა, ანდა შესაძლოა მე მეჩვენებოდა ასე — სულ მარტო მიდიმოდის-მეთქი. ოღონდ ეხლა, ამ ზამთარს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ის ტროგლოდიტი გაეცალა ჩვენს ქალაქს, მატ ლივიტი, მას შემდეგ ლინდა მის ქუჩაზე მცხოვრებ ერთ გოგოს გადაესკვნა. მერე უცებ (ზამთარში ხდებოდა ეს ამბავი) ორის ნაცვლად ოთხნი შეიქნენ ისინი, ორი ბიჭი მიემატათ, ჩიკის ნათქვამით — მისის რაუნსველის ვაჟი და ბიშოპების უმცროსი შვილი, მათი სკოლის საუკეთესო სპორტსმენები. ხოდა ეხლა, გაზაფხული რომ დადგა, ოთხივენი თითქმის ყოველდღე ისხდნენ კრისტიანის საკონდიტროში (ეტყობა იმ არემარეზე აღარსად ბოგინებდნენ წარსულის აჩრდილები, რომელთა მიზეზითაც მას დარცხვენა მოუხდებოდა, და მე მახარებდა ეს ამბავი), კოკა-კოლასაც მიირთმევდნენ და სხვა ათასნაირ დომხალსაც (მე კი მქონდა გემო გასინჯული!), რომელიც ახალგაზრდებს, განსაკუთრებით მდედრობითი სქესისას, შეუძლიათ წარმოუდგენელი სიმშვიდით შთანთქან მხოლოდ ნასადილევს კი არა, დილის ცხრა-ათ საათზეც. ის ოთხეული მე ორ წყვილად მიმაჩნდა, ორ შეყვარებულ წყვილად, უფროსკლასელთათვის დამახასიათებელი ლამის ცოლქმრული ერთგულებით დაკავშირებულად. მაგრამ ერთ საღამოს დავინახე (სულ შემთხვევით), როგორ მიდიოდა ლინდა კინოთეატრისკენ ორივე რაინდის თანხლებით.

ძალიან არა, მაგრამ ცოტათი მაინც გართულდა საქმე. ყველაზე ადვილი ის იქნებოდა, ამგვარად მოვქცეულიყავი (მით უმეტეს, უკვე მაისი დადგა და ჩემი მხრივ მეტი მოცდა აღარ შეიძლებოდა): მოთმინებით დავლოდებოდი იმ დღეს, როცა ლინდა უიმგამცილებლებოდ ჩამოივლიდა ქუჩაში, როცა ის ბიშოპი და ის რაუნსველი ნასკოლევს იქვე დარჩებოდნენ თავიანთ მიღწევათა განსასრულებლად, ან კიდევ როცა მასწავლებელი დატოვებდა ორივეს. ხოდა დაველოდე და თვალიც მოვატანე შორიდანვე, დაახლოებით ერთი კვარტალის სიშორეზე, ოღონდ ამ დროს იმან მოულოდნელად შეუხვია, სხვა გზით წავიდა, მოედნის შემომვლელი მიმართულებით. როგორც ეტყობოდა, ეს ახალი გზა შეერჩია იმ დღეებში სავალად, როცა მარტო მიდიოდა ხოლმე შინისკენ, ესე იგი როცა მარტო იყო ან (ესეც შესაძლოა) როცა მარტო ყოფნა სურდა.

ოღონდ ესეც არ იყო ძნელი საქმე: მოედნის უკანა მხარეს ერთი კვარტალი უნდა გამევლო და იმ კუთხეს უნდა მივდგომოდი, სადაც ის შესახვევი გამოდიოდა. ოღონდ მე მასზე ჩქარა მივაბიჯებდი, გაცილებით უფრო სწრაფად, ისე რომ პირველმა მე მოვატანე თვალი, როგორ მოდიოდა ნაგვის გროვებს, ურნებს, სატვირთავ პლატფორმებს შორის. მერე, კუთხეში რომ დამინახა, მაშინვე ადგილზე გაქვავდა და უხერხულად შემართა ხელი. ხოდა ამსიშორეზე ისიც ხომ შეიძლებოდა, რომ არ შევჩერებულიყავი! არც შევჩერებულვარ, გზა განვაგრძე, მეც მივესალმე შემართული ხელით და შუკა გადავჭერი დინჯი ნაბიჯით, როგორც მართებდა სიარული ოლქის პროკურორს მივარდნილ ქუჩაში დღის ოთხის ნახევარზე; კიდევ ერთი კვარტალიც და ის გოგო კვლავ განრიდებული იყო საწუხარს, კვლავაც მიუხებელი გახლდათ და აღარც რამე საფრთხე ემუქრებოდა.

რაღა თქმა უნდა, ტელეფონიც არსებობდა კიდევ. მაგრამ ტელეფონი ნამეტანი სწრაფად მოახდენდა მოსახდენს, ნამეტანი ახლოს იქნებოდა იმ შესახვევთან, იმ სასალამოდ ზეაწვდილ ხელთან. ოღონდ, მადლი უფალს, საბეჭდი მანქანაც ხომ გამოიგონეს ამ ქვეყანაზე! ქალაქის მამათა ნებაა — კი, ბატონო, დამიქვითონ ხელფასიდან სახელმწიფო ქაღალდის ღირებულება! არადა იქნება

ვერც ვერაფერი შეამჩნიონ, ვინ იცის? ხოდა საბეჭდი მანქანა და დრო ხომ ჩემი საკუთარი მაქვს და ისაა.

ჩემო კარგო ლინდა!

როცა გადაწყვეტ, რომელი კოლეჯი უფრო მოგწონს, მოდი, მოვითათბიროთ. იმ კოლეჯებიდან ბევრში ნამყოფი ვარ და იმაზე მეტს მოგიყვები იქაურ ამბებს, რაც პროსპექტში წერია. ბანანის პლომბირიც არ გვაწყენდა: რა იცი, იქნება ბენინგტონის, ბარდის და სუორსმორის კოლეჯებში არც გაუგონიათ ბანანის პლომბირი, ხოდა იქნება მარტო სტუდენტად ყოფნამ კი არ მოგიწიოს იქ, პლომბირისმცოდნეობაც დაგვეკალოს.

მერე ფანქარი ავიღე და ხელით მივაწერე:

ამას წინათ შესახვევში დაგინახე, მაგრამ გასაჩერებლად არ მეცალა. ნეტავი რა გინდოდა იმ შესახვევში?

გამიგეთ? ამას წინათ-მეთქი. ესე იგი უკვე სულერთი ხდება, როდის ჩავუშვებ ამ ბარათს — ორი დღის თუ ორი კვირის მერე. ესე იგი კიდევ ორ კვირას შემიძლია ვხიო და ვფხრიწო ბარათები, თუ გნებავთ — მისამართწაწერილი კონვერტებიც. ჯერ შუაზე გადავხევდი ხოლმე გულმოდგინედ, მერე გადახეულ კიდეებს შევაერთებდი და ისევ შუაზე ვფხრეწდი, კიდევ და კიდევ. მერე გამოწმენდილ ბუხარში შევყრიდი იმ ნაკუწებს, ასანთს გავკრავდი, ვუმზერდი, როგორ იწვებოდა; ბოლოს დაჩოქილი ჩემს ბებერ ძვლებს ავიკრეფდი, წამოვიმართებოდი და მტვერს ჩამოვიბერტყავდი მუხლისთავებიდან.

ამასობაში მაისმაც მოატანა, ლინდას სკოლა უნდა დაემთავრებინა. ოლონდ მის იუნის ჰენტს ის საგზაო ნესესერი გუშინვე უნდა ეახლებინა, ხოდა, მადლი უფალს, ტელეფონიც რომ არის გამოგონებული. მაშასადამე, ერთხელ კიდევ (უკანასკნელად, უკანასკნელი თვალთმაქცობის მომარჯვებით) უნდა დავლოდებოდი ცხრის ნახევარს (ბანკი ცხრამდე არ იღებოდა, მაგრამ მაინც, თუმცა ფლემი ბანკის პრეზიდენტი არ გახლდათ, ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ სულ ბოლო წუთამდე სახლში იყურყუტებდა, რათა ტელეფონს თვითონ მივარდნოდა). და, აი, ავიღე ყურმილი:

— დილა მშვიდობისა, მისის სნოუპს. გევინ სტივენსი გახლავართ. შეიძლება ლინდას დამალაპარაკოთ, თუ ჯერ... აჰა, გამასწრო უკვე? თუმცა ამ დილას მე თვითონ დამაგვიანდა... დიდი მადლობა. ყველას ძალიან გაგვიხარდა, ნესესერი რომ მოსწონებია. მეგის დიდად ესიამოვნებოდა ლინდას ბარათი... იქნება გეთქვათ, სადილად რომ მოვა სახლში... მე ცნობები მომივიდა რედკლიფის კოლეჯში სტიპენდიანტის ადგილის თაობაზე, იქნება ლინდა დაინტერესდეს ამ ამბით. ის კოლეჯი ჰარვარდის ახლოსაა. კემბრიჯის ამბებსაც მოვუყვებოდი... დიახ, თუ შეიძლება უთხარით — ნასკოლევს საკონდიტროში დაგელოდება-თქო. მადლობელი გახლავართ.

და ბოლოს — „მშვიდობით“ სიტყვა — გულდასაწყვეტი თუნდაც ტელეფონში სათქმელად. კაცმა რომ თქვას, თავად ეს სიტყვა კი არ იყო გულდასაწყვეტი, მისი მნიშვნელობაც კი არა; გულდასაწყვეტი ის იყო, რომ მისი აღმოთქმა შეგეძლო კაცს, რომ ბოლოს და ბოლოს მუდამ დგება ხოლმე ჟამი, როდესაც ამ სიტყვას დარდისა და კაეშნის გარეშე კი არ ამბობ მხოლოდ, ისე ამბობ, დარდისა და კაეშნის ნატამალიც აღარ გაქვს შერჩენილი იმ ღამის მომგონებელს (როდის იყო ის ამბავი? ათი წლის წინათ? ოცი წლის წინათ?), როცა აქ, ამ

კაბინეტში იულა უორნერისთვის უბრალოდ „მშვიდობით“ კი არ გითქვამს, აქედან გაეთრიეთო, — ასე გამოგივიდა ნათქვამი სინამდვილეში. არადა მაშინ ამის მთქმელს არც თმა გაგთეთრებია, არც ცივ ოფლს დაუსხამს შუბლზე შენთვის, ცრემლებიც არ წაგსკდომია. ხოდა თუკი სულში სინანულის ნასახი მაინც გიბოგინებს ეხლა, ეს იმის გამო სინანულია, მაშინ რომ საიმისო გამბედაობა გყოფნოდა, — არაო, არ გეთქვა, ეხლა ის გამბედაობაც აღარაფრად ეღირებოდა, რაკი თვით ის მაშინდელი გულდედლობაც ბუნდოვან სინანულად ქცეულა მხოლოდ.

ჯერ ის დავაპირე — საკონდიტროში შევალ და უკვე მაგიდას მიმჯდარი დაველოდები-მეთქი. მერე გადავიფიქრე: ყველაფერი უბრალოდ უნდა მოხდეს, ოღონდ არც ისე ძალიან ხელოვნური უბრალოება უნდა გამოვიდეს-მეთქი. ისე რომ კართან გავჩერდი, ოდნავ იქით მივდექი, ბავშვების მოზღვავებული ნაკადისთვის ხელი რომ არ შემეშალა, ანდა, უფრო სწორად, იმ ნაკადს რომ არ გადავექელე. სულ არ იყო საჭირო ერთი კვარტალის სიშორეზე დავენახე ლინდას, როგორ ველოდებოდი; ამას ის სჯობდა, თუნდაც კაცთა თვალისთვის, უნებურად შევხვედროდით ერთიმეორეს, ბედნიერი შემთხვევა მომხდარიყო; ხოდა ჯერ სულ პატარებმა ჩამოიარეს, პირველ, მეორე, მესამეკლასელებმა, მერე უფრო დიდრონებიც მოჰყვნენ — მეორე საფეხურის მოწაფეები, უფროსკლასელნი; ხო, ეხლა, სულ მალე, ამ წუთას — მაგრამ, ნაცვლად ამისა, ჩიკი გამომეცხადა დაკეცილი ბარათით ხელში.

— აჰა, — მითხრა, — გაიჭედა!

— გაიჭედაო? — ვთქვი მე.

— ხო, ფირფიტა, გრამოფონის ფირფიტა გაიჭედა. მუსიკა იგივე არაა? ოღონდ ეხლა უკულმა უკრავს.

როგორც ეტყობოდა, ლინდას დაეჩემებინა — სანამ გადასცემდე ამ ბარათს, მანამდე შენ წაიკითხეო. ისე რომ, თვითონ ლინდას გარდა, მე მეორე ვიყავი იმ ბარათის წამკითხველთაგან.

მისტერ სტივენს,

ცოტათი დამაგვიანდება, თუ შეიძლება მომიცადეთ.

ლ ი ნ დ ა.

— მთლად მასე არაა საქმე, — მე ვუთხარი. — დოლარის წკარუნი არ მესმის რაღაცა.

— ხო, — მითხრა იმან, — არც მე მესმის. ჯერ ალბათ არ წახვალ სახლში, ხომ?

— ალბათ არა, — მივუგე მე.

ხოდა საკონდიტროში შევედი, მაგიდას მივუჯექი. ეს მაინც უნდა მომემოქმედა მისი გულისთვის; თუკი შურისგების საშუალებას ვაძლევდი, ბარემ სრული უნდა ყოფილიო შურისგება; გულის სრულად მოოხება — ჩემი თვალთვალი (საიდანაც უნდა ეთვალთვალა), როგორ ვიჯექი და ველოდებოდი, დიდხანს ველოდებოდი, მაშინაც არ წამოვმდგარვარ, როცა დავასკვენი — აღარ მოვა-მეთქი. მთელ საათს უნდა მეცადა, რადგან „დასასრული“ სულ სხვა რამეა, ვიდრე „მშვიდობით!“, და საიმისო მიზეზიც არ გაჩენილა, რომ კვლავ ამემღვრია სათავე კაეშნისა.

ამიტომ იყო, ვერც კი ვიცანი, ფანჯარასთან როცა გამოიარა. რადგან სკოლიდან კი არ მოდიოდა, საპირისპირო მხრიდან მოეშურებოდა. არა, მარტო ამიტომ არა. აჰა, შემოვიდა კიდეც საკონდიტროში, შიდა კარი მიიჯახუნა აჩ-

ქარებულმა, თითქოს გამოქცეულმაც და თან ერთ ადგილზე გაყინულმაც. ხოდა ჩვეულებრივი იუბკა და კოფთა კი არ ჩაეცვა, ანდა ჩითის კაბა, არც უქუსლო მოწაფური ტუფლები; არა, გამოპრანჭული გახლდათ, სწორედ რომ გამოპრანჭული: შლაპა, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი, აბრეშუმის ჩულქები; გაპუდრულიყო კიდეც, თუმცა, კაცმა რომ თქვას, გასაპუდრი სახე სულ არ ჰქონია; ნელსაცხებლის სურნელიც კი მომწვდა მისგან.

— ესეც ასე, — აღმოვთქვი მე. საამისო მხნეობა მაინც შემრჩენოდა.

— არ შემიძლია, — თქვა იმან. დიახ, საამისო-მეთქი. საკონდიტროში ხალხი თითქმის არ ჩანდა, მაგრამ ერთი კაციც რომ ყოფილიყო, ისიც ზედმეტი იქნებოდა; ისე რომ მე უმალ წამოვდექი და მივეახლე.

— რა კარგი სანახავი ხარ, — ვუთხარი.—წამოდი, გამოგაცილებ ცოტას. — და მაშინვე შევაბრუნე კარისკენ, ისე რომ მის ხელსაც არ შევხებივარ, გასასვლელისკენ მივმართე ენაგაუჩერებლად (ალბათ არ გავჩუმებულვარ, საერთოდ, არ მეხერხება გაჩუმება), ისევ ისე მოქაქანემ. როგორც ეტყობა ამიტომაც ვერ შევნიშნე, რომ ჩვენი სვლის მიმართულება იმას შეერჩია, ვიდრე არ დავინახე, როგორ შეუხვია იმან ჩემს კაბინეტში ამავალი კიბისკენ. მაშინღა შევახე ხელი იდაყვზე,. შევაჩერე, კიბისთვის გვერდი ავაქცევინე, ისე რომ ჩვენი შეყოვნება არავის შეუნიშნავს (იმედი უნდა მქონოდა, გული უნდა დამეჯერებინა, ეჭვი არ შემპარვოდა). მაღაზიათა ვიტრინების წინ გავატარე, იქ, სადაც საგაზაფხულო საქონელი იყო გამოფენილი; თან ენა არ გამიჩერებია (კი, ამ მხრივ საიმედო ვარ ნამდვილად), სიდარბაისლისა და წესიერების ნიმუშად ვიყავით ქცეულნი: გამოწყობილი, ნელსურნელებადაფრქვეული ქალიშვილი ქალი, სადღაც რომ მიემართება დღის ოთხ საათზე, და მის გვერდით — გაჭაღარავებული ბერბიჭა, გულკეთილი ძიაკაცი, როგორც ზანგები იტყვიან ხოლმე, „კარგად მოწყობილი“, ყოველთათვის უვნებელი უკვე, რადგან აღარც სისხლი უჩქეფს ძვლებურად და სხეულიც დასძაბუნებია, — მათს სიმშვიდეს ვერც ხელთა შეჟრჟოლება დაარღვევს, ველარც ფეხთა გოგმანი, ყველა იმედი და ყველა ოცნება განქარებულა და გაცამტვერებულა. ოღონდ ამასობაში შევუხვიეთ კიდეც და, როგორც იქნა, მარტონი დავრჩით. აქ ცარიელი მაინც იყო ქუჩა და შეუფერხებლად შეიძლებოდა გვერდიგვერდ სიარული.

— არ შემიძლია, — თქვა ლინდამ.

— ეგ უკვე გავიგონე, — ვუთხარი. — რა არ შეგიძლია?

— იმ კოლეჯებში, — მომიგო იმან. — იმათში, თქვენ რომ... ის პროსპექტები რომ... არც ჯეფერსონში, არც მისისიპიში.

— ძალიან კარგი, რომ არ შეგიძლია,—ვუთხარი.—ამიტომაც მინდოდა შეგხვედროდი. მე მინდა იმათგან საუკეთესოს შერჩევაში მოგეხმარო.

— კი მაგრამ, რომ არ შემიძლია? — მითხრა იმან. — ნუთუ არ გესმით? არ შემიძლია!

ხოდა აქ მე — დიახ, მე! — სიტყვა გავაწყვეტინე. — კარგი, — ვუთხარი. — ყველაფერი მიამბე.

— არსად წასვლა არ შემიძლია. ჯეფერსონში უნდა დავრჩე. გაისად პანსიონში შევალ. — დიახ, მე ვდუმდი. საქმე ის პანსიონი კი არ იყო. ისიც კი არ იყო საქმე, პანსიონი ჯეფერსონში რომ მდებარეობდა. თავი და თავი თვით

ჯეფერსონი გახლდათ, ჯეფერსონი იყო მისი დაუძინებელი მტერი, რამეთუ ჯეფერსონი სნოუპსს ნიშნავდა.

— გასაგებია, — მე ვუთხარი. — კარგი. მე თვითონ მოველაპარაკები დედაშენს.

— არა, — აღმოთქვა, — არა. არ მინდა წასვლა.

— უნდა წახვიდე, — მივუგე. — დედაშენს უნდა მოველაპარაკოთ. ეს ისეთი საჭირო საქმეა, შენ შეიძლება ვერც კი ხვდებოდე. წამოდი, ახლავე მივაკითხოთ დედაშენს და მოველაპარაკოთ... — ეს ვთქვი და შევბრუნდი კიდეც, ოღონდ ამასობაში იმან დამიჭირა, ორივე ხელით ჩამაფრინდა და გამაჩერა. მერე ხელი შემიშვა და თავადაც შეჩერდა. მაღალი ქუსლები, აბრეშუმის ჩულქები და მისთვის ერთობ სადიდო და შეუფერებელი შლაპა; ანდა იქნებ თვალი არ მქონდა შეჩვეული ამ თავსაბურავით მის დანახვას, იქნება იმ შლაპას მაგონებდა, ჩვენს სახლში გამართულ იმ მარცხიან სადილს, ამ ორი წლის წინანდელს, როცა პირველად ვაიძულე რაც არ სურდა, ის გაეკეთებინა, რადგან მაშინ არ იცოდა, უარი როგორ ეთქვა ჩემთვის. და უცებ ვუთხარი:—შენთვის შეკითხვის მოცემა არ ღირს, რალა თქმა უნდა, მაგრამ მაინც გკითხავ სიცხადისთვის. შენ თვითონ ხომ არ გინდა ჯეფერსონში დარჩენა, არა? შენ ხომ წასვლა გინდა აქედან, აღმოსავლეთისკენ გამგზავრება და კოლეჯში შესვლა? — და მაშინვე შევაწყვეტინე საკუთარ თავს: — კარგი, უკან მიმაქვს ჩემი სიტყვები, შენთვის ამის კითხვა არ იქნება. არ შეიძლება გაიძულებდე ასე პირდაპირ აღიარო, რომ დედაშენის სურვილის წინააღმდეგ გინდა წასვლა. კარგი, — ვუთხარი მერე. — ის არ გინდა, რომ ჩვენს საუბარს დაესწრო, ხომ? — მერე დავსძინე: — შემომხედე. — და შემომხედა იმ თვალებით, ნაცრისფერი, ცისფერი თვალებით კი არა, ლამის საფირონისფერი თვალებით; ასე ვიდექით პირისპირ წყნარ ქუჩაზე, მეტი თუ არა, ოციოდე მორიდებით დაშვებული ფარდის სამზერ ადგილას. ხოდა შემომყურებდა და მეუბნებოდა, ჩურჩულით აღმოთქვამდა:

— არა, არა.

— წავიდეთ, — მე ვუთხარი, —კიდევ გავისეირნოთ ცოტა. — მორჩილად გამომყვა. — დედაშენმა ხომ იცოდა, დღეს მე რომ უნდა შემხვედროდი ნასკოლევს, თვითონ არ გითხრა ჩემი დანაბარები? კარგი, — ვუთხარი. — დილას მოვალ თქვენთან, შენ როცა სკოლაში იქნები წასული. ნურც ნურაფერს ეტყვი დედას, არ გინდა მისთვის თქმა, ნუ მოუყვები.

ოღონდ ის — არა, არაო, — ამასაც აღარ ამბობდა, თუმცა მეტი არც არაფერი მსმენოდა მისგან პირველი დანახვის მერე; შესახედად იმნაირი იყო, ეხლაც იმასვე იმეორებდა, იმ „არა, არას“, მისი დუმილიც ამას მეტყველებდა. ეხლა კი ვხვდებოდი, რის მაქნისიც იყო მისი მორთულობა, ნელსურნელება და პუდრი, რომელიც იმ თავის შლაპაზე ნაკლებად უხდებოდა. სასოწარკვეთილებისმიერი იყო ეს ყოველივე, საიმისოდ გამიზნული კი არა, თავისი უბედურება რომ გაემართლებინა, უფრო საიმისოდ — ის სიტლანქე რომ გაექარწყლებინა ცოტათი: დედამისმა ხომ დააბარა: **კი, რალა თქმა უნდა, ინახულე ის კაცი, უსათუოდ ინახულე. უთხარი — ჩემი ქალიშვილის განათლების ამბებს მე თვითონაც მშვენივრად მოვუვლი-თქო, ორივენი ძალიან მადლობელი დაგრჩებით, მეტს თუ აღარ შეგვაწუხებთ-თქო,** — ხოდა საცოდავ გამწარებულ გოგოს ეპარა ის უნდა, დედამისის სულმდაბლობა და საკუთარი თავისმოჭრა აბრეშუმის ჭიის მიმყოლით, კატების შარდითა და წარმონანთხევით თუ კაშალოტების სპერმით დამალოს როგორმე.

— ხვალ დილას მოვალ, სკოლაში როცა იქნები წასული, — ვუთხარი მე. — მესმის, ყველაფერი მესმის. ოღონდ ისაა, რომ ძალიან გართულდა საქმე და ჩვენი შეჩერება აღარ იქნება.

მეორე დილაც გათენდა. მე იმას ვფიქრობდი, — გუშინ უკვე უკანასკნელად ვცდილობდი ყველაფერი დამემალა-მეთქი. ოღონდ შეომწმებაც იყო საჭირო. არადა რეტლიფი გამომეცხადა.

— რაო? — მითხრა. — იულასთან მივდივარ, რადგან იულა ჯეფერსონიდან წასვლას არ ანებებსო? ცდებით თქვენ.

— კარგი, — მივუგე, — ვცდებოდე. თქვენ გგონიათ, ძალიან მინდა წასვლა? არც ისეთი გულადი ვარ, ვინმეს, განსაკუთრებით — ქალს, ჭკუა ვასწავლო — შვილი ასე და ასე აღზარდე-მეთქი. მაგრამ ვინმემ ხომ უნდა გააკეთოს ეს საქმე! იმ გოგოსთვის აუცილებელია ჯეფერსონიდან წასვლა, აქაურობის სამუდამოდ მიტოვება, იმ არემარეს მოცილება, სადაც სნოუპსის სახელი ისმის თუნდაც.

— მომითმინეთ-მეთქი, ხომ გითხარით! მომითმინეთ! — თქვა რეტლიფმა.— შემცდარი რომ ბრძანდებით?

მაგრამ მე მოთმენა არ შემეძლო. არც დავლოდებივარ არაფერს. ესე იგი ის კი დამჭირდა, როგორმე ცხრა საათამდე მიმენთხია სული. რადგან ასეთ ცხელ მაისის დილასაც კი, როცა ხალხი მზის ამოსვლისთანავე ფეხზეა ხოლმე უკვე (უფრო იმიტომ, რომ თორმეტსა და ოთხს შორის გაწოლილი პაპანაქება საათების დრო ამოიგონ), ოჯახის დიასახლისს რაღაც ვადა უნდა ჰქონოდა, რათა თავისი სახლიც, თავისთავიც და იქნება უმთავრესად თავისი სულიც შეემზადებინა მამრობითი სქესის არა მარტო დაუპატიჟებელი, არამედ აგრეთვე არასასურველი სტუმრის დასახვედრად.

ოღონდ ის ქალი მზად დამიხვდა: თვითონაც მზად იყო, მისი სახლიც და მისი სულიც (თუკი ის სული მის სიცოცხლეში ოდესმე მაინც მოუმზადებელი ყოფილა რომელიმე შარვლიანი არსების შესახვედრად, ანდა, უფრო სწორად, თუკი რომელიმე ქალის სულს მომზადება დასჭირდებოდა იმ არსებასთან შესახვედრად, რომელიც შარვლიანი კი იყო, ოღონდ გევინ სტივენსი ერქვა სახელად); ხოდა პატარა ჭიშკარში გავედი, ბილიკს მივყევი კართანამდე, საფეხურები ავიარე და ის იყო ხელი შევმართე დასაკაკუნებლად, რომ ბადური კარს იქით ქალი დავინახე — წინაოთახში სულ უძრავად იდგა და მიმზერდა.

— დილა მშვიდობისა, — მითხრა. — მობრძანდით. — და ბადური კარი უკვე აღარ გვაშორიშორებდა, ხოლო ის ქალი ისევ ისე მაკვირდებოდა. არა, არც გამომწვევად მიმზერდა, არც თავაზიანად, ისე მომჩერებოდა. მერე შებრუნდა; იმხანად ყველა ჯეფერსონელ ქალს, ჩვენს მეგისაც კი, თმა მოკლედ ჰქონდა შეჭრილი, მაგრამ იმ ქალს კვლავინდებურად მძიმე ოქროს გორგლად ჰქონდა დახვეული კეფაზე თმა; დილდილობით ჩასაცმელი ხალათი კი არ ემოსა, არც საგარეო კაბა, არც საშინაო, — ჩვეულებრივი ჩითის კაბა გადაეცვა; და მაინც, თუმცა კი ის ქალი ოცდათხუთმეტი წლის იყო უკვე (არა, ოცდათექვსმეტის, თუკი იმ დიდებული დაცემის დღიდან ვიანგარიშებთ რეტლიფისნაირად), მაინც ეს კაბაც, — იმ სამოსლის არ იყოს, რომლითაც ამ თექვსმეტი წლის წინათ გადაიარა პირველად მოედანი, — ისე ადგა ტანზე, იტყოდით — ფაცაფუცით მოუსწრია გადაცმა, რათა ეს ათახთახებული სხეული დაეფარაო.

კი, რასაკვირველია, სასტუმრო ოთახიც ზუსტად ვესტიბულისნაირი იყო, ყოველივე იმგვარი იყო ირგვლივ, როგორიც უკვე ნანახი მქონდა სადღაც, თუმცა ვერ გამეხსენებინა — სად მენახა. ყავას ხომ არ მიირთმევთო, — უკვე ისიც მკითხა ამ ქალმა და სერვიზსაც მოვატანე თვალი დაბალ მაგიდაზე, მაგიდას კიდევ ორი სავარძელი ჰქონდა მიდგმული. ხოდა — წაგებული ვარ-მეთქი, — გავიფიქრე, — ტომარაგადაცმული ან ჯვალომოსხმულიც რომ გამომგებებოდა, მაინც წაგებული ვარ-მეთქი. მერე ვიფიქრე: ესე იგი მართლა გართულებულა-მეთქი საქმე. რადგან ეს ყოველივე — ყავაც, დაბალ-დაბალი მაგიდაც, ერთიმეორესთან ინტიმურად მიდგმული სავარძლებიც — შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებზე ან თუნდაც კუჭზე სამოქმედოდ კი არ იყო გამიზნული, არამედ დახვეწილი სულის მოსანადირებელი გახლდათ. დახვეწილობის მონატრული სულისო, — ასეც შეიძლება ითქვას.

— მადლობელი გახლავართ, — მივუგე, მერე დაველოდე, ვიდრე დაჯდებოდა და მეც ჩამოვჯექი. — ოღონდ ერთი ეს მიბრძანეთ — ვითომ სამაგისოდ გვაქვს საქმე? რალა დაზავება გვჭირდება, მე ისედაც იარაღაყრილი ვარ.

— აბა საბრძოლველად მობრძანდით? — მკითხა იმან და ყავა ჩამოასხა.

— რა შემიძლია უიარაღოს? — ვუთხარი მისმა მაცქერალმა: დახრილი თავი, დაუდევრად აკრული, ლამის აწეწილი თმის გორგალი, ხელი, რომელსაც ხელეწიფებოდა გმირი მებრძოლის აკვანი დაერწია ან მამამისის ხელთაგან გავარდნილი ხმალი აეტაცებინა; ხოდა ეხლა ეს ხელი უბრალო, დავერცხლილი, იაფფასიანი ყავადანიდან უბრალო სასმელს ასხამს (ამათთან ყავაც არ ივარგებს ალბათ), და ეს ყოველივე აქ ხდება — ამნაირ სახლში, ამნაირ ოთახში. ხოდა უცებ გამახსენდა, სადაც მენახა უწინ ამგვარი ოთახები, ამგვარი შემოსასვლელები. ფოტოსურათებში მენახა, ვთქვათ, ჟურნალ „ქალაქსა და სახლკარში“ დაბეჭდილ ფოტოსურათებში, რომელთა ქვეშ მიბეჭდილი იყო ხოლმე: „ამერიკული ინტერიერი“. საავეჯო მაღაზიათა ყოველნაირ კატალოგებში ბეჭდავენ კიდევ ამ სურათებს და სპეციალურ წარწერასაც უკეთებენ: „ეს არც ასლია, არც რეპროდუქცია. ეს გახლავთ ნიმუში ავეჯისა, რომლის დაკვეთაც მხოლოდ ჩვენთან შეგიძლიათ თქვენი გემოვნებისდა მიხედვით“. — დიდი მადლობა, — ვუთხარი, — ნაღები არ მინდა, მარტო შაქარს ვუზამ. ოღონდ სათქვენო რომ არაა ეს ყველაფერი?

— მაინც რა? — მკითხა იმან.

— ეს ოთახი. თქვენი სახლი. — ოღონდ თავდაპირველად რატომღაც ისიც მეგონა — ხომ არ მომეყურა-მეთქი.

— ეს ჩემი ქმრის ნახელავი გახლავთ, ჩემი კი არა.

— უკაცრავად, ვერ გაგიგეთ, — ვუთხარი.

— ავეჯი ჩემი ქმრის შერჩეულია.

— ფლემის? — შევყვირე. — ფლემ სნოუპსის? — იმას კიდევ არც გაკვირვებია, არც შეშინებულა, ისე შემომყურებდა განურჩეველი სახით და ჩემს დაცხრომას ელოდებოდა. მარტო მაკკერონისგან არ გამოჰყოლია ლინდას ის მისი თვალები, ოღონდ თმის ფერი ჰქონდა მთლიანად მამამისისა. — ფლემ სნოუპსის! — გავიმეორე. — ფლემ, ფლემ სნოუპსის!

— დიახ, მემფისში გახლდით წასული საამისოდ. ფლემმა ზუსტად იცოდა, რაც სურდა. არა, სწორს არ ვამბობ. ჯერ არ იცოდა. ის იცოდა — რალაცა მჭირდება, რალაც უნდა მქონდესო. გამიგეთ?

— გაგიგეთ, — ვუთხარი. — მშვენივრად გაგიგეთ. მემფისში ჩავედითო.

— დიახ, — თქვა იმან. — ჩასვლით კიდევ იმიტომ ჩავედით, რომ ფლემს ვინმე ისეთი უნდა მოეძებნა, ვინც შეძლებდა ეთქვა — ესა და ეს იყიდეთო. იცოდა, რომელი მაღაზიისთვისაც უნდა მიგვეკითხა. მაშინვე გამოიძია — არაფრის ყიდვას თუ არ აპირებს თქვენთან კაცი, იმაში რამდენს გამოართმევთ, რომ დაჯდეს და მოგელაპარაკოთო? თუ მიმიხვდით ესე იგი, ვაჭრობის ამბავი არ გახლდათ ეს. ვაჭრობით როცა ვაჭრობთ, საქონელი იქნება თუ მიწის ნაჭრები— რითაც გნებავთ, შეგიძლიათ გაურიგდეთ, მაგრამ ისიც შეგიძლიათ, რომ არ გაურიგდეთ არავის, გააჩნია როგორ აეწყობა საქმე; არავინ მოგეძალებათ — გინდა თუ არა იყიდეთ ან გაყიდეთო: თუ ვერ მორიგდით, დაშორდებით და იქნებით თქვენთვის. აქ კიდევ სხვაგვარად გახლდათ საქმე. ფლემს რაღაც უნდა დაენარჩუნებინა და იცოდა აუცილებლად რომ სჭირდებოდა ის რაღაცა. ოღონდ არ იცოდა, რა სჭირდებოდა. ისე რომ მარტო დამოკიდებული კი არ იყო მაღაზიის პატრონზე, მარტო იმას კი არ უნდა დალოდებოდა — აქეთ მასწავლის რა ვიყიდოო; იმაზეც იყო დამოკიდებული, რა სინდისის პატრონი გამოდგებოდა ის კაცი, ვისაც ყველაფერი უნდა მოეყიდა ამისთვის, რაც კი რამე იყო საჭირო. იმიტომ რომ იმ ნივთების ფასი და ღირებულება ამან არ იცოდა, ერთადერთი ის ჰქონდა გაბევრითებული—უსიკვდილოდ მჭირდებაო. ესეც გამიგეთ, ხომ?

— დიახ, დიახ, — ვთქვი, — გაგიგეთ. მერე, მერე?

— ამას მაინცდამაინც ესა და ეს სჭირდებოდა, მაინცდამაინც იმნაირი კაცის შესაფერისი, თვითონ რომ შეიქნა. ხოდა მაღაზიის პატრონმა უთხრა: კი, მგონი მიგიხვდითო, თქვენ ჯერ სოფლის დუქანში იდექით ნოქრად, მერე ქალაქში გადმოხვედით და რესტორნის პატრონი შეიქენით, ეხლა ბანკის ვიცეპრეზიდენტი ბრძანდებითო; კაცმა მოკლე ხანში ასე წაიწია და ალბათ ამასაც არ დასჯერდება, ესე იგი ისაა საჭირო, მის სახლში ვინც შევა, ამ ამბავს ყველა მიხვდესო; კი, ეხლა კი ვიცი, რაც გჭირდებათო. ამაზე ფლემმა — არაო, უთხრა. მაინცდამაინც ძვირის ამბავს არ ვამბობო, —მაღაზიის პატრონმა თქვა, — ოღონდ კაცის დაწინაურება რომ ჩანდესო. ფლემმა ისევ — არაო. კარგი, ჩემო ბატონო, — მაღაზიის პატრონმა თქვა, — აბა მაშინ რამე ძველებურიო. ხოდა სხვაგან შეგვიყვანა, გვიჩვენა, რასაც ამბობდა. მაგალითად, აი, ეს შეიძლება აიღოს კაცმა და უფრო ძველებური შესახედავი გახადოსო. ამაზე — რატომო? — ფლემმა ჰკითხა. რატომ და — ვითომ ოჯახისეულია, ვითომ ბაბუასგან დაგრჩათო. ხოდა ფლემმა — კი, ბაბუა ნამდვილად მყავდა, ისე როგორც ყოველ კაცს ჰყავს, არ ვიცი, რა კაცი იყო, ოღონდ ის კი ვიცი, მის დღეში მთელი სახლის კი არა, ერთი ოთახის გასავსები ავეჯიც არ მოეძებებოდაო; ესეც არ იყოს, არავის გაბრიყვებას არ ვაპირებ, რეგვენის მეტი არავინ შეეცდება ჭკვიანი ხალხი გააბრიყვოს, ხოდა რეგვენის გაბრიყვება ვისაც სჭირდება, ის თვითონ არის რეგვენიო. მაშინ მაღაზიის პატრონმა — მომითმინეთო, და ტელეფონთან მივიდა. ცოტა ხანს ვიცადეთ, მერე ის ქალი მოვიდა, მაღაზიის პატრონის ცოლი. თქვენ რას ისურვებდითო? —მე მითხრა. ჩემთვის სულერთია-მეთქი. როგორო? — მკითხა და გავუმეორე ჩემი ნათქვამი. ხოდა მაშინ ფლემს შეხედა და დავინახე, როგორ იყვნენ დიდხანს ერთიმეორეს მიჩერებული. მერე იმ ქალმა თავის ქმარსავით ხმამაღლა კი არა, ჩუმად თქვა, ძალიან მშვიდად — ვიცი. ამაზე ფლემმა — მომითმინეთ, რა ეღირებაო? ხოდა იმ ქალმა — თქვენ კომერსანტი ბრძან-

დებით, მოდი, გაგირიგდებით; მთელ ავეჯს ჯეფერსონში ჩამოვზიდავთ და სახლს გაგიწყობთ, თუ მოგეწონათ, იყიდეთ, არა და ყველაფერს უკან დავაბრუნებ და ერთ ცენტსაც არ გამოგართმევთო.

— გასაგებია, — ვუთხარი. — მერე?

— ეს იყო და ეს, მეტი არაფერი. ყავა გაგიცივდებოდათ, მეორე ფინჯანს მოგართმევთ ეხლავე. — წამოდგა კიდეც, მაგრამ მე შევაჩერე.

— როდის იყო მაგ ამბავი? — შევეკითხე.

— ოთხი წლის წინ, — მომიგო, — ეს სახლი რომ იყიდა ფლემმა, იმ წელიწადს.

— სახლი იყიდაო? — აღმოვთქვი. — ოთხი წლის წინათ? ესე იგი ბანკის ვიცე-პრეზიდენტი რომ შეიქნა, მაშინ?

— დიახ, — მომიგო. — მაგ ამბის გამოცხადების წინა დღეს. ეხლავე მოგართმევთ მეორე ფინჯანს.

— არ მინდა ყავა! — ვუთხარი, თან ჩემთვის ვიმეორებდი — ფლემ სნოუპსი, ფლემ სნოუპსი-მეთქი, ვიდრე უცებ არ ვთქვი, არ წამოვიყვირე: — არაფერი არ მინდა! მეშინია მე! — მერე ჩავეკითხე: — რა ბრძანეთ? — და იმან გამიმეორა:

— სიგარეტი არ გნებავთ? — ხოდა ისიც ვიცანი, ის, ნაყალბევი ვერცხლის კოლოფი. წესით იმ ყუთს მისნაირი სანთებელაც უნდა ხლებოდა, მაგრამ იმან სიგარეტებიანი კოლოფიდან სამზარეულოში სახმარი უბრალო ასანთი ამოიღო. — ლინდამ მითხრა — ლერწმის ჩიბუხს ეწევაო. მოსწიეთ, თუ გნებავთ.

— არა, — ვუთხარი. — არაფერი არ მინდა, ოღონდ ფლემ სნოუპსი, — ვთქვი. — ფლემ სნოუპსი!

— დიახ, — თქვა იმან. — მე კი არ ვუშლი ჯეფერსონიდან წასვლას და კოლეჯში მოწყობას.

— კი მაგრამ რატომ? — ვთქვი. — ლინდა ხომ არც კია მისი... ის ხომ არც კია ლინდას... მაპატიეთ! მაგრამ თქვენც ხომ მოგეხსენებათ — იმდენად საჩქარო, იმდენად საგულისხმო ამბავია, რომ საიმისო დროც აღარაა...

— ცერემონიის დრო, ხომ? — მითხრა იმან. არა, არც კი შევრხეულვარ, ისე ვიჯექი და ვუმზერდი, როგორ წაიხარა, ფეხსაცმლის ლანჩას ასანთი გამოკრა და სიგარეტს მოუკიდა.

— არაფრის, — ვუთხარი, — არაფრისთვის არ უნდა გვეცალოს, ლინდას საქმის გარდა. რეტლიფი მიხსნიდა რაღაცას ამ დილით, მაგრამ არ მოვუსმინე. იქნება იმასვე მეუბნებოდა, რაც თქვენ მითხარით ამ ერთი წუთის წინ, მე კიდევ არ მოვუსმინე, არ მინდოდა მოსმენა? ამ ავეჯის ამბავი, მაღაზიაში გატარებული დღის ამბავი. როცა იმან თვითონაც არ იცოდა, რა უნდოდა, იმიტომ რომ დიდი არაფერი ბედენა იყო, რა იქნებოდა ნაყიდი: მთავარი ის იყო, რომ იმას აუცილებლად სჭირდებოდა, უსიცვდილოდ უნდა ჰქონოდა, უნდა შეეძინა, სულერთია რა დაჯდებოდა ეს ყველაფერი, ვინ რას დაკარგავდა, ვინ დამწუხრდებოდა და გაუბედურდებოდა. მას ის სჭირდებოდა, რაც სავსებით ზუსტად მოერგებოდა ისეთ ადამიანს, როგორადაც თვითონ იქცეოდა ხვალ, როცა მის დანიშვნას გამოაცხადებდნენ: ვიცე-პრეზიდენტის ცოლიც, მისი ქალიშვილიც სახლის მორთულობის ნაწილს შეადგენენ დანარჩენ ავეჯთან ერთად. ამის თქმა გინდოდათ ჩემთვის?

— დაახლოებით რაღაც მაგდაგვარის, — თქვა იმან.

— დაახლოებით რაღაც ამდაგვარის? — აღმოვთქვი. — რასაკვირველია, ამით

არ მოთავებულა ყველაფერი, სულაც არ მოთავებულა. ფულისას აღარაფერს ვამბობ, რადგან ვისაც კი მისი ბანტად განასკვული ჰალსტუხი უნახავს, მაშინვე მიხვდება, რომ ის კაცი თავისი ფულიდან ერთ ცენტსაც ვერ გაიმეტებს პლაკარტი ბილეთისთვის, რათა სასწავლებელში თუნდაც თავისი საკუთარი შვილი გაამგზავროს, არამცთუ სხვისი შვილი, უკანონ... — მაგრამ აქ დავდუმდი. ის ქალი ისევ ეწეოდა და სიგარეტს აკვირდებოდა, ოღონდ არ წაუყრუებია.

— დაასრულეთ, — მითხრა, — უკანონოდ დაბადებულის, ხომ?

— დამნაშავე ვარ თქვენს წინაშე, — ვთქვი მე.

— რატომ? — მკითხა იმან.

— დამნაშავედ უნდა ვგრძნობდე თავს. იქნება მეგრძნო კიდეც, თქვენც რომ ამნაირად გრძნობდეთ თავს ან თავს მაინც გვაჩვენებდეთ ამნაირად...

— განაგრძეთ, — მითხრა იმან. — ესე იგი ფულის ამბავი არაა.

— იმიტომ რომ იმ კაცს, იმ კაცს კი არა, თქვენ შეგეძლოთ ფული ბიძია ბილისთვის გამოგერთვათ, იმისას თუ აღარაფერს ვიტყვით, რომ მეც შემეძლო ფული მომეცა სტიპენდიის სახით. თუმცა იქნება ასეცაა საქმე? იქნება ის იმ აზრს ვერ ეგუება, რომ თუნდაც სხვისი ფული, მისი მოსისხლე მტრის ფული, — ბიძია ბილი მისთვის მტერია ალბათ, — შეიძლება იმაზე გადაიყაროს, რომ ბავშვი სხვა შტატში გაიგზავნოს სასწავლებლად, მაშინ როცა თავად ყოველ წელიწადს გადასახადს იხდის მისისიპის სკოლების სარჩენად.

— განაგრძეთ, — მითხრა იმან. — არაა ფულის ამბავი.

— ესე იგი ბოლოს და ბოლოს ყველაფერი აიხსნება იმ სურათით, ავეჯეულის კატალოგში რომაა ფერად-ფერად ასლად გადმოღებული რომელიმე ჩარლსტაუნური ან რიჩმონდული, ლონგაილენდური თუ ბოსტონური ფოტოდან; ესე იგი ოღონდ კი ყოველივე იმგვარად გამოიყურებოდეს, როგორც ფლემ სნოუპსი უნდა წარდგეს მისივე შეხედულებით იოკნაპატოფას ოლქის საზოგადოებრივი აზრის წინაშე. სანამ მიღრინკული რესტორნის პატრონი იყო და მეტი არაფერი, მანამდე შეიძლებოდა, რომ მთელ ფრანგისხევში (მთელ ფრანგისხევშიც და მთელ ჯეფერსონშიც, მთელ იმ არემარეზეც — რეტლიფის და მისნაირების წყალობით) ხალხს სცოდნოდა, რომ მისი გვარის მქონე ბავშვი სინამდვილეში მ-მ...

— უკანონოდ დაბადებულია, — ხელახლა თქვა იმან.

— მასე იყოს, — ვთქვი, ოღონდ ის სიტყვები ჩემდა თავად აღარ გამიმეორებია. — მაშინაც კი, რესტორანი გვარიან ფასად რომ გაასაღა და ელექტროსადგურის ზედამხედველი რომ შეიქნა, ამ ამბავს მაშინაც არ ჰქონია მნიშვნელობა. მერეც, საზოგადო საქმეში რომ აღარ იდგა, კერძო მევახშე და მომხვეჭელი რომ იყო მხოლოდ და ჩუმუჩმად მიჰყვებოდა თავის საქმეს; იმისას თუ აღარაფერს ვიტყვით, რომ ათი თუ თორმეტი წელიწადი გავიდა, ხოდა ამ ხნის განმავლობაში იმასაც კი შეეძლო ერწმუნებინა — ჯეფერსონელნი იმდენად კეთილად არიან განწყობილნი თორმეტ-ცამეტი წლის გოგონასადმი, ყოველნაირი უმაქნისი და უაზრო ინფორმაციით სიცოცხლეს არ მოუშხამავენო. მაგრამ მერე ბანკის ვიცე-პრეზიდენტი შეიქნა. ხოდა ეხლა უცებ ვიღაც გარეშე კაცი ჩარეულა საქმეში და იმ გოგონას ჩასციებია — სხვა შტატში წადი სასწავლად და საშობაო არდადეგებამდე სამი თვე მაინც იქ გაატარეო. იქ მყოფი ახალგაზრდა ხალხის მშობლები კიდევ ამის მოვალენი არ გახლავან, ისე რომ სულაც არ

არიან ვალდებულნი პირში წყალი ჩაიგუბონ — იმ ახალგაზრდებიდან ყველას შეუძლია გოგოს ის საიდუმლო გაუმჟღავნოს, რომელიც, რადაც უნდა დაჯდეს, უეჭველად დასაფარია. თურმე რა ყოფილა საქმე, — ვთქვი, ოღონდ იმ ქალს არც ამჯერად შემოუხედავს ჩემთვის: მშვიდად, აუჩქარებლად ეწეოდა და ამდოვრებულ ბოლს თვალს მიადევნებდა. — აბა მაინც თქვენ ყოფილხართ დამნაშავე, — ვუთხარი. — იმან ლინდას ჯეფერსონიდან წასვლა აუკრძალა და თქვენც გაიძულათ მიმხრობოდით, იმით დაგემუქრათ, რასაც თვითონვე უფრთხის — დედამისის თავისმოსაჭრელი წარსულის ამბავს ვუამბობ ლინდას და იმასაც ვეტყვი, უკანონოდ შობილი რომ არისო. რას გეტყვით, იცით? ან მამათქვენს სთხოვეთ ფული, ან მე გამომართვით, ხოდა რაც გაგეწყობათ შორს გააგზავნეთ ჯეფერსონიდან, თორემ მე თვითონ ვუამბობ, ვინც არის სინამდვილეში, ანდა — ვინ არ ყოფილა არასოდეს სინამდვილეში.

— მერე თქვენ გგონიათ დაგიჯერებთ? — მითხრა იმან.

— რა ბრძანეთ? — ვთქვი. — არ დამიჯერებს? მე არ დამიჯერებს? ლინდას სარკეში ყურებაც არ დასჭირდება, რომ შეადაროს და უარყოს, ისიც საკმარისი იყო, ჩვიდმეტ წელიწადს რომ იცხოვრა მის გვერდით. იმაზე უკეთესი რა უნდა იყოს ლინდასთვის, მე რომ დამიჯეროს, ყოველ კაცს დაუჯეროს, იმას ჩაეჭიდოს, რასაც ის ხალხი ეტყვის, ვისაც იმდენი ლმობიერება ექნება, რომ აუხსნას — მისი შვილი არ ხარო? როგორ გეკადრებათ! მეტი რა უნდა, გარდა იმისა უფლებისა, რომ დედამისი უყვარდეს, რადგან დედამისმა სიყვარულის ფასად გადაარჩინა, სნოუპსად არ შვა ამ ქვეყანაზე. ხოდა ეს თუ არ კმარა, იმაზე მეტს ვინ ინატრებს, რომ იმგვარი იყოს, როგორად ყოფნასაც კაცთა მოდგმის უმრავლესობა ვერ ღირსებია, უფლება ჰქონდეს ის დაიმსახუროს, რასაც ერთი დაიმსახურებს ხოლმე ათეულ მილიონთაგან — არა მარტო იწოდებოდეს „შვილად სიყვარულისა“, არამედ თავადვე იყოს ერთი იმ რჩეულთაგანი, სიყვარულის უკვდავ შვილთა ნათესავთაგანი; ისინი ხომ იმ შეუპოვარი უმანკო ვნების ნაყოფნი არიან, რომელიც მზად კი არაა მხოლოდ, განწირულიცაა საიმისოდ, რათა სიყვარულს უმსხვერპლოს მთელი ქვეყნიერება; ოდითგანვე ამისთვის ოცნებობდნენ მუდამ ის უნიათო, უძალო, ძილგამკრთალი და მფრთხალი ადამიანები, პოეტებად სახელდებულნი, ოცნებობდნენ, დარდობდნენ და ამითვე სულდგმულობდნენ, ამითვე ეძლეოდნენ აღმაფრენას... — ეხლა უკვე შემომყურებდა ის ქალი, აღარ ეწეოდა, სიგარეტი ისე ეჭირა და ცისფერი ბოლის წიაღ გამომცქერიოდა.

— თქვენ მაინცდამაინც კარგად არ უნდა იცნობდეთ ქალებს, ხომ? — მითხრა იმან. — ქალებს პოეტების ოცნება კი არ აინტერესებთ, ფაქტები აინტერესებთ. სულერთია სიმართლე იქნება თუ არა, ოღონდ კი ეს ფაქტები სხვა ფაქტებს ეწყობოდეს და თანხვდებოდეს. თქვენ არ დაგიჯერებდათ ლინდა. იმასაც არ დაუჯერებდა, კიდეც რომ ეთქვა თვითონ. მაგ არა და შეგიძულებდათ ორივეს, მით უმეტეს — თქვენ, იმიტომ რომ თქვენ ატეხეთ მთელი ეს ამბავი.

— აბა, თქვენი აზრით, ლინდა შეეგუება... ყველაფერ ამას... იმ კაცსაც? ცარიელზე დარჩენას ამჯობინებს? უარს იტყვის იმაზე, რომ ისწავლოს, სხვაგვარად იცხოვროს? არა, არ მჯერა თქვენი!

— ლინდასთვის მაგ ამბავი ცარიელზე დარჩენა არ იქნება. მაგას ამჯობინებს ბევრ რამეს, თითქმის ყველაფერს.

— არ მჯერა თქვენი! — ვთქვი, შევყვირე მე, ან კიდევ ასე გავიფიქრე —

შევყვირე-მეთქი. კი, გავიფიქრე მხოლოდ, თქმით კიდევ სხვა რამე ვთქვი: — აბა ვერაფრის გაკეთებას ვერ შევძლებ?

— შეძლებთ, — მითხრა იმან. ეხლა თვალს არ მაშორებდა ჩამქრალი სიგარეტის ხელში მჭერელი. — ცოლად შეირთეთ ლინდა.

— რაო? — ვთქვი, არა, შევყვირე მე. — გაჭალარავებულმა კაცმა, ქალზე ორჯერ უფროსმა? ნუთუ ვერ ხედავთ, რა მაწუხებს? ჯეფერსონისგან მისი დახსნა მინდა, მისთვის თავისუფლების მინიჭება მინდა, უფრო მაგრად, უფრო მეტად, უფრო საშინლად მიკოჭვა კი არა! თქვენ ფაქტების რეალურობაზე მელაპარაკებოდით!

— ერთადერთი ფაქტი გათხოვებაა, სხვა ყველაფერი — პოეტების რომანტიული ნაბოდვარი. შეირთეთ ცოლად. თქვენ ნამდვილად გამოგყვებათ. სწორედ ეხლა, ამ გზაჯვარედინზე ვერ შეძლებს, ვერ მოახერხებს უარის თქმას. შეირთეთ ცოლად.

— მშვიდობით, — ვთქვი მე. — მშვიდობით.

ხოდა რეტლიფი, ამ ერთი საათის წინ რომ დავტოვე, ისევ ისე დამიხვდა ჩემი კლიენტებისთვის განკუთვნილ სავარძელში მოკალათებული.

— ხომ შევეცადე ამეხსნა თქვენთვის, — მითხრა. — ფლემის საქმეა, რაღა თქმა უნდა. აბა იულას და იმ გოგოს რატომ უნდა ეთქვათ უარი იმ შესაძლებლობაზე, რომ ცხრა-ათი თვით მაინც მოშორებოდნენ ერთმანეთს?

— ეხლა მაქეთ შემიძლია აგიხსნათ, როგორცაა საქმე, — ვუთხარი. — ფლემ სნოუპსი ბანკის ვიცე-პრეზიდენტია, სახლიც სავიცეპრეზიდენტო უდგას და ავეჯიც, ხოდა იმ ავეჯის ნაწილს ვიცე-პრეზიდენტის ცოლ-შვილიც უნდა წარმოადგენდეს.

— არა, — მომიგო რეტლიფმა.

— კარგი, — ვთქვი მე. — ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა არავის არ უნდა გაახსენებინოს, რომ მისი ცოლი გათხოვებისას უკვე მუცელქმნილი ბრძანდებოდა ვილაცისგან. ხოდა ის გოგო სხვაგან თუ წავიდა სასწავლად, ვინმე გამოჩნდება ისეთი, ფლემ სნოუპსის რომ არაფერი მართებს, გოგოს უამბობს — სინამდვილეში ესა და ეს ხარო, და მთელი ეს ამხელა ცირკი ხუხულასავით დ ´-გრევა.

— არა, — მომიგო რეტლიფმა.

— კარგი, ბატონო, — ვთქვი მე. — მაშინ თქვენ ბრძანეთ.

— ფლემს იმის ეშინია — არ გათხოვდესო.

— რაო? — ალმოვთქვი მე.

— რაღა თქმა უნდა, — მითხრა რეტლიფმა. — ჯოდი რომ დაიბადა, ბიძია ბილ უორნერმა ანდერძი დაწერა და იმ ანდერძით მთელი ქონების ნახევარი მისის უორნერს არგუნა, ნახევარი კიდევ — ჯოდის. იულაც რომ გაჩნდა, ბიძია ბილმა ანდერძი გადაასწორა — მისის უორნერს თავისი ნახევარი დაუტოვა, ოლონდ მეორე ნახევარი ჯოდის და იულას გაუნაწილა ტოლად. ეს ანდერძი აჩვენა სწორედ ფლემს, როცა ამას იულა უნდა შეერთო, ხოდა მერე აღარ შეუცვლია ანდერძი. უკეთ რომ ვთქვათ, ფლემ სნოუპსმა ბერიკაცს დაუჯერა, როცა იმან უთხრა — ანდერძს აღარ შევცვლიო. ოლონდ სხვებს შეეძლოთ არ დაეჯერებინათ, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ფლემმა მოხუცი ფრანგის მამულის ამბავში მოაღორა სიმამრი.

— რაო? — ალმოვთქვი მე. — ნუთუ ბილმა ის კარმიდამო მზითვად მისცა იულას?

— აბა რა, — მითხრა რეტლიფმა. — ყველა მაგას ამბობდა და ვერც ბიძია ბილი იუარებდა ვერაფრით. იმან ფლემს ის მამული შეაძლია, ფლემმა კიდევ უთხრა — ფულად მერჩივნაო. ამიტომ იყო, ფლემი და იულა ერთი დღით გვიან რომ წავიდნენ ტეხასში: ევაჭრა და ევაჭრა ფლემი სიმამრს, ხოდა ბიძია ბილმა აიძულა ისეთ მცირე თანხას დასჯერებოდა, როგორიც თავიდან ფიქრადაც არ მოუვიდოდა. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ფლემმა უთხრა — კარგი, მაგ ფულს ავიღებ, ოღონდ ტეხასიდან დაბრუნებისას იმის საშუალება მომეცი, ამავე ფასად ის კარმიდამო ვიყიდოო. ასე მორიგდნენ და ფლემი ტეხასიდან იმ ჭრელ-ჭრელი ცხენებიანად ჩამობრუნდა. მერე, მტვერი რომ დაიწმინდა, მე და ჰენრი არმსტიდმა ფრანგის მამული ვიყიდეთ — მე რესტორნის ჩემი ნახევარი გავიღე, ჰენრი კიდევ გვარიან თანხას ჩამოვიდა, ისე რომ საკმარისად მოგროვდა ბიძია ბილისთვის იმ ფულის გადასახდელად, რომელიც სულ გადავიწყებული ჰქონდა უკვე. ამიტომაც ფიქრობს ფლემი — ბიძია ბილი თავის ანდერძს ალარ შეცვლისო. ხოდა შიშობს ეხლა — ის გოგო ჯეფერსონიდან რომ გაუშვას და რომ გაუთხოვდეს, მაშინ იულაც უეჭველად მიატოვებს. კი, ბატონო, არაო — ფლემმა თქვა პირველმა, მაგრამ ეხლა სამივე თქვენი წინააღმდეგია, იულაც და თვითონ ის გოგოც, სანამ ვინმეს ცოლად არ გაჰყოლია. იმიტომ რომ ქალებს არ აინტერესებთ...

— მომითმინეთ, — ვუთხარი, — მე მათქმევინეთ. იმიტომ რომ ქალებს ვერაფერი გავუგე, იმიტომ რომ ისეთი ამბები, როგორიცაა სიყვარული ან მორალი, ან კიდევ იმის სურვილი — ყოველი შემთხვევა გამოიყენო საიმისოდ, რომ ერთ-ერთ სნოუპსად არ იქცეს ადამიანი, — ეს ყოველივე პოეტის რომანტიული ნაბოდვარია; ხოდა ქალებს რომანტიული ნაბოდვარი კი არ აინტერესებთ, მხოლოდ ფაქტები აინტერესებთ; მათთვის სულერთია, როგორია ფაქტები, სიმართლეა თუ არა, ოღონდ კი ეს ფაქტები სხვა ფაქტებს თანხვდებოდეს და ეწყობოდეს. სწორს არ ვამბობ?

— კაცმა არ იცის, — მითხრა რეტლიფმა. — მე იქნება მთლად მასე არ მეთქვა.

— ყველაფერი იმის ბრალია, ქალებს რომ ვერაფერი გავუგე, — ვთქვი მე. — ერთი მითხარით მაინც, თქვენი ჭირიმე, თქვენ რომელი ეშმაკი შეგეწიათ, ასე რომ გესმით იმათი?

— იქნება ის იყო, რომ ვუსმენდი ხოლმე, — მითხრა რეტლიფმა. ეს კი ვიცოდით ყველამ: რამდენჯერ უნახავს იოკნაპატოფას ყოველ მცხოვრებს ამ უკანასკნელი ათი-თორმეტი წლის განმავლობაში სახლს მიმსგავსებული გაღებილი თუნუქის ყუთი, რომელშიც საკერავი მანქანის ნიმუში იდგა (წინათ ის სახლაკი ცხენის ფურგონზე იყო მოთავსებული, ბოლოხანს კი — ნახევრად სატვირთო პიკაპზე). ისიც ყველას ჰქონდა ნანახი, როგორ შეჩერდებოდა ხოლმე რომელსამე ჭიშკართან ათასობით იარდისა და ასობით შარაგზის გამომვლელი ის ფურგონი თუ ავტომობილი და როგორ შეიკრიბებოდა მის გარშემო ერთი მილის არემარედან ხუთი-ექვსი ჩაჩიანი ან ჩალისქუდიანი დედაკაცი; თავად რეტლიფი, თავის განუშორებელ, სუფთა ლურჯ ხალათში გამოწყობილი, სადმე ჩრდილში ვერანდაზე ან ეზოში იყო ჩამომჯდარი და უსმენდა შეუცნობელი, აუმღვრეველი, თავაზიანი და ცბიერი სახის მქონე. დიახ, ეს ყველას მოგვეხსენებოდა.

— აბა მე იმათ არ ვუსმენდი ალბათ, ვისი მოსმენაც იყო საჭირო, — ვთქვი მე.

— ანდა იქნება იმათ უსმენდით, ვისი მოსმენაც არ იყო საჭირო, — მითხრა რეტლიფმა. — საერთოდ თქვენ არასდროს არ უსმენდით არავის, რადგან მაშინვე თქვენ თვითონ აძრახდებოდით ხოლმე.

დიახ, სულ ადვილი საქმე გახლდათ. ის იყო მხოლოდ საჭირო, თავის დროზე ქუჩაში გამოვსულიყავი, რათა იმას დავენახე და გვერდითს შუკაში გავარდნილიყო თავის დასახსნელად. მერე მთელი კვარტალის შემოვლაც ალარ მომიხდებოდა, საკონდიტრო უნდა გამევლო, უკანა შესავალიდან გავსულიყავი, ისე რომ იმას რაც არ უნდა ერბინა, შესახვევში პირველი მე მოვხვდებოდი და კუთხეში ჩავუსაფრდებოდი. ხოდა საკმარისი დრო მქონდა იმ წუთამდე, ვიდრე მისი აჩქარებული ფეხისხმა შემომესმებოდა; მაშინ გამოვედი და, ვიდრე ის ხელის აწევას მოასწრებდა თითქოს ჩემს განსაშორებლად თუ ჩემგან თავის დასაცავად, მაჯაში ვწვდი. ფრთხილად მეჭირა მისი ხელი, ის კიდევ ცდილობდა გამოეგლიჯა, გაეთავისუფლებინა და თან მეუბნებოდა: — გამიშვით! გამიშვით!

— კარგი, — ვთქვი მე, — კარგი! ეს მითხარი მხოლოდ: გახსოვს, იმ დღეს საკონდიტროში რომ უნდა შევხვედროდით, შენ ჯერ სახლში შეუხვიე გადასაცმელად. შენ თვითონ გადაწყვიტე სახლში შესულიყავი და მეორე კაბა ჩაგეცვა. ოღონდ ის ხომ დედაშენის აჩემება იყო, ტუჩები რომ შეიღებე, ნელსურნელება წაისვი და აბრეშუმის ჩულქებში და მაღალქუსლიან ფეხსაცმელში გამოეწყე, ასე არაა? — მაგრამ ის ფრთხილად ქაჩავდა ჩემს ხელში ჩაჭერილ თავის მაჯას, მის გამოთავისუფლებას ცდილობდა და ჩურჩულით იმეორებდა:

— გამიშვით! გამიშვით!

ჩარლზ მალისონი

16

რეტლიფის ნათქვამის მიხედვით, გევინ ბიძიას მოსვლამდე ასეთი ამბავი მომხდარა.

იანვარი იყო. ღრუბლიანი დღე იდგა, მაგრამ არ ყინავდა, რადგან ნისლიც ჩამოწოლილიყო. ჰეტი მისის ჰეიტის წინაოთახში შევარდა, იქიდან კიდევ სამზარეულოს ეცა ბავშვურად ხმამაღლა და ხალისიანად აყვირებული:

— მის მენი! თქვენს ეზოში ჯორი შემოსულა!

ხეირიანად არავინ იცოდა, რა ხნის იყო ეს დედაბერი. ჯეფერსონელნი ვერც იმას გეტყოდნენ, რამდენი წელი იქნებოდა გასული მას შემდეგ, რაც ჰეტი დავრდომილთა თავშესაფარში დამკვიდრებულიყო საცხოვრებლად. ბერიკაცები ამბობდნენ — სამოცდაათს მიტანებული იქნებაო, თუმცა თვითონ ჰეტის გამოთვლის თანახმად, მავან და მავან ჯეფერსონელ მანდილოსანთა ასაკს თუ გავითვალისწინებდით (საპატარძლოებით დაწყებული და ბებიებით დამთავრე-

ბული, ვისაც ის აკვანში ანანავებდა თურმე), ასი წლისაც გამოდიოდა, რეტლიფი კიდევ ირწმუნებოდა — სამი საუკუნისა მოიყარაო.

ოღონდ დავრდომილთა თავშესაფარში დასამინებლად თუ მივიდოდა ჰეტი, ან ღამის გასათევად, ან კიდევ ღამის ნაწილის გასატარებლად. რადგან მთელ დანარჩენ დროს ან მოედანზე იყო, ან ქუჩებში, ანდა დავრდომილთა თავშესაფრიდან ჯეფერსონს მომავალ ერთნახევარი მილის სიგრძე ტალახიან გზაზე. აგერ ოცდახუთი წელი მაინც იქნებოდა გასული, რაც ქალაქელი მანდილოსნები მეზობელ სახლთან მისი დანახვისას, ან თუნდაც მისი მაღალი, ომახიანი ხმის გაგონებისას სააბაზანოში იკეტებოდნენ ხოლმე. ოღონდ ესეც ვერ უშველიდათ, თუკი მანამდე სადარბაზოს და უკანა შესასვლელის დაგმანვა დაავიწყდებოდათ. იმიტომ რომ ადრე თუ გვიან ხომ უნდა გამოსულიყვნენ, ხოდა, რომ გამოვიდოდნენ, ჰეტიც იქვე დაუხვდებოდათ — ტანმაღალი, ხმელ-ხმელი, შოკოლადისფერი პირისკანის მქონე, ენამრავალი, მხნე, რეზინის ჩუსტებითა და ჩაფართხუნებული, თაგვისფერი პალტოთი მოსილი; იმ პალტოს კიდევ ის ჰქონდა შემოყოლებული, რასაც ორმოცი თუ ორმოცდაათი წლის წინათ ბეწვი ეთქმოდა; თავზე, თავსაფარს ზემოთ ხასხასა წითელი ქუდი ეხურა, მოხუცებულ მისის კომპსონისგან ნაწყალობევი ამ ორმოცდაათი წლის წინათ, როცა გენერალი კომპსონი ჯერაც ცოცხალი იყო (თავდაპირველად ამავე ფერის საკვოიაჟს დაატარებდა, ქვანახშირის შახტივით უძიროს, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჯეფერსონში ათცენტიანი საქონლის დუქანი გახსნეს, ის უძირო საკვოიაჟი შეიცვალა ქალალდის ჩანთებით, რომლებსაც დუქანში უფასოდ იძლეოდნენ); სამზარეულოში სკამზე ჩამოჯდებოდა ხოლმე და, თუმცა მოწყალების სათხოვნელად იყო მოსული, მაღალი წრის მანდილოსანივით იცოდა ამეტყველება, ერთობ დარბაისლურ კილოზე.

ასე მიდიმოდიოდა ერთი სახლიდან მეორეში, თითქოს რაღაც მცურავი კუნძული ყოფილიყოს, ირგვლივ მყოფთათვის ძრწოლისა და პანიკის დამტეხი; ყოველდღიურ ხარკად ნასუფრალი და ძველმანები ჰქონდა გაჩენილი, ზოგჯერ კიდევ — ბურნუთის სამყოფი ხურდა ფული, ქალაქის რია-რიასა და ოროტრიალში იძვროდა ცისმარე დღეს გადასახადის ამკრეფივით განურინებელი. ერთი კია, რომ ბოლო ხანს, მას შემდეგ, რაც მისის ჰეიტი დაქვრივდა, ჯეფერსონმა მისის ჰეიტის წყალობით შეღავათი იგრძნო დროებით მაინც. ოღონდ ამ შეღავათის დროსაც ნამდვილი სიმშვიდე არ დამკვიდრებულა. უფრო ის იყო, რომ ჰეტმა მისის ჰეიტის სამზარეულოში თავისებური ადგილობრივი შტაბი თუ მეწინავე საფურაჟე პოსტი მოიწყო მას შემდეგ, რაც მისტერ ჰეიტი და მისტერ ა. ო. სნოუპსის ხუთი ჯორი ქალაქის ახლოს დიდ მოსახვევთან გაიტანა ჩრდილოეთისკენ მიმავალმა ჩქარმა მატარებელმა და დავრდომილთა თავშესაფარშიც კი ააღწია ხმამ — მისის ჰეიტმა ქმრის დაღუპვისთვის რვა ათასი დოლარი მიიღო. ქალაქს ჩამოსული ჰეტი პირდაპირ მისის ჰეიტისას მიდიოდა და ზოგჯერ შუადღემდისაც იქ რჩებოდა, ქალაქის ჩამოვლას ამის მერეღა იწყებდა. ხანდახან, ცუდ ამინდში ჰეტი მთელ დღესაც რჩებოდა ხოლმე მისის ჰეიტთან. ასეთ დღეებში მისი მუდმივი კლიენტები თუ მსხვერპლნი, მისგან დროებით თავდახსნილნი, საგონებელს ეძლეოდნენ — ნუთუ იმ ქალს, მამაკაცური ხასიათის და მამაკაცური ენის პატრონს, რომელმაც, რეტლიფის ნათქვამის არ იყოს, რვა ათასი პროცენტის მოგებით მიჰყიდა თავისი ქმარი რკინიგზის კომპანიას და რომელიც შეშასაც თავისი ხელით ჩეხავდა, ძროხასაც თვითონ წველიდა, ბოსტანსაც ბარავდა და უვლიდა, — ნუთუ იმ ქალს საცოდავი ჰეტი იმის გულის-

თვის ეხმარება, რომ ზღურბლზე გადაბიჯების უფლებას აძლევენ, ანდა იმისთვის, რომ იქ შეუძლია მალალი წრის მანდილოსნის კილოზე იმეტყველოს, ვითომ თავის შესაქცევად და დიასახლისის გასართობად მისულიყოსო.

მისის ჰეიტის სამზარეულოში შევარდა პალტოთი მოსილი, ქალალდის ჩანთის ხელში მჭერელი და მალალ ხმაზე აყვირებული ჰეტი:

— მის მენი! თქვენს ეზოში ჯორი შემოსულა!

მისის ჰეიტი ქურასთან იყო ჩაცუცქული, ნაკვერჩხლებს ყრიდა ვედროში. უშვილო ქალი გახლდათ და ეხლა მარტოდმარტო ცხოვრობდა თავის ფიცრულ სახლში, იმავე ფერად რომ იყო შეღებილი, რა ფერადაც რკინიგზის კომპანია სადგურის შენობებს და სატვირთო ვაგონებს ღებავდა, — როგორც ვიტყოდით ხოლმე ჩვენ ყველანი იმ სამი წლის წინანდელი სამახსოვრო დილის პატივსაცემად, როცა ის, რაც მისტერ ჰეიტისგან იყო დარჩენილი, იმისგან გამოაცალკევეს, რაიც ხუთი ჯორისა და რამდენიმე ფუტის სიგრძის ახალი ქერელის თოკისგან დარჩენილიყო და ლიანდაგის გასწვრივ მიმობნეულიყო. ხანი გამოხდა და მისის ჰეიტს გამოეცხადა რკინიგზის კომპანიის წარმომადგენელი, რომელიც მოვალე იყო სარჩელები დაეკმაყოფილებინა. ხოდა, ცოტა ხანმაც რომ გაიარა, მისის ჰეიტმა ჩეკით რვა ათას ხუთასი დოლარი მიიღო. რადგან, გევინ ბიძიას ნათქვამის არ იყოს, იმ ნეტარ დროს რკინიგზის კომპანიებიც კი თავიანთ სამხრეთის განყოფილებებსა და ფილიალებს ყველა იმის კანონიერ და სამართლიან საკოვრად მიიჩნევდნენ, ვინც ლიანდაგის ახლომახლო სახლობდა. და, თუმცა მისტერ ჰეიტის სიკვდილამდე რამდენიმე წლით ადრე კი დაიწყო ის ამბავი, რომ ღამღამობით სწორედ იმ დიდ მოსახვევში ჯორები თითო-თითოდ თუ წყვილ-წყვილად ბორბლებქვეშ ჰყვებოდნენ (უცნაური დამთხვევა გამოდიოდა — თითქმის ყოველთვის მისტერ სნოუპის ჯორები აღმოჩნდებოდნენ ხოლმე; ადვილი გამოსაცნობი იყვნენ, რადგან ყოველთვის, როცა კი მატარებელი მის ჯორებს გაიტანდა, ჯორებს ახალთახალი მაგარი თოკი ჰქონდათ ჩაბმული), გევინ ბიძიას ნათქვამის არ იყოს, ის მაინც პირველად მოხდა, რომ მათი ბედუკულმართი აღსასრული ადამიანსაც ხვდა წილად.

მისის ჰეიტმა საფასური ნაღდ ფულად მიითვალა. ჩითის კაპოტით მოსილი იდგა სალაროს სარკმელთან, თავისი განსვენებული ქმრის სვიტერი ეცვა და თავს ეხურა ნამდვილი რბილი შლაპა, იმ საბედისწერო დღეს მისტერ ჰეიტის ნაქონები; იდგა და სახეგაყინული, შუბლშეკრული მდუმარედ უსმენდა ჯერ მოანგარიშეს, მერე — მოლარეს, დაბოლოს — პრეზიდენტს (თავად მისტერ დე სპეინს), რომელნიც ჯერ იმას უჩიჩინებდნენ — კუპონებიო, მერე — ვადიანი ანაბრებიო, ბოლოს — ჩვეულებრივი ანაბრებიო, რის შემდეგაც ფული წინსაფარქვეშ ჩამოკიდებულ ტომსიკაში ჩაიწყო და წავიდა. მერე თავისი სახლი იმ გამძლე საღებავით შეღება სადგურებისა და სატვირთო ვაგონების ფერად, როგორც ეტყობა, გულაჩუყებულმა ან (რეტლიფის ნათქვამის არ იყოს) მადლიერმა, ხოდა იმის მერე მარტოდმარტო ცხოვრობდა კვლავინდებურად ჩითის კაპოტით, სვიტერითა და რბილი შლაპით მოსილი, იმ ჩასაცმელ-დასახურავში გამოწყობილი, რომელსაც მისი ქმარი ატარებდა, ვიდრე უმაქნისი არ შეიქნა მისთვის ის ჩასაცმელი და დასახურავი; ოღონდ ფეხსაცმელი საკუთარი ეცვა უკვე: მამაკაცის ფეხსაცმელი იყო, ღილებიანი, ტიტას ბოლქვის მაგვარ ყელიანი, მოძველებული და მოდიდან დიდი ხნის წინათ გამოსული ფასონის ფეხ-

საცმელი, — მისტერ უილდერმარკი წელიწადში ერთხელ საგანგებოდ მისთვის უკვეთავდა ხოლმე.

ხოდა მისის ჰეიტი წამოხტა, ვედრო ხელიდან არ გაუშვია, ისე შემობრუნდა, თვალები დააკვესა და თავისი მაღალი, მკვეთრი ხმით იყვირა:

— უჰ, ის ძაღლის დაგდებული! — ხოდა ხელში ვედროს მჭერელი გავარდა სამზარეულოდან, ნისლში შერგო თავი, ქაღალდის ჩანთიანი ჰეტიც უკან მიჰყვა. იმიტომაც არ ყინავდა-მეთქი, მოგახსენეთ, — ნისლი გახლდათ ჩამოწოლილი: გეგონებოდათ ჯეფერსონის მთელი ძილისმიერი სულისთქმა, იანვრის იმ გრძელ ღამეს შენივთული, კვლავაც გაწოლილა ნისლსა და მიწას შუა და დაზრობისგან იფარავსო; თითქოს ცხიმის ფენა ყოფილიყოს უკანა კარის ხის კართანაზე, აგურის წყობაზე, სარდაფის სახურავსა და კართანადან ჩარიგებულ ფიცრებზე გადაგლესილი. და როცა ხელში ჯერაც ნაკვერჩხლებიანი ვედროს მჭერელი მისის ჰეიტი იმ ფიცრებზე შედგა, ფეხი ისე დაუსხლტა, წონასწორობა ძლივს შეინარჩუნა. რეზინის ჩუსტებიან ჰეტს ფეხი არ მოსრიალებია.

— ფრთხილად იყავით! — მხნედ შეუძახა ჰეტმა. — სახლის წინ არიან! — ოღონდ ერთი იმ ცხოველთაგანი სახლის წინ აღარ იყო უკვე. ფეხმოცურებული მისის ჰეიტი არ დაცემულა, არც კი შეჩერებულა, მხარი შეიბრუნა და გაქანდა სახლის კუთხისკენ, სადაც მოულოდნელად და უჩუმრად, თითქოს მოჩვენებაა, ჯორი გამოცურებულიყო. ესეც მისტერ ა. ო. სნოუპსის ჯორი გახლდათ. ესე იგი, ვიდრე იმათ სამი წლის წინანდელ იმ დილას რკინიგზის ლიანდაგზე ხუთი ჯორისგან არ გამოაცალკევეს მისტერ ჰეიტი, ვერავინ ამჩნევდა მის კავშირს იმ ამბავთან, რომ მისტერ სნოუპსი ჯორებს ყიდულობდა ხოლმე, თუმცა დროდადრო ვინმე კვირობდა — რანაირად ახერხებს **მისტერ ჰეიტი** საარსებო სახსრის შოვნას, როცა მუდმივი სამუშაო არც კი აქვსო. რეტლიფის ნათქვამის არ იყოს, საქმე ის გახლდათ, რომ ყველას მეტისმეტად უკვირდა — რა ეშმაკებად წამოიწყო ა. ო. სნოუპსმა ეს ჯორებით ვაჭრობის ამბავიო. ოღონდ რეტლიფმა იფიქრა, იფიქრა და დაასკვნა — იქნება ეს ამბავი გასაგებიც იყოსო; იქ, ფრანგისხევში ა. ო. მჭედელი შეიქნა, თუმცა კი ამ საქმის არაფერი გაეგებოდა, და ცხენები და ჯორები შეიძულა, რადგან სიკვდილივით ეშინოდა მათი, ხოდა, ჩემო ბატონო, იქნება სავსებით გასაგები ამბავია, აქაც ისეთ საქმეს რომ მოეკიდა, რისიც არაფერი გაეგება, არც უყვარს ის საქმე და არც ეხერხებაო. თანაც ეხლა ა. ო. ექვსჯერ თუ რვაჯერ, ან კიდევ ათჯერ უფრო მეტად შიშობდა, იმიტომ რომ ნაცვლად ერთი ცხენის ან ერთი ჯორისა, რომელსაც პატრონი სვეტზე მიაკოჭავდა და თვითონ გვერდზე გადგებოდა ხოლმე, ეხლა საქმე ჰქონდა რვა, ათ, ანდა თორმეტ აშვებულ ჯორთან, ვიდრე თოკის ჩაბმას არ მოუხერხებდა როგორმე.

მაინც მოახდინა ა. ო-მ ის საქმე — მემფისის ბაზრობაზე ჯორები იყიდა, ჯეფერსონში ჩამორეკა, ფერმერებს და ქვრივ-ობლებს, შავკანიანები იყვნენ თუ თეთრკანიანები, იმდენად მიასაღა, რამდენიც შეაძლიეს, ნაკლები რომ აღარც ითქმოდა, იმ ფასად, ხოდა მერე (იმ ღამემდე, როცა სატვირთო მატარებელმა მისტერ ჰეიტიც გაიტანა და ჯეფერსონმა პირველად იაზრა—მისტერ ჰეიტსა და მისტერ სნოუპსის ჯორებს შორის რაღაც კავშირი ყოფილაო) ჯორები, თითოთითოდ იქნებოდა თუ წყვილ-წყვილად, ან კიდევ მთელ ჯოგებად, მუდამ ერთიმეორეზე გადაბმულნი ქერელის მტკიცე თოკით, რომელიც უცვლელად იყო ხოლმე მისტერ სნოუპსის საჩივრებში ნახსენები და ოქმებითაც დადასტურებული, ღამის სატვირთო მატარებლების მსხვერპლნი ხდებოდნენ სწორედ იმ

დიდ მოსასვენებთან, სადაც მისტერ ჰეიტიც დაიღუპა. ბოლოს ვიღაცამ (რეტლიფი თავს იკლავდა — მე კი არა, სადგურის მოხელემო) სნოუპსს ფოსტით გაუგზავნა რკინიგზის ჩვენს უბანზე მატარებელთა მიმოსვლის დაბეჭდილი განრიგი.

ოღონდ მისტერ ჰეიტის თავს დამტყდარი უბედურების შემდეგ (უბედურების კი არა, ანგარიშში მოტყუებისო, — რეტლიფმა თქვა, — მიმოსვლის განრიგი და მასთან ერთად საათი სწორედ მისტერ ჰეიტისთვის უნდა გაეგზავნათო) სნოუპსის ჯორებმა უცებ მოიშალეს ანაზდეული სიკვდილი ლიანდაგზე. რკინიგზის კომპანიის წარმომადგენელი რომ ჩამოვიდა მისის ჰეიტის საქმის მოსაგვარებლად, სნოუპსიც აღმოჩნდა იმ საქმის დამსწრე და საამისოდ მის მოსწრებაში ყველაზე საბედისწერო გადაწყვეტილების მიღება მოუხდა: ერთი მხრივ, უბრალო კეთილგონიერება იმას კარნახობდა — რკინიგზის მიერ მოწყობილ გამოძიებას ახლოს არ უნდა გავეკაროო; არადა მისის ჰეიტსაც ერთობ კარგად იცნობდა; მისის ჰეიტს უკვე ნათქვამი ჰქონდა მისთვის — ზარალის ასანაზღაურებლად გაღებული თანხიდან სულ უმცირესის მიღების ერთადერთი საშუალება ის იქნება, რკინიგზის კომპანია მხარდაჭერას დაგპირდესო.

და მაინც ხელი მოეცარა იმ კაცს. მისის ჰეიტმა წარბშეუხრელად განაცხადა — იმ ხუთი ჯორის ერთადერთი პატრონი ჩემი ქმარი გახლდათო. ისიც კი არ დასჭირვებია, აშკარად გამოეწვია სნოუპსი ამ მტკიცების უარსაყოფად; სნოუპსმა თვალი მოჰკრა მხოლოდ იმ ფულს (კი, ბანკში მივიდა, რამდენიც გული ერჩოდა, იმდენზე გაბედა მიახლოება, იდგა და უცუცქურებდა), როცა მისის ჰეიტმა იმ თავის ტომსიკაში ჩაჩურთა და წინსაფარქვეშ ამოიდო. მანამდე კიდევ, აგერ ხუთი თუ ექვსი წელიწადი იქნებოდა, რეგულარულად ევლინებოდა მშვიდსა და მთვლემარე ჯეფერსონს გახელებულ ღრიალსა და მტვრის ბულში; მისი მოახლოების მაუწყებელი საცოდავი ძახილი და ვიშვიში იყო, ხოლო მისი ქარავნის მსვლელობისა — მტვრის მოყვითალო ბული, რომელშიც დოქისმაგვარი თავები რიალებდა და ფლოქვები მოთქარუნობდა; ამ მსვლელობას კი თავად სნოუპსი აგვირგვინებდა, — სუნთქვაშეხუთული მიბუნძულებდა, პირი დაებჩინა და მოთქვამდა თავგზაარეული, სასოწარკვეთილი და ზარდაცემული.

რკინიგზის წარმომადგენელთან საუბრის შემდეგ რომ გამოვიდა, მის სახეს ჯერაც შერჩენილი ჰქონდა დაბნეულობისა და სასოწარკვეთის კვალი, ოღონდ თავზარდაცემა ეხლა გაცბუნებად ქცეულიყო, უიმედო, აღშფოთებულ და მძვინვარე უნდობლად, რომელიც გამოსჭვიოდა გულხარბი რწმენის გამომეტყველების წიალ, რაც მანამდე სამ წელიწადს არ მოსცილებია სახეზე. რეტლიფის ნათქვამის არ იყოს, მდგომარეობიდან ამგვარი გამოსავალი და ამნაირი სიძნელეები სხვას ვერავის ეღირსებოდა: იმას, სნოუპსს მანამდე ის ჯაფა ადგებოდა მხოლოდ, რომ სადგურის მიმღებ ბაკში შეერეკინებინა ჯორები და მერე გასამრჯელო გადაეხადა იმ ზანგისთვის, რომელიც თავის ეჟვნებიან ფაშატს სნოუპსის ბაკისკენ გაუყოლებდა და მავთულით გადაბმულ ჯორებს ქალაქის გავლით წაასხამდა, ხოდა მერე სნოუპსი იმ თავის ბაკში დამწყვდეულ ჯორებს თვითონვე დაყიდდა; ეხლა კიდევ ის სჭირდებოდა უკვე, სათითაოდ გამოეყვანა ჯორები სადგურის ბაკიდან და მერე ჯოგად გაერეკა შუკაში, რომლის ბოლოშიც მისის ჰეიტის შემოულობავი ეზო იყო; ხოდა ჯეფერსონის წყნარ გარეუბანში იდგა ერთი ღრიალი, ავარდნილ მტვრის ბულში ურჩხულები მიქრიალებდნენ მისის ჰეიტის ეზოსკენ, სადაც ორივენი ებჭებოდნენ ბრძოლაში — მისის ჰეიტი და

სნოუპსი: სახლიდან მამაკაცივით გინებ-გინებით გამოჭრილ მისის ჰეიტს ცოცხი ეპყრა ან სხვა რამ საჭურველი, რაც ხელში მოჰყვებოდა; მაშინ სნოუპსი დროებით მაინც იკლავდა შურისგების წყურვილს, ცოტათი მაინც ეფონებოდა გულს გაუძლისი დაძაბულობით, გაუძლისი უმწეობისა და უსამართლობის გრძნობით და იმ თავისი ბოლმით გაწამებულს (რეტლიფმა თქვა — ეტყობა, დიდი ხანია აღარც სჯერა ის ამბავი, რომ მისის ჰეიტს იმ ფულიდან ერთ ცენტს მაინც ააფცქვნის, ხოდა განწირული და ამაო იმედის მეტი აღარც არაფერი დარჩენიაო). ეხლა ორივენი — მისის ჰეიტი და სნოუპსი — უნდა გამონთებოდნენ ხოლმე იმ ჯორებს, დაეჭირათ და შემორაგულში დაემწყვდიათ ხელახლა აგრიალებულ ფლოქვთა შორის მოხტუნავეებს, თითქოს უსიტყვო ცეკვის კორიანტელში ყოფილიყვნენ ჩაბმულნი დეკორაციასავით აღმართული სახლის წინარე. ხოდა სნოუპსი გულდაჯერებული გახლდათ — ამ სახლის შესაფერადებლად ნახმარი გამძლე საღებავიც კი ჩემი ფულით არის ნაყიდი და შიგ გაფუფუნებული დიასახლისიც ჩემს ხარჯზე ცხოვრობსო (რეტლიფის ნათქვამის არ იყოს, სწორედ ამიტომ არ უჩიოდა მისის ჰეიტი სნოუპსს სასამართლოში მისგან თავდასახსნელად: მასაც სამაგიერო უნდა მიზღოდა იმ გადასარევი შემთხვევისთვის, თავისი ქმრის რვა ათას დოლარზე გაცვლა რომ მოახერხა). ამასობაში ყოველი ამგვარი ალიაქოთის დროს მთელი უბნის ხალხი იქ იყრიდა თავს — წინსაფრიანი და ჩაჩიანი ქალები, ეზოებში მოთამაშე ბავშვები, კაცები, შავკანიანნი თუ თეთრკანიანნი, რომელთაც იმ არემარეზე შემთხვევით ჩაევლოთ და ეხლა მეზობელ მესრებს გადმოსდგომოდნენ სეირის საყურებლად.

ჯორი რომ გამოჩნდა, უკვე მოჭენაობდა, თავი მაღლა აეშვირა და ამიტომ ჟირაფის უმაღლესი ჩანდა ნისლის საფარველიდან გამოჭრილი. გეგონებოდათ, პირდაპირ მისის ჰეიტს და ჰეტს უნდა მოაწყდესო ყურებზე ავშარააფართხუნებული ჯორი.

— აგერ! აგერ! — გაჰკიოდა ჰეტი და ქაღალდის ჩანთას იქნევდა. — ოჰო-ჰო! დაიკარგე-მეთქი!

მისის ჰეიტი შებრუნდა და სლიპ ფიცრებზე ისევ ფეხი დაუსხლტაო, — უამბო მერე ჰეტმა რეტლიფს. მერე მისის ჰეიტი და ჯორი ერთად გაქანებულან ბოსლისკენ, რომლის ღია კარებშიც ძროხას უძრავი თავი გამოეყო და გაკვირვებული მოსჩერებოდა ამათ. წუთის წინ ბოსლის კარში მშვიდად ჩამდგარ, ნისლს შეჩერებულ და მცოხნელ ძროხას ალბათ ჟირაფიც არ მოეჩვენებოდა იმსიმაღლე და ისეთი საშინელი, როგორიც ის ჯორი იყო, იმისას თუ აღარაფერს ვიტყვით, რომ ჯორი იმას ეპირებოდა, ჭენებ-ჭენებით გაევლო ბოსლის წიაღ, ვითომ ჩალის კედელი ყოფილიყოს აღმართული მის წინაშე, ანდა სულაც მირაჟი. ასე იყო თუ ისე, ჰეტმა თქვა — ძროხა ისე გაუჩინარდა ბოსელში, გინდაც ასანთის ღერი კოლოფში ჩამალულიყოსო, ხოდა იქ, ბოსლის შიგნით, რაღაც გაოცებით და შიშით ამოიბღავლა, თითქოს ვინმეს გიტარის ან ბანჯოს ერთი სამი შეეჟღრიალებინოსო. ხოდა მისის ჰეიტიც სწორედ იქით მიიჩქაროდა, — ჰეტის ნათქვამის არ იყოს, დედათა მოდგმის ერთობის უნებურად დამცველი ჯორებისა და მამაკაცების ხელყოფისაგან; ხოდა ისა და ჯორი ბოსლისკენ მიექანებოდნენ გამალებულნი და მისის ჰეიტმა ის იყო ნაკვერჩხლებიანი ვედროც შემართა თურმე ჯორისთვის სათხლეშად. რაღა თქმა უნდა, ეს ყოველივე თვალის დახამხამებაში მომხდარა. მე ჯერაც იმას ვყვიროდი, — აგერ, აგერ-მეთქი, — ჰყვებოდა ჰეტი, — ოღონდ ამასობაში ჯორი შემობრუნდა და პირდაპირ ჩემკენ გამოვარდა, მე ჩემი ქაღალდის ჩანთა ავუქნიე, ჯორმა

გვერდით ჩამიქროლა, სახლის მეორე კუთხესთან შეუხვია და ისევ დაიკარგა ნისლში, ისიც ისე, როგორც ასანთის ღერი კოლოფშიო.

მაშინ მისის ჰეიტმა ის ვედრო სარდაფში ჩასასვლელთან აგურის საფეხურზე ჩამოდგა, იმან და ჰეტმა სახლის კუთხეს შემოურბინეს და სწორედ იმას მოატანეს თვალი, როგორ მიასკდა ჯორი სახლის ქვეშიდან გამომავალ მამალს თავისი რვა თეთრ-თეთრი დედლიანად. ჰეტმა თქვა მერე — ეს ამბავი ბიბლიის თუ სამისნო წიგნის სურათს ჰგავდაო: ბელზებელივით თუ ქაჯივით ნისლიდან გამოჭრილი ჯორი პატარ-პატარა ფრთოსან არსებათა ღრუბელმა თითქოს ისევ ნისლში გააქანაო. ჰეტი და მისის ჰეიტი ისევ გარბოდნენ. მისის ჰეიტს ეხლა გადატეხილი ლოგორო ეჭირაო, — თქვა ჰეტმა, ოღონდ ის კი ველარ გაიხსენა, სად წამოევლო მისის ჰეიტს ხელი იმ ლოგოროსთვის.

— სახლის წინ კიდევ არიან! — იყვირა ჰეტმა.

— უჰ, ის ძაღლის დაგდებული! — აღმოთქვა მისის ჰეიტმა. ბევრი ჯორი დაუხვდათ იქ. ჰეტმა თქვა მერე — ის ცხვირსახოცისხელა ეზო ჯორებით და ა. ო. სნოუპსით იყო გავსებულიო. ის ეზო ისეთი მოცუცქნული იყო, სამსამფუტიანი ორი ნახტომით შეიძლებოდა მისი გადავლა, მაგრამ ამათ რომ შეხედეს, მიკროსკოპის ქვეშ მოქცეულ წყლის წვეთს ჰგავდა თურმე. ოღონდ ეხლა გინდაც თვითონვე მოქცეულიყვნენ იმ წყლის წვეთში. უფრო სწორად, ჰეტმა თქვა— მისის ჰეიტი და ა. ო. სნოუპსი მოექცნენ იქ, იმიტომ რომ მე სახლთანვე შევჩერდი, ვუტიეო, თუმცა იმ ეზოს ვერც ერთ კუთხეში თავს სამშვიდობოს ვერ დაიგულებდიო; ხოდა უმზერდა თურმე ჰეტი, როგორ შევარდა ლოგოროსმომარჯვებული მისის ჰეიტი ჯოგის შუაგულში, ღმერთმა იცის, რისი მოიმედე, იქნება თავისი მოუწყვლელობის იმედის მქონე, — თუმცა ისე ყოფილა გაანჩხლებული, რამეს მოსაზრების თავი აღარც ჰქონია, — შიგ შუაგულში შეიჭრა იმ ავშარააფართხუნებულ ჯორს გამოდევნებული, რომელსაც ისევ ისე მიაქროლებდა ბუმბულის ქარბორბალა, მოსროლილი ქონვეთივით თუ სწრაფმავალი კატერის უკან დარჩენილი ქაფივით გაქანებული.

მისტერ სნოუპსიც გარბოდა თურმე, ჯორებიც დაჭენაობდნენ; სნოუპსსა და მისის ჰეიტს თვალი დაუკვესებიათ ერთმანეთისთვის და სნოუპსს ამოუხრიალებია:

— სადაა ჩემი ფული? სადაა ჩემი ნახევარი?

— ის დამაჭერინეთ, ის ავშარიანი, — უთქვამს მისის ჰეიტს, — მაგის ფეხი არ ვნახო აქ! — ხოდა ორივენი, ჰეტი და მისის ჰეიტი, ისევ გავარდნილან, ისე რომ სნოუპსის ხრინწიანი ხმა ეხლა უკანიდან ესმოდათ:

— მომეცი ჩემი ფული! ჩემი წილი მომეცი!

— მოერიდეთ! — ჰეტს დაუძახია ხელახლა. — გვეწევა ისევ!

— თოკი მოიტანეთ, თოკი! — ულრიალა მისის ჰეიტმა სნოუპსს.

— სად ვნახო მერე თოკი! — იბღავლა სნოუპსმაც.

— სარდაფში! — იყვირა თურმე ჰეტმა. თავადაც დროს არ კარგავდა. — იქითა მხრიდან მოუჭერით გზა, — შეუძახა მისის ჰეიტს. ხოდა მისის ჰეიტმა და მე სახლის კუთხეს რომ შემოვურბინეთო, — ჰყვებოდა მერე თვითონ, — ავშარააფართხუნებული ჯორი უკვე იქ დაგვიხვდაო. ქათმების ღრუბელზე ამხედრებული მოფრინავდა თითქოს ის ჯორი, იმიტომ რომ სახლის გარშემო მოჭენავე ხელახლა გადაწყდომია სახლქვეშ პირდაპირი გზით გამომძვრალ ქათმებს. ხოდა

მისის ჰეიტმა და ჰეტმა სახლის კუთხეს რომ შემოურბინეს, ისევ უკანა ეზოში ამოყვეს თავი.

— ღმერთო მომკალი! — იყვირა ჰეტმა. — ძროხას დაგვიწიხლავს! — მართლა სურათს ჰგავდაო, — ჰყვებოდა მერე. ბოსლიდან უკანა ეზოს შუაგულში გამოვარდნილა ძროხა. ისა და ჯორი ერთ ნაბიჯზე გაშეშებულიყვნენ პირისპირ, თავი დაეხარათ და ფეხები გაეფარჩხათ წიგნის ორი ეტაჟერივით. სნოუპსს კიდევ ხუფი აეხადა და წელამდე ჩასულიყო სარდაფში, თოკს თუ ეძებდა, ხოდა იქვე საფეხურზე ის ნაკვერჩხლებიანი ვედრო იდგა ისევ. ჰეტმა თქვა მერე — კი ვიფიქრე მაშინვე, თავახდილი სარდაფი ნაკვერჩხლებიანი ვედროსთვის მაინცდამაინც შესაფერისი ადგილი არ უნდა იყოს-მეთქი, ხოდა ალბათ მართალიც იყო მისი ნათქვამი. ესე იგი ჰეტს რომ არ ეთქვა — ასე ვიფიქრეო, სხვა იტყოდა, რადგან მოსახდენი რომ მოხდება, მერე ყოველთვის გამოიძებნება ხოლმე ისეთი ვინმე, ვისაც გულს უხარებს საკუთარი წინდახედულება და სხვისი დაუდევრობა. ერთი კია, რომ, თუკი მოვლენები ისეთი სისწრაფით მიეწყო ერთიმეორეს, როგორც ჰეტი ჰყვებოდა, მაშინ ის არის გაუგებარი, ფიქრის დრო როგორღა დარჩათ იმათ.

იმიტომ რომ ყოველივე ხელახლა ამოძრავებულიყო. ამჯერად სახლის კუთხეს რომ შემოურბინეს, ა. ო. უკვე თოკს მოათრევდა (ეპოვნა ბოლოს და ბოლოს), იმის უკან კუდგაპრეხილი ძროხა მორბოდა, ძროხის უკან — ჯორი, მერე — მისის ჰეიტი და ბოლოს — ჰეტი. ხოდა ჰეტმა ხელახლა თქვა — თავახდილ სარდაფთან ნაკვერჩხლებიან ვედროს მოკარი თვალი (სარდაფი კიდევ ყოველგვარი ხარახურით იყო ამოვსებული — სახმელებლად სახმარი ცარიელი ყუთებით, ძველი გაზეთებით, დამტვრეული ავეჯით) და ისევ გავიფიქრე — ამის ადგილი აქ არ არის-მეთქი.

ისევ მოსახვევი. სნოუპსი, ძროხა და ჯორი — სამივენი უკვე დაინთქნენ თავგზადაკარგული ქათმების ღრუბელში — ქათმები ხელახლა გამომძვრალიყვნენ სახლის ქვეშ და სწორედ დროულად გამოფენილიყვნენ. ოღონდ ისევ სახლის წინ რომ აღმოჩნდნენ ყველანი, იქ სნოუპსის მეტი აღარავინ დახვედრიათ. პირქვე ეგდო, პიჯაკის კალთები დაცემისას თავზე წაფარებოდა და ჰეტმა დაიფიცა — მის თეთრ ხალათს ზურგზე ძროხის გაყოფილი ჩლიქის და ჯორის ფლოქვის კვალი აღბეჭდოდაო.

— სად გაქრენ? — დაუყვირა ჰეტმა სნოუპსს. იმას პასუხი არ გაუცია. — გვეწევიან! — მისის ჰეიტს შეუძახა. — უკანა ეზოში არიან ისევ!

დიახ, იქ გახლდნენ. ჰეტმა ასე თქვა — იქნება ძროხა ისევ ბოსელში შევარდნას აპირებდა, მაგრამ ძალიან დიდი ქანი ჰქონდა აღებული და, ნაცვლად ამისა, ყოველგვარი შიში დაივიწყა, შებრუნდა და პირდაპირ ჯორს დაეტაკაო; მისის ჰეიტმა და მე ვერ მივუსწარით, ჩვენი თვალით რომ გვენახა, მერე რაც მოხდა, მხოლოდ ხმაური მოგვესმა, — ლაწუნი და გრიალ-გრიალი, —-როცა ჯორი შებრუნდა და აგურის საფეხურზე წაიბორძიკაო. ხოდა ესენი რომ მიცვივდნენ, ჯორი აღარსად იყო. აღარც ვედრო იდგა საფეხურზე, მაგრამ ჰეტმა თქვა — მაშინ ეს ვერ შევნიშნეო. მარტო ძროხა იდგა ეზოს შუაგულში, ძველ ადგილას, ფეხები გაეფარჩხა და თავი დაეღუნა, თითქოს ვიღაცას ჩაევლოს და ის მეორე ეტაჟერი გაეყოლებინოს. ჰეტი და მისის ჰეიტი არ შეჩერებულან, ოღონდ მისის ჰეიტი ეხლა მძიმედ მირბოდა თურმე, პირდაბჩენილი, სახეზე მასტიკის ფერი დასდებოდა და ცალი ხელით მკერდი ეჭირა თავისი. ჰეტმა თქვა — საიმდროოდ ორივეს ქანცი გვქონდა გაწყვეტილი და ისე ნელა მივრბო-

დით, ჯორი ზურგიდან წამოგვეწია და თავზე გადაგვევლოო. ასე თქვა ჰეტმა. ფლოქვთა ხშირ-ხშირი გათქარუნება და ოფლის მძაფრი სუნი, ხოდა ჯორი წინ იყო უკვე გავარდნილი (ქათმებმა ან ის მოისაზრეს ბოლოს და ბოლოს — სახლის ქვეშ დარჩენა აჯობებსო, ან კიდევ იმათაც ილაჯი გაუწყდათ და ამჯერად ველარ გამოძვრენ სახლის ქვეშიდან). მისის ჰეიტმა და ჰეტმა კუთხეს რომ მიატანეს, ჯორი საბოლოოდ გაუჩინარდა ნისლში. ამათ მოესმათ, როგორ გაითქარუნა და როგორ მიწყდა შორს მისი ხშირ-ხშირი და დამცინავი ფლოქვთა ცემა.

ჰეტი ჰყვებოდა მერე — მე შევჩერდიო. — აბა, ჯენტლმენებო, სიჩუმე, — თქვა თურმე. — მგონი ჩვენ... — ხოდა ამ დროს იგრძნო სწორედ ის. გაშეშებული ვიდექი, ჰაერს ვყნოსავდი და თითქოს თვალნათლივ დავინახე თავახდილი სარდაფი და აგურის საფეხური, რომელზეც, უკანასკნელად რომ ჩავურბინეთ, ვედრო აღარ იდგაო. — ღმერთო დიდებულო! — გასძახა მისის ჰეიტს. — დამწვრის სუნი დგას! გავარდი სახლში, ფულს უშველე!

ცხრა საათი იქნებოდა, ეს ამბავი რომ მოხდა. ხოლო საშუადღეოდ სახლი ერთიანად გადაიბუგა. რეტლიფმა თქვა — ხალხმა და სახანძრო მანქანამ იქამდე რომ მიატანეს, ქმრისეულ ფარაჯამოსხმული მისის ჰეიტი ქოლგით ხელში ის-ის იყო სახლიდან გამორბოდა, უკან კიდევ ჰეტი მოსდევდაო. ჰეტს ცალ ხელში თავისი ქაღალდის ჩანთა სჭერია, მეორეში — მისის ჰეიტის პასტელის პორტრეტი. მისის ჰეიტს ფარაჯის ცალ ჯიბეში კომპოტის ქილა ჩაეჩურთა, ის ქილა იმით იყო ამოტენილი, რაც რვანახევარი ათასი დოლარიდან დარჩენოდა; ხოდა, იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მისის ჰეიტი როგორ ცხოვრობდა (რაღა თქმა უნდა, მეზობელთა მონათხრობის თანახმად), მაშინ ქილაში იმ თანხის უდიდესი ნაწილი უნდა დებულიყო; ფარაჯის მეორე ჯიბეში მძიმე, მონიკელებული რევოლვერი დებულა. მისის ჰეიტს ქუჩა გადაუჭრია და მეზობლის სახლის გალერეაში ასულა. იმის მერე იქ იჯდა სარწევ სავარძელში, მის გვერდით ისეთსავე სავარძელში ჰეტი მოკალათებულიყო, ორივენი გაუჩერებლად ირწეოდნენ და გაჰყურებდნენ, როგორ მოისროდნენ ქუჩისკენ მის ჭურჭლეულსა და ავეჯს მეხანძრეები. საამდროოდ, რეტლიფის ნათქვამის მიხედვით, იქ საკმარისად შეკრებილიყვნენ ამ საქმით დაინტერესებული პირნი, რომელნიც მოედანზე გავარდნილან, ა. ო. მოუძებნიათ და ამბავი შეუტყობინებიათ.

— მე რა მესაქმება? — უთქვამს ა. ო-ს. — მე ხომ არ დამიდგამს ის ნაკვერჩხლებიანი ვედრო იქ, საიდანაც შიგ სარდაფში გადაუძახა ვილაცამ.

— ოღონდ სარდაფს ხომ თქვენ ახადეთ თავი, — რეტლიფმა უთხრა.

— რასაკვირველია, — თქვა სნოუპსმა. — მერედა რატომ ავხადე? იმიტომ რომ თოკი ამომეტანა, მისი თოკი, თვითონ არ გამგზავნა იმ თოკზე?

— იმიტომ გაგაგზავნათ, რომ თქვენი ჯორი დაგეჭირათ, მის ეზოში შევარდნილი, — უთხრა რეტლიფმა. — ეხლა ველარ დაიძვრენთ თავს. ჩვენი ოლქის ნაფიცების რომელი შემადგენლობაც უნდა იყოს, მისის ჰეიტის სასარგებლოდ გამოიტანს განაჩენს.

— კი, — თქვა სნოუპსმა. — ნამდვილად მასე იქნება. ქალი რომაა, იმიტომ მხოლოდ. იმიტომ რომ ქალია, ჯანდაბაში წასულა მისი თავი. კარგი, მიბრძანდეს ნაფიცებთან, ჯანდაბაში წასულა იმათი თავი. ენა მეც მაბია აგერ; მეც შემიძლია რალაც-რალაცეები მოვახსენო იმ ნაფიცებს... — ოღონდ აქ, რეტლი-

ფის ნათქვამის მიხედვით, სიტყვა გაუწყდა. ეს ამბავი ა. ო. სნოუპსის საქციელს არ ჰგავდაო, — თქვა მერე რეტლიფმა. — რადგან ა. ო. მუდამ იმდენ აბურდულად ნათქვამ ანდაზას აფრქვევს, ვიდრე არ მიხვდები, რომელი ანდაზები და რამდენი ანდაზა აუდომხალებია, ვერც იმას მოისაზრებ კაცი, რა მოჭორა, ხოდა ამასობაში უკვე გვიან არისო; ოღონდ ამჯერად ნამეტანი შეფიქრიანებული გახლდათ, ტყუილის რომ აღარაფერი ვთქვათ, ანდაზების თავიც აღარ ჰქონდა, ხოდა ყველანი იმას შეჩერებოდნენო.

— მაინც რა? — უთქვამს ვიღაცას. — რა შეგიძლიათ უამბოთ სასამართლოს?

— არაფერი, — უპასუხა სნოუპსმა. — იმიტომ რომ... ერთი სიტყვით, იმიტომ, რომ არაფერი სასამართლო არ შედგება. მისის მენი ჰეიტი მე მიჩივლებს სასამართლოში? ცუდად გცნობიათ, ბიჭებო, ის ქალი, თუკი იმას ფიქრობთ — ასეთი ჩვეულებრივი უბედური შემთხვევის გულისთვის ალიაქოთს ატეხავსო. მით უმეტეს, არც მე და არც სხვა ვინმეს იმ შემთხვევის თავიდან აცილება არ შეგვეძლო. მისნაირი სამართლიანი და გულკეთილი ქალი მთელ იოკნაპატოფას ოლქში არ მოიძებნება. ხოდა პირში ვეტყოდი ამ ამბავს.

სწორედ საამისო შემთხვევა მიეცაო, — თქვა რეტლიფმა. — მისის ჰეიტი უკვე მის ზურგს უკან იდგა, მისის ჰეიტის ზურგს უკან კიდევ ჰეტი დამდგარიყო თავისი ქალალდის ჩანთით ხელში. ხოდა მისის ჰეიტმა ჯერ შეჯგუფულ ხალხს მოავლო თვალი და მერე ა. ო-ს მიაჩერდაო.

— მე იმ ჯორის საყიდლად მოვედი, — უთხრა მისის ჰეიტმა.

— რომელი ჯორის? — იკითხა ა. ო-მ. უცბად უკითხავს ეს, როგორც რეტლიფმა გვიამბო, ანგარიშმიუცემლად, რადგან სხვა რამეზე ფიქრობდა. მერე კი, ისევ რეტლიფის ნათქვამის თანახმად, ნახევარ წუთს მაინც მისციებოდნენ ერთიმეორეს თვალებით. — ჯორი გჭირდებათ? — ჰკითხა სნოუპსმა. — ას ორმოცდაათი დაგიჯდებათ, მისის მენი.

— რა — დოლარი? — შეეკითხა მისის ჰეიტი.

— რაღა თქმა უნდა, ას ორმოცდაათი ცენტი და ნიკელი არა, მისის მენი, — უთხრა სნოუპსმა.

— ას ორმოცდაათი დოლარი, — თქვა მისის ჰეიტმა. — ჰეიტი ცოცხალი რომ იყო, უფრო იაფი ღირდა ჯორები.

— მას მერე ბევრი რამე შეიცვალა, — უთხრა სნოუპსმა. — თქვენ და მეც შევიცვალეთ, მისის მენი.

— კი, მასე უნდა იყოს საქმე, — თქვა მისის ჰეიტმა და წავიდა. ჰეტი აღარაფერი უთქვამსო, — გვიამბო რეტლიფმა, — შეტრიალდა და წავიდა, ჰეტიც უკან გაჰყვაო.

— თქვენი რომ ვყოფილიყავი, მასეთ რამეს არ ვეტყოდი, — უთქვამს რეტლიფს სნოუპსისთვის.

ეხლაო, — გვითხრა რეტლიფმა, — ა. ო-ს საზიზღარი, წვინატი სახე მოექუშა, პირზე დუჟიც კი მოადგაო.

— ერთი გაბედოს, — თქვა სნოუპსმა, — მაგ იქნება თუ სხვა ვინმე, სულ ერთია, გაბედოს სასამართლოში ჩივილი და სიტყვა დაძრას ჯორის და ჰეიტის თაობაზე... — გაჩუმდა და ისევ გულგრილი შეექნა სახე. — აბა, — თქვა მერე, — რას იტყვით?

— მე როგორც ვატყობ, იმის არ გეშინიათ, სამართალში სახლის გადაწვისთვის რომ მიგცემთ ის ქალი, — უთხრა რეტლიფმა.

— მე მიმცემს სამართალში? — თქვა სნოუპსმა. — მისის ჰეიტი? ამ ხანძრის გულისთვის ჩემგან რამეს მიღება რომ დაეპირებინა, როგორ გგონიათ, ძებნას დამიწყებდა და ფულს შემომაძლევდა?

ეს ამბავი დღის პირველი საათისთვის მოხდა. ოთხზე კიდევ მე და ალეკ სენდერი სარტორისის სადგურისკენ გავემგზავრეთ კაკბებზე ძაღლებით სანადიროდ, რადგან მისის ჯენი დიუ პრეს ჯერაც ჰყავდა მონადირე ძაღლები, ალბათ იმას ელოდებოდა — ბენბოუ სარტორისი იმხელა გაიზარდოს, თოფის ხელში დაჭერა შეიძლოსო. გევინ ბიძია მარტო იყო თავის კაბინეტში, კიბისთავიდან რეზინის ჩუსტების ფრატუნი შემოესმა და ჰეტი შემოვიდა. მისი ქალალდის ჩანთა გაბერილიყო, იღლიაში ქალალდის პარკი ამოეჩარა, იქიდან ბანანებს იღებდა და შეექცეოდა. ხოდა ცალ ხელში მონაკბეჩი ბანანის მჭერელმა მეორე ხელით დაჭმუჭნული ათდოლარიანი მოიფათურა და გევინ ბიძიას გაუწოდა.

— მისის მენიმ გამოგიგზავნათ თქვენ, — თქვა ჰეტმა. — იმ კაცს უკვე მივეცი ათი დოლარი. — და უამბო გევინ ბიძიას: მოედნის კუთხეში ვიცდიდი, ხოდა დალამებას რომ აღარაფერი აკლდა, ძლივს გამოჩნდა სნოუპსი, მე ჩემი შესაჭმელი ბანანი ვიღაც ქალს მივეცი, მერე ათდოლარიანი ამოვიღე და სნოუპსმა ის ფული გამომართვაო.

— რაო? — უთქვამს სნოუპსს. — მისის სნოუპსმა საჩემოდ გამოგატანა ეს ფული?

— ჯორის საფასურად, — მიუგო ჰეტმა. — ხელწერილი არაა საჭირო. მე შემიძლია დავადასტურო, რომ მოგეცით ეს ფული.

— ათი დოლარიო? — თქვა სნოუპსმა. — იმ ჯორში ათი დოლარი? ხომ ვუთხარი — ას ორმოცდაათი-მეთქი.

— აბა, რაკი მასეა, თქვენ თვითონ მორიგდით, — უთხრა ჰეტმა. — მე ის დამაბარა მარტო — ეს ფული მიეცი, როცა იმ ჯორის წამოსაყვანად მიდიოდა.

— ჯორის წამოსაყვანადო?.. თვითონ წავიდა და გამოიყვანა ჯორი ჩემი ბაკიდან?

— ღმერთი შეგეწიოს, შვილო, — ჰეტმა თქვა, — სწორედ ასე ვუთხარიო. — მისის მენის არც ერთი ჯორის არ ეშინია. ხომ ნახე შენი თვალით. ხოდა ეს თქვენ გაახლათ, — გევინ ბიძიას უთხრა.

— მე რალასთვის? — შეეკითხა გევინ ბიძია. — მე ხომ არ მყავს ჯორი.

— იურისტისთვის, — მიუგო ჰეტმა. — მისის ჰეიტი ვარაუდობს — იურისტი დამჭირდებაო. საღამოს, რომ მოვეწყობი, ჩემს სახლთან მობრძანდესო, ასე შემოგითვალათ.

— სახლთანო? — თქვა გევინ ბიძიამ.

— ნასახლართან, გენაცვალე, — უთხრა ჰეტმა. — ბანანი არ გინდათ? მე ბევრს გეახელით, მეტი აღარ შემიძლია.

— არა, დიდი მადლობელი ვარ, — უთხრა გევინ ბიძიამ.

— არაფრის, — თქვა ჰეტმა. — მიირთვით, მიირთვით. მე ერთიც რომ შევჭამო კიდევ, იმის ნატვრაში ვიქნები — ღმერთმა ბანანი არასოდეს შექმნასმეთქი.

— არა, დიდი მადლობელი ვარ, — უთხრა გევინ ბიძიამ.

— არაფრის, — თქვა ჰეტმა. — ეს მიბრძანეთ, ათი ცენტი ხომ არ გექნებოდათ საბურნუთედ?

— არა, — უთხრა გევინ ბიძიამ და ფული ამოიღო. — დოლარის მეოთხედი მაქვს მხოლოდ

— აი, რას ნიშნავს კეთილშობილი ადამიანი, — თქვა ჰეტმა. — წვრილი ფული რომ მოსთხოვო, დოლარის მეოთხედს ან ნახევარდოლარიანს, არადა სულაც დოლარს გიბოძებს. აბა იმ ღვთის გლახებისგან ათ ცენტზე მეტს ვერ ელირსები. — ფული გამოართვა და უკვალოდ გაქრა ის ფული. — ზოგს კი ჰგონია ჩემი — დილიდან საღამომდე ქალაქში დაწოწიალობს ხელგაწვდილი და ყველას მადლობას ეუბნებაო. ასე არ გახლავთ საქმე. ჯეფერსონს მეც ვემსახურები. თუკი, ბიბლიის ბრძანებისამებრ, ხელი მბოძებელისა არ იქმნეს გლახაკ, მაშინ ეს ქალაქიც არ იქმნება გლახაკი, რადგან აქ ყოველთვის ბლომადაა ისეთი ხალხი, ვინც მზადაა რამე გიბოძოს — ნიკელიდან დაწყებული და ძველი შლაპით დამთავრებული. ოღონდ ყველა ჩემი ნაცნობიდან მარტო მე გახლავართ ყოველთვის მზად ნაბოძების მისაღებად. ჯეფერსონი დაბეჩავდებოდა, მე რომ დილიდან საღამომდე, წვიმა იქნება, თოვლი თუ პაპანაქება სიცხე, მბოძებელს არ ვლოცავდე! აბა შემიძლია მისის მენის თქვენი ვუთხრა — მობრძანდება-მეთქი?

— დიახ, — მიუგო გევინ ბიძიამ და ჰეტი წავიდა. გევინ ბიძია კი იჯდა და მის წინაშე მაგიდაზე დადებულ მოჭმუჭნულ ქაღალდის ფულს უმზერდა. მერე ხელახლა შემოესმა კიბიდან ნაბიჯის ხმა და თავის სკამზე მჯდარი კარს მიაცქერდა. ხოდა მერე მისტერ ფლემ სნოუპსი შემოვიდა და კარი მიიხურა.

— საღამო მშვიდობისა, — თქვა მისტერ სნოუპსმა. — ბარემ ჩემს საქმეებსაც ხომ არ მოჰკიდებდით ხელს?

— ეხლა? — იკითხა გევინ ბიძიამ. — დღეს?

— დიახ, — უთხრა მისტერ სნოუპსმა.

— დღესო, — გაიმეორა გევინ ბიძიამ. — მაგ საქმეს რაიმე კავშირი თუ აქვს ჯორთან და მისის ჰეიტის სახლთან?

ხოდა გევინ ბიძიამ მერე გვიამბო: მისტერ სნოუპსს ის კი არ უკითხავს — რომელ სახლთანო? — ან რომელ — ჯორთანო? ან კიდევ — თქვენ საიდან იცით მაგ ამბავიო? დიახო, — ეს უთქვამს მხოლოდ სნოუპსს.

— მაინცდამაინც ჩემთან რატომ მობრძანდით? — შეეკითხა გევინ ბიძია.

— ამავე მიზეზით, სახლის აშენება რომ მომენდომებინა, საუკეთესო ხეროს დავუწყებდი ძებნას, ხოდა მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემა რომ მდომებოდა, საუკეთესო ფერმერს მივაკითხავდი, — თქვა სნოუპსმა.

— მადლობელი გახლავართ, — უთხრა გევინ ბიძიამ. — სამწუხაროდ, არ შემიძლია. — იმ მოჭმუჭნული ათდოლარიანის ხელის ხლებაც კი არ დასჭირვებია გევინ ბიძიას. მისტერ სნოუპსმა იმ ფულს არათუ შემოსვლისთანავე მოატანა თვალი, მაშინვე იმასაც მიხვდა, საიდანაც გაჩნდაო ის ფული მაგიდაზე.— როგორც ხედავთ, მოწინააღმდეგე მხარის ინტერესების დამცველი გახლავართ უკვე.

— ეხლა იქ მიბრძანდებით? — იკითხა მისტერ სნოუპსმა.

— დიახ, — უპასუხა გევინ ბიძიამ.

— მაშინ ყველაფერი რიგზე ყოფილა, — და სნოუპსმა ჯიბეს გაიკრა ხელი. თავდაპირველად გევინ ბიძია ვერც კი მიხვდა, რას აპირებდა სნოუპსი; უსიტყვოდ შეჰყურებდა, როგორ ამოიღო სნოუპსმა ძველებური, ლითონის საკეტიანი საფულე, გახსნა, ათდოლარიანი ამოაძვრინა, საფულე დაკეტა, ფული იმ

მეორე, მოჭმუჭნული ქაღალდის გვერდით დადო, საფულე ისევ ჯიბეში ჩაისრიალა და დადგა გევინ ბიძიას მაცქერალი.

— ხომ მოგახსენეთ — მოწინააღმდეგე მხარის ინტერესების დამცველი გახლავართ-მეთქი, — უთხრა გევინ ბიძიამ.

— მე კიდევ მოგახსენეთ — ყველაფერი რიგზეა-მეთქი, — თქვა მისტერ სნოუპსმა. — მე ვექილი არ მჭირდება, იმიტომ რომ უკვე ვიცი, რაც უნდა გავაკეთო. მოწმე მჭირდება მხოლოდ.

— კი მაგრამ მაინცდამაინც მე რატომ შემარჩიეთ? — იკითხა გევინ ბიძიამ.

— იმ მიზეზით სწორედ, — თქვა მისტერ სნოუპსმა, — საუკეთესო მოწმე მჭირდება.

ხოდა ორივენი იქითკენ გაემართენ. საშუადღეოდ მზეს ნისლი გაეფანტა და მისის ჰეიტის სახლისგან გადარჩენილი ორი გაჭვარტლული საკვამური ეხლა ზამთრის მინავლული დაისის ფონზე შავად ილანდებოდა. და ამ დროს მისტერ სნოუპსმა — მომითმინეთო.

— რა ბრძანეთ? — შეეკითხა გევინ ბიძია. მაგრამ მისტერ სნოუპსს პასუხი არ გაუცია და ისინი, მისულნი რომ არ იყვნენ, ისე შეჩერდნენ. უკვე მომწვდა ლორის ხორცის სუნი, ხანძარს გადარჩენილი ბოსლის წინ დანთებულ ცეცხლზე რომ იწვებოდაო, — გვიამბო გევინ ბიძიამ. ცეცხლის პირას ახალთახალ სკამზე ჰეტი დასკუპებულიყო, ტაფაზე აშიშხინებულ ხორცს ჩანგლით აბრუნებდა, იქით კიდევ მისის ჰეიტი ჩაცუცქულიყო და ახალთახალ . თუნუქის ვედროში ძროხას წველიდა.

— ყველაფერი რიგზეა, — თქვა მისტერ სნოუპსმა, და — რა ბრძანეთო? — ხელახლა შეეკითხა გევინ ბიძია, რადგან ა. ო. ვერ შენიშნა მანამდე. ა. ო. მოუხელავლა მოდნელად აღმოჩნდა მათ გვერდით, გინდაც აღმოცენებულიყოს, ბინდიდან სინათლის წრეში მოხვედრილიყოს (ცეცხლის პირას ნაკვერჩხლებზე ახალთახალი მოთუთიებული საყავე მდგარა და ეხლა გევინ ბიძიას ყავის სურნელიც მოსწვდენია). შეჩერებულა ა. ო. მისის ჰეიტის კეფას დაშტერებული, გევინ ბიძია და ფლემი ჯერაც არ დაენახა. ოღონდ ჰეტს კი ჰყავდნენ დანახული ესენი, ისე რომ, რა მიუახლოვდნენ, უკვე ესიტყვებოდა კიდეც გევინ ბიძიას.

— ერთი სიტყვით, ათი დოლარიც რომ არა, ყავა და ლორის ხორცი მაინც მოგიყვანდნენ აქ, — თქვა ჰეტმა. — მეც მასე ვარ. რამდენი წელია, ასეთ მადაზე აღარ ვყოფილვარ. მე რა — ჩიტის საკენკზე ნაკლები მყოფნის ხოლმე. ოღონდ ყავის და ლორის ხორცის სურნელებას ვიკრავ თუ არა... შეეშვით ერთ წამას მაგ ძროხის წველას, გენაცვალე, — მისის ჰეიტს მიმართა. — თქვანი იურისტი მობრძანდა.

მაშინ ა. ო-მაც დაინახა ესენი, ფიცხლად გამოხედა მხარზემოთ თავისი საძაგელი, შეშფოთებული, დაბოლმილი სიფათით. ეხლა გევინ ბიძიას ბოსლის შიგნითაც შეეძლო შეეხედა. დაელაგებინათ იქაურობა, ნაგავი გაეფოცხათ, მერე გამოეხვეტათ კიდეც, სოხანეზე თივა გაეფინათ. ახალთახალი ნავთის ფანარი ენთო ხის ყუთზე ნამჯის ლეიბის გვერდით, ლეიბზე კიდევ ლოგინი გაეშალათ. ეხლა გევინ ბიძიამ მეორე ყუთსაც მოატანა თვალი, ცეცხლის პირას მაგიდის ნაცვლად დადგმულს, ახალთახალი დანა-ჩანგალი ეწყო ზედ, კოვზი, ლამბაქი და ფინჯანი და ფაბრიკაში გამომცხვარი დიდი პური.

ოღონდო, გევინ ბიძიამ თქვა, მისტერ ფლემის დანახვაზე ა. ო. არ შეშ-

ფოთებულაო; მთელი საქმე ის გახლდათ, მე ჯერაც ვერ მივხვედრილიყავი, რომ ა. ო. ისეთ დღეში იყო ჩავარდნილი, როცა იმედის გადაწურვას მოჩვენებითი უზრუნველობით ფარავენო.—ხო, თქვენც მობრძანდით, — უთქვამს ა. ო-ს.—ვექილიც თქვენი მოგიყვანიათ. ეხლა ალბათ ამ ფანარსაც ხელიდან გამოაცლით, ახალ თეფშებსაც, სკამსაც, საწველელსაც, ხოდა იქნება რმეც გაიყოლოთ, წველას რომ მოათავებს, ჰა? კარგი საქმეა, ლამის კეთილშობილი საქციელიცაა,— აქვე მოხდება, ეზოში, სანამ სულ არ ჩამობნელებულა. იმიტომ რომ თქვენმა ვექილმა, რალა თქმა უნდა, ყველაფერი იცის ჯორების და ცეცხლის წაკიდების აქაური ამბები. ისე გამოდის, ერთადერთი უბირი ადამიანი ყოფილა აქ — დეიდა ჰეტი; ოღონდ ჰეტს იმის ცოდნა კი მართებს, ამ წუთშიც რომ წამოხტეს და გავარდეს, თავის დავრდომილთა თავშესაფარს რომ მიატანს, დაიხედავს და აღარც პერანგი ექნება და აღარც მისი ამხანაგი; იმიტომ რომ, იმის არ იყოს, მელას რაც ესიზმრებოდა, ისე გიღირდესო. იმისას თუ აღარაფერს ვიტყვით, რომ მგლის შიშით მგლობას ვინ მოშლისო.

კარგი, ჩემო ბატონო. ოღონდ იმისას რალას ბრძანებთ, იმ რვანახევარი ათასიდან, რკინიგზამ რომ ჩაუთვალა მისის ჰეიტს მისი ქმრის და ჩემი ხუთი ჯორისთვის, იმ ფულიდან რამდენი ექნება ხელზე დარჩენილი? თქვენც გეშლებათ, სხვების არ იყოს, ნამდვილად. ნახევარი აქვს დარჩენილი. საქმე ის არის, რომ იმ ფულს მისი დავალებით ვიცე-პრეზიდენტი განაგებდა. რასაკვირველია, ვიცე-პრეზიდენტისთანა ფინანსური ოსტატი რომ არა, ნახევარზე მეტი ვერაფრის დიდებით ვერ შეენახებოდა, იქნება ნაკლებიც დარჩენოდა და ისაა. ასე რომ, კაცმა რომ თქვას, საჩივლელი არაფერი აქვს, იმისას თუ აღარაფერს ვიტყვით, რომ, კანონის ძალით, თვითონ მას იმ ნახევრის ნახევარი ეკუთვნის მხოლოდ, რადგან ლონზო ჰეიტი კი იყო მისი, მაგრამ ის ხუთი ჯორი ჩემი გახლდათ.

კარგი, ჩემო ბატონო. როგორ გგონიათ, იმ რვანახევარი ათასის ნახევარს რა უნდა მოსვლოდა? ესეც გეშლებათ. იმიტომ რომ ის ნახევარი ვიცე-პრეზიდენტმა წაიღო. კი, ბატონო, ყველაფერი თვალდასანახად გაკეთდა, კანონიერად; იმან ასე ახსნა ეს ამბავი: თვითონ მისის ჰეიტმა რომ უჩივლოს რკინიგზას სამართალში, საცოდავმა მარტოხელა ქალმაო, დიდი-დიდი ხუთი ათასი მიიღოსო. იმ ხუთი ათასის ნახევარიც მე დამრჩებოდა, ჯორები ხომ ჩემი იყო. ხოდა ჩვენ ორს ერთად რომ გვეჩივლა სასამართლოში და თანაც მისი მხარე დაეჭირა ენერგიულ კაცს, რომელიც იმ უგულო მილიონერებს — რკინიგზის მაგნატებს — აიძულებდა მარტოხელა ქალს სამართლიანად მოქცეოდნენ, მაშინ მე რამე უფლება რომ გამეცხადებინა იმ ჯორებზე, რაკი ჩემს ჯორებს იმ მოსახვევში ადრეც შეხვედროდათ უბედურება, რკინიგზა მაშინვე იყნოსავდა რალაცას და ვერავინ ვერაფერს ვერ მიიღებდა. ხოდა ამ საქმეს ის თუ მოჰკიდებდა ხელს, ვიცე-პრეზიდენტი, მაშინ ის ქალი შვიდნახევარს, იქნება ათი ათასსაც მიიღებდა, ხოდა მაშინ მარტო იმ ქალს კი არ ექნებოდა განაღდებული მიღებული ფულის ნახევარი, ვიცე-პრეზიდენტი ერთ ასიანს მეც მომიგდებდა თავისი წილიდან. ყველაფერი კანონიერად და პატიოსნად კეთდებოდა: მე ენისთვის კბილი უნდა დამეჭირა და ჩემი ასი დოლარი მიმეღო, ხოდა ამის წინააღმდეგი თუ წავიდოდი, ვიცე-პრეზიდენტს სულ შემთხვევით წამოცდებოდა, ვისიც იყო ჯორები, და ვერავინ ვერაფერს ვერ მიიღებდა, ვიცე-პრეზიდენტს კიდევ ამით არაფერი დააკლდებოდა, რადგან არაფერს დაკარგავდა — ვიცე-პრეზიდენტს, ჩემო ბატონო, არც ლონზო ჰეიტი ჰყოლია და არც ის ხუთი ჯორი.

მოკლედ, თქვენც ხედავთ, რანაირი უბრალო ასარჩევია: ასი დოლარის

მიღება ჯობია თუ არაფრის მიღება? იმისას თუ აღარაფერს ვიტყვით, მე და მისის ჰეიტი, როგორც თავად ვიცე-პრეზიდენტმა ბრძანა, ერთი ქალაქის მცხოვრებები ვართ და, ასე შეიძლება ითქვას, საქმიანი ნაცნობობა გვაქვს ერთმანეთის; თანაც მისის ჰეიტი ქალია, ბუნებით გულჩვილი და გულკეთილი, ხოდა ვინ იცის, იქნება დრო რომ გაივლის, უფრო ლმობიერი გახდეს და ისიც ინებოს, რომ ცოტა რამე მიბოძოს იმ რვანახევარი ათასი დოლარის თავისი ნახევრიდან. ოღონდ ეს იმას მოწმობს მხოლოდ, რომ ვიცე-პრეზიდენტმა ყველაფერი იცის, რისი ცოდნაც კი შეიძლება, რკინიგზის კომპანიების და რვანახევარი ათასი დოლარის ამბავი, ის არ იცის მხოლოდ, გულის მაგივრად რა უდევს მკერდში მისის ჰეიტს. ხოდა არც ისე გამოდის და აღარც ასე ეს ამბავი. იმის არ იყოს, იმდენმა წყალმა ჩაიარა, რომ აღარც ღირს ხეხო ქვიშითა. ხოდა მე რალა გზა მქონდა, რომ უმრავლესობას არ დავმორჩილებოდი — ორ ხმას ერთის წინააღმდეგ, ანდა იქნება რვანახევარ ათასს ასი დოლარის წინააღმდეგ-ანდა იქნება ესეც არ გახდა საჭირო, მისის ჰეიტის წილად რგებული იმ რვანახევარი ათასის ნახევარმაც იკმარა ჩემი ასიანის წინააღმდეგ, იმიტომ რომ მისის ჰეიტის ჯობნა მე მარტო ერთი საშუალებით შემეძლო, — ჩემი საკუთარი ოთხი ათას ორასორმოცდათერთმეტი დოლარი რომ მქონოდა, იმით. მაშინაც ის მომიხდებოდა, მისის ჰეიტისთვის გამეყო ის ორმოცდამეთერთმეტე დოლარი.

ოღონდ ისაა, რომ მიმიფურთხებია ამ ამბისთვის. ეს ყველაფერი უკვე გულიდან გადავიგდე. რომელ ქვეყანაშიც მიხვიდე, გაგქონდეს და გამოგქონდესო. — ამის თქმაზეო, გევინ ბიძიამ გვიამბო, ფიცხლად შემობრუნდა მისის ჰეიტისკენ, ოღონდ თავისი ბოლმიანი და აღშფოთებული რატრატი არ შეუწყვეტიაო. — თქვენთან მოსალაპარაკებლად მოვედი. მე თქვენი საკუთრება აღმომაჩნდა, თქვენ კიდევ — ჩემი. ერთი კია, რომ პირისპირ მინდოდა დავრჩენილიყავით და ისე მოგვეგვარებინა ეს საქმე.

— ღმერთი შეგეწიოს, გენაცვალე, — ჰეტმა უთხრა. — ჩემსას თუ ამბობ, მე სულ ნუ მომაქცევ ყურადღებას. ჩემი ჭირი იმდენი გადამხდა, სხვისი ჭირის ამბავი რომ მესმის, მგონია, გულს მეფონა-მეთქი. თქვენ თქვენი სათქმელი ბრძანეთ, მე კიდევ აგერ ვიჯდები ჩემთვის და ღორის ხორცს მივხედავ, არ დაიწვას.

— მომისმინეთ, — უთხრა ა. ო-მ მისის ჰეიტს. — ერთი წუთით წავიდნენ ესენი ყველანი.

ჯერაც ჩაცუცქულმა მისის ჰეიტმა თავი მოაბრუნა და ჯიქურ შემოხედა.— რატომ ვითომ? — უთხრა. — მე მგონი მარტო ეს ქალი არაა, ამ ეზოში როცა მოეგუნებება, მაშინ რომ შემოვა და, როცა მოეხასიათება, მაშინ რომ დარჩება ან წავა ხოლმე. — მაშინო, გევინ ბიძიამ გვითხრა, ა. ო-მ ერთი სწრაფი, გულჯავრიანი და თავშეკავებული ჟესტი გააკეთაო.

— კარგი, — თქვა მერე. — კარგი. მაშინ შევუდგეთ. ერთი სიტყვით, თქვენ ჯორი წაიყვანეთ.

— იმ ჯორის საფასური უკვე გადაგიხადეთ მე თქვენ, — უთხრა მისის ჰეიტმა. — ჰეტმა მოგიტანათ ფული.

— ათი დოლარი, — თქვა ა. ო-მ. — ის ჯორი კიდევ ას ორმოცდაათი ღირს.

— არ ვიცი, ღმერთმანი, რა ჯორია ისეთი, ას ორმოცდაათ დოლარად რომ ფასობს, — უთხრა მისის ჰეიტმა. — მე ის ვიცი, რკინიგზა იხდის ხოლმე ჯო-

რების საფასურს; იმგზობაზე, სანამ ის ჩერჩეტი ჰეიტი საბოლოოდ გამოტვინდებოდა და თავის თავსაც მიაკოჭავდა ლიანდაგს, რკინიგზამ სამოცი-სამოცი დოლარი გადაიხადა თითო ჯორში...

— ჩუმად! — თქვა ა. ო-მ. — გაჩუმდით.

— რატომ ვითომ? — უთხრა მისის ჰეიტმა. — ვითომ რამე ისეთი საიდუმლო შეიძლება წამომცდეს, თქვენ რომ არ დაგიყაჭიათ ყველა აქ მყოფთათვის?

— კარგი, — თქვა ა. ო-მ. — ოღონდ თქვენ ათდოლარიანი გამომიგზავნეთ სულ.

— მე სხვაობა გამოგიგზავნეთ, — უთხრა მისის ჰეიტმა. — იმ ჯორის საფასურის და იმის სხვაობა, რაც ჰეიტის გემართათ.

— რა მემართა მე ჰეიტის? — თქვა ა. ო-მ.

— ჰეიტი ამბობდა — რამდენი ჯორებს მატარებლის გასატანად მივრეკავ, იმდენი ორმოცდაათ დოლარს მიხდისო, ხოდა რკინიგზა კიდევ თქვენ სამოცსამოცი დოლარს გაძლევდათ თითო ჯორში. ამ ბოლო გზობაზე აღარ გადაგიხდიათ ჰეიტისთვის, იმიტომ რომ ყოველთვის მერე უხდიდით ხოლმე, ამ ბოლო გზობაზე კიდევ არაფერი „მერე" აღარ ყოფილა. ხოდა ამის საფასურად წამოვიყვანე ის ჯორი და ათი დოლარი გამოგიგზავნეთ ჰეტის ხელით, მოწმე რომ მყოლოდა. — ამან კი გააჩერაო სნოუპსი, — გვითხრა გევინ ბიძიამ. მართლა ხმა ჩაუწყვეტია. ეს ფეხზე მდგარი და მისის ჰეიტი ჩაცუცქული მისჩერებოდნენ ერთიმეორეს, ამასობაში კიდევ ჰეტმა ისევ გადააბრუნა ტაფაზე მოშიშხინე ხორცი. ორივენი გაქვავებულიყვნენო, — გვითხრა გევინ ბიძიამ, — ისე რომ მისტერ ფლემს ორჯერ მოუხდა თავისი შეკითხვის განმეორება, ვიდრე ისინი გაიგონებდნენო.

— მორჩით? — შეეკითხა თურმე ა. ო-ს.

— რა ბრძანეთ? — თქვა ა. ო-მ.

— მორჩით თუ არა-მეთქი? — იკითხა ფლემმა. ხოდა გევინ ბიძიამ გვითხრა — ეხლა ყველამ დავუნახეთ ხელში ტილოს ტომსიკა, ისეთი, ბანკის სეიფებში ფულს რომ ინახავენო.

— დიახ, — თქვა ა. ო-მ. — მორჩა. ის მაინცაა, რომ ამ საქმიდან ათდოლარიანი მაინც დამრჩა ისეთი, თქვენ რომ ვერ წამართმევთ. — ოღონდ მისტერ ფლემს მისთვის ყურადღება აღარ მიუქცევია. მისის ჰეიტს მიუბრუნდა და იმ ტომსიკიდან დაკეცილი ქაღალდი ამოიღო.

— აი, თქვენი სახლის გირავნობის სიგელი, — უთხრა. — სადაზღვევო კომპანია ნაღდს გადაგიხდით. ხელახლა შეგიძლიათ აიშენოთ სახლი. აი, — უთხრა, — გამომართვით.

მაგრამ მისის ჰეიტი არც შერხეულა. — რისი გულისთვის? — შეეკითხა.

— ბანკისგან გამოვისყიდე დღეს ეს ქაღალდი, — უთხრა მისტერ სნოუპსმა. — დაწვით, თუ გნებავთ, ოღონდ მე ის მინდა, ჯერ ხელში აიღოთ. — მისის ჰეიტმა ქაღალდი გამოართვა. ხოდა ეხლა ყველანი იმას მივჩერებოდით, მისტერ ფლემმა ხელახლა როგორ ჩაყო ხელი იმ ტომსიკაში და ამჯერად ფულის დასტა ამოიღოო, — გვითხრა გევინ ბიძიამ. ა. ო-ც იმას მისცეცებოდა თურმე თვალდაუფარულებლად.

— ღმერთო მომკალი, — უთქვამს ჰეტს. — ამდენით ერთ ღორს ამოყორავდა ადამიანი.

— რამდენი ჯორი გყავს ბაკში? — შეეკითხა მისტერ ფლემი ა. ო-ს. ოღონდ

ა. ო. ისე შეშტერებოდა სახეში და ხმას არ იღებდა. მერე ხშირ-ხშირად ააფახულა წამწამები და — შვიდიო, თქვა.

— შვიდი კი არა, ექვსი, — უთხრა მისტერ ფლემმა. — ერთი ჯორი ამ წუთას მიჰყიდე მისის ჰეიტს. შენ რომ ვაჭრობ, ისეთ ჯორებს რკინიგზა სამოცსამოცდოლარად აფასებს თითოს. შენ დაგიჩემებია — თითო ას ორმოცდაათი ღირსო. კარგი, ნუ ვივაჭრებთ. ექვსჯერ ას ორმოცდაათი იქნება...

— შვიდჯერ! — ხმამაღლა ამოიხრიალა ა. ო-მ. — არავისთვის არ მიმიყიდია ის ჯორი, არც მისის ჰეიტისთვის და არც სხვა ვინმესთვის. მომისმინეთ,—მისის ჰეიტს მიუბრუნდა, — ჩვენ ჯერ არ მოვრიგებულვართ. არ მოვრიგებულვართ-მეთქი, გეუბნებით. აბა მონახეთ ერთი ისეთი კაცი, ვისაც რამე ენახოს ან გაეგონოს, გარდა იმისა, რომ თქვენ იმას ცდილობდით, ის ათდოლარიანი შემოგეჩეჩებინათ ჩემთვის, რომელსაც აგერ უკან გიბრუნებთ. აჰა, — თქვა და დაჭმუჭნული ქაღალდის ფული გაუწოდა, მერე ესროლა ის ფული, ისე რომ ფული მისის ჰეიტის კაბას შეეხო და მიწაზე დავარდა. მისის ჰეიტი დასწვდა და აიღო.

— მოწმეების დასწრებით მაძლევთ? — შეეკითხა.

— სწორედ მასე, — თქვა სნოუპსმა. — ნეტავი ათჯერ მეტი მაინც ყოფილიყვნენ მოწმეები. — ეხლა მისტერ ფლემს მიმართავდა. — ისე რომ არავისთვის არ მიმიყიდია ის ჯორი. ხოდა შვიდჯერ ას ორმოცდაათი ათას ორმოცდაათი დოლარი გამოდის...

— ცხრაასი, — თქვა მისტერ ფლემმა.

— ათას ორმოცდაათი, — თქვა ა. ო-მ.

— ჯორს რომ მოიყვან, მაშინ მიიღებ, — უთხრა მისტერ ფლემმა. — ოლონდ ერთი მთავარი პირობით.

— რა პირობით? — იკითხა ა. ო-მ.

— ფრანგისხევში ახვალ ისევ და ჯეფერსონში მეტი არასოდეს გაიჭაჭანებ.

— ხოდა თანახმა თუ არ ვარ? — იკითხა ა. ო-მ.

— დღეს სასტუმრო გავყიდე მე, — თქვა მისტერ ფლემმა. ხოდა ეხლა ა. ო. უკვე ხმის გაუღებლად შეჰყურებდა, მისტერ ფლემი კი ცეცხლისკენ მიდგა და იმ დასტიდან ფულის გადათვლას შეუდგა, ხუთ-ხუთდოლარიანების, დოლარიანების და შიგადაშიგ ათდოლარიანებისას. ა. ო-მ უკანასკნელად გაიბრძოლა.

— ათას ორმოცდაათი, — თქვა მან.

— ჯორს როცა მოიყვან, — უთხრა მისტერ ფლემმა. ხოდა ა. ო-მ ცხრაასი დოლარი მიიღო მხოლოდ, გადათვალა, უბის ჯიბეში ჩაიდო, ჯიბე შეიკრა და მისის ჰეიტს მიუბრუნდა.

— ასე, ჩემო ბატონო, — თქვა. — სადაა ბატონ ვიცე-პრეზიდენტის სნოუპსის ჯორი?

— ხეზეა მიბმული მისტერ სპილმერის სახლს უკან, ხევში, — მიუგო მისის ჰეიტმა.

— ძალიან ახლოს დაგიბამთ, — თქვა ა. ო-მ. — მოტსტაუნშიც შეგეძლოთ ჩაგეყვანათ და იქ მიგეკოჭათ. მაშინ მართლა გაიხარებდით გულს იმის შემხედვარე, დროს და ძალას როგორ დავკარგავ ჯორის მოსაჩიქჩიქებლად. — ისევ მიმოიხედა სახეზე ბოლმიან ღიმაკრულმა, დაუოკებლად გაჭირვეულებულმა. — ყველაფერი მშვენივრად გამოაწყვეთ, ხომ? თქვენც და ვიცე-პრეზიდენტსაც ორივეს

შეგეძლოთ ფული დაგეზოგათ, იმას რომ თავისთან დაეტოვებინა ის გირავნობის სიგელი, რომლითაც ეხლა აღარაფერი აღარაა დაგირავებული, თქვენც აღარ მოგიწევდათ სახლის აშენება. კარგი, ჩემო ბატონო, კარგად ბრძანდებოდეთ. როგორც კი იმ ჯორს ბაკში შევუშვებ, ვიცე-პრეზიდენტის დანარჩენ ექვს ჯორთან, ბატონ ვიცე-პრეზიდენტს პატივს დავდებ და სახლში ვეწვევი იმ ას ორმოცდაათი დოლარის მისაღებად, იმიტომ რომ, იმის არ იყოს, მქონებელს ზრდილობა მიემატოსო, იმისას თუ აღარაფერს ვიტყვით, რომ ნაჩუქარ ცხენს, თუკი ცარიელზე დასვეს, კბილს არ გაუსინჯავენო. ხოდა, თუკი იურისტ სტივენსს ისეთი რამე გამოჰყვა თან, რის ქონებასაც ვიცე-პრეზიდენტი მოისურვებდა, თვალი კარგად უნდა ეჭიროს, იმიტომ რომ, იმის არ იყოს, მგლის შიშით მთვარეს უყეფდაო. კარგად ბრძანდებოდეთ, — თქვა და წავიდა. ხოდა ვევინ ბიძიამ გვითხრა — მისტერ ფლემმა ეხლა უკვე მე მომმართა ორჯერ, ვიდრე მის ნათქვამს გავიგონებდიო.

— რა ბრძანეთ? — შეეკითხა ვევინ ბიძია.

— რამდენი უნდა მოგართვათ-მეთქი? — უთხრა მისტერ ფლემმა. ხოდა ვევინ ბიძიამ გვიამბო: კინაღამ ის ვუთხარი — ერთი დოლარი-მეთქი; მაშინ მისტერ ფლემი მეტყოდა — ერთი დოლარი, მეტი არაო? მე კიდევ შემეძლო მეთქვა — დიახ, ერთი დოლარი, ანდა დანა მიბოძეთ თქვენი, ან კიდევ ფანქარი, ან სხვა რამე, ხვალ დილას ეს დღევანდელი ამბავი სიზმარი რომ არ მეგონოს-მეთქი. ოღონდ ვევინ ბიძიას ეს არ უთქვამს. სხვა უთხრა მხოლოდ:

— არც რამდენი. ჩემი კლიენტი მისის ჰეიტი გახლავთ. — ხოდა მისტერ ფლემს ხელახლა მოუხდა ორჯერ შემსიტყვებოდაო, — გვიამბო ვევინ ბიძიამ. — რა ბრძანეთ? — უკითხავს მისტერ ფლემისთვის.

— ანგარიში შეგიძლიათ გამომიგზავნოთ.

— რის ანგარიში?

— მოწმედ რომ ბრძანდებოდით, იმისი, — უთხრა მისტერ სნოუპსმა.

— აჰა, — თქვა ვევინ ბიძიამ. მისტერ სნოუპსი წასასვლელად გაემზადა. ხოდა ვევინ ბიძიამ გვითხრა: მე ვიფიქრე, ეხლა მეტყვის-მეთქი — თქვენც ქალაქში მობრძანდებითო? ანდა იქნება — ერთად ხომ არ წავიდეთო? იმას მაინც იტყვის-მეთქი, ვიფიქრე, — ნახვამდისო. მაგრამ მისტერ სნოუპსს ეს არ უთქვამს. საერთოდ არ უთქვამს არაფერი, ისე შებრუნებულა, წასულა და თვალს მიფარებია. მაშინ მისის ჰეიტმა ჰეტს უთხრა თურმე:

— ყუთი მოიტანე.

— მეც მაგას ველოდებოდი, იმ საქმეს როდის მოითავებს-მეთქი, — თქვა ჰეტმა. მისის ჰეიტი მივიდა, სკამს და ჩანგალს დასწვდა, ჰეტმა კიდევ ბოსლიდან ყუთი გამოიტანა და ცეცხლის პირას დადგა. — ეხლა, გენაცვალე, — ვევინ ბიძიას მიმართა, — ჩამოჯექი აგერ და დაისვენე.

— თქვენ დაბრძანდით, — უპასუხა ვევინ ბიძიამ. — მე მთელ დღეს ვიჯექი, თქვენ არ ჩაგიმუხლიათ. — ოღონდ, ვიდრე ვევინ ბიძია იუარებდა, ჰეტი უკვე ეწყობოდა იმ ყუთზე. ვევინ ბიძია აღარც ახსოვდა, ეხლა მოშიშხინე ხორცს დასჩერებოდა და იმას მიადევნებდა თვალს, მისის ჰეიტმა ტაფა როგორ გადმოდგა ცეცხლიდან.

— თქვენ ბრძანეთ რაღაცა ამ ღორის ხორცის? — იკითხა ჰეტმა. — თუ თქვენ კი არა, მე ვიყავი? — მისის ჰეიტმა ხორცი გაანაწილა და ვევინ ბიძია იდგა და უმზერდა, როგორ შეექცეოდნენ ისინი, — ტაბურეტზე მჯდარი მისის ჰეიტი ახალ თეფშზე ახალ დანა-ჩანგალს ხმაროობდა, ჰეტი კიდევ ყუთზე ჩა-

მოსკუპებულიყო და პირდაპირ ტაფიდან ჭამდა; ეტყობა, მისის ჰეიტს მარტო თავისთვის ეყიდა ახალი ჭურჭელი. ღორის ხორცს შეექცოდნენ და პურს გამდნარ ცხიმში აწებდნენ. მერე ჰეტმა ფინჯანში ყავა ჩაასხა, სათავისოდ კიდევ ცარიელი თუნუქის ქილა მოიძია საიდანღაც. ხოდა ამასობაში ა. ო. დაბრუნდა, უჩუმრად გამოილანდა სიბნელიდან (უკვე ჩამოღამებულიყო), გაჩერდა და ასე იდგა ცეცხლისკენ ხელებგაწვდილი, გეგონებოდათ, ალს ეფიცხებაო.

— კაცმა რომ თქვას, წავიღებ იმ ათდოლარიანს, — ალმოთქვა ა. ო-მ.

— რომელ ათდოლარიანს? — იკითხა მისის ჰეიტმა. ხოდა გევინ ბიძია იმას მოელოდა თურმე — ეხლა ა. ო. თუ არ აღრიალდა, ღრენას მაინც მოჰყვებაო. მაგრამ იმას არც ერთი უქნია და არც მეორე, ისე მდგარა ცეცხლისკენ ხელებგაწვდილი. გეგონებოდათ, შეამცივნაო, — გვიამბო გევინ ბიძიამ, — იდგა დალეული, გასაცოდავებული და დამფრთხალი, გაყუჩებულიო.

— არ მომცემთ? — უკითხავს მისის ჰეიტისთვის.

— რას არ მოგცემთ? — თქვა მისის ჰეიტმა. გევინ ბიძიამ გვითხრა — ეტყობა, იმ პასუხს არც მოელოდა, საერთოდაც აღარ ელოდებოდა მისის ჰეიტის ხმის გაგონებას, ისე იდგა და ფიქრობდაო რაღაცას წყნარი და უნდო გაოცებით შეპყრობილი.

— რამდენი წელიწადია ვჯახირობ, რისკს ვეწევი, წელებზე ფეხს ვიდგამ და სამოც-სამოც დოლარს ვღებულობ თითო ჯორში. თქვენ კიდევ ასე ერთბაშად, უწვალებლად და ურისკოდ ლონზო ჰეიტი და ჩემი, იმისი კი არა, ჩემი ხუთი ჯორი რვანახევარ ათასად გაყიდეთ აგერ. რასაკვირველია, თითქმის მთელი ის ფული ლონზოსთვის გერგებოდათ და სულ არ შემშურებია თქვენი. ქვეყანაზე ვერც ერთი სულიერი ვერ იტყვის ჩემსას — შურდაო, თუმცა საკვირველი კი იყო, რომ თქვენ მიიღეთ ყველაფერი, ჩემი ჩვეულებრივი საფასურიც კი თქვენ მიიღეთ — ხუთი ჯორის სამოც-სამოცი დოლარი. არადა თქვენ ხომ არ დაგიქირავებიათ ის კაცი, არც კი იცოდით, მაშინ სად იყო, იმისას თუ აღარაფერს ვიტყვით, რომ ჯორები თქვენი არ ყოფილა; იმ ფულის ნახევარი რომ მიგელოთ, თქვენთვის ისიც კმაროდა, იმის ცოლი ყოფილიყავით. ხოდა ეხლა, როცა აგერ ამდენი წელიწადია არ შემშურებია თქვენი, უკანასკნელი ჯორიც წამართვით და ეს ორმოცი კი არა, ეს ორმოცდაათი დოლარი მაზარალეთ.

— ხომ დაიბრუნეთ თქვენი ჯორი, კიდევ არ ხართ კმაყოფილი? — ჰეტმა უთხრა. — აბა რაღა გინდათ?

— სამართლიანობა მინდა, — თქვა ა. ო-მ. — სამართლიანობა მინდა და მეტი არაფერი. უკანასკნელად გეკითხებით, — თქვა მერე. — მომცემთ თუ არა ჩემს ათდოლარიანს?

— რომელ ათდოლარიანს? — იკითხა მისის ჰეიტმა. მაშინ ა. ო. გატრიალდა და წავიდა. რაღაცაზე ფეხი წამოიკრა, — გევინ ბიძიამ თქვა, ჰეტის ქალალდის ჩანთა იყოო, — მაგრამ არ დაცემულა და გზა განაგრძო. წამით თვალი მოვკარიო, — გვიამბო გევინ ბიძიამ, — მარტო მე დავინახე, რადგან არც მისის ჰეიტი და არც ჰეტი აღარ უყურებდნენო, თითქოს ჩარჩოში მოქცეულიყოს ორ გაჭვარტლულ საკვამურს შუა ცისკენ ხელაპყრობილი, მერე გაქრა — ამჯერად სამუდამოდ; მე თვალი გავადევნე, ოღონდ არც მისის ჰეიტს და არც ჰეტს თავიც არ აუწევიათო...

— რა უქენით იმ ჯორს, ჭირიმე? — ჰეტმა უთხრა მისის ჰეიტს. საიმდროოდ პურის ერთი ნაჭერიღა დარჩენოდათო, — გვიამბობდა გევინ ბიძია. მისის ჰეიტი იმ ნაჭერს დასწვდომია და თავის თეფშზე საწებლის ნარჩენი მოუხოცავს.

— ტყვიით მოვკალი, — თქვა მისის ჰეიტმა.

— როგორო? — თქვა ჰეტმა. მისის ჰეიტმა პურის ნაჭერი პირში ჩაიდვა. — ხო, — თქვა ჰეტმა, — ჯორმა სახლი გადაგიბუგათ, თქვენ კიდევ ჯორი მიახვრიტეთ. ეს, მე მგონია, რომ სამართლიანობაზე მეტია; ეს, კბილი კბილისა წილო, რომ იტყვიან, ისაა. — ამასობაში სულ დაღამებულიყო. ჰეტს კიდევ თავისი დამძიმებული ჩანთითურთ ერთნახევარი მილის სიგრძე გზა ჰქონდა გასავლელი დავრდომილთა თავშესაფრამდე. თუმცა ზამთრის ღამე გრძელია და, გევინ ბიძიას ნათქვამის არ იყოს, არც ის თავშესაფარი გაიქცეოდა სადმე. ხოდა გევინ ბიძიამ გვითხრა, ცარიელი ტაფის ხელში მჭერელი ჰეტი ისევ ჩამოჯდა ყუთზე და ერთი ამოიოხრაო შვებით და სიხარულით. — ოჰ, თქვენ გენაცვალეთ, ეს რა ამბები გადაგვხდა დღეს!

ხოდა რეტლიფი, რაღა თქმა უნდა, ისევ იქ იქნებოდა. კლიენტებისთვის განკუთვნილ სკამზე დამჯდარიყო თავისი ლურჯი, გამოხუნებული და უმწიკვლო ხალათით მოსილი, კვლავინდებურად უჰალსტუხო, თუმცა კი ხელოვნური ტყავის კურტაკი ეცვა და შავი ფერის მძიმე ლაბადა, ზამთრის პალტოს მაგივრობას რომ უწევდა. ორშაბათი დღე იდგა და გევინ ბიძია დილიდანვე გამგზავრებულიყო რაღაც საწრეტი არხების გამო ნიუ-მარკეტში გამართულ ინსპექტორთა შეკრებაზე. ხოდა მე ვიფიქრე — თავისი გამგზავრების ამბავი რეტლიფისთვისაც უნდა ეცნობებინა, როცა რეტლიფმა გუშინ სახლში შეუარამეთქი.

— კი შეეძლო ეთქვა, — მითხრა რეტლიფმა, — მაგრამ რა უჭირს. საქმე არაფერი მაქვს. ისე შემოვიარე, გულის გადასაყოლებლად, საცინრად.

— ხო-ო, — მე ვუთხარი, — ა. ო-ზე საცინრად და სნოუპსის იმ ჯორზე, მისის ჰეიტის სახლი რომ გადაწვა, ხომ? მე მეგონა, თქვენ და გევინ ბიძიამ გუშინვე იცინეთ-მეთქი იმ ამბავზე.

— კი, მასე იყო, — მითხრა რეტლიფმა. — ოღონდ ამ ამბავზე სიცილი რომ აგიტყდება, მიხვდები, რომ სულ არ ყოფილა სასაცილო ამბავი. — რეტლიფმა შემომხედა. — როდის დაბრუნდება ბიძაშენი?

— მე მეგონა, უკვე დაბრუნდა-მეთქი.

— კარგი, — თქვა რეტლიფმა. მაგ არაფერი. — ისევ შემომხედა. — ესე იგი ორის ამბავი მოთავებულია, ერთიღა დარჩა.

— ვინ ერთი? — შევეკითხე. — ერთი სნოუპსი კიდევ, მისტერ ფლემმა რომ უნდა ამოძირკვოს ჯეფერსონიდან, და მაშინ თვითონ იქნება ერთადერთი სნოუპსი, ხომ? თუ...

— ასე-ე, — თქვა რეტლიფმა. — ეხლა ისღაა საჭირო, ერთ ანტიმოქალაქეობრივ ზღუდეს კიდევ გადაევლოს, ისეთს, მონტჰომერი უორდის ფოტოსტუდია და ა. ო-ს სარკინიგზო ჯორების ამბავი რომ იყო, და ჯეფერსონში საერთოდ აღარაფერი დარჩება ფლემ სნოუპსის გარდა. — რეტლიფმა შემომხედა. — იმიტომ რომ ბიძაშენმა ხელიდან გაუშვა ის ამბავი...

— რა გაუშვა ხელიდან? — ვკითხე მე.

— თუმცა მის ცხვირწინ კი მოხდა ყველაფერი და ფლემი თავისი ფეხით მობრძანდა აქ იმის მეორე დღეს, ფედერალურმა პოლიციამ ის სტუდია რომ მოჩხრიკა, და შერიფის კაბინეტში გამქრალი გასაღები ჩააბარა ბიძაშენს; ხოდა აგერ ეხლაც, შაბათ საღამოს, მისის ჰეიტის ნასახლართან, როცა ფლემმა იმ ქალს გირავნობის სიგელი მისცა და ა. ო-ს ჯორების ფული მიუთვალა, ეხლაც გაუშვა ხელიდან ეს ამბავი. მე კიდევ ვერ მითქვამს მისთვის ეს.

— რატომ ვერ ეუბნებით? — ვკითხე მე.

— იმიტომ რომ არ დამიჯერებს. ეს ისეთი ამბავია, საკუთარ თავს უნდა იცნობდეს კაცი, საკუთარ თავზე უნდა ჰქონდეს გამონაცადი, შიშით უნდა კანკალებდეს. რადგან სხვამ რომ უთხრას, სანახევროდ დაიჯერებს მხოლოდ, ისიც იმას, რის გაგონებაც თვითონ ენატრებოდა. ოღონდ მაშინ მოსმენითაც არ მოუსმენს, იმიტომ რომ წინასწარვე შეგუებულია იმ ამბავს, ერთადერთი იმას იფიქრებს — უყურე შენ, რა ჭკუის კოლოფი გამომიჩნდაო! ხოდა რის გაგონებაც არ სურს, ჩემო ბატონო, ის წინასწარვე აქვს უარყოფილი; ხოდა არც დაიჯერებს ამ წინასწარ უარყოფილ ამბავს, რამდენიც უნდა შეაყარო კედელს ცერცვი. შეიძლება შავი დღეც დააყენოს იმ მატრაკვეცას, ვინც სხვის საქმეში ჩაჩხირულა და მისთვის ეს ამბავი მოუყოლია.

— ისე გამოდის, თქვენ იმიტომ არ მოგისმენთ და არც დაგიჯერებთ, რომ არ სურს სინამდვილე იყოს ეს ამბავი, ხომ?

— სწორედ მასე, — მითხრა რეტლიფმა, — ისე რომ მოცდა მომიწევს. იმას უნდა ვუცადო, სანამ თვითონაც არ გაიგებს. ეს ძნელად სავალი გზაა, ნაღდი გზაა, ერთადერთი სწორი გზა. მაშინ თუ არ დამიჯერა, შეშინდება მაინც.

— შიშით დიდი ხანია ეშინია უკვე, — ვუთხარი მე.

— მაგ კარგია, — თქვა რეტლიფმა. — უნდა ეშინოდეს. ყველას უნდა გვეშინოდეს. იმიტომ რომ, როცა კაცს უბრალოდ ფული ენატრება ისევ ფულის გულისთვის, თუ გინდა ძალაუფლების გულისთვისაც, მაინც ბევრი რამეა ისეთი, რასაც არ იკადრებს, რის წინაშეც უკან დაიხევს. მაგრამ როცა მისნაირი კაცი სულ პატარაობიდანვე, ანგარიშს ისწავლის თუ არა, ასე დაასკვნის — ფულით ყველაფრის ყიდვა შეიძლება, რასაც კი მოისურვებო, ხოდა მთელი სიცოცხლე ყველა თავის საქმეს ამაზე ააშენებს, თანაც იმიტომ კი არა, გულბოროტი რომაა, იმიტომ, რომ იცის — თავისი ნებით არაკაცი კაპიკსაც არ გაიმეტებს მისთვის და არც თვითონაა არავისი მთხოვნელი; ხოდა, ჩემო ბატონო, ამნაირი კაცი, ყველაფრისთვის მზად რომაა, მერე და მერე, წლები რომ მოემატება, უცებ მიხვდება — დამგვიანებია, მთავარი რაც იყო, ხელიდან წამსვლიაო. ხო, ქონება კი აქვს ამ კაცს იმდენი დაგროვილი, რომ ვერც დაითვლი, ვერც ინატრებ, დასიზმრებითაც ვერ დაგესიზმრება იმდენი, ოღონდ ის წასვლია ხელიდან, რაც ყველაფერზე მეტად სჭირდებოდა, რაც მის ცხოვრებას აზრს შესძენდა ან სიმშვიდეს მაინც მოუპოვებდა. ხოდა იმას ფულით ვერ იშოვნი ვერაფრით, ის ყოველ ბავშვს დაბადებიდანვე უსასყიდლოდ ეძლევა, ხოდა, რა რომ გაიზრდება, ზოგჯერ ხვდება კიდეც — დამგვიანებია, იმას ვეღარ დავიბრუნებო...

— კარგი, მაგრამ რა არის ეგ, რა სჭირდება იმ კაცს? — ვკითხე მე.

— კაიკაცობის სახელი, — მითხრა რეტლიფმა.

— კაიკაცობის სახელი?

— ნამდვილად, — მითხრა რეტლიფმა. — როცა კაცს ფული და ძალაუფლება სჭირდება მხოლოდ, სადმე უსიკვდილოდ შეჩერდება; ყოველთვის გამოიძებნება ისეთი რაღაცა, რასაც მარტო ფულის გულისთვის არ გააკეთებს. მაგრამ კაიკაცობის სახელი თუ დასჭირდა, ამის გულისთვის არაფრის წინაშე უკან არ დაიხევს. ხოდა, როცა თითქმის გვიანია უკვე, როცა მიხვდება — თურმე ეს მჭირდებოდაო, მერე იმასაც ხვდება — რომც ვიშოვნო ის, რაც მჭირდება, იმ ნაპოვნის ისე უბრალოდ ცხრაკლიტულში დამალვა და იქ მისი გაჩერება არ ეწყობაო, ის კი არა, სანამ სულს ვითქვამ, მის შესანარჩუნებლად წელებზე ფეხს უნდა ვიდგამდეო. ხოდა, ამას რომ გადაწყვეტს, მერე უკან აღარ დაიხევს არაფრის წინაშე და თავის გარშემო ყველას და ყველაფერს ტანჯვა-წამებაში ამყოფებს.

— კაიკაცობის სახელი, ხომ? — ვთქვი მე.

— ნამდვილად, — თქვა რეტლიფმა. — ბანკის ვიცეპრეზიდენტობა აღარ კმარა იმისთვის, პრეზიდენტი უნდა შეიქნეს.

— უნდა შეიქნეს? — ვკითხე მე.

— მე იმის თქმა მინდა, მალე შეიქნება-მეთქი. იმას ვერ გაბედავს, საქმე სასწორზე შეაგდოს და იცადოს, სამერიოდ გადადოს. მისის სნოუპსის ქალიშვილი რომაა, ლინდა, უკვე...

— თორმეტ აპრილს ცხრამეტის შესრულება, — ვთქვი მე.

— ...ცხრამეტისაა, ხოდა იმ ქალაქში კიდევ... შენ რა იცი, თორმეტში რომ შესრულდება?

— გევინ ბიძიამ თქვა, — ვუთხარი მე.

— რასაკვირველია, — თქვა რეტლიფმა და განაგრძო: — ...იმ უნივერსიტეტში კიდევ, ოქსფორდში, ალბათ ათასობით არიან ახალგაზრდა კაცები — ახალ-ახალი, უცნობი, სანდომიანი ხალხი, ხოდა იმ გოგოს იქ ყურის მგდებელიც არავინ ეყოლება პანსიონის უფროსის გარდა. იმ გოგოს რა ენაღვლება, იმას კი არ ჰყავს ცოლად ბიძია ბილ უორნერის ქონების განახევრებული ნახევარის მემკვიდრე! არადა აქაც კი, ჯეფერსონშიც, ის გოგო შარშან რომ სწავლობდა, იმ პანსიონშიც სახიფათო იყო მისი ყოფნა, ეხლა კიდევ ბიძაშენმა, იმ გოგოს დედამ თუ სხვა ვილაცამ, ანდა იქნება ორივემ ერთად, ბოლოს და ბოლოს დაიყოლიეს ფლემი, რომ იმ გოგოსთვის ნება მიეცა პანსიონი მიეტოვებინა და ნაშობევს კოლეჯში გადასულიყო სასწავლებლად. ხოდა, ჩემო ბატონო, იქ კი ველარ ეჭირება ფლემს თვალი იმ გოგოს ნაცნობ ჭაბუკებზე, ისე როგორც აქ მწყემსავდა მის ტოლ ბიჭბუჭებს. აქ ის მაინც იყო, რომ იმ ბიჭბუჭების ნათესავები ცხოვრობდნენ, ფლემის მოვალეები, და შეეძლოთ მოხმარებოდნენ, იმ ყმაწვილებს როცა უმკლავდებოდა. იმისას თუ აღარაფერს ვიტყვით, რომ ეხლა ის გოგო საღამ-საღამოობით სახლში კი აღარ იჯდება, კაცს რომ შეგეძლოს ხელი გაიწვდინო და გული შეიჯერო — კი, ნამდვილად აქ არისო. ასე რომ ვერ გაბედავს საქმე სასწორზე შეაგდოს. ეხლა ყოველ წუთს შეიძლება დეპეშით აცნობონ ან ტელეფონით დაურეკონ იმ გოგოს ამბავი — ეს-ესაა გაიქცა მეზობელ ქალაქში (სადაც მომრიგებელ მოსამართლეს ფეხებზე ჰკიდია შენი ფლემ სნოუპსი) და საცაა გათხოვდებაო... და იმდენიც რომ მოახერხოს, იმ ამბიდან ერთი ათი წუთის მერე მიაგნოს იმგვნს და უკან წამოაბრძანოს...

— ... მაინც გვიან იქნება უკვე და საქმეს აღარაფერი ეშველება, — ვთქვი მე.

— დიახ, — თქვა რეტლიფმა. — ბიძაშენმაც კი იცის ეს ამბავი. მისნაირი კეთილშობილი და დახვეწილი აზრების კაცსაც მართებს იცოდეს, რომ ფლემს ხელი მოეცარება თუ არა, მისის სნოუპსი მაშინვე მიატოვებს. ხოდა მაშინ ფლემი იმ ქალის მემკვიდრეობის ნაწილს კი არ უნდა დაემშვიდობოს მხოლოდ, გამგეობის არჩევნებზე ის ხმებიც უნდა დაკარგოს, ბიძია ბილს თავისი აქციების წყალობით რომ აქვს მოპოვებული. ისე რომ ფლემმა ეხლავე, დაუყოვნებლად უნდა გადადგას ნაბიჯი, ბანკის პრეზიდენტი უნდა შეიქნეს. მარტო იმიტომ კი არა, უორნერის ქონება რომ მოიგდოს ხელში. ამის გაკეთება ნაწილობრივ მაშინ შეიძლება, იმ ბანკის პრეზიდენტი თუ გახდა, რომელშიც აქვს თავისი ფული შენახული ბიძია ბილს. ეს ამბავი მანამდე უნდა მოახდინოს, ვიდრე არ უცნობებიათ — ლინდა გათხოვდაო; ასე თუ არ ქნა, იმ ხმებს დაკარგავს, ბიძია ბილს თავისი აქციების წყალობით რომ აქვს მოპოვებული.

(გაგრძელება იქნება)